

(3)

14

## „ო გ ე რ ი ი ს ბ ი ბ ლ ი თ ე კ ა“



ო გ ე რ ი ი ს ბ ი ბ ლ ი თ ე კ ა

(მეგობრის ნამპლი)

სვ. ყიფიანისა.

წითელი მანქია — თხზ. ბრტის  
თარგ. ი. პოლ — სა.

კრიფუბ და ბიბლიოგრაფია —  
ი. ფერაძისა.

3 6 9 8 0 5  
№ 3

1905  
ცფილისი



*н. ббв*

„ივერიის ბიბლიოთეკა“

(მეგობრის ნამბობი)  
სვ. ყიფინისა.

წითელი მანფიდ — თხზ. ბრუსი  
თარგ. ი. პოლ — სა

ქრისტიან და ბიბლიოგრაფია —  
ი. ფერაძისა.

35114



360805

№ 3

1905  
ცვილისი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го июля, 1905 года.

## ს ა რ ჩ ი ვ ი

- გვერდი  
.....—(მეგობრის. ნამშობი) სვ. უიფიანისა. . . . . 5
- შითელი მათია—ღრამა ოთხ მოქმედებად, ძრუსი,  
თარგმანი ი. პოლუშორდვინთვის . . . . . 83
- პრიტიკა და ბიბლიოგრაფია—ბ-ნ კორხანიძის რუ-  
სულის ენის სახელმძღვანელო „Живое Слово“ (მესამე  
გამოცემა. 1903 წ.) ი. ფერაძისა . . . . . 219

(მეგობრის ნამბობი)

მე და ჩემი ბედის გამზიარებელი ხუთი ჯარის კაცი, თოფიანი ჯარის კაცებით გარშემორტყმული, სოფლის მტვრიან გზაზე, ჩქარის ნაბიჯით მივდიოდით. ჩვენ ვიყავით ტუსაღები, თოფიანი ჯარის კაცნი — ჩვენი დარაჯები. ჩვენ მივყავდით დისციპლინარულ ბატალიონში.

ცხელოდა. გზას მტვერი ასდიოდა. მტვერი სქლად გვედებოდა ტანზე, თავ-პირზე და ბევრსაც ვყლაპავდით. ზღვასავით თვალ-უწვდენელი ტრიალი მანდორი შორს, სივრცეში იკარგებოდა.

ეს იყო რუსული „Степь“, უდაბნო, უშნო, ულაზათო, მოტრუსული, გამტვრიანებული, მსხვილ კლერცორიანის ბალახით მოფენილი. ჩვენ დალალულ თვალს არა ართობდა-რა, გულის დარღს არაფერი გვიქარვებდა-რა.

— ეეჲ... დავიგვიანეთ! — გაჯავრდა ერთი დარაჯაგანი — აბა, ფეხი აუჩქარეთ! ..

აქეთ-იქით, გზის ნაპირებზე, უმტვერო და შედარებით გრილ ბილიკებზე დარაჯნი მიდიოდნენ. ჩვენ კინება არა გვქონდა შუა გზას გადავსცდენოდით.

ჩემ გვერდით მოდიოდა შუა ტანისა, ჩასხმული და კოხტად შვერ-შეკრეპილი ქალაქელი სომები. ჩუმალ, თავ-ჩალუნული მიათრევდა იგი თავის პატარა ბოხჩას და

მალ-მალ ოხრავდა. ღრო-გამოშვებით აიღებდა ხოლმე  
თავს და მეკითხებოდა: — ვა, სად მივყევართ: კაცო? — პა-  
სუხი აღარ უნდოდა, იმან კარგად იცოდა, სადაც მივ-  
ყავდით. როგორც ქალაქელი ბიჭი, რომელსაც ბევრი  
რამ უნახავს და თავზე ბევრი რამ გადახდენია, გულს არ  
იტეხდა, ჩვეულებისამებრ თხუნჯობდა, მაგრამ ნაძალა-  
დეობა კი ეტყობოდა. სომხის გალიმებაზე საცოდავად  
ილიმებოდა დაბალ-დაბალი, ხმელი ტანის ქართველი ბი-  
ჭი. ის ჩვენ წინ მიღიოდა და, ჩვენ რომ დავილაპარა-  
კებდით, უკან გამოიხედავდა ხოლმე. სახეზე დაფანტუ-  
ლობა ეტყობოდა, თვალებში — შიში. ფეთიანივით აქეთ-  
იქით იხედებოდა, თითქმ საიდანლაც მტრის დაცემას  
მოელისო, იგი მზად იყო სილისათვის ლოყა შეეშვირნა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ქართველ-  
ში ბიჭმა არ იცოდა: როგორ, სად და რად მიღიორა ამ  
გამტვრიანებულ გზაზე, ამ სიცხეში და ბოლოს რა მო-  
ელოდა. იცოდა მხოლოდ, რომ მიჰყავდათ სადღაც და  
უნდა დამორჩილებულიყო, თუ არ უნდოდა, რომ მოეკლათ,  
ან ჩამოერჩოთ.

„ეტაპის“ ვაგონში იგი მცხეთას სადგურზე შემოი-  
ყვანეს. ისეთივე დაბნეული სახე, ისეთივე დაფეთებული  
თვალები ჰქონდა. სადაც უბრძანეს, იქვე საჩქაროდ ჩაჯ-  
და და ბათუმამდის ფეხზე არ წამომდგარა.

— სადაური ხარ? — ვკითხე.

— ღუშეთიდან.

— შენ?

— ტფილისიდან.

— სადა გგზავნიან?

— დისკიპლიონი ბატალიონში.

— რამდენი წლით?

— ორის წლით.

ეს იყო ჩვენი გაცნობა. ბათუმამდინ ჯრუ, არა მიკითხავს-რა, არც იმას ამოუღია ხმა.

ბათუმში რომ მიგვიყვანეს, სამხედრო ნაობახტში გამოგვამწყვდიეს. როგორც კი შევედით, იქაც ერთს ალაგას მოიკეცა და, სანამ დაწოლის დრო არ მოვიდა, ალაგიდან. არ დაძრულა.

— ბიჭო! — კარგა ხნის. შემდეგ დამიძახა იმან — მოდი აქა, რა გითხრა!

მე დალონებული, დაფიქრებული მივდი-მოვდიოდი თთახტი და თავში ერთი-ერთმანეთზე უარესი მწარე ფიქრები მიტრიალებდნენ.

— იცი, რა გითხრა? — მითხრა იმან, როდესაც მიუჟახლოვდი + ხვალ გემით უნდა წაგვიყვანონ ... ზღვაში არა?

— მერე?

— პო და იცი, ყური ვუგდოთ ერთმანება | მე რომ დავიძინებ, შენ მიგდე ყური, შენ რომ დაიძინებ, მე გიგდებ ყურსა, გესმის?

— მესმის! — გამეცინა მე და გამოვტრიალდი.

მეორე დღეს გემში რომ ჩაგვსხეს და ნავთსადგურიდან გავედით, კიდევ გამაფრთხილა, ისეთის სახით შელაპარაკებოდა და თან ისეთნაირად აქნევდა ხელებს, რომ ერთმა დარაჯთაგანმა შეგვამჩნია და რუსულად მკითხა:

— რას ამბობს ეგ „ტუროკი?“\*).

\*) რუსის ჯარის კაცები ასე გვეძახიან ქართველებს.

რომ არ მეთქვა არ შეიძლებოდა. არა თქმას უშვე-  
რი ლანძლვა მოჰყვებოდა და მეკი ამას ძალიან ვერიდე-  
ბოდი. ამიტომ სიმართლე ვუთხარი.

დარაჯმა გაიცინა და ჩუმად მითხრა:

— შენ გაჩუმდი, ხმას ნუ ამოიღებ, როცა დაი-  
ძინებს, მივალ დავავლებ ხელს და ვითომ წყალში გა-  
დასაგდებად წავათრევ. ვნახოთ, რას იზამს... ერთი კარ-  
გად ვიცინოთ! ძალას დავემოჩილე და თანახმა გაუხდი.

როდესაც ყველა მიწვა და სიჩუმე ჩამოვარდა, და-  
რაჯი მივიღა, მოჰყიდა ხელი და რუსულად ბოხის, სას-  
ტიკის ხმით ჩასჩურჩულა:

— წამოდი აქა!!

იგი ჩემ გვერდით იწვა. თავზარ-დაცემული, დაფე-  
თიანებული წამოვარდა და ძლივს ორი რუსული სიტყვის  
თქმა მოახერხა:

— ტშო ნაღა, შტო ნაღა?!

— წამოდი... წყალში უნდა გადაგაგდო! — იმავ კი-  
ლოთი უთხრა რუსმა და მაღლა აიტაცა:

ის მეცა მე და დამიწყო ნჯლრევა.

— გიჭოო, ადე! გაიღვიძე! გააღვიძე!!

— წამო, წამო აქა! — შეუბრალებლად ეუბნებოდა  
რუსი.

— ნი ნაღა, ნი ნაღა, პოუოლუსტა... — ემუდარე-  
ბოდა ის და თან მე მანჯლრევდა — წყალში მაგდებენ,  
ბიჭო, წყალში!

მაყურებლებმა თავი ვეღარ შეიმაგრეს და საერთო  
სიცილ-ხარხარი ასტყდა.

ოცდა ერთი დღე ერთად მჩვდიოდით, და ის შიში,  
რომელიც ვაგონში შევამჩნიე, ახლაც თვალებში ეხატე-

ბოდა. დაბნეული და ტანჯვისა ან სიკვდილის ყოველ  
წამს მომლოდინე, ყველაზე წინ შიღიოდა, ეშინოდა,  
უკან ჩამოვრჩე.

— როგორ უნდა გასძლოს ამ უბედურმა ორი  
წელიწადი დისციპლინარულ ბაჭალიონში-მეთქი—ვფიქ-  
რობდი მე და მის სილაპრის მნახველს, ცოტა არ იყოს,  
გული მეძლეოდა.

მეოთხე და მეხუთე ჩვენი ამხანაგი რუსები იყვნენ,  
თსინი ჩვენთან სიარულს თითქმის არა კადრულობდნენ.  
დარაჯებს ეკვროდნენ, ელაპარაკებოდნენ, რალაცებს  
უამბობდნენ.

შუადლისას სიცხე მეტად გვწვავდა. გამტვრიანე-  
ბულთ სახეზე ოფლი წურწურით ჩამოვვდიოდა. და ჩა-  
ნიც დაიღალნენ და გადასწყვიტეს პატარა შეესვენათ.  
ჩამოვსხედით გზის პირას და თუთუნს მოვუკიდეთ.

— მოსწიეთ, რაც შეგეძლოთ, თორემ იქ ველარ  
მოსწევთ—გვეუბნებოდნენ დარაჯები.

მართლაც, თუთუნი ვსწიეთ იქამდის, სანამ თავ-ბრუ  
არ დაგვესხა და გული არ აგვერია.

— ახლა კი წავიდეთ...

ჩვენ ზარმაცალ წამოფიწიეთ და ზურგზე მოდებულ  
ბოხჩებით ისევ გზას გავუდექით. წყალი გვწყუროდა,  
შოთელი კი არსადა სჩანდა... როგორც იყო, გზაზე მო-  
მავალი ხალხი დავინახეთ, პკინის ფზის საღვურისკენ  
რუსის ქალები მოდიოდნენ და გასასყიდად მიჰყავდათ  
ქათამი, ბატი, კვერცხი, რძე. ორ შაურად ვიყიდეთ

ერთი დიდი ქოთანი რძე და გულები გავიგრილეთ. არა-  
ფერი არ უკითხავთ, ისე გაუდგნენ გზას. ჩვენ შევუდე-  
ქით პატარა აღმართს.

— რამდენი ვერსია კიდევ? — ეკითხებოდა. ერთი და-  
რაჯი მეორეს.

— ხუთია, მეონი...

— უუუ! ... იგინებოდა დარაჯი.

— უუფ! ... — ვვოხრავდით ჩვენც და ფეხები უკან  
გვრჩებოდა.

ჩვენ მზად ვიყავით გვევლო ასე ერთი, ორი, სამი-  
წელიწადი, ოლონდ იქ არ მივეყვანეთ, საღაც მივდიოდით-

პატარა აღმართი ავიარეთ და დავადექით ისევ სწო-  
რე, ტრიალს მინდორს. შორს გამოჩნდა: თეთრი, წით-  
ლად დახურული შენობები.

— აგერ გამოჩნდა! — სიხარულით დაიძახა ერთმა-  
დარაჯმა და ჩვენს გასაგონადა სთქვა, — აი, ის არის დის-  
კიპლინარული ბატალიონი.

დარაჯები შესწორდნენ, თავისუფლად ამოისუნთქეს  
და სიარულს უმატეს. ჩვენ კი გულმა ფანცჭალი დაგვი-  
წყო და აღარც ძირს, აღარც გვერდზე მიგვიხედნია-  
შევყურებდით ამ თეთრ შენობებს და გული გვეწურე-  
ბოდა. დარწმუნებული ვარ, ყველა, ჩვენგანი. ერთ და-  
იგივეს პფიქრობდა: — აი, კიდევ სამი, ოთხი ვერსი და  
მიმიყვანენ ამ თეთრ შენობებში, იქ უნდა დავპყო წე-  
ლიწად-ნახევარი. რა მომელის? ვინ იცის, დავბრუნდები-  
თუ არა ჩვენსავე სამშობლოში?

ვგრძნობდი და ვიცოდი, რომ; სამშობლოში დაბ-  
რუნება თუ მინდოდა, თავმოყვარეობა, პირადობა, უნდა  
დამევიწყნა.

თავმოყვარეობა და სამშობლოში დაბრუნება,—ეს ორი ტკბილი გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს და, რომელი რომელს დასძლევდა, ჯერ კარგად არ ვიცოდი.

თეთრი შენობები თანდათან უფრო კარგად გამოჩნდა, და ნათლად გავარჩიეთ, მაღალი, ქვის გალავნით შემორტყმული, რამდენიმე ერთი-ერთმანეთის მსგავსი სახლები. გალავნის გარედაც იყო ერთი დაბალი შენობა, სხვადასხვა პატარ-პატარა ფიცრულ შენობებით.

— ეს ბატალიონის უფროსის სადგომია.—აგვისენა დარაჯმა.

შენობების იქით მოსჩანდა კაზაკების სოფელი. გალავნის შიგნით იდგა რამდენიმე „აკაცია“. გარშემო კი ისევ ის ტრიალი მინდორი, ისევ ის მაღალი, მოტრუსული ბალახი. გარედან, გალავნის ძირში, ოთხივე გვერდიდან ზანტად დადიოდნენ თოფიანი ჯარის კაცები.

— ახლა კარგად გაისწორეთ ყველაფერი და რიგზედ იარეთ, თორემ აქ ისეთი უფროსია, რომ... გვეუბნებოდნენ დარაჯები, როდესაც მივუახლოვდით, და თვითონაც ტანისამოსს ისწორებდნენ.

უზარ-მაზარ გალავანს ერთად-ერთი ალაყაფის კარები ჰქონდა. იმ კარებთან გაგვაჩერეს. რიგზე დაგვაყენეს და დარაჯები გარშემო, შორიახლოს, მოგვიდგნენ.

კარები შიგნილან დაკეტილი იყო და თითქმის ყოველ წამს იღებოდა. აგვრ, გაიღო კარები და გამოვიდა ორი კაცი, ჯარის კაცის ტანისამოსში, მხოლოთ „უპაგონოთ“. ბოჩკის ყურებში კეტი გაეყარათ, მხარზე გაე-

დოთ და ისე მოდიოდნენ. უკან ხმლითა და რევოლუცი-  
რით შეიძარალებული, მრისხანე სახის კაცი მოსდევდათ.  
ჩვენ რომ დაგვინახეს, „უპაგონოები“ შეჩერდნენ და  
ცნობის-მოყვარეობით შეგვათვალიერეს. მაგრამ ხმლიან-  
მა წაჰკრა კისერში უკანას, უკანაში წინას უნებურად  
დაჰკრა კეტი და ადგილიდან დაიძრნენ.

კარები კიდევ გაიღო და ფელდფებელი გამოვიდა.

— მოხვედით? — მიუბრუნდა ის დარაჯებს — უფრო-  
სი აქ არ არის, მალე მოვა, უნდა მოიცადოთ.

ჩვენ უამისოდაც ვიცდიდით, მზე უმოწყალოდ გვწვავ-  
და. არც ჩერო და არც დასუჯდომი ადგილი. ხან ერთს  
ფეხს ვიცვლიდით, ხან მეორეს და სახიდან გამუდმებით  
ოფლს ვიწმენდდით.

კარები ჩხარი-ჩხურით იღებოდა. „უპაგონო“ ჯარის  
კაცები რომ გამოვიდოდნენ, ან შედიოდნენ, უთურდ  
ხმლიანი დასდევდათ უკან. ჩვენ მივხვდით, რომ ეს  
„უპაგონოები“ ჩვენი მიმავალი ამხანაგები უნდა ყოფი-  
ლიყვნენ, ხოლო „ხმლიანები“ კი — ჩვენი უფროსები.  
ხმლიანები წელში გამოჭიმულნი, მაგარის ნაბიჯითა და  
მრისხანე, ამპარტავნულის სახით დადიოონენ, ტანისა-  
მოსსა და იარაღზე სისუფთავე და კოხტაობა ეტყობო-  
დათ. ჩვენის მომავალ ამხანაგების კის ახეზე შიში და მწუ-  
ხარება აღბეჭდოდათ.

ზედამხედველები გულ-გრილად გვიმზერდნენ. გა-  
მომწყვდეულები \*) კი გვაკვირდებოდნენ. და ცნობის-  
მოყვარეობით გვათვალიერებდნენ.

— სად არის უფროსი, სახლში არ არის? — დაბა-

ლის ხმით ჰკითხა ერთმა დარაჯთაგანმა ერთს გამვლელს ზედამხედველს.

— ერთს დამწყვდეულთაგანს ასაფლავებენ... ახლა-  
ვე მოვა—უპასუხა ზედამხედველმა.

უნებურად ჩვენ ერთ-ერთმანეთს შევხედეთ. კარები  
კი ისევ ჩხარი-ჩხურით იღებოდა და იკტებოდა.

— რა კლიტე უძლებს?—ვფიქრობდი მე—ან რა  
მოთმინება უნდა ამოდენა გალება-დაკუტვასა-მეთქი!

მაღალი კედელი, თოფიანი ჯარის კაცნი, მრისხანე,  
შეიარაღებული ზედამხედველნი და კარების ჩხარი-ჩხური  
უნებურად აშინებდა და აგრძნობინებდა ადამიანს, რომ  
ამ სიმაგრეს იქით დიდი სისასტიკე და ცხოვრების წი-  
ნააღმდეგობა უნდა ყოფილიყო.

იგი უზარ-მაზარ რკინის გალიასა ჰგვანდა, იშ-რკი-  
ნის გალიას, სადაც სხვადასხვა მხეცები ამწყვდევია.  
ადამიანისა ეშინიანთ ამ მხეცებს. მაგრამ ადამიანებსაც-კი  
ეშინიანთ. მათი.

— ფული თუ გაქვთ, დამალეთ, როგორმე შემო-  
იტანეთ...

ამ ხმაზედ ჩვენ მივიხედეთ და დავინახეთ შავ-შავი,  
შავ-წვერ-ულვაშიანი გამომწყვდეული, რომელმაც გვერდ-  
ზე გაგვიარა და ეს სიტყვები თავ-აუღებლივ გვეს-  
როლა.

გაგონილი გვქონდა, რომ ბატალიონში ფულის  
ქონვა არ შეიძლებოდა და, ვისაც აღმოუჩენდნენ, სა-  
სტიკად სჯიდნენ. მაგრამ, რაღვან ამან ეს გვითხრა, გა-  
დავსწყვიტე, ცოტაოდენი ფული როგორმე შემეტანა.

კარები ერთხელ კიდევ გაიღო და შეშინებული-  
ზედამხედველი გამოჩნდა.

— უფროსი მოდის!..

ყველა შეკრთა, შეფთხრიალდა. დარაჯებმა თოფთ  
მოიმარჯვეს, ჩვენ სამხედრო წესით გამოვიჭიმეთ.

მალე გამოჩნდა მაღალი, წვრილის ტანისა და ფერ-  
მიხდილი პოლკოვნიკი.

Смирно! — გაისმა ვიღაცას ხმა და ყველა ერთ ალაგს  
გაქვავდა.

პოლკოვნიკი მოგვიახლოვდა, აგვათვალიერა და,  
რაც შეეძლო, მაღალის ხმით სამხედრო სალაში მო-  
გვაცა.

ყვირილითა და გულის ფანცქალით ჩვენც ერთხმად  
კუპასუხეთ.

განაპირას მე ვიდექ და პოლკოვნიკი პირველად  
ჩემთან მოვიდა. მკითხა, რა ნაწილში ვსახურობდი, რამ-  
დენი ხნით მოვედი, რისთვის მოვედი, გვარი, სახელი,  
ერთი კიდევ ამათვალიერა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მა-  
ლალი ხმით დაიძახა:

— მეოთხე როტაში!

შორი-ახლოს იდგა სამი ფელდფებელი, თვალების  
ხამხაშით, სულ-ვანაბუღნი შესკეროდნენ უფროსის  
ყოველ მოძრაობას. ერთი მათგანი, დაბალი, გამხდარი,  
უსიამოვნო სახისა ჩქარის ნაბიჯით მომიახლოვდა, მწვდა  
მკლავში და განზე გამათრია. უფროსი გადავიდა მეო-  
რეზე.

— მეორე როტაში!

— მესამეში!

— მეოთხეში!

გამოკითხვის შემდეგ, ბრძანებდა უფროსი და ფელდ-

ფებლები დანიშნულებს თავ-თავისკენ მიათრევდნენ. სო-  
მეხი ჩემთან, მეოთხე როტაში, დანიშნა, ქართველი და  
ერთი რუსი მესამეში, უკანასკნელი რუსიც მეორეში.

დარაჯები დაითხოვეს. ისინი გამწურივდნენ და გზას  
გაემართნენ. გულ-დაწყვეტილებმა მიმავალებს თვალი  
გავადევნეთ.

უფროსმა მოგვმართა:

— აქ ის არ არის, მაღაც თქვენ მსახურებდით, აქ  
ყოველი მცირე დანაშაულობისთვისაც კი სასტიკად დაის-  
ჯებით. ეცადეთ, არ დაიმსახუროთ! ფული თუ ვისმე  
აქვს, კანცელარიაში მიაბარეთ. გასვლის დროს უკანვე  
მოგეცემათ. თუ ფული დამალეთ და გინახეს, იქ, ბატა-  
ლიონში, წაგერთმევათ და ხაზინის სასარგებლობ შეი-  
რიცხება, თქვენ კი სასტიკად დაისჯებით. ეხლა-კი  
გასწიო!

გაიღო კარები, გალავანში შეგვლაოდა, მერე კარე-  
ბი მიხურეს და დაკეტეს... გულ-მოკლულნი ფელთფებ-  
ლებს უკან გავყევით...

## II.

მეორე დღეს რომ გამომელვიძა, ახლად გათენებული  
იყო. გავიხედ-გამოვიხედე და უცბად თვალები ისევ დავ-  
ხუჭე. მაგრამ ძილი აღარ მომეკარა.

ჩემს გვერდით, ცალკე საწოლზე, ჩემს ამხანაგს ეძი-  
ნა. ვიკოდი, რომ სახეზე ტანჯვა პქონდა აღბეჭდილი და  
კვნესით სუნთქვდა. ოთახი გრძელი და ფართო იყო, ორ-  
პირად ჩარიგებულ რკინის საწოლებით, რომელზედაც  
გამომწყვდეულები ზოგი პირალმა, ზოგი გვერდზე, ზო-  
გიც პირდალმა იწვნენ: ეძინათ მშვიდათ, ტკბილად.

ოთახი თეთრად, სუფთად იყო შელესილი. კედლებ-

ზე თავიდან ბოლომდე, საწოლების თავზე, მისდევდა თა-  
როსუეთ ორ-ორი ბრტყელი ფიცარი. არც ავეჯი, არც  
საჯდომები, არც რაიმე მორთულობა. მხოლოდ აქა-იქ,  
კედლებზე, ეკიდა სურათები, თათრებთან ომის დროს  
ამოღებული, და რამდენიმეც წარჩინებულის, სამხედრო  
უმფროსებისა. მუავე კომბოსტოს სუნი ადამიანს გულს  
ურევდა.

მინდოდა ადგომა, პირის დაბანა, გავლა, მაგრამ არ  
ვიციდი, ყველა ეს ნება-დართული იყო თუ არა. ნება-  
უნებურად ვიდექ და შავს ფიქრებს ვებრძოდი. საათზე  
მეტი ვიყავ ამ მდგომარეობაში. ერთად-ერთი კარები;  
რომელიც დერეფანში გადიოდა, ღია იყო. უცბად შემო-  
მესმა ფაჩი-ფუჩი, ფეხის ხმა, უესტის რაკა-რუკი და  
წყლის შხრიალი. დერეფანში ვიღაცა პირს იბანდა. მას  
მიჰყვა მეორე, მესამე და იქაურობა ახმაურდა. მაღლობა  
ლმერთს! — ვიფიქრე მე — ადგომის დრო მოსულა-მეთქი.

— Вставаааай! — გაისმა ვიღაცას ბოხი, მაღალი ხმა:  
ყველა, როგორც ერთი კაცი, ზეზე წამოვარდა და ტანი-  
სამოსს ეცა.

ყველაფერი აირია, გეგონებოდათ მტერი მოულოდ-  
ნელად დაგვეცა და მზად ვერ დავხვდითო. შერბოდნენ,  
გარბოდნენ, ლოგინს ალაგებდნენ, რაღაცა ჩვრებით წა-  
ლებს იწმენდავდნენ და პირის საბანად მიეშურებოდნენ.

პირსაბანი უესტისა იყო, გრძელი და ვიწრო.  
ერთ დროს მხოლოდ ექვს კაცს შეეძლო. პირის დაბანა,  
მაგრამ ოცი, ოც-და-ათი კაცი ეხვია და ყველა სუდი-  
ლობდა პირი მალე დაებანა. ერთმანეთს ხელსა კირავდნენ,  
შუჯლუგუნსა სცემდნენ აგინებდნენ, ლანძლამდნენ და  
ერთმანეთს პირის ბანას არ აცლიდნენ.

მე და ჩემი ამხანაგი, სომეხი, ვიდექით შორიახლოს და ვუცდიდით, როდის დაიცლებოდა აღვილი, რომ უშფოთრად და უდავიდარაბოდ ჩვენც დაგვებანა პირი მაგრამ, როდესაც აღვილი დაიცალა, პირსაბანში წყალი აღარ იყო, ვეღარც ვიშოვნეთ და პირ-დაუბანელი დავრჩით.

პატარა ხანს უკან ყველაფერი დამშვიდდა. ყველამ ლოგინი აილაგა. ორმა გამოწყვჯეულმა ერთად შეჰკეცა თავის ლეიიბები, გამოახვია მაუდის რუსულ საბნებში, შესდო თაროზედ, ჩამოჰკიდა ზედ ჭუჭყიანი ვიწრიო, მსხვილი ტილოს პირსახოცები და ზედ დაწყო თივით გატენილი პატარა ყურთ-ბალიშები. ეტყობოდა, გამოწყვდეულნი ერთი-ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო კოხტად დაჰკეცავდა ლოგინს. ერთმა მათგანმა დაჰგავა ოთახი და მტვერი დასწმინდა, კვირა დღე იყო. იმ დღეს სწავლა არ იქნებოდა, მხოლოდ საყდარში წასასვლელად უნდა მოვმზადებულიყავით. უნტერ-აფიცრები არსად სჩანდნენ. ზოგი შედიოდ-გადიოდა, ზოგი ჰკერავდა, ზოგი შავი პურით იღმურძლებოდა, ზოგი წერილს წერდა, ზოგიც კითხულობდა. არც სიცილი, არც ოხუნჯობა, არც ხმა-მაღალი ლაპარაკი. საერთო სიჩუმე იყო, თითქმ რა-ლაცას მოელიან და მოლოდინში გარინდებულანო.

მე და ჩემი ამხანაგი ჩვენს საწოლებზე ვიჯექით და არ ვიცოდით, რა გაგვეკვებინა, ან როგორ მოვქცე-ულიყავით. გამოწყვდეულნი გამოგვივლიდნენ ხოლმე, აგვათვალიერებდნენ და, თითქმ ნაჩხუბრები არიანო, თავ-დაღუნულნი გვშორდებოდნენ. არავინ გველაპარა-კებოდა. აღბად, გამოცდილებით იცოდნენ, რომ იმ გუ-ნებაზე, რა გუნებაზედაც ჩვენ მაშინ ვიყავით, ლაპარაკი.

ვერ მოხერხდებოდა, და დროს გვაძლევდნენ, რომ ჩვენ  
თვითონ მიგვეცა მიზეზი გამოლაპარაკებისა.

იმ ოთახში ქართველთაგანი არავინ იყო. სხვა ოთა-  
ხიდან კი სათითაოდ შემოტორდნენ, მოგვიახლოვდე-  
ბოდნენ ხოლმე და სალამს გვაძლევდნენ.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოს.

— სადაური ხართ?

— ტფილისელები.

— რამდენის ხნით მოხველით?

— მე წელიწად-ნახევრით, ეს-კი ორის წლით.

— არა გიშავთ-რა! ძალიან ძნელი არ არის აქ ყო-  
უნა, აი, ახლა საყდარში წიგვიყვანენ! — გვანუგეშებდნენ  
ისინი.

თუთუნის მოწევა საშინლად მინდოდა, მაგრამ არც  
მე მქონდა და არც არავინ ეწეოდა, რომ მეთხოვნა  
მაინც.

როგორც იყო, სამი მანათის შეტანა მოვახერხე და  
ქუდის სარჩულში მქონდა შენახული, მაგრამ არ ვიცოდი,  
შეიძლებოდა თუ არა თუთუნის ყიდვა და, თუ შეიძლე-  
ბოდა, ვისთვის უნდა მიმემართნა.

გაქირვებიდან დამიხსნა იმან, რომელმაც კარში  
გვითხრა, ეცაუეთ ფული შემოიტანოთო, იგი შემოვიდა  
ოთახში, ჩქარის ნაბიჯით მოგვიახლოვდა და გვერდით  
მომიჯდა. ის იყო სომეხი, ხელობით კალატოზი, გადა-  
წყვეტილი ჰქონდა სამი წელიწადი, ორი წელიწადი უფრე  
გაეთავებინა.

— ფული რომ გითხარით, არ შემოიტანეთ? — მცირე  
ხნის შემდეგ დამეკითხა ის.

— შემოვიტანე ერთი სამი მანათი — ვუპასუხე მე.

— ჰო, ეგ კარგი გიქნია! — კმაყოფილის კილოთი მითარა სომებმა — მაგრამ საქმე ის არის; რომ აქ ძაან „სტროგობაა“, ფული რომ გინახონ, ამისთვის „როზგია“. ისე რომ, თუ გინდა, მე შეგინახავ, როცა დაგჭირდება, წვრილ-წვრილად გაძლევ.

— რაში უნდა დამჭირდეს ფული? — ვკითხე მე — აქ ხომ თუთუნის მოწევის ნებას არ აძლევენ?

— არ აძლევენ, მაგრამ ჩუმად ჰყიდულობენ და სწევენ. აი, მე სუყოველთვისა მაქვს თუთუნი, საავად-მყოფოს მოსამსახურეებს შემოაქვთ. შეიძლება კიდევ თეთრი პური იყიდო, ხანდახან ჩაი-შაქარიც.

— განა ჩაი-შაქარის ყიდვის ნებასაც არ აძლევენ?

— ნტ, როგორ შეიძლება!

— მაშ ჩაის სმა აკრძალულია?

— აკრძალულია, მაგრამ, ვისაც ფული აქვს, მაინც შვამს.

— რა ნაირად?

— ახერხებენ! — მოკლედ მომიჭრა იმან. — მაშიც იცოდე, — ცოტა ხნის შემდეგ ისევ განმიმეორა — ფულს გაუფრთხილდი, არ გიპოვნონ, თორემ შენი საქმე კარგი არ იქნება!

ქუდის სარჩულიდან ფული მაღვით ამოვიდე და სომებს გადავეცი.

სომებმა საჩქაროდ ჩამომართვა ფული. და ერთ თვალის დახამხამებაზე საღლაც გაქრა.

მე ახლა თამამად შემეძლო თუთუნი მეთხოვნა და ვკითხე:

— თუთუნი ხომ არა გაქვს? ეს მეორე დღეა, არ მომიწევია-მეთქი.

— როგორ არა მაქვს, მაგრამ წავიდეთ... აქ არ შეიძლება.

ისეთნაირად მიწლოდა თუთუნის მოწევა, რომ იძულებული შევიქენი გავყოლიყავ. სომეხმა ფეხის-ადგილში შემიყვანა... იქ ოცზე მეტ კაცს მოეყარა თავი: ზოგი სწევდა, ზოგიც თვალებში შესკეროდა, როდის დაუთმობდნენ მას პაპიროსის ნამწვს. ზოგ თუთუნის მწევარს უდგა წინ ერთი „კანლიდატი“, ზოგს ორი, ზოგს ოთხი ხუთიც. ბოლის ბული იდგა. ამ ბოლის სუნი სხვა სუნთან ერთად შეუძლებლად ჰედიდა ადამიანი იქ დიდხანს გაჩერებულიყო. ამიტომაც ფაცი-ფუცით სწევდნენ და, ვინც ათავებდა წევას, ზიზლით იფურთხებოდა და კარში გარბოდა.

როგორც რომ შევედით, სომეხმა შარვლის უბეში ხელი ჩაიყო და ლაჯებიდან პატარა, ჭუჭყიანი ტილოს ქისა ამოილო: მერე მსხვილი, დაწერილი ქალალი მომიხია და ზედ „მახორკა“ დამიყარა. მე ნამდვილ თუთუნს მოველოდი და იმედ-გაცრუებულმა უნებურად წამოვიძახე:

— უჰჰ, ეს რა არისმ-ეთქი!

— მახორკა! შენ ტრაპეზუნის თუთუნი ხომ არ გეგონა? — ცოტა არ იყოს გაჯავრებით მიპასუპა სომეხმა — მოიტა გაგიკეთო.

ზიზლით შევუდევ ამ მყრალ მახორიკის წევას და თან ვიფურთხებოდი.

ამ დროს ვიღაცამ შეშინებულის კილოთი წამოიძახა:

— Шестъ! \*).

\* ) დისციპლინარულ ბატალიონის ენაზე ეს ნიშნავდა: უფროსი მოდისო.

ჯგუფი დაფეთდა, ერთი-მეორეს ეცა და გაიფანტა. ყველამ პაპიროსი ხელიდან გააგდო და ფეხით გასრისა. ზოგი გარედ გავარდა, ზოგი ვითომ საქმეს შეუდგა უნებურად მეც გავაგდე ხელიდან პაპიროსი და უაზროდ აქეთ-იქით ცქერა დავიწყე. გარკვევით ვერ წარმომედგინა, რა ხდებოდა ჩემს გარშემო, იმას კი უგრძნობდი, რომ რაღაცა სახიფათო მოგველოდა.

ხმლის ჩხარი-ჩხურით გამგელებული შემოვარდა საზარელი სახის უნტერ-აფიცერი, მრისხანედ, თვალებ-გაფაციცებული მიიხედ-მოიხედა, შემდეგ მეცა და მომკიდა საყელოში ხელი.

— გატყვა, შენ სწევდი?! — მანჯლრევდა ის ცალი ხელით, ცალი ხელი კი შემოსაკრავად მზად ჰქონდა.

არ ვიცოდი, რა მეპასუხნა, მართალი მეთქვა, თუ ტყული, და ვიდექ გაჩუმებული.

— სწევდი თუ არა, სთქვი! — ერთხელ კიდევ და-მანჯლრია და ხელი მომიქნია.

გონება დავკარგე, სად ვიყავ, რა ვიყავ, ვინ იყო ეს ადამიანი, რომელიც მანჯლრევდა და ცემას მიპირებდა, აღარაფერი გამეგებოდა-რა. ეს კი მახსოვს ხომ მკლავში ხელი ვტაცე, გავკავე და ჩახლეწილის ხმით ვუთხარ:

— არ დამარტყა-მეთქი...

უნტერ-ფიცერი შეკრთა, სახეში ჩამაკვირდა და ხელები ნელა უკან წაილო.

— შე, ვხშე რაკი! — უყურეთ ერთი — მიუბრუნდა ის სხვებს — თვალებში უყურეთ, თვალებში, თითქო შეჭმა უნდაო! სახე როგორ გაუფითრდა, შეხედეთ! რა? შეგეშინდა? — მომიბრუნდა ისევ მე — დარტყმისა შეგეშინ-

და? როგორი სალდათი ხარ, დარტყმისა გეშინიან! რთი  
ეთო ცუდაქე? — ჰეთხა ისევ სხვებს.

— ახალია, გუშინ მოვიდა, — უპასუხეს.

— მე შენ გაჩვენებ სეირსა! — დამიქნია თითი და  
ამ სიტყვებით კარში გავიდა.

ის რომ გავიდა, გონს მოვედი, მივიხედ-მოვიხედე,  
სომეხი აღარსად სჩანდა. იქ მყოფთ ამ გარემოებისათვის  
არაფერი ყურადღება არ მიუქცევიათ.

— ნუ გეშინიან, არ დაგაბეჭდებს, მაგან დაბეჭდე-  
ბა არ იცის, ვისაც დაიჭირს, სცემს და ეგ არის! — მანუ-  
გეშა ერთმა მაჟანმა, როდესაც კარებში ერთად გამოვ-  
ჯოდით.

ოთახში დავბრუნდი, ისევ ჩემ საწოლზე დავჯეპ და  
ამ შთაბეჭდილებით გამოწვეულ ფიქრებს თავი მივეცი.

ამ დღიდან სომეხიც დავკარგე ჩა ის სამი მანათიც.

ათი საათი იქნებოდა, ზარის რეკვა გაისმა.

— საყდარში! საყდარში! — ზარის რეკვასთან ქრთად  
ყვიროდნენ „დნევალნები“.

— საყდარში! წამოდით საყდარში! — იმეორებდა  
ოთახიდან გამოსული ზოგიერთი გამოწყვდეული.

— წამოდით საყდარში! — უაზროდ და უსარგებლოდ  
ჰყვიროდა ვიღაცა.

დერეფანი ოთახებიდგან გამოსულ გამოწყვდეულე-  
ბით გაიმსო. ერთი-ერთმანეთის ხელის კვრით მიეშურე-  
ბოდნენ გასავლისკენ და ერთი-ერთმანეთს უსწრობდნენ.  
ყველას ეშინოდა, უკან არ ჩამორჩენილიყო და არ დაე-  
გვიანა. გასავალში ჭედვა იყო.

— გამოდით, გამოდით ჩემა! — ჯავრობდნენ კაში  
თავ-მოყრილნი უნტერ-აფიცრები.

ყოველი როტა ცალკე რიგზე ეწყობოდა. უნტერ-  
აფიცრები დადიოდნენ და თავიდან ფეხებამდინ ყველას  
შინჯავდნენ. ვისაც ტანისამოსში რაიმე უწესოებას ატ-  
ყობდნენ, მუჯლუგუნების ცემითა და გინება-მუქარით  
გასასწორებლად ოთახში აბრუნებდნენ, გავიდა თითმის  
ერთი საათი, რაც ყველაფერი რიგზედ იყო, მაგრამ მა-  
რნც ვიდექით, უნტერ-აფიცრები ალაყაფის კარებისაკენ  
იყურებოდნენ, რაღაცას ელოდნენ და ამ ლოდინში  
ოხუნჯობდნენ, ზარხარობდნენ.

როგორც იყო ალაყაფის კარები გაიღო და მღვდე-  
ლი შემოვიდა. შუა ტანისა, სქელი, ოდნავ შეთეთრებუ-  
ლის წვერ-ულვაშით და ვერცხლით მოჭედილ მაღალი  
ჯოხით. ის თავ-ჩაღუნული, ჩქარის ნაბიჯით მიღიოდა  
შაყდრისჭკენ და თავის დაბალი დაკვრით ყველას საკამ-  
ჭე უპასუხებდა.

უნტერ-აფიცრები დაფაცურდნენ, ერთი კიდევ აგ-  
ვათვალ-ჩაგვათვალიერეს და სამხედრო წესით საყდარში  
წაგვიყვანეს.

საყდარი დიდი იყო, მსხვილ სვეტებიანი, ძვირფასი  
ზატებით მორთული. კანკელთან ახლოს, შარცხნივ მხა-  
ჭეს, ერთ-ერთ სვეტის გვერდით, იდგა წითელ გრძელ  
წვერიანი მოტვლებილი თავიანი და მაღალის ტანის  
ჯიაკვანი, წიგნებს ფურცლავდა და მაღ-მალე ბოხის  
ჭით ახველებდა: დიაკვნის გვერდზე იდგა ჯგუფი მგა-  
ლობლებისა გამომშეყვდეულთაგან და შეჰყურებდა შუაში  
მდგომს ბატალიონის საავათმყოფოს ფერშალს, რომელიც  
კამერტონს შინჯავდა და პირის დალებით მგალობლებს რა-  
ღაცას ანიშნებდა. საყდარში, სრული სიჩუმე სუფევდა. ტრა-  
ვეზიდან ხან ჯიხან ისწოდა მხოლოდ მღვდლის ჩუმი ლოცვა.

აქაც რაღასაც ველოდით. ბოლოს სიჩუმეში გაისმა „დეზების“ წერიალი და საყდარში შემოვიდა ბატალიონის უფროსი. ის მიუახლოვდა ტრაპეზის; სამჯერ მუხლო მოიყარა, პირჯვარი გადიწერა და როტენი აათვალ-ჩათვალიერა. წირვა დაიწყო...

მგალობლების გუნდი მწყობრისად გალობდა. ბატალიონის აფიცრებაც მოიყარათ თავი. და უფროსის უკან იღვნენ. დისციპლინას აქაც პირველი აღგილი ეჭირა-უფროსი ყოველ პირჯვრის დაწერაზე, ჩვენ გაღმოგვხე-დავდა. ჩვენ ვიღებით გამოჭიმულნი. ცალ ხელში გულ-თან ქუდები გვეჭირა და ერთს წერტილს ვუყურებდით. უნტერ-აფიცრები მალულად მუჯლუგუნებს იცემებოდან, ჩუმად იგინებოდნენ და კბილებს აკრაჭუნებდნენ. ყველაფერში უფროსს ვბაძავდით, მასთან ერთად ვიწერ-დით პირჯვარს, მუხლს ვიღრევდით, სახარების სამთხვევ-ლად წეს-რიგით მივდიოდით...

წირვის შემდეგ მწყობრისად საღილის საჭრელად წაგვიყვანეს. საღილის შემდეგ მწყობრისადვე წამოგვი-ყვანეს, მიგვიყვანეს შესავალ კარებამდინ და გვიბრძანეს დაიშალენითო. ჩვენც დავიშალენით, შევცვივდით კარებ-ში სირბილით, გავიარეთ დერეფანი და ჩვენს ჩვენ საწო-ლებს მივაშურეთ.

საქმე არავის ჰქონდა. ზოგი წამოწვა ხმელა ფიც-რებზე და ძილს დაეპირა, ზოგიც ამხანაგთან მიღიოდა სამუსაიფოდ.

ოთახში ცხელოდა და შმორის სუნი იღვა არც დილით, არც საღამოთი მზე ოთახებს არსაიდან არ ად-გებოდა. საღილს შემდეგ ამ შმორს მიემატა მუავე კომ-ბოსტოს სუნიც. მძიმე ჰაერი აღამიანს სულს უხუთავდა.

გული შერეოდა, ვიჯექ ერთს აღგილას და მიკვირდა, რომ კარში გასვლასა და ბალში ან მინდორში გასეირნებაზე არვინ ჰეფიქრობდა.

მძიმე ჰაერს ველარ გავუძელ და კარში გავედი.

ბატალიონის შენობები ორის დიდის კიზარმისაგან შესდგებოდა, ერთი ერთმანეთს კარგად მოშორებული. ერთში მოთავსებულიყო პირველი და მეორე როტა, მეორეში — მესამე და მეოთხე. იმათ შუა იდგა უშველებელი შენობა, საღაც მოხავსებულიყო საავადმყოფო, საყდარი, თოვების საწყობები და „კარცერები“. ამ სამწყვდევებს „უკანა კარცერებს“ უძახდნენ, რადგან სხვა კარცერებიც იყო. ეს ოთხი, სხვადასხვა დანიშნულებათა შენობა ერთად იდგა. შეოლოდ შესავალი ყველას ცალ-ცალკე ჰქონდა. ამ შენობის პირდაპირ, მარცვნივ მხარეს, ერთი რგვალი შენობა შეაღენდა სასაღილო ითახს, საკუჭნაოს, ფურნესა და „საღარაჯო სახლის“, საღაც იმყოფებოდა თუ კაცისგან შემდგარი საღარაჯო რაზმი, აფიცერის უფროსობით, რომელიც ყოველ დღე იცვლებოდა. ამას მოსდევდა უნტერ-აფიცერების სადგომი, მეჩექმეების სახელოსნო, საღურგლო და სამჭერლო. ჩვენი კაზარმის უკან ერთი შენობა კიდევ იყო, სახელად „ცეიხგაუზი“, ერქვა. ცეიხგაუზში ტანისამოსი ინახებოდა.

მაღალის ქვითკირის გალავანით შეიოფარგლული აღგილი თხუთმეტის დღისა იქმნებოდა. შენობების უკან, ცალ-მხარეს გაშვებული იყო მინდორი გათელილის ბალახით, საცა, როგორც ამიხსნეს, დამწყვდეულებს სამხედრო სწავლაში ავარჯიშებდნენ. შენობებს შუა კი გაშენებული იყო ბალი, აკაციებით დაბურული, საღაც იდგნენ მაგიდები და გრძელი სკამები, საღილის დროს სა-

სადილოდ და სწავლის დროს სასწავლებლად მოწყობილნი.

ამ ბაღს მივაშურე, ერთ ხის ძირში დავჯექ. თავი-  
სუფლად ამოვისუნთქე და ჩემს მდგომარეობას ჩვაუ-  
ფიქრდი. როგორ შევეჩვევი ამ ადგილს, ამ შენო-  
ბებს, უნტერ-აფიცერს, უფროსებს, აქაურ წესწყო-  
ბილებას? ნუ თუ რასაც დღესა ვგრძნობ, იმასვე  
ვიგრძნობ ხვალ, ზეგ, ყოველ დღეს ამ წელიწად-ნახევ-  
რის განმავლობაში? თუმცა ვიცოდი, რომ დღითი-დღე  
მდგომარეობა შემიშუბუქდებოდა, ვიცოდი, რომ ადა-  
მიანი ყოველ-ნაირ მდგომარეობას მალე ეჩვევა და შე-  
ძლებისამებრ ეთვისება, მაგრამ გატეხილი, მტკივანი გუ-  
ლი. არ მეთანხმებოდა და ცივს ოფლს მასხამდა რომ  
მცოდნოდა, რომ ეს წელიწად-ნახევარი ცოტა რამე სარ-  
გებლობას მაინც მომიტანდა, არაფრად ჩავაგდებდი, მაგ-  
რამ ყველა ვარამთან ერთად ამ დროსაც ჩემთვის ფუ-  
ჭად უნდა ჩაერა. სულის ტანჯვამ ჭკუას მაინც რამე  
შემატოს, მაგრამ ეს არ იყო კატორგა დოსტოევსკისა,  
არც დოროშევიჩისა. აქ ერთად არ მოეყარათ თავი უზარ-  
მაზარ რუსეთის ყველა ბორტის ჩამდენს, იმათის წარ-  
სულით, მტკიცე, ჭირსა და ვარამში გამოვლილ და გა-  
მოჭედილ გულითა და ხასიათით; აქ არ უნდა ყოფი-  
ლიყვნენ თავზე ხელ-აღებულნი, რომელთაც არაფერი-  
ალარ დარჩენიათ ამ ქვეყნაზ და სიბოროტეს ბო-  
როტებას ადვილად უმატებენ. ერთის სიტყვით, აქ არ  
იყვნებ ის «ტიპები», რომლებიც ღირსნი არიან დაკვირ-  
ვებისა და შესწავლისა. აქ თავი მოეყარათ, მომეტებული  
ნაწილად, სოფლის გლეხის ბიჭებს, პირდაპირ გუთნიდან  
წამოყვანილებს, 21—27 წლამდე, რომლებიც არც ხა-  
სიათით, არც ჭკუით, არც ინსტინქტებით ერთი-ერთმა-

ნეთიდან არ განირჩეოდნენ და ყველა იმპს ფიქრში იყო, თავისი სასჯელი როგორმე მშვიდობითი, გაეთავებინა და ისევ გუთანს დაპრუნებოდა. ყველა ერთი ერთმანეთსა ჰგვანდა, ყველა ყმაწვილი, უწვერ-ულვაშო, სულელუ-რის გამომეტყველებისა იყო, დაჩაგრული და პირით გარყვნილი.

ფიქრი მიწყდებოდა, რადგანაც ამაყის სიარულითა და ხმლის ჩხარი-ჩხურით ხან ერთი, ხან მეორე უნტერ-აფიცერი გამოვიდოდა ხოლმე და მე ყოველ წამს მზად უნდა ვყოფილიყავ, ყველასთვის სამხედრო სალამი მიმეცა. ზოგი ამაყად მიპასუხებდა, ზოგი ვერც კი მამჩნევდა, ზოგიც ახლოს გამივლიდა და მრისხანე სახით მკითხავდა ხოლმე:

— რას აკეთებ აქ?

— არაფერს.

— მაშ რას ატუზულხარ?

ან კიდევ მეკითხებოდნენ:

— რომელი როტისა ხარ?

— მეოთხე როტისა.

— ახალი ხარ?

— ახალი.

— „ტუროკი“ ხარ?

— ღიახ, ქართველი ვარ.

— უუ, შე...

მე მივხვდი, გამოშეყვდეულები რად ერიდებოდნენ ამ ბალს და რად ეტანებოდნენ მყრალ, ჰაერ-შეხუთულს ოთახებს. მივხვდი და ვიგრძენ, რომ ბევრად სჯობიან მყრალი ჰაერი წმინდა ჰაერს, როდესაც პირველით იწამლება სხეული, მეორეთი კი — სული ადამიანისა.

თავ-ჩალრნული, გულ-ჩაწყვეტილი, გავეშურე ისევ

ოთახისკენ. ეს ბალი, ასე თუ ისე, დამამშვიდებელ წე-  
თებს მიქადდა. ვფიქრობდი, თავისუფალ ღროს აქ შემე-  
ფარებინა თავი, დავრჩენილიყავ მარტო, დისციპლინას,  
გონება-განუვითარებელს ამხანაგებს მოშორებული, ცო-  
ტა ხნით მაინც მიმეცა თავი ტკბილ გრძნობებასათვის.  
მაგრამ იმედი მიცრუვდებოდა, ეს ერთად-ერთი ნუგეში  
მეკარგებოდა და დავკარგე კიდეც. შემდეგში ჩემს მდგო-  
მარეობას, ცოტა არ იყოს, შევეჩვიე. შევეჩვიე უნტერ-  
აფიცრებსაც, მაგრამ მთელი წელიწად-ნახევრის განმავ-  
ლობაში საოცნებოდ ამ ბალში ერთხელაც აღარ გავ-  
სულვარ.

ჯერ ისევ სინათლე იყო, რომ დაგვთვალეს და ერ-  
თად-ერთი კარები გარედან გადმოგვიკეტეს. ჩვენთან ერ-  
თად დაკეტეს ორი უნტერ-აფიცერიც. მათი მოვალეობა  
იყო, ღამე ჩვენზე თვალ-ყური დაეჭირათ და, თუ ვინი-  
ცობაა, რამე სახითაოს შეამჩნევდნენ, ზარის ჩამოკვრით,  
რომლის მავთულიც სადარაჯო სახლამდე იყო გაბმული,  
დარაჯებისთვის უნდა. შეეტყობინებინათ.

ყველას სახეზე კმაყოფილება ეტყობოდა, რადგან  
უფროსები. აღარ ჰყავდნენ, თავისუფლად შეეძლოთ  
ამოსუნთქვა. უნტერ-აფიცრები, თუ ოთახებში რამე უწე-  
სოება არ მოხდებოდა, დანიშნულ ოთახში ისხდნენ და  
კარში არ გამოდიოდნენ. ყველას შეეძლო თავისუფლად  
ლაპარაკი, წამოწოლა და ერთი ერმანეთში მისვლა-მო-  
სვლა. ჩამოილეს ძირს ქვეშაგები, გაიშალეს და, ვისაც  
ჯერ დაწოლა არ უნდოდა, ან ამხანაგთან სამუსაიფოდ  
მიღიოდა, ან არა და დაფიქრებული ერთი კუთხიდან  
მეორე კუთხეში მიღი-მოღიოდა.

მომეტებული ნაწილი კი გრძელ, ბნელ დერეფან-

ში ირეოდა. შუა ადგილს ჰაერის გასაწმენდად ფეხი ენთო. ამ ფეხთან ირეოდა ხალხი, ილანძლებოდა, იგინებოდა და ერთმანეთს ხელსა ჰკრავდა.

— მომშორდი, მე შენ გეუბნები!

— ჩემი რიგია...

— მე უფრო ადრე მოვედი.

— წავალ „დეუტრნთან“, დაგაბეზლებ.

— მომშორდი, შე...

— მაგ ჩაინიკს ზედ თავზე დაგანტვრევ.

— რაო? მე შენ...

ფეხის გვერდზე, კედელთან ჩამწკრივებული იყო შესტის რამდენიმე „ჩაინიკი“. მაღალი, მოკლე ტუჩით, უანგით გაწითლებული, ამ ჩაინიკებში აღულებდნენ წყალს და სვამდნენ ჩაის.

ფეხი იყო გახურებული ანტრაციტით. სიმხურვალე დიდი ჰქონდა და ჩაინიკებში წყალი მაღალ რულდებოდა. შიგ შედიოდა მხოლოდ ერთი ჩაინიკი, დანარჩენნი რიგს ელოდნენ. აი, ამისთვის იყო ჩხუბი და კამათი, ვის რიგი იყო და ვინ აჭრე ააღულებდა თავის ჩაინიკს.

— აღულდა, აღულდა, გამოილე!..

— შედე, შედე ჩქარა!..

— ფთუუ! რამდენი ჩაინიკია, რადის უნდა აღულდეს!

ჭუჭუიანის ჩერით წვდებოდნენ აღულებულ ჩაინიკს, ხელს იწვავდნენ, იფუფქავდნენ და სიხარულით მიარევინებდნენ.

ყველა არ ბეღნიერდებოდა ჩაის სმით. ათ კაცში ერთს თუ ჰქონდა შეძლება და უნარი ჩაი-შაქრის შოუნისა. დანარჩენნი შურით შესკეროდნენ ამ ბეღნიერებს,

რომლებიც პაცარა კვნიტი შაქარით ხარბად სვამდნენ რამდენსამე ჭიქა აღულებულს წყალს (ხანდახან აუდულარსაც), ვინ იცის, ჩაით თუ უანგით შეწითლებულს.

პატარა ხანს უკანს ჩაის სმა გათავდა, ხმაურობა მიწყდა და მომეტებულმა ნაწილმა ძილს თავი მისცა. მეც ლოგინი გავიშალე და მივწექ, მაგრამ ძილი ჯერ არ შემეძლო, რადგან, ჯერ ერთი, შეუჩეველ ლოგინში ვიწექ, მეორეც ისა, რომ, რაც იმ დღეს მრელვარება და სულის კვეთება გამოვიარე, ლოდივით გულზე მაწვა. წინ მიდგა ორი საკითხი, მეჭირა სასწორი და, ვწონავდი. ერთ მხარეს—თავმოყვარეობა, დამცირება, პირადობის გასრესა მეორე მხარეს—მოთმინება და მშვიდობით სამშობლოში დაბრუნება. არ ვიცოდი, მომავალი რას მიქადდა. ეს კი ვიცოდი, რომელ გზასაც დავადგებოდი, იმ გზაზე ვივლიდი და ბოლოსაც მივაღწევდი. ამ მდგომარეობაშია ის აღამიანი, რომელსაც ტალახსა და წვიმაში კარში გასვლა უხდება. უნდა გაიაროს რამდენიმე ქუჩა, ქუჩაში ტალახია. ჩექმა-კალოში უბრჭყვინავს, სუფთა ტანისამოსი აცვია. არ უნდა ტალახში ამოისვაროს და ნაზად, ფეხ-აკრეფით აღგილს არჩევს. მაგრამ, აი, ჩაჰურა ფეხი ტალახში, კალოში გაესვარა, ჩაჰურა მეორეც, ჩექმასაც, შალვარსაც ტალახი მოედო, თავი გაიქნია, წელში გასწორდა. ძირს აღარ იხედება, თამამად მიღის თავის საქმეზე.

მინდონდა მეც ფეხ-აკრეფით სიარული, რომ ტალახი არ მომცხებოდა. მაგრამ ვიცოდი, შეუძლებელი იყო, და ეს მაფიქრიანებდა. მაგონდებოდა დედის გამოთხავება, ცრემლები, ვეღრება, დარიგება. მაგონდებოდა მიცემული სიტყვა, მაგრამ უნტერ-აფიცრის დღეფანდელ

საქციელით გაბოროტებული ჯერ სწორე აზრს ვერ დავ-  
დგომოდი.

ყველაზე უფრო გულს მიღრნიდა ის ფიქრი, რომ  
ვიღამაც რაღათაც გადაწყვიტა ჩემი გატეხა, დამორჩი-  
ლება, ჩემის საქციელის შენანიება და, აი, უნდა გავტყდე,  
დავმორჩილდე, ვიგრძნო მისი ძალა და ამ ძალის ქვეშ  
ვიხოხიალო.

პირველად იმ ღამეს ვიგრძენ, რა კარგია და თანაც  
რა მწარეა ცრემლი, შედეგი უძლურებისა და სასოწარ-  
კვეთილებისა!

### III

დღე დღეს მისდევდა. ჩენი ცხოვრება ერთფერო-  
ვანი იყო. ჩვეულებრივ დღეს არღვევდა მხოლოდ ორ-  
კვირაში ერთხელ მოსული „ეტაპი“ და ორკვირაშივე  
ერთხელ ვაჲაგათავებულნი და განთავისუფლებულნი. გა-  
მომწყვდეულები, რომლებიც თავიანთ ტანისამოსში გა-  
მოწყობილნი, წელში გაშლილნი და მაღლა თავ-აღე-  
ბულნი კოხტად და მხიარულად ეთხოვებოდნენ მიტო-  
ვებულ ამხანაგებს. ორ კვირაში ერთხელ, ორშაბათო-  
ბით, ვიცოდით „ეტაპი“ უნდა მოსულიყო და ყველა  
გულის ძერით მოვეკლოდით, როდის გაიღებოდა კარე-  
ბი და შემოიყვანდნენ ახლად-მოსულებს. ზოგი მოელო-  
და თავის მიწა-წყლის შკილს, ზოგი თანამოსამსახურეს,  
ზოგიც ნაცნობს. მაგრამ ყველაზე უფრო ის გვიხარიდა,  
რომ ჩვენ ვხედავდით ჩვენზე უბედურებს. ჩვენ, ასე თუ  
ისე, შეჩვეულნი ვიყავით, ჩვენი გამოწყვდევის დრო მი-  
დიოდა, ახლად მოსულებს კი უნდა გამოევლოთ ყველა  
ის მწარე წამები, რომლებიც ჩვენ გამოვიარეთ, და გა-  
მოწყვდევის დრო იმ დღიდან უნდა დაეთვალით. სამა-

გიეროდ გულს გვიკლავდა და გვაღონებდა ვაღა-გასუ-  
ლებისა და განთავისუფლებულების შინ წასვლა. შევ-  
ნატროდით, გვშურდა, გული გვიკვდებოდა და წყლულს  
იმითი ვიქარვებდით, რომ გამოვიანგარიშებდით ხოლმე,  
რამდენის ხნის შემდეგ ვიქნებოდით იმათ მდგომარეო-  
ბაში და როდის ვიგრძნობდით იმ სიხარულს, რა სიხა-  
რულსაც ისინი მაშინ გრძნობდნენ. ბოლოს ამასაც შე-  
ვეჩვიეთ. ეს „ორი კვირები“ იმდენი გამოვიარეთ და ისე  
ხშირი იყო, რომ ესეც ჩვეულებრივ მოვლენად გარდა-  
იქცა და გულს ისე აღარ გვიტოკებდა. დანარჩენი დრო  
კი თავის რიგზე მიღიოდა.

7 საათიდან, სანამ აფიცრები მოვიდოდნენ, ფელთ-  
ფებელი და უნტერ-აფიცერი კარში გამოგვიყვანდნენ.  
ხოლმე, გაგვამწკრივებდნენ და დაგვთვლიდნენ. შემდეგ  
დაიწყებოდა როტის დანაწილება.

— ხელოსნებო წინ! — დაიძახებდა ფელთფებელი.

როტის წყებებიდან გამოვიდნენ და ჯგუფ-ჯგუფად  
დადგებოდნენ მეჩექმეები, დურგლები, მჭედლები, კა-  
ლატოზები, სარეცხის მრეცხველები, მეპურეები, მზა-  
რეულები და სხვანი. ფელთფებელი მივიდოდა ერთს  
ჯგუფთან დასთვლიდა და დაიძახებდა:

— რომელი უნტერ-აფიცერია დანიშნული? წაი-  
ყვანე.

გადავიდოდა მეორეზე, მესამეზე და ამაირად ყვე-  
ლა ხელოსანს თავის აღვილისკენ გაისტუმრებდა. შემ-  
დეგ პატარა ქალალდის ნაჭერში ჩაიხედავდა და თავს  
მალლა აიღებდა.

— ხუთი კაცი სამუშაოდ, აგურის საზელად.

უნტერ-აფიცირები მისცვივდებოდნენ როტას, ასახელებდნენ დანიშნულებს და გაჟყავდათ ცალკე.

— წყლის საზიდად ოთხი კაცი!

— ორმოების ამოსაწმენდათ ორი კაცი!

— ანტრაციტის საზიდლად ათი კაცი! — კითხულობდა ფელთფებელი და უნტერ-აფიცირებიც ნიშნავდნენ.

როტის მწერალი იდგა და სწერდა, რამდენი კაცი სად მიღიოდა. შემდეგ იმას უნდა შეედგინა ქალალი: რამდენი ხელოსანია, რამდენი ავადმყოფი, რამდენია სამუშაოდ გაგზავნილი და რამდენი სწავლაზე. ამ ქალალის მიართმევდნენ როტის უფროსს, როდესაც მოვიდოდა.

— დანარჩენი სწავლაზე! თოფების გამოსატანად წაიყვანეთ! — ბძანებდა ფელთფებელი და ჩვენ „უკანა კარცერებისაკენ“ მივყავდით. 4 საათამდის თოფებით ვვარჯიშობდით. 11 საათამდე გვქონდა სიტყვიერი სამხედრო წესების და კანონების. სწავლა. 11 საათზე ვსადილობდით, რის შემდეგ ორი საათი დასვენება. გვქონდა. 2 საათიდან 4 საათამდე წერა-კითხვას გვასწავლიდნენ. 4—6-მდე ისევ სიტყვიერი სწავლა, შემდე ვახშამი, „პოვერკა“ და კარებების ჩაკეტვა. კვირა-უქმე დღეს დილა-სალამოს ლოცვა და მღვდლის ქადაგება. ასე მიღიოდნენ დღეფი, თუ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა არ დაარღვევდა ამ ჩვენ ერთგვარ ცხოვრებას.

ყველა კუნჭულში, ყველა საქმეში სუფევდა წერიგი და სასტიკი დისციპლინა. რაში იხატებოდა ეს დისციპლინა? ყველა ბრძანება აფიცირისა თუ უნტერ-აფიცირისა დაუყოვნებლივ, ხალისით და უსიტყვოდ უნდა

შეგვესრულებინა, სიტყვა არ უნდა შეგვებრუნებინა, სჯა  
რაიმე საგანზე, რამე აზრის გამოოქმა არ შეგვეძლო, პა-  
პიროსის მოწევა, ფულის ქონა, უსაქმურად ჩვენი ოთა-  
ხიდგან ფეხის გადადგმა აკრძალული იყო. ამას გარდა  
სამსახური კარგად უნდა შეგვესრულებინა, ტანისამოსი  
დახელი არ უნდა გვცმოდა და ყოველ უნტერ-აფიც-  
რისთვის სამხედრო სალაში უნდა მიგვეცა. ერთ და იმა-  
ვე ალაგას უნტერ-აფიცერს ასჯერ რომ გამოევლო, ას-  
ჯერვე უნდა წამომდგარიყავით, თუ ქუდი თავზე გვე-  
ხურა, ქუდზე ხელი უნდა მიგვედო. და, თუ უქუდოდ  
ვიყავით, უნდა გამოვჭიმულიყავით და, სანამ არ გაივლი-  
და, თვალებში უნდა გვეცქირა. ას ნაბიჯზე ჩვენგან თუ  
უნტერ-აფიცერი მოდიოდა, ზურგ-შემოქცეული იყო თუ  
არც-კი გვიყურებდა, ჩვენ მაინც ჩვენი მოვალეობა უნდა  
შეგვესრულებინა. უნტერ-აფიცერი კი ორმოცდაათამდე  
იყო და შუდამ ბატალიონში დაფუსფუსებდნენ. პირვე-  
ლის შეხედვით ყველა ამის შესრულება, ამნაირად მოქცე-  
ვა ძნელად არ გეჩვენებოდათ, მიგრავ ყოველ წამს, ყო-  
ველ წუზს ამ გაფაციცებულ მდგომარეობაში ყოფნა,  
გაფრთხილება, რომ არა შეგცდეს-რა, არ მიიღო უშვე-  
რი ლანძლვა, დასჯა, ცემა, როზგი, — ეს შიში, ეს გაფა-  
ციცება დღეს, ხვალ, ზეგ იქაურობას ჯოჯოხეთად ჰელი-  
და, მით უმეტესს, რომ არც პროტესტის გამოცხადება,  
არც ჩივილი ჩვენ არ შეგვეძლო და ყველაფერი უნდა  
აგვეტანა თავდახრით და პირუტყვულად.

ვისაც მეტი თავ-მოყვარეობა ჰქონდა და მასთან მე-  
ტი შიშიც, ის შეურაცხყოფნას, დასჯას ასე თუ ისე  
გაურბოდა. ვინც ცოტა დაუდევარი და დასჯას შეჩვე-  
ული იყო, ის ისჯებოდა ხშირად ცემით, კარცერითა და

როჩგით, უზრუნველ-ყოფილი. კი არავინ იყო. ყველა გამოუთქმელის შიშით მოელოდა როჩგს და ვერავინ ვერ იტყოდა, რომ მას როჩგი ასცდებოდა. ღლეს რა მოჰქონდა, ღამეს რა, — კაცმა არ იცოდა. ზოგიერთი აზნაურთაგანი და მათთან მეც, რომლებსაც კანონი უპირატესობას გვაძლევდა და სრულის დასჯისაგან გვანთავისუფლებდა, ჩვენც კი სრულიად დაშვიდებულნი არ ვიყავით, რაღაც ბატალიონის კანონით ვაღის გათავებამდე საჩივარი არავისზე შევვეძლო. დაგვკრავენ როჩგს და წადი მერე და ორი წლის შემდეგ უჩივლე. იქნება, ვისაც უჩივლებ, ის მაშინ სამსახურშიაც აღარ იყოს.

ყველაზე საფრთხილო თუთუნის წევა იყო. სდევნიდნენ, სჯიდნენ, ბევრჯელ როჩგსაც სცემდნენ, მაგრამ ბატალიონში თუთუნის წევა მაინც ძალიან გახშირებული იყო. ვინც კი სახლში, ან იქ, საღაც წინად მსახურობდა, არ სწევდა, ისიც კი ეჩვეუდა აქ თუთუნის წევას. იმ ადგილიდან, რომელიც მე წინად მოვიხსენიე, საღაც მომეტებულად თუთუნის მწევლები იყრიდნენ თავს, ხშირად გამოჰყავდათ პაპიროსის ბომწევი და პირდაპირ უკანა კარცერებისკენ როჩგის დასარტყმელად მიჰყავდათ. მაგრამ გადარჩენილნი მაინც სწევდნენ, იმ დროსაც-კი, როდესაც დასჯილის პირუტყული ბლავილი კარგად ესმოდათ.

თანდათან ვეჩვეოდი მ წეს-წყობილებას. როგორც ახალ მოსულს, სამუშაოს არ მაკლებდნენ, რაც მშიმე და ჭუჭყიანი საქმე იყო, მე არ ამ კდებოდა ხოლმე. პირველად ვშინჯე ჩემი უფლებების დაცვა. მაგრამ არა გამოვიდა-რა. ჩემის მისვლის მეორე თუ მესამე ღლეს შემომესმა ცვირილი:

— გამოდით ეზოს დასაგველად, ეზოს დასაგველად ჩქარა!

— გამოდით, გამოდით! — მისცა მას ხმა მეორემ, მესამემ.

პატარა ხანს უკან ერთი უნტერ-აფიცერი გიჟივით შემოვარდა და დაიყვირა:

— რატომ არ გამოდიხართ ეზოს დასაგველად?!

ყველანი ზეზე წამოვცვინდით და უნტერ-აფიცერს შევაცერდით.

— ბატონი უნტერ-აფიცერო, ჩვენთაგანი არავინ არ დაუნიშნავთ — მოკრძალებით უპასუხა ვიღაცამ.

— როგორ თუ არ დაუნიშნავთ? რატომ არ დაუნიშნავთ? წამოდით ამ საათში ვინმე! აი, ისინი ვინ არიან?

— მოგვათითა მე და ჩემ ამხანაგ სომეხს.

— ახლები არიან!

— ეგენი წამოვიდნენ, აბა, ჩქარა, მარშ! — სთქვა უნტერ-აფიცერმა და მარდად გატრიალდა.

ჩვენ არ ვიცოდით, რას თხოულობდნენ ჩვენგან, და ერთმანეთს შევსცერდით.

— ეზო უნდა დაგაოთ — აგვიხსნა ვიღაცამ — წადით ახლავე, თორემ, თუ ერთი კიდევ დაბრუნდა... აი, ეზოში გადით და იქ გიჩვენებენ.

ჩვენ ავდექით და გავედით. ეზოში უშვერის ლანძლვით და გინებით ის უნტერ-აფიცერი უყრიდა თავს ეზოს-დამგველებს. დედის ორიოდე გინება ჩვენც გვერგო და ჯგუფს შევუერთდით.

პატარა ხანს უკან ჩვენ გვეჭირა ცოცხები და ეზოს ვგვიდით. მე ვიცოდი, რომ სამხედრო სამსახურში, თავად-აზნაურებს არ ამუშავებენ; იმ ნაწილში, სადაც მე

ვმსახურობდი, ხელს აჩაფერს არ ვკიდებდი, მხოლოდ სამსახურს, როგორც სხვეჭისგან, ისე ჩემგანაც ითხოვდა ნენ. ჩემს ახლოს იდგა უნტერ-აფიცერი და თვალს ადევნებდა მთელს ეზოს. მოწიწებით მივედი მასთან, „ჩესტი“ გავუკეთე და მოკრძალებული ვკითხე:

— ბატონო უნტერ-აფიცერო, მაპატიეთ, თუ უკანონო კითხვას გაძლევთ, მაგრამ გთხოვთ, ეს მითხრათ: აქ თავად-ხენაურობასაც ამუშავებენ, როგორც სხვებს თუ არა?

— შენ აზნაური ხარ?

— დიახ.

— გასწი, ეგ დაგავე, თორემ მე შენ გაგაზნაურებ! — დაბალის, ჰიზლის კილოთი მიპასუხა უნტერ-აფიცერმა.

მე გავტრიალდი და ეზოს დაგვა სხვებთან ერთად დავასრულე.

აზრები მერეოდა, ფეხ-ქვეშ ნიადაგი შეცლებოდა, ყმაწვილი ვიყავ და სისხლი მიღულდა. ვგრძნობდი, რომ ჩემ მოთმინებას და ძალას სამზღვარი ჰქონდა. ვინ იცის, საქმე როგორ წამივიდოდა, ერთ გარემოებას რომ არ გავემხნევებინე და წყალ-წალებულივით ხავს არ მოვ-ჭიდებოდი.

ბატალიონის წესით, ვისაც სახლში წერილის გაგზავნა უნდოდა, უნდა დაეწერა და დაუბეჭდავი ფელთ-ფებლისთვის გადაეცა, ფელთფებელი როტის უფროსს. გადასცემდა, ის წაიკითხავდა, დაბეჭდავდა და ფოსტაში გაგზავნიდა. ვისაც აგრეთვე სახლიდან წერილი მოუვიდოდა, როტის უფროსი წაიკითხავდა და შემდეგ დანიშნულებისამებრ გადასცემდა. მეც, რასაკვირველია, ამ წესს უნდა დავმორჩილებულიყავ. დავსწერე წერილი და გა-

დავეცი ფელთფებელს. მეორე დღეს, როდესაც სკოლაში ვისხედით და „როდნოე სლოვლის“ ვსწავლობდით. (თუმცა მე „როდნოე სლოვოზე“ მეტი ვიცოდი, მაინც ეს წიგნი წინ უნდა მდებოდა და ან შიგ მეცქირნა, ან ხმა-მაღლა მეკითხნა), უცბად როტის უფროსმა, რომელიც ცალკე მაგიდასთან ჩვენზე ცოტა მოშორებით იჯდა, ჩემი გვარი დაიძახა, მე წამოვარდი და მივედი.

— თქვენი გვარი რა არის? — ალექსიანის კილოთი და „თქვენობით“ მკითხა იმან.

მე ვუთხარი.

— რამდენი ხნით მოხვედით?

— წელიწად-ნახევრით.

— რაზედ?

ვუთხარი რაზედაც.

— გმ... — სთქვა ცოტა ჩაფიქრების შემდეგ უფროსმა — ერთი ეს მითხარით — ლიმილით შემომხედა იმან — ეს წერილი თქვენ დასწერეთ? — და მაჩვენა ჩემი წერილი...

— Письмо это достаетъ Вамъ честь! — ми тѣрь о имаң — мағұрағ რонғанғ әнә ғұрпекшебіаат, რонд әсү სүллиит დа ცе мұлжылхар, әм წეрілініс წაқиотხвиот Әштікелдібіс ხомд ғүллі ғаулускідаат? әм бақорад სастұшаркүзеттіллігіда თағыніс მіцирмаша თქვენ ән Шеғйтіріт, თქვენ, әм წეрілініс დа Әштікелмаша, үндіа қарғағ өцирдіт, რонд თქვენ თағамтаузыареңіда әм ცирикеліс, әншіліс, ғең-күзеш სтегендіс. қаңса, დа სხვа әнәғеңі. үмбіштілі қары ხар, წეлініғіл-ნа-ხевар, რа қоиді ვафада, რонд, თუნдіа ცе ცе келші ჩағағ-дән, თქვენ ვең ғауландіт. ვафада რонд қоиді ғұжындыт ән მонушуцебүліні ғызыет დа დа барұнбісін імгерді დа қын.

გოთ, კიდევ ჰო, მაგრამ თქვენ... არა, ეგ სულის-სისუს-ტეა! ყმაწვილს, გონება-განვითარებულ აღამიანს ეგ არ შეშვენის, თორემ თქვენ იცია!..

მე შემრცხვა, გავწითლდი, თან ამ ალერსიანის კი-ლოთი, აღამაანურ მოქცევით, „თქვენობით“ მოხსენიე-ბით დავდნი, მოვიხიბლე და ვეცადე თავი მემართლებინა.

— მე პირობა მივეცი, თქვენო მაღალ-კეთილშო-ბილებავ, რომ, რაც თავს გადამხდება, მშობლებს არა-ფერი დავუმალო. თან იმასაც დავპირდი, რომ, რაც უნდა შემემთხვეს, რაც გინდ გამოვიარო, თავზავიწყებამდე. არ მივალ და სახლში დავბრუნდები. ეს მგონი იმას ნიშვავს, რომ ყოველნაირ დამცირებას ავიტან, როგორც სული-შას ისე სხეულისას.

— რასაკვირველია, ეგრეც უნდა მოიქცეთ. როცა საქმეს არა ეშველება-რა, უნდა დამორჩილდეთ...ჩემ-გან შეღავათის იმედი ნუ გექნებათ. როცა საქმეს ჩაუ-კვირდებით .. მე მხოლოდ ის შემიძლიან, რომ ამ ცოტა ჭანში როტის მწერლად დაგნიშნოთ, მაშინ სამუშაოზე აღარ გაგზავნიან. ეს არის და ეს. საკითხი წიგნები თუ გინდათ, მე მოგიტანთ, მხოლოდ ფრთხილად - იყავით, უფროსმა არ გინახოთ.

— მაღლობას მოგახსენებთ, თქვენო მაღალ-კეთილ-შობილებავ!..

— ამას გარდა, თქვენის აქ ყოფნით თქვენ შეგი-ძლიათ სარგებლობაც მოუტანოთ — განაგრძობდა როტის უფროსი — აქ, აი, ამ სკოლაში, როგორც თქვენც იცია, მასწავლებლად არიან დანიშნულნი. ისევ გამოწყვდეულ-ნი, რომლებმაც თითონაც არ იციან კარგად წერა-კით-ხვა, მით უმეტეს არ იციან, სხვებს. როგორ გადასცენ.

თქვენ, თუ მოისურვებთ, მე დაგნიშნავთ ამ მასწავლებლების მასწავლებლად. თქვენ იმათ ასწავლეთ, როგორ უნდა ასწავლონ ხოლმე და ამით თქვენ დიღს მადლს იჩამთ. გარდა ამისა, აქ ბევრი ქართველია, რომლებსაც ჩვენი არა ესმათ-რა. არ, იმათ შეგიძლიანთ დაეხმაროთ, თქვენსავე ენასე ახსნილს და ჩაგონებულს უფრო შეისმენენ. ერთის სიტყვით თქვენ გექნებათ საჭმე და, სარგებლობას რომ თავი დავანებოთ, გულს მაინც გადაიყოლიებთ. ეხლა წადით თქვენ საჭმეზე! — იმავე ალერსიანის კილოთი მითხრა იმან.

მე მადლობა გადავუხადე, გამოვტრიალდი და ისევ ჩემ ალაგს დავჯეპი.

— რაზედ გელაპარაკებოდა როტის უფროსი? — მკითხა უნტერ-აფიცერმა.

— არაუკერზე. ისე... მოკლედ ვუპასუხე.

გულზე რაღაცა მომეშვა, თითქო ცუდ სიზმრილან გამოვთხიზლდი, თითქმის გავმხიარულდი კიდეც. ეს ციხე, ეს მაღალი ქვითკირის გალავანი, ეს სასტიკი უნტერ-აფიცერი, ჩვენი ბოროტი ღმერთები, საზარლად აღარ მეჩვენენ. აქ ამ დისციპილინაში, ამ დისციპილინის ბრმად აღმასრულებლებში. და ბოროტად მომხმარებლებში, უჭიურ, უგულო უფროსებში არის ისეთი კაცი; ადამიანი, რომელიც მინიჭებულ უფლებას ავად არ გამოიყენებს და უფლებას შეუერთებს, გულს, სამართლს და პატიოსნებას. ეს ჩემთვის მოულოდნელიც იყო და სასიხარულოც. „ჩემგან შეღავათს ნუ მოელითო“. არ მინდოდა, იმის შეღავათი, მე მინდოდა მხოლოდ კეთილი სიტყვა და ადამინური მოქცევა. როგორც მე ის იმ წელიწად-ნახევარში გავიცანი, დარწმუნებული ვარ, რომ

რამე დამეშავებინა, არაფერს მაპატიებდა და ისე დამ-  
სჯიდა, როგორც სხვას. მაგრამ ეს ჩემდამი მოქცევა ბო-  
ლომდინ არ შეუცვლია, გაშინ როდესაც უდანაშაულოდ,  
დაუმსახურებლად ბევრჯელ მიმიღია სხვებისგან უშვერი-  
ლანძლვა, დამცირება, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გვი-  
ყურებდნენ, როგორც ყოველნაირ უფლებებს ჩამორთ-  
მეულ ადამიანებს, როგორც არა-ადამიანებს. მძინარე,  
უდანაშაულო ძალს გაუვლის ზოგი ადამიანი და წაჰ-  
კრავს ფეხს, რათა? მხოლოდ იმიტომ, რომ ის ძალია.  
მაგრამ რომელია იმათში ძალი?

#### IV

— ბატალიონის უფროსი? უუუ! ღმერთმა დაგი-  
ფაროს!

— ვერსად დაემაღები!

— ვაღის და „დასაჯეთ“, „დასაჯეთ“ — გაიძახის.

— თუ დაგიყვირა, ან „დასაჯეთო“ სთქვა, გირჩევ-  
ნიან გაუჩუმდე, თორემ უარესი მოგელის!

მესმოდა აქა-იქა ლაპარაკი ბატალიონის უფროსზე  
და ეტყობოდა ყველა ცახცახებდა მის წინაშე. ბატა-  
ლიონს უთუოდ დღეში სამჯერ დაივლიდა. დილით, შუა-  
დღისას და სალამოზე. არც ერთს კუნჯულს, არც  
ერთს ოთახს, არც ერთს სახელოსნოს არ დააგდებდა,  
რომ არ დაევლო. აღაყაფის კარებში რომ შემოსდგამდა  
ფეხს, მთელშა ბატალიონშა იცოდა და ფეხზე იდგა.  
— უფროსი ბატალიონშია, დაღის — გავარდებოდა ხმა. და  
ეს ხმა ყველა კუთხეს მოივლიდა.

მორიგი აფიცერი და ფელთფებელი ფეთღებოდნენ.  
საითაც მიუთითებდნენ, იქით მირბოდნენ და, საცა კი  
შიასწრებდნენ, გზაში, ოთახსა თუ სახელოსნოში, მოხ

სენებით შეხვდებოდნენ. უფროსი მოხსენებას გულდასმით მოისმენდა და გაივლიდა. აფიცერი და ფელთფებელი უკან აედევნებოდნენ ხოლმე. არც ერთ შენობას, არც ერთ კუნძულს არ დასტოვებდა, დადიოდა, ათვალიერებდა და და შენიშვნებს აძლევდა ფელთფებელს, რადგან აფიცერი ბატალიონში მხოლოდ საღარაჯოდ იყო მოსული და შინაგანი საქმეები მას არ შეეხებოდა.

ეს შენიშვნები და ბძანებები იმდენი იყო და თანაც ისეთი წვრილმანი, რომ, როდესაც უფროსი ბატალიონიდან გავიღოდა, ფელთფებელს ყველა ერთად თავში აერეოდა და ერთსაც ვერ მოიგონებდა. მეტი ლონე არ იყო, მთელი ბატალიონი ხელ-მეორედ უნდა დაევლო და სხვებისათვის გამოეყითხნა: აქ რა შენიშვნა მოგცათ უფროსმა? აქ რა? აქ რა? ყველა შენიშვნებს გაუმეორებდნენ, უბის წიგნში ჩაიწერდა და იმავე დღეს, ან მეორე დღეს, ვისაც ჯერ არს, მოახსენებდა.

— დასაჯეთ, აი, ის! — მიუთითებდა რომელსამე გამოწყვდეულზე და გაივლიდა.

რაზე? რა დააშავა ამ გამოწყვდეულმა? — არავინ არ იცოდა. არ იცოდა თვით გამოწყვდეულმაც.

— რაზე? — ეკითხებოდნენ მას.

— არ ვიცი!?

— რაზე? — ეკითხებოდნენ ერთი ერთმანეთს.

— არ ვიცი!?

— ალბად, თვალებში არ უყურებდა?!

— სწორეთ თუ ვერ იდგა.

— ან ტანისამოსში რამე შეამჩნია.

მკითხაობდნენ, თავებს იტეხდნენ და როტის უფროსსაც ასე მოახსენებენ.

— უნდა დავსაჯოთ! — იტყოდა როტის უფროსი —  
ჩასვით კარცერში ხუთი დღით და დააწერეთ: „უყურა-  
დლებობისათვის“.

გამოწყვდეულებმა მისი ხასიათი კარგად იცოდნენ და  
ამ „დასაჯეთ“-ისა ძალიან ეშინოდათ. წინდაწინ არავინ  
იცოდა, ამ ჯილდოს მიიღებდა თუ არა, და შიშით ყვე-  
ლას ენა ებმოდა. ხანდახან უბრალო კითხვაზედაც კი —  
გამოწყვდეული პასუხს ვერ მიუგებდა, პირს დააღებდა,  
სიტყვას ვეღარ იტყოდა და თვალებს დაფეთხებული ატ-  
რიალებდა.

— რას გაჩუმებულხარ? სთქვი!

გამოწყვდეული იდგა გაშეშებული,

— რა, ენა არა გაქვს? დასაჯეთ! — იტყოდა უფრო-  
სი და გაივლიდა.

ერთხელ ერთი გამოწყვდეული, რომელიც ძალიან  
მორიდებული იყო და კარგ ყაფა-ჭურვისად ითვლებოდა,  
გზაში შეხვდა უფროსს, გაჩერდა და სამხედრო სალაში  
მისცა.

— სად იყავი? — ჰკითხა უფროსმა.

გამოწყვდეულს ენა დაება.

— სად იყავი?

ხმა ვერ ამოიღო.

— დასაჯეთ! — ბრძანა უფროსმა და გაიარა.

აქ კი გამოწყვდეულმა ხმა ამოიღო და კიდევაც  
წააგო.

— თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ, მაპატიეთ! —  
დაედევნა ის უფროსს.

— სასტიკად დასაჯეთ! — მიუბრუნდა უფროსი ფელთ-  
ფებელს.

— რისთვის? თქვენო კ-ბავ!

— ოცდაათი როზგი! — დაიქნია თავი უფროსმა.

— თქვენო კ-ბავ!

— ორმოცდაათი!

— რისთვის? მაპატიეთ!

— სამოცდაათი!!

— დამნაშავე ვარ, მაპატიეთ! აღარ ვიზამ! — ტირილის ხმით ეველრებოდა ის.

— ასი!!! დლესვე დაჰკარით! საუ არის როტის უფროსი? დაუძახეთ!

ნახევარ-საათის შემდეგ გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს.

— არ იცოდი, რასაც მეტსა სთხოვდი, უფრო მოგიმატებდა? — ეუბნებოდნენ დასჯილს.

— რა ვიცოდი! საიდან უნდა მცოდნოდა? — უპასუხებდა საბრალო.

როტის უფროსებსაც ძალიან ეშინოდათ მისი. შორიდანვე რომ დაინახავდნენ; ისინიც ჩვენსავით ცახცახებდნენ და იბნეოდნენ, უფროსი არც იმათ ზოგავდა. ისინი უფროსს ფელთფებლებს უფრო ჰგვანდნენ, ვიდრე როტის უფროსებს, რომლებიც სრული ბატონები არიან თავის როტისა და როტის ავიცა და კარგიც მათ ეკითხებათ.

არ ეპუებოდა და იმის „დასაჯეთ“ს ხანდახან უყურადღებოდაც სტოვებდა ჩვენი როტის უფროსი. მასთან ლაპარიკის დროს ჩვენს როტის უფროსს ვერ შეამჩნევდით ვერც აჩქარებას, ვერც შიშს, ვერც ქვეშ-მძრომობას; ის ექვედებარებოდა უფროსს და ასრულებდა თავის მოვალეობას, რამდენადაც ამას სამხედრო კანონი მოითხოვდა. ამიტომაც ბატალიონის უფროსს არ უყვარდა, ის და;

რითიც კი შეეძლო, ცდილობდა ეგრძნობინებინა ეს  
მისფვის.

მახსოვს ერთი შემთხვევა.

დაპირებისამებრ როტის უფროსს მოჰქონდა ჩემთან  
წიგნები. სხვათა შორის, მომიტანა ორი სამოსწავლო  
ფრანგული წიგნი, რითიც მე შემეძლო ასე თუ ისე შე-  
მესწავლა ფრანგული ენა. გულ-მოდგინედ შევუდექი  
ფრანგული ენის სწავლას. მაშინ უკვე როტის მწერლად  
ვიყავ დანიშნული და თავისუფალი ღრრ ბევრი მქონდა.  
მაგრამ ვიღაცას, არ ვიცი, მე თუ ჩემი როტის უფროსი,  
ბატალიონის უფროსთან დავებეზღებინეთ. ერთხელ რო-  
ტის საწერ-მაგიდასთან ვიჯექი და რაღასაც ვსწერდი.  
უცებ კარები გაიღო და ბატალიონის უფროსი ფელთ-  
ფებლის თანამხლებობით შემოვიდა, ჩქარის ჩაბიჯით მო-  
მიახლოვდა და მაგიდას ჩხრეკა დაუწყო. ის წიგნები უჯ-  
რაში მქონდა შენახული და ზედ როტის წიგნები ეწყო.  
ბატალიონს უფროსმა გამოაძრო ეს წიგნები და მკაცრად  
შეითხა:

— ეს ვისი წიგნია?!

— ჩემია, თქვენო მაღალ: ბავ!

— როტის უფროსს დამიძახეთ! — დაიძახა იმან და  
ისევ ჩხრეკას მიჰყო ხელი.

შემოვიდა როტის უფროსი.

— ეს რა წიგნები აქვს ამ გამოწყვდეულს — მიუბ-  
რუნდა. ის ჩემს უფროსს.

— ეს წიგნები მე მოვუტანე — მიუგო მან მოკლედ.

— თქვენ მოუტანეთ?! გმ... მერე თქვენ არ იცით,  
რომ გამოწყვდეულს შეუძლიან მხოლოდ იმ წიგნების

კითხვა, რომელიც ბატალიონის კატალოგში არის მოხეს-ნებული?

— ვიცი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ეს ფრანგული სამოსწავლო წიგნებია. ისიც ვიცი, რომ ჯარის კაცს როტის უფროსის ხელის მოუწერლად წიგნის ქონება არ შეუძლია. ეს წიგნები კი მე თვითონ მოვუტან.

ბატალიონის უფროსი ყურს არ უგდებდა, გადა-აქოთა იქაურობა, ვეღარაფერი ვეღარ იპოვნა და შეის-ვენა. მერე აიღო ხელში ფრანგული წიგნები და როტის უფროსს გაუწოდა.

— ეს წიგნები წაიღეთ უკან და ეს ბატონი და-საჯეთ! — ნიშნის მოგებით უთხრა იმან და კარებისკენ გაემგზავრა. კარებში შეჩერდა, მობრუნდა და დაუმატა:

— სასტიკად კი დასაჯეთ!

— უკმეხად ხომ არაფერი გიპასუხნიათ-რა მაგი-სთვის, სანამ მე შემოვიდოდი? — მკითხა როტის უფროსმა.

— არაფერი, თქვენო მაღალ.-ბავ.

— მაშ რათა სთქვა: დასაჯეთო?

— რა მოგახსენო...

გავიდა სამი დღე. როგორც ყოველთვის, ბატა-ლიონის უფროსმა ჩამოგვიარა და, ჩემთან რომ გამოიარა, შეჩერდა და როტის უფროსს მიუბრუნდა:

— დასაჯეთ თუ არა ეს გამოწყვდეული?

— არა — უპასუხა. დაბალის ხმით იმან.

— რატომ?

— იმიტომ რომ — მიუხასლოვდა ის და უფრო და-ბალის ხმით — უთხრა — იმიტომ რომ მე თქვენ „რაპორტი“ მოგართვით, საცა ავხსენი, რომ წიგნები ჩემი მოტანილი

იყო და, თუ ვისმე ეკუთვნის სასჯელი, ისევ მე. ველი  
იმ „რაპორტის“ პასუხს.

— რა პასუხი გინდათ? მე ხომ გიბრძანეთ, რომ  
დასაჯეთ-მეთქი! — იყვირა იმან და გავიდა.

გავიდა კიდევ ორი დღე. სწორედ ისევ ის სცენა  
მოხდა.

— მე მაგ გამოწყვდეულს დამნაშავედ არა უსთვლი-  
და მე ვერ დავსჯი, დასაჯეთ თქვენ, როგორც გინდო-  
დეთ — ბოლოს მოკლედ მოუჭრა ჩემმა უფროსმა.

— მე თქვენ გიბრძანებთ. გესმით თუ არა, გი-  
ბრძანებთ, რომ დასაჯოთ და დასჯით კიდეც! — მრა-  
ვალ-მნიშვნელოვანად უთხრა იმან და გავიდა.

მე და ჩემი უფროსი მარტონი დავრჩით. მე მეში-  
ნოდა, ჩემს უფროსს საქმე გლახად არ წასვლოდა, რა-  
დგან უფროსის ბრძანების აუსრულებლობა სამხედრო  
კანონით დიდი დანაშაულობაა, ამიტომ მივუახლოვდი  
და ხვეწნით ვუთხარ:

— თქვენო მაღალ.-ბავ, დამსაჯეთ, ეგ მე არც მე-  
წყინება და არაფერს მიზამს, გთხოვთ დამსაჯოთ!

— ეგ თქვენი საქმე არ არის! — მკვახედ მიპასუხა  
იმან და გავიდა.

შემდეგში როგორ მორიგდნენ ისინი, ახლაც არ  
ვიცი, ეს კი ვიცი რომ, მე იმ საქმისათვის არ დავ-  
სჯილვარ.

ჩვენი როტის უფროსისა ყველას ეშინოდა. უფრო  
მეტად ეშინოდათ, ვიდრე სხვა აფიცრებისა. უნტერ-აფი-  
ცრები ხომ მის წინაშე ცახცახებდნენ. ის იყო მკაცრი  
უფროსი, ამას სამსახური მოითხოვდა, მაგრამ სამართლია-  
ნობისთვის და გუმანიურ მოკიდებისათვის ის ყველას

უყვარდა. ყველამ იცოდა, რომ უდანაშაულოდ მასგან  
სასჯელს არავინ მიიღებდა. რანაირადაც უნდა დაეტუქ-  
სნა, დაესაჯა ვინმე, მასზე ცუდს არავინ არ იტყოდა.  
დასჯილი გრძნობდა თავის დანაშაულობას და სასჯელს.  
ადვილად ურიგდებოდა.

ერთი ურია ვერაფრით მოაჭევიანეს — ხან რას ჩაი-  
დენდა, ხან რას. ბოლოს რაღაც სახელმწიფო ნივთი  
მოეპარა და ჩვენმა როტის უფროსმა ოცდაათი როზგი  
გადაუწყვიტა. ურია «უკანა კარცერისკენ» წაიყვანეს.  
ბევრს უნდოდა სეირის ნახვა, მაგრამ უფროსმა ოთახში  
შეაყვანინა და მარტო ფელთფებელი, როზგის დამრტყმე-  
ლები და მედაფეები შეუშვა. შემდეგში ზოგიერთებმა  
სთქვეს, რომ უფროსმა უბრძანა მედაფეებს: ჩქარ-ჩქარა  
დაჰკარითო. ეს იმითი იხსნებოდა, რომ, ჩქარ-ჩქარა რომ  
დაუწყებდნენ ცემას, მედაფეები დარტყმას ძალას ველარ  
დაატანდნენ. ბოლოს, როცა თხუთმეტზე ავიდა, უფ-  
როსმა დაიყვირა: გაჩერდითო და ცემა შეაწყვეტინაო.  
მე იმ დროს, როგორც ჩოტის მწერალს, ერთი ქალალ-  
დი ხელ-მოსაწერი მქონდა და, რაღგან ვიცოდი, რომ  
ურიის დასჯის შემდეგ უფროსი როტაში აღარ დაბრუნ-  
დებოდა, ამიტომ ქალალდით და მელნით გზაში ვუდა-  
რაჯებდი. ის გამოჩენდა შენობის კუთხიდან გადაფიტრე-  
ბული და პირ-მოკუშული. ჩემი დანახვა და ხელ-მოსა-  
წერი ქალალდი არ ესიამოვნა, მაგრამ აკანკალებულის  
ხელით მაინც მოაწერა და წავიდა. მე დარწმუნებული  
ვიყავ, ის ახლა სიამოვნებით დაარტყამდა იმ ურიას,  
თხუთმეტის მაგივრად ას როზგს, იმიტომ რომ იმან ის  
იძულებული გახადა როზგით დაესაჯა.

აი, ამ კაცის მაღლიერი უნდა ვიყო, რომ დისკი-  
პლინარულ ბატალიონში ყოფნა შემიმსუბუქია. და არ  
მივყე იმ თავზე ხელ-ალებულების მაგალითს, რომლებიც,  
თუ სიხარულით არა, კმაყოფილებით მაინც მიღიოდნენ სა-  
ხალინში. მე ვიყავი როტის მწერალი, მასწავლებლების მა-  
სწავლებელი, მე მებარა ქალალდი, მელანი, კალმები, უნ-  
ტერ-აფიცრები მსაჭიროებულენ, ზოგს თხოვნას კუწერდი,  
ზოგს წერილებს, სახლებში გასაგზავნად, ზოგს. სატრფო-  
სთან, და ამით პატივი დამედო. არამც თუ აღარავინ  
მღანძღავდა, უკანასკნელ ხანებში, ერთს უნტერ-აფიცერს  
საყვედური. რომ ვუთხარი და მოვაგონე, ერთხელ იმან  
როგორ შემომავინა, თვალები ცრემლით აევსო და მი-  
თხრა: ეჭ, ნუღარ მოიგონებთ იმ ღროს, მაშინ არ გი-  
ცნობდიო!..

ამას გარდა, შეძლება მომეცა, ზოგიერთი ქართველი  
ხანდახან ცემატყებისაგან დამეხსნა. ერთი მეგრელი იყო,  
გვარად გამსონია, რომელმაც არც ერთი სიტყვა-  
რუსული არ იცოდა და, ვერ იქნა, სამხედრო მინისტრის  
ლირსება და გვარი ვერ დაასწავლეს. სცემდნენ თავში,  
სახეში, მუშტით, წიხლით, მაგრამ უარესად ირეოდა.  
ჩემის თხოვნით, უნტერ-აფიცერმა მე მომანება და თა-  
ვისუფალ ღროს კსკდილობდი ჯაფარისევებ შემესწავ-  
ლებინა. ძალიან უხაროდა საცოდავს, სიხარულით ფეხზე  
აღარ ძჯგა და, საცა უნდა ყოფილიყო, ხან სიმღერით  
და ხან როგორც ჩქარა-გამოსათქმელს, იმეორებდა სამ-  
ხედრო მინისტრის გრძელ ხარისხს და გვარს. უნტერ-  
აფიცრებიც მემაღლიერებოდნენ, მაგრამ, დახე ბეჭის სი-  
მუხთლეს, მინისტრი გამოცვალეს და მის მაგივრად სხვა და-

ნიშნეს. უნდა გენახათ გამსონიას გულის შეღონება და ჯავრი.

— რაღა ახლა! რაღა ახლა! — სასოწარკვეთილი გაიძახოდა გამსონია, — პატარა აღრე მაინც გამოეცვალათ!

თან მეცინებოდა, თან გულით ვამშვიდებლი საცოდავს,

საზოგადოდ, ქართველები სწავლაშიც და ყოფა-ქცევაშიც ძალიან მუყაითნი იყვნენ. სიტყვიერ სწავლაში თუ მოიხვედრებდა ვინმე მუშტს, რადგან რუსული არ იცოდა და მეტად უძნელდებოდა, თორემ ისე ძნელად თუ ვინმე გაილახებოდა. — რაც აქ ქართველებსა ჰგზავნიან, არ გვახსოვს, რომ ვისმე როზგი დაეკრასო — ამ-ბობდნენ დიდი ხნის იქ მყოფნი. გასაკვირველიც არ არის: თავ-მოყვარე ადამიანი რას არ აიტანს, რას არ იზამს, რომ ეს სამარცხვინო და დამამცრებელი სასჯე-ლი არ მიიყენოს. ყველა მათგანი გაფრთხილებული იყო და მუდამ თვალებ-გაფაცაციცებული, რომ საიდანმე მოუ-ლოდნელად ეს სასჯელი თავზე არ დასტეხოდათ. უნ-ტერ-აფიცრები მათ „ტუროკს“ უძახოდნენ, მაგრამ იმათ მეცადინეობას მაინც აფასებდნენ და, თუმცა სასტიკად უკრძალავდნენ ქართულ ლაპარაკს, მაინც ხანდახან ყურს აარიდებდნენ, თუ ორი-სამი ქართველი, კუნჭულში მი-მსხდარნი, თავის ენით სტკბებოდნენ და თავიანთ სამშო-ბლოს იგონებდნენ. მომეტებულად სევდას მეგრელები ეძლეოდნენ, დარღობდნენ და სუსტი აგებულებისანი-კი ჭლექდებოდნენ და კვდებოდნენ, — ზოგი მაშინ, როდესაც ერთი თვე-ლა აკლდა, ზოგი ვადის გათავების შემდეგაც, რადგან ლოგინად ჩავარდნილი ვერ შესძლებდა სახლ-ში დაბრუნებას, რომ ერთხელ კიდევ ენახა სამშობლო. და მისი ჰაერით თავისუფლად აშოესუნთქა.

V.

— დღეს კარგი სეირი იქნება, როზგულ დაჰკრამენ  
იმათ...

— ვისა?

— აი, იმათ, თოფები რომ გადაჰყარეს!

— განა გამომძიებელს არ გადასცემენ საჭმეს?

— რის გამამძიებელს? ბატალიონის უფროსმა თა-  
ვის უფლებით ას-ასი როზგი გადაუწყვიტა! მიუხვდნენ  
ეშმაკობასა!

— ის სამი კიდევ პო, მაგრამ იმ სომებს ჩაღას ერ-  
ჩიან, ის ხომ არაფერს შუაშია?

— აბა, ეგა თქვი და, საწყალს სულ ტყუილად  
მოხვდება.

ასე ლაპარაკობდნენ ერთ კვირა დღეს, წირვის შემ-  
დეგ, გამოწყვდეულები. ერთი კვირის წინად, მეორე როტის  
სამს გამოწყვდეულს რუსს ერთად ერთმანეთში მოელაპარაკ-  
ნათ და გადაეწყვიტათ, განზრახ ისეთი ბოროტ-მოქმედება  
ჩაედინათ, რის გულისთვისაც მათ ციმბირში გაგზავნიდნენ.  
გადასწყვიტეს, რომ იქ თავისუფლად იცხოვრებენ, ბატონი  
აღარავინ ეყოლებათ სამსახურს ასცდებიან. და სხვა.  
ერთის სიტყვით, ციმბირში. გადასახლება ამჯობინეს დის-  
ციპლინარულ-ბატალიონში ყოფნას და განზრახვა სის-  
ტულეშიაც მოიყვანეს. ბევრი ეფიქრათ, რა დანაშაულო-  
ბა ჩაედინათ, რომ ან მეტი, ან ნაკლები არ მოსვლო-  
დათ, და ბოლოს გარდაეწყვიტათ, სამსახურზე უარი გა-  
მოეცხადებინათ, რაღაც სამსახურზე უარის თქმას, საზრ-  
გადოდ, სამხედრო სამხახურში. დისციპლინარული ბატა-  
ლიონი მოსდევს და აქ კი, ბატალიონში, მოსდევს ცი-  
მბირში გადასახლება.

ერთს დღეს, პირობისამებრ, დილით, როდესაც ჯერ-  
აფიცრები არ მოსულეკვნენ, ეზოში თოფის ვარჯიშო-  
ბაში ვიყავით. მეორე როტას, სადაც ის შეთქმულები  
იყვნენ, ასწავლიდა მათი ფერწოფებელი. უცბად ერთი  
მათგანი წყებიდან გამოვიდა, თოფი მოიქნია, შორს გა-  
დააგდო და ხმამაღლა დაიძახა:

— ალარ მინდა სამსახური!! რაც გინდა, ის შიყა-  
ვით!

მას გამოჰყვა მეორე, მესამეც.

— არც ჩვენ გვინდა სამსახური! — მოისროლეს იმა-  
თაც თოფები და ამოუღვნენ გვერდში ამხანაგს.

ყველა გაოცდა და პირი გააღო. ჩვენ, გამოწყვდეუ-  
ლები, გავფიორდით და გულმა ძალზე ცემა დაგვიწყო.  
ფელთფებელი კი ერთ ალაგს იდგა, გულ-გრილად,  
ეშმაკურის ლიმილით შეჰყურებდა შეთქმულებს და ბო-  
ლოს მიუბრუნდა მთელ როტას.

— იქნებ, კიდევ ვისმე არ უნდოდეს სამსახური?  
ან დაიღალა. ან სახლში უნდა დაბრუნება! ან ცოლის  
ნახვა მოუნდა! გამოდით წინ! ნუ, გამოდით! — და თან  
გვერდზე თავს იქნევდა.

ამ დროს ერთმა სომეხმა, რომელმაც არც ქართუ-  
ლი იცოდა, არც რუსული, წყებიდან ერთი ფეხი წინ  
წამოდგა და ისევ უკან უნდოდა. დაეხია, რომ ფელთფე-  
ფებელმა მიატანა:

— გამოდი, გამოდი, ნუ გეშინიან! აი, ესეც მეოთ-  
ხე. იქნებ, კიდევ არის, გამოდით! — ამ სიტყვებიზ მივიდა,  
ხელი მოჰკიდა, თოფი გამჭართვა და იმათთან მიიყვანა.

სომეხს არაფერი ესმოდა და უაზროდ. შეცეკვოდა  
ფელთფებელს.

როჩგი რომ დაპკრეს, არც მაშინ იცოდა, რათა  
სცემდნენ.

ოთხივე დაატუსალეს და უნდოდათ ეს საქმე გამომ-  
ძიებლისათვის გადაეცათ, როგორც ყოველთვის ამ შემ-  
თხვევაში მომხდარა. მაგრამ, რაც სასჯელი ადამიანს გუ-  
ლით უნდა, ის სასჯელი სასჯელი არ არის. უფროსშა  
გაიგო, განზრახვას მიუხვდა და საქმე გამომძიებელს აღარ  
გადასცა, ოთხივეს ას-ასი როჩგი - გადაუწყვიტა და ეს  
სასჯელი სისრულეში დღეს უნდა მოეყვანათ.

მაშინ პირველად ვნახე როჩგით დასჯა. თოფიანმა  
ჯარის კაცებმა გამოიყვანეს ოთხივე ჟველანი გადაფით-  
რებულნი იყვნენ და ამღვრეული თვალები ძალზე გახი-  
ლული ჰქონდათ. მოვიდა ორი მედაფე, იღლიაში გრძე-  
ლი, მოქნილი წკეპლების პატარ-პატარა შეკრულ კონე-  
ბით. თითო კონაში ოცი-ოცდაათი წკეპლა იქნებოდ-  
და. რომ მალე არ დამტვრეულიყო, დაესველებინათ.  
მაღალ-მაღალი ჩასხმული და მხარ-ბეჭიანი მედაფეები ერ-  
თი ერთმანეთის პირდაპირ დაღგნენ, კონები ძირს დაწ-  
ყეს, თითო კონა ხელში აიღეს და ერთი სამჯერ ჰაერ-  
ში გააქნ-გამოაქნიეს. გაისმა ჰაერის შხუილი, საზარელი  
იყო ეს შხუილი.

დამნაშავეების როტის უმფროსიც იქ იყო, მედაფე-  
ებს ელაპარაკებოდა და რაღაცას ანიშნებდა. მედაფეები  
ამაყად თავს უქნევდნენ. ელოდნენ ექიმს. აგერ ექიმიც  
გამოჩნდა თავის გვერდული სიარულით. ის მივიდა, რო-  
ტის უფროსს მიესალმა, შემდეგ მიიხედ-მოიხედა, მივიდა  
დამნაშავეებთან და სათითაოდ ჟველას გული და მაჯა  
დაუსინჯა.

— გინდათ, სამას-სამასი! — ღიმილით მიუბრუნდა  
ორტის უფროსს.

— აბა დაიწყეთ! — პასუხის მაგივრად, დაიძახა იმან.  
ორი უნტერ-აფიცერი საჩქაროდ მივიღნენ დამნა-  
შავეებთან, ერთი მათგანი გამოიყვანეს, მაზარა მოხსნეს,  
მედაფეებ შუა მიწაზე გაშალეს და ტანისამოსის გასახსნე-  
ლად მისცვინდნენ. დამნაშავემ ტანისაცმელი თვითონ  
გაიხსნა და მიწაზე გაწვა.

— აბა, მოგით აქ ორი კაცი! — მოკვიბრუნდა ერთი  
უნტერ-აფიცერი ჩვენ, რომლებიც ჯგუფად ერთად ვი-  
დექით და თავები ჩაგვექინდრა. ყველა ჩვენთაგანს თავის  
აფავი იმ გაწვენილ ადამიანის ადგილზე წარმოდგენილი  
გქონდა და ტანში ურუანტელი გვივლიდა. ორნი, რომ-  
ლებიც წინ იდგნენ, დაიძრნენ და უნტერ-აფიცერს მიუ-  
ახლოვდნენ. ერთი გაწოლილის ფეხებზე დასვეს, მეორე  
ჭურგზედ, სადაც დამნაშავეს ორივე ხელები გადაჯვარე-  
დინებული ჰქონდა და ზედ ელაგა.

ამ ღროს განშავლობაში დამნაშავის ტანი თრთო-  
და და ირხეოდა. გვერდზე გამოვირბინა დარაჯების უფ-  
როსმა-აფიცერმა. ის იყო დაბალი, ჩიკრიკა ყმაწვილი  
ბიჭი, მუდამ მოძრაობაში მყოფი. და მხიარული. ჩქარის  
ნაბიჯით გამოვიარა და მხიარულად მოვაძახა:

— ენგრე გინდათ, აი, აზლა „თქვენს ძმას“ დაჰკრა-  
ვენ როზეს, უყურეთ, რა გემრიელია!

და ჩქარისავე ნაბიჯით მიუახლოვდა სასამართლოს.

— დაიწყეთ! — გაისმა უმფროსის ხშა.

მედაფეებმა მარდად დასტაცეს ხელი კუნას, ერთ-  
მანეთს შეპხედეს და რაღაცა ანიშნეა.

ერთმა მათგანმა დაიწყო. შხუილით გააქნია კუნა

ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ, ასწია მაღლა და დაუშვა დამნაშავის სხეულზე. ამან რომ გაათავა, ამ რიგზედვე დაუშვა მეორემ, შემდეგ ისევ პირველმა.

— ერთი ორი, სამი—სთვლიდა ხმა-მაღლა ერთი უნტერ-აფიცერი.

წკეპლებს შხუილი გაჲქონდა, მეორე, მესამე დაკვრაზე წვერები ენტვრეოდათ, მედაფეები მარდად ახლითა სცვლილნენ. დამნაშავეს ნიკაპი მიწიში წაეყო, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, თავით ზედ დასწოლიყო და კრინტს არ იღებდა.

ტანი ჯერ შეწითლდა, შემდეგ გალურჯდა.

— ოცდა ერთი, ოცდა ორი...—სთვლიდა იმავე შმით უნტერ-აფიცერი.

მედაფეებს შუბლისა და სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, სახე შეწითლებოდათ, თვალებში რაღაცა გაშმაგება ეტყობოდათ.

— ორმოცდა ხუთი, ორმოცდა-ექვსი, ორმოცდა-შვიდი...

მოლურჯო ზოლები სხეულზე ასივდა, აბურცდა და დასკდა. სისხლი თქრიალით მოდიოდა. წკეპლების კონას რომ გაიქნ-გამოიქნევდნენ სისხლის წინწკლები ჰაერ-ში იფანტებოდა. დამნაშავე კი ხმას არ იღებდა.

— გაჩერდი!—მოისმა ხმა უფროსისა. მედაფეები შეჩერდნენ.

უფროსმა რაღაც წასჩურჩულა ექიმს, ექიმი მივიდა გაწოლილთან და მაჯა გაუშინჯა.

— განაგრძეთ!—გაიქნია ხელი ექიმმა.

— დაიწყეთ!—დაიყვირა უფროსმა.

ხელ-ახლად გაისმა შხუილი.

— სამოცუი; სამოცუდა-ერთი, სამოცუდა-არი...

— ააააა! — ხარივით დაიბლავლა დამნაშავემ და  
რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეინძრა. მაგრამ ზურგსა  
და ფეხზე მაგრად ასხდნენ.

— ააა! — ყოველ დაკვრაზე ბლაოდა ახლა და-  
სჯილი.

— სამოცუდა-თორმეტი; სამოცუდა-ცამეტი, თოთხ-  
მეტი...

ყარაული აფიცერი შეინძრა, გიუივით აქეთ-იქით  
მიიხედა და დაიძრა. ხელები თავში ეტაცნა, თვალებში  
უზომო შიში ეხატებოდა და ვილაცას ბურტყუნით ძალზე  
სწყევლიდა. იმან გვერდზე გამოგვირბინა და საყარაულო  
სახლისკენ გაიქცა. გავიქეც მეც, შიშით მოცული, ან-  
გარიშ მიუცემლად.

— ააა აა! აააა!

— ოთხმოცუდა-სამი, ოთხმოცუდა-ოთხი...

მესმოდა უკანიდან.

— ღმერთო, კიდევ რამდენია, კიდევ რამდენი —  
გიუივით ვიმერარებდი მე და გავრბოდი.

## VI

უნტერ-აფიცრები ბატალიონისა, როგორც ზევიდაც  
ვსთქვი, ჩვენი ბოროტი ღმერთები იყვნენ. იმათ ხელში  
იყო ჩვენი ავიც და კარგიც. აფიცრები ბატალიონში  
მხოლოდ სწავლის დროს მიღიაზნენ, ისიც თავისთვის  
ცალკე ოთახში დასხდებოდნენ ხოლმე და ან წიგნებს  
ჰკითხულობრნენ, ან ბოლთასა სცემდნენ. სწავლის გა-  
თავების შემდეგ თავ-თავის სახლებში მიღიოუნენ და და-  
ნარჩენი დრო ჩვენი უფროსები, ჩვენი ბატონები — უნტერ-  
აფიცრები იყვნენ.

მართალია, ისინიც ჩვენსავით თითქმის დისკიპლინის ჭვეშ იყვნენ, ცო ზაოდენის განსხვავებით და, რასაც იმათ სთხოვდნენ, ჩვენგან იმასვე ითხოვდნენ, მაგრამ მათი მკაცრი მოქალაქეის უმთავრესი მიზეზი სულ სხვა იყო, ისინი უბრალო, პირდაპირ კავებიდან აშვებული, რუსის გლეხკაცები იყვნენ, სამსახურში ანა-ბანას და სამხედრო დისკიპლინას შესწავლილი და უცბად იმ უფლებების მიმღები, რა უფლებებიც იმათ ჰქონდათ. უფლებები კი დიდი ჰქონდათ. მათ შეეძლოთ თავისი უფლებით გამოწყვდეული კარცერში სამი დღით ჩაესვათ და ამ გადაწყვეტილებას ვერც ბატალიონის უფროსი დაარღვევედა. ამას გარდა, იმათ შეეძლოთ თამამად ეცემნათ. გამოწყვდეული არც უჩივლებდა, რადგან ჩივილის ნება არ ჰქონდა და, თუ ვინმე გაპბედავდა და უფროსზე იჩივლებდა, მის საჩივარს უყურადღებოდ სტოვებდნენ, რაც ვინდა სამართლიანი ყოფილიყო იგი, და ისევ მომჩივარს დასაჯავდნენ ხოლმე. მაგრამ ყველაზე საშიში «მათი დოლოუიტ» იყო. ეს დაბეზღება არცგამოიძიებოდა, არც ვისმე ეკითხოდა, პირდაპირ თავის შესაფერი სასჯელი დაედებოდა. — სულ ტყუილ-უბრალოდ დაიკარგები, თუ გაუწყრა ღმერთი და მოინდომა შენი ღალუბვა — დაიღუპები! — ამბობდნენ ხოლმე დამონებული გამოწყვდეულები.

ერთი უნტერ-აფიცერი, რომელიც მეხი იყო გამოწყდეულებისათვის და მისი მოახლოვება და ღალაპარაკება შიშის ზარსა სცემდა ყველას, რაღაცა დანაშაულობისათვის მისცეს სამართალში და გადაუწყვიტეს უნტერ-აფიცერობის ჩამორთმევა და ერთი წლით დისკიპლინარულ ბატალიონში გამომწყდევა. იქაური უნტერ-აფიცერი ხდებოდა იქაურივე გამოწყვდეულად. ეს ღირს-

შესანიშნავი მოვლენა იყო და ამაზე ლაპარაკი გამოწყვდეულებში ორ თვეს არ შეწყვეტილა. ამ ამბავს ყველა აღტაცებით მიეგება, ღმერთს მადლობას უხდიდა, ნიშნს უგებდა და მოუთმენლად მოელოდა, როდის შემოავდებდნენ ბატალიონში\*). ბევრს ახსოვს მისგან ცემა, გინება, დაბეზღება, ბევრს პქონდა მისგან გული ჩამკვდარი და ზოგი ცემას უპირობდა, ზოგი მეფისტოფელივით ნიშნის მოგებას, ზოგი დაცინვას, ზოგიც დარცხვენს ეს დღეც დაზგა. ერთ „ეტაპის“ მოსვლის დროს, ბატალიონში ხმა გავარდა, უნტერ-ატიცერი ზელენკოვი მოიყვანესო. ყველა შეშფოთდა:

— მართლა!?! მართლა?! — გაიძახოდა ყველა, თითქმი არავის არ სჯეროდა სინამდვილე ამ შემთხვევისა და ყველა ახლა დარწმუნდაო.

მთელი ბატალიონი კარში გამოეფინა და ელოდა. იმ წუთს, რა წუთსაც გაიღებოდა კარები და ეზოში ახალმოსულებს შემოიყვანდნენ. გაიღო კარები და ბოხჩებით ხელში „ახალი“, გამწკრივებულნი შემოიყვანეს. ზელენკოვი წინ მოდიოდა, ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა. და თავი ძირს დაეხარა. ის იყო მოკუნტული, შეშინებული; ჯერ ბატალიონში არ შემოედგა — ფეხი და გამწყვდეულის ელფერი უკვე მიეღო.

იმედ-გაცრუებულნი გამოწყვდეულნი დაიმალენ და პატარა ხანს უკან სულაც გადაავიწყდათ ზელენკოვი. ყველა მოელოდა რაღაცა არა-ჩვეულებრივს, ეს კი ის

(\* სამხედრო ოლქის სასამართლო კავკავში იყო და ბატალიონში დანაშაულობის ჩამდენს იქ ასამართლებლნენ.

სურათი იყო, რომელსაც ორ-კვირაში ერთხელ ხედავდა  
და შესწავლილიც ჰქონდა.

ნახევარ-საათის შემდეგ, იმ აღგილს, სადაც გამო-  
წყვდეულნი თავს იყრიდნენ და სწევდნენ, შემოვიდა ზე-  
ლენკოვი, მოკუნტული, გაწითლებული და მოწიწებით  
მიუახლოვდა თუთუნის მწეველ ჯგუფს.

— ღვთის გულისათვის, მამაწევინეთ, ერთი შემა-  
სუნთქებინეთ!

ის ზელენკოვი, რომელიც მათ, როგორც ქორი  
წიწილებს, დაცემოდა, თავ-ზარ დაცემულებს, გაპფან-  
ტავდა და ერთს ან ორს თავისი მძლავრი ხელებით უფ-  
როსთან წაახოხიალებდა, ახლა ეს ზელენკოვი ამათვე სა-  
წყლად ემუდარებოდა: ღვთის გულისათვის მამაწევინეთო...  
ვილამაც გამოილო პირიდან პაპიროსი და მისცა. ზელენ-  
კოვმა მოწიწებით ჩამოართვა, მაღლობა გადაუხადა, ორი-  
ვე ხელით დაუწყო წევა და თან შიშით აქეთ-იქით იხე-  
დებოდა, უნტერ-აფიცერმა არ მამასწროსო. არც მაშინ,  
არც შემდეგ არავის არც ერთი სიტყვა საყვედური მის-  
თვის არ უთქვამს და არც არაფერი გამოუკითხავს. ის  
შეერთა გამოწყვდეულებში და მალე ყველას მიაკიწყდა,  
რომ ის ოდესაც უნტერ-აფიცერი იყო.

ვინ იცის, ყველა მათგანი გრძნობდა გულში, რომ  
ზელენკოვის ადგილას ისიც ისე მოიქცეოდა, და ეს ადა-  
მიანის სისუსტე შეუნდო, აპატია მას.

ისე კი გამოწყვდეულთა და უნტერ-აფიცერების შო-  
რის დიდი სიძულვილი იყო და ერთი ერთმანეთს, ვინც  
მოასწრებდა, არ ზოგავდა. უნტერ-აფიცერები უკეროდ-  
ნენ გამოწყვდეულებს ზიზლით და არაფერ საჭმეში არ

ინდობდნენ. მოთმინებიდან გამოსული გამოწყვდეული ხანდახან მათ წინააღმდეგ იარაღსაც ხმარობდა...

ერთს საღამოს, ვახშის წინად, როდესაც სიტყვიერი სწავლა გავათავეთ და ცოტა შესვენების შემდეგ ვახშის ჭამას ვეპირებოლით, ბატალიონში გავრცელდა საზარელი ამბავი და ყველა კითხულობდა: მართლა? როდის? როგორ? რა ნაირად? ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. ბატალიონი ღელავდა, უნტერ-აფიცირებმა. ხალხი ბინებზე გარეკ-გამორეკეს, მსწრაფლ მოახდინეს „პოვერკა“ და ბატალიონი დაკეტეს. ბოლოს, როგორც იყო მართალი გავიგეთ. მესამე როტის უელდფებელი დიღს ქვაბში, რომელშიც ვახშისთვის „ბორსჩი“ სდულდა, ჩაუგდიათ ვიღაცებს და შიგ მოუხარშავთ. მორიგი უნტერ-აფიცირები დადიოლნენ როტებში და ყველას უკრძალავდნენ ამაზე ლაპარაკს, მაგრამ აქა-იქ ფეხ-აკრეფით ჯგუფებად იკრიფებოლნენ და ჩურჩულით ამ საგანზე სჯირნენ და ბაასობდნენ. ყველას უნდოდა დაწვრილებით შეეტყო ეს ამბავი.

ბოლოს ფეხის წვეროებზე შემოვარდა ერთი და ერთ ჯგუფს მიუახლოვდა.

— იცით, როგორ ყოფილა საქმე? — საიდუმლოდ დაიწყო იმან.

— როგორ? როგორ? — მივსცვინდით ჩვენ.

— ფანჯარაში უნტერ-აფიცირეს ელაპარაკებოლნენ, მე უკან ვიღექი და ყველაფერი გავიგონე, — სვენებ-სვენებით, აღელვებული გვიამბობდა ის, — სამზარეულოში ლამფები არ აენთოთ და არც არავინ ყოფილა იქ. მესამე როტის ფელდფებელი შესულა, კოვში აულია, ქვაბთან.

მისულა და პირდაპირ ქვაბიდან ბორსხის ჭამა დაუწყვია.  
ყველაფერი ეს ერთს გამომშეყდებლს დაუნახავს...

— მერე? მერე? — მივაძახეთ ჩვენ ცნობის მოვა-  
რეობით გატაცებულებმა.

— მერე... შესულან და უნახავთ, რომ მარტო ფე-  
ხები და უჩანს... ბორსხი კი დუღდა... სტაცეს ხელი  
ამოიღეს, მაგრამ რაღა იქნებოდა, ტყავი პირზე სულ გა-  
დასლოდა.

— მერე არ იციან, ვინ ჩააგდო?

— არ იციან, „კაშვერები“ კი დაუმწყდევიათ.

— გაიგებენ! — სთქვა ერთმა — ჩვენივე „ძმა“ გასცემს,  
აი ნახავთ...

— მაში დღეს ბორსხი აღარ გვექნება? მოულოდნე-  
ლად იყითხა ვიღაცამ. ყველამ მოვიხედეთ. ის გადაწო-  
ლილიყო საწოლზე, ხელები თავქვეშ ამოედო, ხეხი ფეხზე  
გადაედო და მაღლა იატაკს უყურებდა — ეჭ., დავრჩით  
უვახშმოთ! — გულგრილად დაუმატა და ლოგინს შლა  
დაუწყო.

იმ ღამეს, ღამის სიჩუმეში, დიღხანს გაისმოდა ჩურ-  
ჩული და უნტერ-აფიცრების ლანძლვა-გინება.

ბოროტ-მოქმედებები შემდეგშიაც, ბევრი იყო.

ამას მოწმობდა კარცერები.

აი, უყურებთ, ერთს კარცერის კარებს. გაკრული  
აქვს პატარა ქაღალდი. ზედ სწერია გვარი და სახელი,  
რისთვისა ზის, როდის ჩასვეს, რამდენი ხნით არის ჩა-  
მული. გვარი აქვს: კუსოვ (კავკაველი ოსი იყო). ზის  
უნტერ-აფიცრის შემოკვრის თაობაზე, ზის... ერთი წე-  
ლიწადი გახდება, რაც ის თოვლით ხელში სხვებთან ერ-  
თად წყებაში იტგა და უნტერ-აფიცრი მათ თოვის ხმა-

რებას ასწავლიდა. შესცდა კუსოვს, ფიქრებში იყო გართული, ისე ვერ გააკეთა, როგორც მისგან თხოულობდნენ, და კისერში უნტერ-აფიცრის ლონიერი მუშტი მოხვდა. აინთო ასი, თვალები გადმოკარულა, გადმოილო თოფი და თავხელს კონდახი გულში დაჰკრა. კუსოვი მისცეს სამართალში და უცდის გასამართლებას. კარებზე გაკრული ქალალდი ჭუჭყიანდება, შავდება, თვეში ერთხელ ახლად დაწერილზე სცვლიან, ის კი ზის... ზის პატარა თთახში, სამი არშინი სიგრძით და არშინ-ნახევარ სიგანით. მაღლა ჭერსა და კედელ შეა პატარა ფანჯარაში ცას თუ დაინახავს, იმასაც-ვერ დაინახავს, რადგან ეს ფანჯარა აკაციას თითქმის დაუბნელებია. კარებში ამოჭრილი ფანჯარა კი ან მიხურულია და დაკეტილი, ან გაჰყურებს ბნელ, ნესტიან დერეფანს.

შეიხედავ ამ ფანჯარაში, ან მოძრაობს, ან გაჩერებულა და გამვლელ-გამომვლელის ლაპარაკს ყურს უგდებს. მაღალ-მაღალია, ტან-ჭვრილი, თეთრი პირის კანით, უწვერ-ულვაშო, ცხვრის ფერი თვალები ოდესლაც ნდობით და სიყვარულით გამოიყურებოდნენ, ახლა კი ამღარეულან. თმა გაზღია და ნაბაღს დამსგავსებია. კისერზე, ყურების ძირები და შუბლზე ჭუჭყი შავად დასდებია, ტანისამოსი დაპერებია და თეთრი ტანი უჩანს. ხმას არ იღებს, ჰკითხავ რასმე, პასუხს მოკლედ მოგიგებს. საწოლი-პრტყელი და სქელი ფიცარი კედელზედაა აკრული და კლიტით არის დაკეტილი. ღამის „პოვერკის“ შემდეგ მორიგი უნტერ-აფიცერი გაუღებს კლიტეს და ფიცარი ტახტივით ჩამოეშვება. ღილის „პოვერკის“ შემდეგ ისევ შევა, ფიცარს კადელს ააკრავს და დაკეტავს. არც დასაჯდომი, არც დასაწოლი. რას აკეთებს? არაფერს. რაზედ

ჰფიქრობს? არათერზე. პირველ დღეს, მეორეს, მესამეს  
იმან მთელი თავისი წარსული მოიგონა, ყველა მახლო-  
ბელი და ნაცნობი გადათვალა; რაც კი გაღამხედია  
თავზე, დაწვრილებით მოიგონა; ყველა ადგილი, საღაც  
კი უვლია, დაიარა, ინატრა ის პატარა ნეტარებებიც,  
რაც მისი მუდმივი ნატვრა იყო. და სამ დღეს ყველა ეს  
გაათავა, მეოთხე დღეს ამ ფიქრებით დაიღალა. მეხუთე,  
მეექვსე, მეასე, მთელ წელიწადს, იმის ფიქრები ამ ვიწ-  
რო ფარგლის გარშემო ტრიალებს...

თვალები ჩაცვივნია; ლოყებს შეუწევიათ, კისერი  
ჩავარდნია... ეტყობა. გლახა სენი შესჩვევია!

მეტამეტე თვეზე ის წაიყვანეს კავკავში სასამართ-  
ლოში, მაგრამ წაიყვანეს უკვე ჭკუაზე შეშლილი:

კუსოვის გვერდზე იმავე სივრცის და მოწყობილო-  
ბის ოთახში, აგერ სამი თვეა, ზის ერთი რუსი, ისიც  
ახალ განკარგულებამდის, ლმერთის გმობისთვის. ეს ნორ-  
მალურ ჭკუაზე არ უნდა იყოს. დღისით საყდარში შე-  
პარულა, შეუტანია მაკრატელი და ლვდლის ყველა სა-  
მოსელი ნაკუწებად უქცევია. საღამოზე რომ კარები გა-  
აღეს და შევიდნენ, ის ხელებ უკან დაწყობილი მიღი-  
მოდიოდა და ნელის ხმით ღილინებდა. დაიჭირეს და სა-  
სამართლოში მისცეს. გამომძიებელს ბევრი არეული ჩვე-  
ნება მისცა, — ხან რითი აუხსნა თავის საქციელი, ხან რი-  
რი. სხვათა შორის უთხრა: „მე მინდოდა თქვენთვის ზა-  
რალი მომეუენებინა, მინდოდა, გამებოროტებინეთ, რომ  
გულზე მოგხვედროდათ“. ერთი კვირის შემდეგ, რაც  
კარცერში ჩასვეს, საცვლები ზოლ-ზოლად დაეხია, თო-  
კივით დაეგრიხა, ფანჯრის რკინაზე გამოება და ჩამოჰკი-  
დებოდა. მაგრამ, მის საბედნიეროდ თუ საუბედუროდ,

მორიგ უნტერ-აფიცერს შემთხვევით შეუხედნია და დრო-ზე გაუნთავისუფლებია. არა-ნორმალურ მდგომარეობას მხოლოდ თვალებში და უთავბოლო გაღიმებაში შეატყობთ. არც ყვირის, არც მღერის, არც არავის ელაპა-რაკება. უნტერ-აფიცერი კარში, რომ გამოიყვანს, ჩქა-რის ნაბიჯით მიდის წინ და წამდაუწუმ უკან იხედება. დანიშნულ ადგილისკენ გარბის და, ვისაც შეხვდება, ხვეწ-ნითა და მუდარით ეუბნება:

— მომეცით მოსაწევი, მომეცით, რა არის? ერთი პაპიროზი, ერთი! — და, უნტერ-აფიცერი რომ წამოეწევა, გარბის.

## VII.

ყველაზე მეტი სასჯელი ადგებოდათ იმ გამოწყვდე-ლებს, რომლებიც „ავადმყოფობის მოგონებაზე“ იყვნენ მოსულნი. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი ჯარის-კაცი იგონებს ისეთს ავადმყოფობას, რომელიც, მისი აზრით, სრულიად გაანთავისუფლებს სამხედრო სამსახუ-რიდან. ზოგი მდოგვასა სვამს, რომ გულის ტკივილი გა-მოიწვიოს, ზოგი თითს იჭრის, ზოგი რამდენსამე კბილს ერთად იგლეჯავს, ზოგი თვალს იფუჭებს, ზოგი ყურს. მაგრამ ბოლოს ისე გამოდის, რომ სამუდამოდ სნეულ-დებიან, მანინჯდებიან და დიდს სასჯელსაც იყენებენ. ამნაირ ჯარისკაცთ სამართალში აძლევენ და სამართალიც უწყვეტავს მათ ან ციმბირში სამუდამოდ გადასახლებას, ან დისციპლინარულ ბატალიონში ორი, სამი წლით გა-მოწყვდევას. დისციპლინარულ ბატალიონში იმათ დიდი წვალება მოელით, იქ ისინი არიან გაგზავნილი გასა-წორებლად და... ასწორებენ კიდეც.

ერთი ერევნელი სომეხი იყო ბატალიონში... რო-

მელსაც ავადმყოფობის მოვონება ბრალდებოდა და ორი წლით იყო გამოგზავნილი. ის ვითომ წელში გაწყვეტილი იყო და, როგორც ძალიან წელში წახრილი მოხუცი დედაკაცი, ისე დაზიოდა. ჯერ თავის ნაწილში, საცა ის სამსახურში მიიღეს, ამნაირად ხუთ თვეს დადიოდა და ასეც ეძინა. მისი უფროსები ბევრს ეწვალებოდნენ, სცემდნენ, პირ-დალმა დააწვენდნენ, ზედ შესდგებოდნენ, უნდოდათ წელში გაემართათ, მაგრამ ვერას ხდებოდნენ და შესამოწმებლად ისევ ექიმებთან ჰგზავნიდნენ ბოლოს სასამართლოში მისცეს და სასამართლომ ორი წელიწადი ბატალიონში გაგზავნა.

ბატალიონში მის გასწორებას გულ-მოდგინეთ შეუდგნენ. ჯერ ერთს კვირას კარცერში ჩასვეს, მერე ორ კვირას, შემდეგ თხუთმეტი როზგი დაპკრეს, მერე ოცდაათი გაუხადეს, მაგრამ ის სასჯელს უსიტყვოდ იღებდა და წელში მაინც არ სწორდებოდა.

— ნუ სტყუი, ხომ ვიცით, არაფერი გტკივა, გამოტყუდი, გასწორდი წელში! — ეუბნებოდნენ უფროსები.

— არ ვსტყუი, ღმერთმანი, დაბადებიდანვე ასე ვარ, აი, თუ გინდათ, შემდექით ზურგზე, თუ გამისწორებთ წელსა.

პირდალმა დააწვენდნენ, ზედ ოთხი, ხუთი უნტერ-აფიცერი ფეხით შესდგებოდა, მაგრამ წელში ოდნავადაც ვერ შლილნენ. თანდათან როზგის ცემა მოუხშირეს, წაიყვანდნენ, ოცდაათ, ორმოცდაათს როზგს დაპკრავდნენ ხოლმე და იარების მოსარჩენად ერთს-ორ კვირას შეასვენებდნენ.

მორიგ უნტერ-აფიცერებს ნაჭრძანები ჰქონდათ, ყოველ ღამეს თვალი ედევნებინათ, ძილის დროს იქნება გა-

სწორებული ენახათ. ისინიც ადევნებდნენ თვალ-ყურს, მაგრამ, რა დროსაც უნდა შესულიყვნენ ოთახში, იმას ეძინა, საწოლზე მოკუნტულს, წელში მოხრილს. მაგრამ ბოლოს ტყუილშა თავი იჩინა. ერთ ღამეს ალბად ტკბილად დასძინებოდა საბრალოს, წელში გამართულიყო, პირ-აღმა გაშოტილი ეძინა და გემრიელად ხვრინავდა. უნტერ-აფიცრებსაც ეძინათ. ერთ გამოწყვდეულთაგანს გამოჰლვიდებია, დაუნახავს, წამოვარდნილა ლოგინიდან და უნტერ-აფიცრებისკენ გაქანებულა..

— წამობრძანდით, ბატონო უნტერ-აფიცრებო, არა-ქელიანცი წელში გასწორებულა და ისე სძინავს.

— აბა, აბა, გვაჩვენე! — წამოვარდნილან ზეზე უნტერ-აფიცრები და სიხარულით გაქცეულან არაქელიან-ცის საწოლისკენ.

მისულან, მართლაც, უნახავთ, მძინარე არაქელიან ცი წელში გამართული და, ვინ იცის, რა სიზმრებში. გართული. უნტერ-აფიცრებს მაშინათვე რამდენიმე გამოწყვდეული გაულვიდებიათ, რომ, რაც შეიძლება, მეტი მოწმე ჰყოლოდათ, და შემდეგ მის გასაღვიძებლად მისულან. წაუკრამთ ხელი — ვერაფერი გაუგია, წაუკრამთ მეორეთ — შეუშმუშნია, წაუკრავთ მესამე — თვალები გაუხელია, შიშით დაბნეულს მიუხედ-მოუხედნია, დაუნახავს თავზედ-მდგომნი, ზოგი მომცინარი, ზოგი მლანძლავი და უცებ თავისებურად ისევ მოკუნტულა.

— გეყოფა, გეყოფა — უთქვამთ გახარებულ უნტერ-აფიცრებს; — ახლა ვეღარავის მოაჭყუილებ, გირჩევნიან ხვალ წელში გასწორებული ადგე. — ამ სიტყვებით თავი მიუნებებიათ და მეორე დღეს დაწვრილებით მოახსენეს.

როტის უფროსს. როტის უფროსმა ბატალიონის უფროსს მოახსენა, რომელმაც ასი როზგი გადაუწყვიტა.

გადაუწყვეტილება სირულეში მოიყვანეს, მაგრამ ის მაინც ჯიუტობდა და ისევ ისე წელში გახრილი დადიოდა. ბოლოს მისულიყო ექიმთან და თავის მდგომარეობა იმისთვის აეხსნა.

— მინდა, რომ გავსწორდე, მომბეჭრდა ასეთი მდგომარეობა. მაგრამ, ვაი თუ რომ გამოვტყდე, ახლა იმისთვის მცემონ და ამხანაგებისაც მრცხვენია. მიშველეთ რამე, ექიმო, დამისხსენით ამ გაჭირებისაგან,— შეევედრა. თურმე ექიმს არაქელიანცი.

ექიმმა არაქელიანცი საავადმყოფოში დააწვინა, ვითომ სწამლობდა, მოარჩინა კიდეც და როტაში დააბრუნა. ის იყო ძარღვიანი, მხარ-ბეჭიანი, ჩასხმული, ჯმუხი ბიჭი, საშინელი ღონის პატრონი. იმისთანა წელი და მხარ-ბეჭი მე მხოლოდ ტფილისში რაჭველი მუშისა მინახავს. შემდევ ში სწავლაში ვერავინ სჯობდა და ამ ამბავს ყველა ღიმილით იგონებდა.

მეორემ— ესეც სომეხი იყო— ავეტისოვმა წელიწადი ფეხ-მოქცეულმა იარა თავის ნაწილში, იმას წელიწადი გარდაუწყვიტეს. იქ რომ მოიყვანეს, არაქელიანცსავით, არა ტყდებოდა. ერთ ფეხს სწორე ადგამდა, მეორე ფეხი თითებით შიგნით შებრუნებული ჰქონდა და ისე აწვალებდნენ, — წააქცევდნენ და სცემდნენ ფეხ-შემოტრიალებულს, მაგრამ ვერაფრის გზით ვერ უსწორებდნენ. შოროს როზგი გადაუწყვიტეს. ავეტისოვი ჩაფიქრდა, არაქელიანცის მაგალითი წინ ედგა და, როცა დასასჯელად წაიყვანეს, როტის უფროსს შეეხვეწა: „თქვენი მაღალ-კეთილშობილებავ, ოლონდ როზგს ნუ დამკრავთ.

და, ამ, ფეხს გავისწორებო“ — და ამ სიტყვებით მართლაც  
ფეხი შეიძრუნა და სწორე დააღდა.

როზგი მაინც დაჰკრეს.

ამათზე მეტი ჯიუტობა და ხასიათის სიმტკიცე გა-  
მოიჩინა ერთმა ლრიამ. ამ ურიის ხასიათის სიმტკიცე მით  
უფრო დასათასებელი იყო, რომ სამხედრო სამსახურს  
კი არ გაურჩოდა, ის თავის რჯულის კანონებს მტკიცედ  
ასრულებდა და ვერც წვალებამ, ვერც როზგმა, ვერც  
შიმშილობამ და, უკანასკნელ ყოვლისა, ვერც სიკვდილმა  
ვერ გასტეხა ის, და თავისი რჯული ბოლომდინ მტკიცედ  
დაიცვა. იყო ორი წლით გამოგზავნილი ბრძანების  
აუსრულებლობისათვის: როტის უფროსს ებრძანებინა  
მისთვის წვერი გაეკრიჭნა, მაგრამ გერშმანს (იმის გვარი-  
იყო) ეს ბრძანება არ შეესრულებინა, ამასთან ერთად  
როტაში გაკეთებულ საჭმელს არ ეკარებოუა, რის გუ-  
ლისთვისაც მისცეს სამართალში და ორი წელიწადი  
გარდაუწყვიტეს.

ბატალიონში, რომ მოიყვანეს, პირველად, რასაკვირ-  
ველია, უბრძანეს წვერის გაკრეჭა. გერშმანმა არც აქე-  
შეასოულა ეს ბრძანება. დასაჯეს როზგით. გავიდა ხანი,  
კიდევ უბრძანეს, არც მაშინ შეასრულა; დასაჯეს კიდევ:  
როზგით, შემდეგ მოიტანეს მაკრატელი და ძალით მოინ-  
დომეს წვერის შეკრეჭვა. ორმა უნტერ-აფიცერმა გააკა-  
ვა გერშმანი და მესამე შეუდგა საჭმეს, მაგრამ ის თავს  
ერთ ალაგს არ აყენებდა, ანძრევდა, მაკრატელის წვერი  
ხან ლოკაში ხვდებოდა, ხან ცხვირში, ხან ნიკაპში, რამ-  
დენსამე ალაგს სისხლი გადმოსდიოდა და მხოლოდ აქა-  
იქ უსწორ-მასწორად შეუკრიჭეს წვერი. შემდეგ კიდევ  
დაჰკრეს როზგი და გაუშვეს. გერშმანს წვერი არ შეუს-

წორებია; სარკეშიაც კი არ ჩაუხედნია, ბოლოს რო-  
გორლაც მიუშვეს ხელი და თითქმის თავი სულაც მია-  
ნებეს, მაგრამ უფროსებმა როგორლაც გაიგეს, რომ გერ-  
უმანი ხორცი არ სჭამდა და ისევ მოჰკიდეს. ხელი-

მუქარითა და ცემით რომ ვერაფერს აწყობდნენ,  
ისევ ისე ორი კაცი გააკავებდა ხოლმე, ერთი პირს კოვ-  
ზით გაულებდა, მერჩე შიგ წვენს ასხამდა, მესამე ხორც-  
სა სჩრიდა. გერუმანი სულს იგუპებდა, იხრჩობოდა, მა-  
გრამ ხორცსაც და წვენსაც უკანვე აქცევდა. ვერაფრის  
გზით ვერ შოარჯულეს და ხორცი ვერ აქამდეს. სადილად,  
ვახუმად იჯდა, როგორც სხვები და, როდესაც სხვები  
ხორცსა და წვენს შეექცეოდნენ, ის თავის წილ პურს.  
სჭამდა და წყალს ატანდა.

გერუმანი იყო დაბალი ტანის, გამხდარი და სუსტი  
აგებულობისა. თავისუფალ დროს დადიოდა. თავისთვის,  
არც არავის ელაპარაკებოდა და არც ის უყვარდა, რო-  
ცა ვინმე გამოელაპარაკებოდა. არავის არ უნახავს ის  
გაცინებული და სხვის გაცინებას და მხიარულებას გულ-  
გრილად შესკეროდა. როგორც ეტყობოდა, თავის დარ-  
დი, ვარამი მას გულში ჩაეხვია და საჭიროდ არ სცნობდა,  
ჟისთვისმე გაეზიარებინა. ლამე, სანამ ძილის დრო მოვიდო-  
და, ის თავის საწოლის კუთხეში მიიკრუნჩხებდა და თავის  
წილ პურს ზან ტად შეექცეოდა. მაგრამ წვალება და ძალ  
მომრეობა მას აქაც არ აკლდებოდა.

გამოწყვდეულნი, ყველა ყმაწვილი, 21-25 წლამდე,  
მუდამ გაჩუმებულნი და დაღვრემილნი, ზანდახან თავის  
თავს ნებას აძლევუნენ გამხარულებულიყვნენ. დაჩაგრუ-  
ლი გული სიცილს თხოულობდა; სხეული—ძალ-ლონის

გამოჩენას და ეს მხიარულება იხატებოდა... გერშმანის წვალებაში. როცე კი მორიგი უნტერ-აფიცერი „კარგი“ შეხვდებოდათ, იმ ოთახში, სადაც გერშმანის საწოლი იყო, ერთი აურზაური, თავ-დაჭერილი ყვირილი, სიცილი, ლანძლვა, გინება ერთი-ერთშიანეთში აირეოდა ხოლმე და ბოლოს უნტერ-აფიცერის ლანძლვა-გინებით თავ-დებოდა.

როდესაც გერშმანი პურის ჭამას გაათავებდა, ხმელა ლოგინს გაშლიდა და მიწვებოდა, რომელიმე გამოწყვდეულთაგანი წამოიძახებდა ხოლმე.

— მოდით, გერშმანი ვაწვალოთ!

ამ წინადაღებას ყველა აღტაცებით ეგებებოდა.

— ვინ არის დღეს მორიგი უნტერ-აფიცერი?

— მოდით, აბა მოდით! — დაიძახებდა ყველა და თავ-თავის ბალიშს ხელს მოჰკიდებდა.

პატარა ხანს უკან ოცი, ოცდა-ათი, ბზით გატენილი ბალიში ვერშმანის თვაზე გადადიოდა. გერშმანი ჯერ თავ-პირზე ხელებს იფარავდა და კატასავით გაკაპასებული ბალიშებს აქეთ-იქით ჰყურიდა, მაგრამ, როდესაც ბალიში სახეში მოჰკიდებოდა და გაამწარებდა, წვრილის, ჩახლეწილის ხმით დაიჩხავლებდა. ხოლმე,

გამოწყვდეულებსაც ეს უნდოდათ. გერშმანის დაჩხავლებას ყველა სიცილით და ხარხარით ეგებებოდა და ბალიშებს უფრო გულ-მოდგინეთ უშენდა. გერშმანი იგინებოდა, ილანძლებოდა, წიოდა, ჰკიოდა, მაგრამ მწვალებლებს ეს უფრო აქეზებდა, და მშველელი კი არავინ ჰყავდა. ბოლოს გამწარებული გერშმანი წამოვარდებოდა ხოლმე ლოგინიდან და მორიგ უნტერ-აფიცერის ოთახისკენ

საჩივლელად გაქანდებოდა. მაგრამ წინ ვინმე ეღობებოდა და ეტყოდა ხოლმე:

— ვინა გცემს, მე მითხარი, მე გიშველი, წამოდი აქა, აბა თუ ხელს ვინმე დაგაკარებს! — ამ სიტყვებით ხელს მოჰკიდებდა, აიიარევდა და ორ წყებათ ჩამწერივებულ საწოლებ შეა ჩატარებდა.. ყველა ზეზე წამოცვინდებოდა ხოლმე და ორთავე მხრიდან უშენდნენ საბნებს, ბალიშებს, წალებს, ლეიიბებს. აქ კი სასოწარკვეთილი გერშმანი იატაზე წვებოდა, ბავშვივით ფეხებით ფართხალს დაიშებდა ხოლმე და საზარლის ხმით გაპკიოდა.

— კარაულ... კარაულულ... მიშველეთ!.. მამკლეს! ამ დროს ერთი კარებში იდგა და დრო გამოშვებით გასცემეროდა გრძელს დერეფანს, რომლის ბოლოშიაც უნტერ-აფიცრის ოთახი იყო, და, თუ დაინახავდა. თავის ოთახიდან გამოსულს უნტერ-აფიცერს, შეშინებული შემოვარდებოდა და დაიძახებდა ხოლმე:

— ძალი მოდის!

თვალის დახამხამებაზე ყველაფერი ლაგდებოდა და ყუჩდებოდა, ზოგი მიწვებოდა და ვითომ ეძინა, ზოგი ტანს იხდიდა! ზოგიც კარში გავიდოდა.

შემოვარდებოდა უნტერ-აფიცერი და, მყვირალი გერშმანს რომ დაინახავდა, გაშმაგებული მივარდებოდა:

— რა გაყვირებს, შე ურია, ურია!

გერშმანი შესტირებდა:

— აი, მაწვალებენ, მცემენ, კინაღამ მამკლეს!

— ვინ? აბა მაჩვენე ვინ?

— რა ვიცი, ყველანი...

— ვინ აწვალებდა? შენა? — მიუბრუნდებოდა რო-  
მელიმეს უნტერ-აფიცერი

— მე არა, ღმერთმანი, ბატონი უნტერ-აფიცერო,  
მე ეს არის ახლა შემოვედი — იმართლებდა ის თავს.

— მაშ ვინა? შენა? შენა? — დაუვლიდა ყველას,  
მაგრამ ყველა ფიცულობდა და უნტერ-აფიცერი ისევ  
გერშმანს წაუშენდა.

— დაწექ, დაიძინე, შე უჩიის თავო, შენა! — ამ  
სიტყვებით ცემა-ტყეპით საწოლზე მიათრევდა და ზედ  
დაანარცხებდა. — ახლა რომ ბატალიონის უფროს-  
მა გამოაროს, შენა მაგივრად ხომ მე უნდა ვაგო პა-  
სუხა? — დაუმატებდა უნტერ-აფიცერი და პატიონსან მო-  
სამართლესავით კისერ-მოლერებულზ ოთახიდან გადიოდა  
ამის შემჯეგ ყველა მიწყნარდებოდა და გერშმანს შეეძ-  
ლო თავისუფლად ძილი.

დილაზე გერშმანს უარესი მოექლოდა. საქმე ის არის,  
რომ იქ, სადაც ის წინად მსახურობდა, მას შეეძლო.  
უარ-ეყო საერთო საჭმელი, რაღვან იქ ფული ჰქონდა და,  
რა საჭმელიც უნდოდა, თავის ფულით ჰყიდულობდა. იქ  
კი, ბატალიონში, კითევაც რომ ფული ჰქონდა, საყი-  
დელს ვერაფერს იშოვნიდა. ამიტომ იმას მთელი წელი-  
წაღი შავი პურისა და წყლის მეტი არაფერი უსვამს და  
უჭამია. ხანდისხან, სამადლოდ თუ მისცემდა ვინმე ერთ-  
ნატეხ შაქარს და ერთს ჭიქა მლვრიე ჩაის, მაგრამ შაქა-  
რი და ჩაი ისეთი ძვირი საშოვარი იყო, რომ ყოველ-  
თვის თავისთვისაც კი არავის ჰქონდა, არამც თუ სამად-  
ლოდ სხვისთვის ეძლია. ამიტომ გერშმანი მთელი წე-  
ლიწაღი ცალიერ პურზე იყო და ისედაც მისმა სუსტმა  
აგებულობამ ეს უჭმელ-უსმელობა ვერ შესძლო, დასუ-

ტდა, გახდა, ხელი ოდნავ რომ გეკრათ, გადა-  
უარდებოდა და, როცა დადიოდა, გეგონებოდათ, ან  
შთვრალია, ან დიდი ხნის ნავაღმყოფარიო გაქცევა  
სულ არ შეეძლო და თოვს ხელებით ვერ იმაგრებდა.  
უფროსებმა ეს უნდომლობას, ჯიუტობას მიაწერეს და,  
რაღანაც გერშმანს ჩვენთან ერთად არ შეეძლო სამხედ-  
რო სწავლაში ყოფნა, ცალკე გაიყვანდნენ, ერთ უნტერ-  
აფიცერს მიუჩენდნენ და ისე ასწავლიდნენ.

უნტერ-აფიცერის მოვალეობა იყო გერშმანი კარ-  
გად გამოეწურთნა, რომ ჩვენში გარევა შესძლებიყო. უნ-  
ტერ-აფიცერიც ყოველის ღონისძიებით, ყოველის სა-  
შუალებით სცდილობდა გერშმანის „მორჯულებას“: უყ-  
ვიროდა, ლანძლავდა, სცემდა, მაგრამ ის თითქოს ყურს  
არც კი უგდებდა და, როგორც შეძლო, რაც შეეძლო,  
იმას იჩენდა. გაბრაზებული, ცოფ-მორეული უნტერ-აფი-  
ცერი დაპკრავდა ხოლმე თავში, გერშმანი მიწაზე ეცემო-  
და და, რაღან თოვს და მრავალ სხვა გვარ იარაღს ზე-  
ზე თავისით ვეღარ წამოუდგებოდა ხოლმე, ისევ უნტერ-  
აფიცერი ეშველებოდა.

გერშმანის «ჯიუტობაში» გასატეხად, ტყავის თოფ-  
რაკში (rashewki) უნტერ-აფიცერები ჩაუყრიდნენ ხოლმე  
ჭვებს და დლითი-დლე უმატებონენ. გერშმანი კი თანდა-  
თან სუსტდებოდა, სხეულის ძალა ეკარგებოდა და თვა-  
ლის მხედველობა აკლდებოდა...

### VIII.

ერთ ხანად ავად გავხდი და საავაღმყოფოში დამა-  
წვინეს. საავაღმყოფო შესზებოდა სამი განყოფილები-  
შაგან, რომლებსაც გვერდზე ჩაუდიოდა ფართო შუშა-  
ჰანდი. პირველ განყოფილებაში იღებდნენ ფეხზე მდგომ

ავადმყოფებს, რომლებიც დადიოდნენ მხოლოდ დილ-დილით და ეჩვენებოდნენ ექიმს. მეორე განყოფილებაში მოთავსებული იყვნენ სერიოზული ავათმყოფნი. მესამე-ში კი ავათმყოფნი გადამდების სენით. საავათმყოფოს შე-სავალში მარცხნივ იყო ორი ოთახი, ერთი ფერშლე-ბინთვის, მეორე მოსამსახურებისათვის. იქვე იყო აფ-თიაქიც. ყველგან სიბინძურე სუფევდა. დერეფნი მუდამ დაჭოჭებული იყო სქელი შავი ტალახით და წამლების სუნს ემატებოდა ნესტის მყრალი სუნი.

ექიმი დადიოდა დილის ათ საათზე და ავათმყოფე-ბის შინჯვას შეუდგებოდა. მას დაუხვდებოდა წინა ღა-მის ნალოთარი, თვალებ-ჩაწითლებული, პირდაუბანელი-მორიგი ფერშალი, რომელიც საქმეს აკეთებდა, მაგრამ თან იმას ჰატიქრობდა, ექიმი როდის წავიდოდა, რომ ისევ ძილს დაბრუნებოდა. ექიმი ზოგსა შინჯავდა, ზოგს ახლოც არც კი იკარებდა, წამოდგებოდა და წავიდოდა-დანარჩენი საქმე დამოკიდებული იყო ფერშალსა და მის გუნებაზე. ვისაც მოისურვებდა, წამალს დაალევი-ნებდა, ვისაც მოისურვებდა ავათმყოფებში ჩასწერდა, ვი-საც არა, გააგდებდა და თანაც ემუქრებოდა, რომ, თუ კიდევ გაბედა და მოვიდა, წიგნში ჩაუწერდა, ავათმყ-ოფბას იგონებსო.

ექიმი იყო მოხუცებული, უცნაური ხასიათისა, რომ-ლის სიარული, მოქმედება, სიტყვა, სიცილი ფერშლებს სამასხარაოთ ჰქონდათ გადაკეთებული და ათას-ნაირად წარმოგვიდგენდნენ. ფერშალი იყო სამი, საშივე ყმაწვილი, სამივე ლოთი და ზნეობით გაფუჭებული. ერთ-მანეთზე ჰქონდათ გავლენა, თუ ისე შემთხვევით შეიყარნენ ეს სამნი რაინდნი, არავინ არ იცოდა. თუმცა ორნი მათგანი-

გულ-კეთილნი და მხიარულნი იყვნენ და, თუ ლოთობის შემდეგ რიგზე გამოძინებულნი და დასვენებულნი იყვნენ, ავათმყოფებს კარგად ეკიდებოდნენ. ყველა ამის მიუხედავად, გამოწყვდებულნი საავათმყოფოში თავს უფრო კარგად გრძნობდნენ, ვიღრე როტებში, რაღგან იქ არც სწავლა იყო, არც დისკიპლინა, და ძალიანაც ეტანებოდნენ, მეტადრე ისინი, ვინც აქ სიარულს ერთხელვე შესჩვეოდა.

— უჲ, შენ გიშველა ღმერთმა, რა ნაირად მიხარიან, რომ იცოდე — სიხარულით მომეგება ავათმყოფი გამოწყვდებული, მეგრელი თავაღი-შვილი შ., როდესაც ექიმმა საავათმყოფოში დამაწვინა. — რომ იცოდე, რა უბედური ვარ. აბა, აქ უფრო მიმძიმდება დღეები. მარტო, გამოყრუებული, ფიქრებით დავიღალე არ მინდა აღარასუერზე ვიფიქრო!

— ხომ უკეთა ხარ? — ვეკითხებოდი მე, მაგრამ გამხმარ, ფერ-დაკარგულ, ალაგ-ალაგ ჩალურჯებულ სახეზე ვატყობდი, რომ ძალიან ავალ იყო და სანთელივით ღნებოდა.

— არა მიშავს რა — ქშენით ლაპარაკობდა შ. — ეგ არის ხველამ არ გამიარა, კიდევ ძალიან მახველებს, ღამეობით სულ არ მაძინებს და... სუსტადა ვარ, ღონეზე ველარ მოვედი, თორემ სხვაფრივ კარგადა ვარ... ექიმმა მითხრა, მალე კომისია შესდგება და სრულებით სამსახურიდან გაგანთავისუფლებო! — აღტაცებით დაუმატა იმან და სიცხით აღვნებული თვეალები სიხარულით აეკრი.

— მართლა? — გამეხარდა მეც და, ცოტა არ იყოს, კიდეც შემურდა — ეგ კარგი საქმე მოგვსვლია, როდის იქნება ეგ კომისიაო?

— აი, ამ ცოტა ხანში შესდგებაო!..

ამ ღროს ფერშალმა გამოიარა, დაგვინახა ორივე მოლაპარაკე და მოგვიახლოვდა

— იცით? — მითხრა იმან რუსულად — მაგ თქვენ მემამულეს მალე სრულიად გაანთავისუფლებენ, მაგრამ გვიანდა არის, ეგ აღარ მორჩება... იცით რითაა ავად? მოჩქარებული ჭლექით! თქვენ მაგას კი არაფერი უთხრათ! — დამარიგა იმან და გატრიალდა.

მე გაოცებული, შეხუთულის გულით შევხედე შ.-ს და მივხვდი. რომ ფერშალი მართალი იყო: სახეზე არა-ჟითარი ნიშანი სისწლისა, აღზნებული თვალები, ნაზი, თხელი პირის კანი და ქშინვა. თავი ჩავლუნე და მწარე ფიქრებში წავედი. თავადი შ. სამსახურიდან გაქცევის თაობაზე წელიწად-ნახევრით იყო აქ გამოგზავნილი. არც სამსახური, არც რუსული არ იცოდა, იყო სამსახური-დან გაქცეული და... იყო თავადი. ყველა ეს უნტერ-აფიცრების თვალში მომაკვდინებელი ცოდვები და არა საპატიებელი ბოროტ-მოქმედებანი იყო.

— ყყყ, თყიჩე! — ზიზღით წაჰკრავდნენ ხოლმე მუშტს უნტერ-აფიცრები ყოველ რუსულის არა-მცოდნეს.

— შენ რისთვისა ხარ მოსული? გაქცევისათვის? პა: სამსახურიდან გარბიხარ? მე შენ გაგაქცევ სამსახურიდან, მოიცადე პატარა! — ემუქრებოდნენ სამსახურიდგან გაქ-ცეულებს და უსრულებდნენ კიდეც

— კნიაზი? — დასცინოდნენ ყოველ უამს ამ ხარის-ხის მქონეს — აი, რომ გაგკრამ კნიაზურად, მაშინ გაიგებ, რა არის კნიაზობა! ეი: კნიაზ! გამოდი სამუშაოდ, ეი, ეი, კნიაზურად კი ნუ მოდიხარ, რაზ, დვა, რაზ, დვა!

საბრალო შ. ყოველ ამ ნაირ დაცუნვაზე წითლდებოდა, ყვითლდებოდა და მზად იქმ წყევლა შეეთვალა იმისთვის, ვისაც მისი მამა-პაპისათვის თავადობა მიუკია. ის იყო დაბალი ტანის, ლამაზი, სანდო სახის ყმაწევილი კაცი, ნაზად აღზღიულობისა.

გავიდა რამდენიმე ხანი სამსახურს მიეჩივია, სცლილობდა ყველაფერი კარგად შეესრულებინა, რუსულიც ცოტაოდენი შეისწავლა, უნტერ-აფიცრებმაც დაცუნვას თითქმის თავი დაანებეს, მაგრამ ერთხანად ხველება დააწყებინა და საავათმყოფოში გაგზავნეს. ექიმმა გაშინჯა და საავათმყოფოში არ მიიღო: შენ კარგადა ხარ, აღბად სამსახური არ გინდაო. ისევ როტაში დაბრუნდა, მაგრამ ხველას უფრო უმატა და ერთი კვირის შემდეგ კიდევ სცადა საავათმჩოფოში წასვლა. ექიმმა მეორეთ გამოაგდო.

— რა ვქნა, რა ვუყო? — შემამჩივლა იმან ერთხელ — იქ ექიმი არ მიღებს, აქ უნტერ-აფიცრები მიჯავრდებიან და მაგინებენ, ნუ ახველებო, — თუ ავათა ხარ, საავათმყოფოში წადიო. რა წყალში გადავვარდე, რომ აღარ ვიცი?

მართლაც, უნტერ-აფიცრები ისევ უმოწყალოდ აგინებდნენ და დასცინოდნენ, რადგან ექიმი მას ავადმყოფათ არ სცნობდა. იმათ წარმოედგინათ, რომ შ.-ს სამსახური არ უნდა, ავათმყოფობას იგონებსო, და წამდაუწუმ წასძახებდნენ:

— ჰა, კნიაზ, სამსახური მოგწყინდა? ნუ მოგწყინდება, თორემ ჩვენ წაგახალისებთ!

ერთ დღეს დამიძახეს ექიმთან. რომ შევედი, შემდეგი სურათი ვნახე: იქიმი იჯდა, გაჯავრებული შეპუურებ-

და შ.-ს და რალასაც ეუბნებოდა. იმას კი თავი ჩაეკიდა  
და დამნაშავის სახით იდგა.

— ერთი უთხარი ამას შენებურად—მომიბრუნდა  
ექიმი; რომ დამინახა—უთხარი, რომ ავათმყოფობას ნუ  
იგონებს, მე მეცოდება, არ მინდა ბატალიონის უფროსს  
ვუთხრა, თორემ ხომ იცით სამსახურის თავიდან აცილე-  
ბისთვის რა სასჯელია? უთხარი, ჩააგონე, თორემ მო-  
თმინებიდან გამოვალ და მერე აღარ დაშემდუროს.

ეს ყველაფერი შ.-ს გადავუთარგმნე.

— რა ვქნა?—ურემლ-მორეულმა შემამტირა იმან—  
ღმერთმა ხომ იცის, მე აქ არ მინდა მოსვლა, მაგრამ გუ-  
ლი მტკივა, მახველებს, უნტერ-აფიცრები არ მაყენებენ,  
თუ ავადა ხარ საავადმყოფოში წადიო.

— რას ამბობს?—მკითხა ექიმმა.

შ.-ს სიტყვები გადავუთარგმნე.

— სტყუის! არაფერიც არა სტკივა-რა, დაიკარგოს  
აქედან და თვალით აღარ დამენახოს.

შ. თავ-ჩალუნული გავიდა და ნელის ნაბიჯით რო-  
ტისკენ გაემართა. გავიდა კიდევ ერთი თვე, შ. შესუსტ-  
და და სამსახურის შესრულება ველარ შესძლო. უნტერ-  
აფიცრებიც ატყობინენ, რომ ის სახუმაროდ არ იყო  
ავალ, და ეუბნებოდნენ:

— წადი ექიმთან, რატომ არ წახვალ?

— ვერ წავალ, სამჯერ გამომაგდო, თვალით აღარ  
დამენახოვო—ამ აუჯდებოდა გული შ.-ს და დაიწყებდა  
ქვითინს.

ბოლოს როტის უფროსი ჩაერია საქმეში და ექიმ-  
თან გასასინჯად თვითონ წაიყვანა. ექიმმა გულ-დასმით

გასინჯა და ჩაფიქრდა, კიდევ გასინჯა და სახეზე დაკრთობა შეეტყო.

— ავალ არის, დაწვეს აქ—მოკლედ უპასუხა როტის უფროსს.

ამის შემდეგ ექიმი ყოველ დღე დაკვირვებით სინჯავდა და სხვადასხვა წამლებს უწერდა, მაგრამ შ. დღით დღე სანთელივით დნებოდა.

და ახლა რომ ფერშალმა მითხრა, მაგას მოჩქარებული ჭრექი აქვს და ექიმი ცდილობს სრულიად გაანთვისუფლოსო, ჩავთიქრდი და ყველაფერს მივხვდი: ექიმს სვინიდისი ჰქეჯნიდა, თავს დამნაშავედ სთვლიდა და ეს დანაშაულობა უნდოდა გამოესყიდნა და შ. გაენთავისუფლებინა... გაანთავისუფლეს კიდეც, მაგრამ... ვინ იცის ბათუმს მიაღწია? დაინახა კიდევ სასშობლო მთები? გაიგონა კედევ სამშობლო ენის მუსიკა.? თუ გზაში სიარული ველას შესძლო, საღაც დავარდა, იქ დააწვინეს და საღმე ნოვოროსიისკეში ან უფრო კიდევ შორს განუტევა სული—უცხო, უგულო, გულ-გრილ ხალხში, დედის ცრემლს მოკლებული, მეგობრების, სამშობლოს ხილვით უკანასკნელ წუთებ დაუმტკბარი!

იმავე საავადმყოფოში, იმავე ავალმყოფობით უკანასკნელ დღეებში იყო ურია გერშმანი. ერთ წლის განმავლობაში ხმელა შავ-პურზე ყოფნამ და ჩაციებულმა თოფის ვარჯიშობამ იქამდინ მიიყვანა ეს ფანატიკოსი, რომ სისხლ-ნაკლებობა გაუჩნდა, რომელიც შემდეგ ჭრექად გადაექცა. ის იწვა საავადმყოფო ლოგინში პირდალმა. გამხდარი, თვალებ მორღვეული და ოდნავ პირდალებული. სახეზე ნამწერი სისხლის ნიშანი არ ეტყობოდა, ტუჩები დალურჯებული და წითელიწვერი ისევ

უსწორ-მასწორად შეკრეჭილი ჰქონდა — შედეგი უნტერ-  
აფიცირების ნაძალადევ დალაქობისა. თვალებით ჭერს  
მისჩერებოდა და ძნელად ქშინავდა. არც შიში არც სი-  
სოცხლის დანანება, უკმაყოფილება სახეზე არ ეტყო-  
ბოდა. იწვა გულ-გრილი, არაფერს ამჩნევდა, მის ყურა-  
დლებას არაფერი არ იზიდავდა. ვინ იცის, რას ჰერიქობ-  
და და რას ჰერძნობდა! ? ვინ იცის, თვალ-წინ ეხატებო-  
და სურათები ახლო წისრულისა, სურათები ერთი-ერთმა-  
ნეთზე უარესი, მწვავი, უსიამოვნო! . ლანძლვა, გინება;  
მუჯლუგუნები, დაცინვა, როზვი, შიმშილი — ყველა ეს  
ცუდი, მტანჯავი სიზმარი იყო და მაშინ, როდესაც ის  
თვალებით იატაკს შესჩერებოდა, იქ ღმერთს გულისხმობ-  
და და გულის სილრმიდან უთვლიდა მას მადლობას, რომ  
ამ გრძნობებს დროებით მაინც მოშორებულიყო.

გვერდზე რომ გავუარე, სუსტის ხმით დამიძახა,  
მომცა ხელში ჭუჭყიანი, დაჭმუჭმილი ლია წერილი და  
მთხოვა, წამეკითხნა. ეს იყო მშობლების, წერილი. მამა  
სწერდა: „შვილო, მოითმინე, იყავი მტკიცე შენს გარდა-  
წყვეტილებაზე. ილოცე, მუდამ ილოცე. აქ ტანჯვა  
იქ სამოთხედ შეგეცვლება. ტანჯული აღამიანი წმინდა-  
ნია და იქ ღმერთთან ახლო მოიპოვებს მშვიდობას. და  
გამარჯვებასაო“.

ერთი კვირის შემდეგ გერშმანის უსულო გვამი გარ-  
დაცვალებულების ოთახში უესტით გადაფარებულ მაგი-  
დაზე იდო და ორი ხელებ დაკარწახებული ფერშალი  
თეთრის ტანისამოსებით ექიმის მოლოდინში ცხედარს  
სჭრიდნენ. ექიმი უნდა მოსულიყო, ავადმყოფობა გამო-  
ეკვლია და მისი მიზეზი, მისი მსვლელობა თავის მთავ-  
რობისთვის მოეხსენებინა. ის იგვიანებდა. ფერშლები

მასხარ: ობღნენ, იცინოღნენ და ერთმანეთს ხუმრობით უშვერის პირით ლანძღვდნენ. ბოლოს ერთ მათგანს გული მოუვიდა და, რადგან სწორედ იმ ღროს ცხედრის გულ ღვიძლი ხელში ეჭირა და არ იცოდა საღ დაეწყო, რომ ხელები გაენთავისუფლებინა, იმიან-იმიანად გაექანა და ამხანაგს ბაყვში წიხლი ჩაჰკრა. ამხანაგმაც უპასუხა და თავში ჩაჰკრა ხერხი, რომლითაც ის ცხედარს შუბლს უხერხავდა.

გავიღა კილევ რამდენიმე კვირა და მე გამანთავისუფლეს. ჩემთან ერთად გაანთავისუფლეს რვა კაცი. ჩენ გავემგზავრეთ: ზოგი სახლებისკენ, ზოგიც ისვე თავ-თავიანთ პოლცებში. ძალიან მინდა მოვიგონო და ავხსნა მაშინდელი ჩემი. მდგომარეობა, რასა ვგრძნობდი, რას ვფიქრობდი, მაგრამ არ შემიძლიან მოვიგონო. მგონი, არაფერზე არა ვფიქრობდი. ჩემი ამხანაგებიც გულ-გრილად იყვნენ. დიდ ბეღნიერებას სიხარულის გამოხატვა არა სცოდნია.

სვ. ყიფიანი:

# „წითელი მანტია“

დრამა ოთხ მოქმედებად

თხზ. ბრუნ. (Shnitz)

(ეს პიესა სავრანგეთის აკადემიაშ პრემიით დაჯაფდოვა)

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:

მუზონი—გამომძიებელი.

უფროსი ბრალმდებელი.

ვაგრე—ბრალმდებელი.

პალატის თაემჯდომარე.

როზა ვაგრე—ამისი ცოლი.

არდეი ილი, ბრალმდებ. ამხანაგი.

ბერტა, მათი ქალი.

ბენუა, საქმის მწარმოებელი.

ვიერ ეჩეპარი.

ეონ ბრიტე, გლეხი.

თანეტრა—ამისი ცოლი.

უნდარმების აუიცერი.

დედა ეჩეპარისა

სასამართლოს მოსამსიხურე.

მონტუბელო—დეპუტატი.

კატიალენა, { ვაგრეს

ლაბუზიული—მსაჯული.

ფრანსუა. { მოსამსახურენი.

ბიუნერა—სასამართ. თაემჯდ.

უნდარმები { პირველი.

ქ. ბიუნერა—ამისი ცოლი.

უნდარმები { მეორე.

მოქმედება სჭარმოებს. ჩეენ დროს, მიღეონში.

## პირველი მოქმედება.

საშუალოდ შთოთული სასტუმრო გაგრესი, მიღეონში.

გამოსვლა პირველი.

ბერტა და ქ-ნი ვაგრე.

(ფარდის აწევის დროს, საღამოს ტანთსაცმელში ბორთული ქ-  
ვაგრე სკამებს ალაგებს ოთახში. შემოდის ბერტა, ისიც მორ-  
თულია და ხელში გაზეთი უჭირავს.)

ბერტა. აი, „მიღეონის გაზეთი“! ოფიციალური ნა-  
წილი მამას შეუგზავნე — ეს არის ახლა დაბ-  
რუნდა სასამართლოდან და ტანისამოსს იცვლის.

ქ. ვაგრე. მაშ, სხდომა გათავებულა?

ბერტა. არა. მამას გათავებისთვის ალარ დაუცდია.

ქ. ვაგრე. (გაზეთს გამოართმევს) კიდევ სწერენ რასმე?

ბერტა. ჩვეულებრივად.

ქ. ვაგრე. (გადაშლის გაზეთს) ბევრი ძებნაც ალარ უნდა...

აგერ.. მსხვილი ასოებით: „ირისარში მომხდა-  
რი ბოროტ-მოქმედება“... (ჩათვალიერებს) აგერ,  
ისევ მამა შენს გადასწვდნენ ..(ჟითხულობს). ჩვე-  
ნი ბრალმდებელი, ბ. ვაგრე... (ჩმას დაუდაბლებს)  
„მკვლელი მაინც ვერ უპოვნიათ“... თითქმ  
ჩვენი ბრალი იყოს... „მართლმსაჯულებს სძი-  
ნავთ“... მართლმსაჯულებს სძინავთო, პა? არა,  
ცოდო არ არის აშის თქმა, როცა საწყის მამა.

შენს ორი კვირაა თვალი არ მოუხუჭავს?...  
განა არ აასრულებს თავის მოვალეობას? ან,  
ბ. დელორმი განა სინიდისიერად არ ეპყრობა  
თავის საქმეს? საცოდავი ავადაც კი გახდა ამ-  
დენი ფიქრითა და თავის მტვრევით... ამ სამი  
დღის წინად ვიღაც მაწანწალაც დაატუსალა,  
თუმცა ერთი ბეჭოეჭვი ჰქონდა იმაზე. მეტი  
რაღა უნდათ?... უცნაური ხალხია სწორედ,  
მე და ჩემმა ღმერთმა!

**ბერტა.** ამბობენ, ბასკურ ენაზე რომ გაზეთი გამოდის;  
იქაც რაღაც წერილია ამ საქმის თაობაზე და-  
ბეჭდილიო.

**ქ. ვაგრე.** „Eskual Herria“.

**ბერტა.** ჩვენმა აფთიაქარმა, ეს არის, ახლა მიამბო.

**ქ. ვაგრე.** ეგ კი არაფერია: უფროსი ბრალმდებელი იმ  
გაზეთს არა ჰკითხულობს.

**ბერტა.** პირიქით. ამას წინად მამამ მიამბო—უფროსმა  
ბრალმდებელმა ბრძანა — რა წერილიც კი სა-  
სამართლოს შეეხებოდეს, ყველა გადათარგმნეთ  
და მომიტანეთ ხოლმეო.

**ქ. ვაგრე.** უფროსს ბრალმდებელს უბრძანებია!.. იქ, გვე-  
ყოფა მაგაზე ლაპარაკი!.. რამდენი სტუმარი  
გვეყოლება დღეს?.. სია სად არის?

**ბერტა..** აგერ (ბუხრიდან ქადალდს აიღებს და კითხუ-  
ლობს). სასამართლოს თავმჯდომარე, პალატის  
თვემჯდომარე...

**ქ. ვაგრე.** კარგი, კარგი!.. სულ ცხრა სულია, არა?

**ბერტა.** ცხრა.

ქ. ვაგრე. (თავისთვის) ცხრა სულ სტუმარს ელი და ის  
კი არ იცი, რომელ საათზე გეწვევიან! აი, ეს  
არ მომწონს!.. გინდა თუ არა, სესის გათავე-  
ბისას საღილი უნდა გამართო... სხდომის შემ-  
დეგ საღილი!.. უნდა ველოდოთ, სანამ ის  
ვაჟბატონები მოისურვებენ სხდომის დახურვას.  
(ამთაქხრავს) ოპ, ჩემო შვილო!

ბერტა. რა დაგემართათ, დედავ?

ქ. ვაგრე. ნუთუ ახლაც ისურვებ სამსახურის კაცს გაჰ-  
ყვე ცოლად?

ბერტა. (დარწმუნებით) არაოდეს!

ქ. ვაგრე. ამ ორი წლის წინად ჭი როგორ გენატრე-  
ბოდა.

ბერტა. ახლა ფიქრადაც არ მომდის!

ქ. ვაგრე. მაგალითი თვალ-წინ არა გვაქვს? აი, მამა-  
შენი, მესამე ხარისხოვან ბრალმდებელათ ითვ-  
ლება... რათა? იმიტომ, რომ გაძრომ-გამოძ-  
რომა არ იცის, ფარისევლობა ეჯავრება, ღირ-  
სეული, პატიოსანი კაცი კია. იმ დღის შემ-  
დეგ, რაც ბრალმდებლად არის, სამი კაცი გა-  
აგზავნინა სამუდამოდ კატორლაში, მერე ისეთ  
ადგილიდან, საღაც იშვიათად ხდება ბოროტ-  
მიაქმედება. ეს, განა, საქები არ არის?? მარ-  
თალია, ახლა კი ცუდად მოუვიდა საქმე—ორი  
დამნაშავე ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს...  
მაგრამ რა უუყოთ? ბელმა უმტყუნა... პო და,  
ასეთ ერთგულებაში იცი რას აძლევენ მამაშენს?

ბერტა. ვიცი, ვიცი... მომწყინდა კიდეც მაგ საგანზე  
ლაპარაკი.

ქ. ვაგრე. კიდევაც გეტყვი. საპენსიო თანხისა და ათა-  
სი რაგინდარის გამოკლების შემდეგ, თხუთმეტ  
თუმანს აძლევენ თვეში... ამ ჯამაგიჩით პა-  
ლატის თავმჯდომარესაც გაუმართე საღილი  
და სხვა. ცხრა სულსაც გაუმასპინძლდი. ყვე-  
ლაფერი მზად გვაქვს? ჩემი უურნალი აქ არის?..  
კარგი. ჩემი სავარძელიც ხომ თავის აღგილზეა  
(საჭარელს გადასდგამს). ასე! (თავს უკრავს)  
ბ. თავმჯდომარევ, ინებეთ /და დაბრძანდეთ!..  
მე მგონი ასე ემჯობინება... ჰმ, ჩვენთან ერ-  
თად უბრალო მსაჯულად ნამყოფი დიუფური  
მეორე ხარისხის თავმჯდომარედ დაუნიშნავთ.

ბერტა. მართლა, დედა?

ქ. ვაგრე. (ბუხრიდან წიგნს აიღებს) აი, უურნალში  
ჩაიხედე.

ბერტა. რად მინაა, ისეც მჯერა!..

ქ. ვაგრე. თავისუფლად შეგიძლიან დამიჯერო... რად-  
გან იურიდიული უურნალი ზეპირად ვიცი.

ვაგრე. მამაც დღე-დღეზე ელის წარმატებას?

ქ. ვაგრე. მამაშენი რა ხანია, რაც ელის...

ბერტა. ეხლა კი გადაწყვეტილია ეგ საქმე. პირველ  
თავისუფალ აღგილს დაპირდნენ და, დეფევრი  
რომ გარდაიცვალა... აღგილი დაცლილა..

ქ. ვაგრე. შენ პირს შაქარი! თუ ახლაც არა გამოვი-  
და-რა, მაშინ კი სულ დავიღუბებით. სამუდა-  
მოდ მილეონში მოგვიხდება დარჩენა... ის  
წყეული მკვლელიც რომ ვერ იპოვნეს!.. რა  
საუკეთესო ბოროტ-მოქმედებაა, მერე! სწორედ

სიკვდილით დასჯიღნენ... მამა შენი პირველად  
ისახელებდა თავსა.

**ბერტა.** გულს ნუ იტეხ, დედა, ჯერ კიდევ შეიძლება  
აღმოაჩინონ.

**ქ. ვაგრე.** აღვილად სათქმელია—გულს ნუ გაიტეხო! ვერა ჰქედავ, გაზეთები როგორ გვაბიაბრუებდნენ .. შენ არ იცი, შვილო, რომ პარიზიდან ცნობილი გამომძიებელი უნდა გამოიწერონ თურმე... ეს ხომ ჩვენი შერცხვენაა!.. ყველაფერი კარგად მიდიოდა...და უცბად, ვერ წარმოიდგენ, რა გულადია მამა შენი, როცა გაალვიძეს და ოთხმოცი წლის მოხუცის მკვლელობა აცნობეს, წამოხტა, ხუთი წუთის განმავლობაში ტანთ ჩაიცვა და აცახცახებულის ხმით მითხრა: „ახლა კი თავმჯდომარეობა ხელიდან ველარ წაგვივაო“. (ამოითხრებს). ახლა კი იმ არამზადას გულისათვის ყველაფერი გვეკარგება. (ამთათხრებს). რომელი საათია?

**ბერტა.** ექვსი დაპკრა.

**ქ. ვაგრე.** წაღი, გვარები ჩამოწერე. მარტო წოდება უნდა დასწერო: „ბ. თავმჯდომარე პალატისა“, ბ. თავმჯდომარე მილეონის სასამართლოსა და სხვა.

**ბერტა.** უჰ, რა მეზარება მაგის წერა...

**ქ. ვაგრე.** რას იზამ, შვილო, ჩვეულებაა!.. აგერ მამა შენიც მოდის. გაიქე... სამზარეულოშიც დაპხედე, ისე კი, ვითომ შემთხვევით შეხვედი (ბერტა მიდის).

გამოსვლა შეორე.

გაგრე და ქ. გაგრე.

ქ. ვაგრე. კრება დასრულდა?

ვაგრე. (იყრავშია გამოწუობილი) არა, ბრალმდებლის  
ამხანაგმა ახლა დაიწყო სიტყვა.

ქ. ვაგრე. ახალი არაფერია?

ვაგრე. ბოროტ-მოქმედების შესახებ? — არაფერი. ამას  
წინად რომ მაწანწალა დავატუსალეთ, ისევ გა-  
ვანთავისუფლეთ.

ქ. ვაგრე. რა უბედურებაა!..

ვაგრე. რას იზამ?

ქ. ვაგრე. ერთი ეს მითხარი, შენი გამომძიებელი, დე-  
ლორმი, კარგად კი მიუძღვის ამ საქმესა?

ვაგრე. რაც იმის ხელთაა, არას იზარებს!..

ქ. ვაგრე. ოჯ, მე რომ ვიყო იმის ალაგას...იცი რა,  
გამომძიებლად რომ ქალები იყვნენ — ემჯო-  
ბინებოდა!

ვაგრე. იცი, რა მოხდა?

ქ. ვაგრე. არა... რა იყო?

ვაგრე. დელორმმა საქმეები უკან დამიბრუნა.

ქ. ვაგრე. როგორ? უარს აცხედებს?..

ვაგრე. ავადა ვარო, ამპობს... დღეს ჩვენსაც არ მოვა.  
ნამდვილი მიზეზი კი, ვგონებ, მეგაზეთეების  
დაცინვაა... .

ქ. ვაგრე. გადაწყვეტით გითხრა?

ვაგრე. გადაწყვეტით! კი არსად წამოგცდეს. მე ჯერ  
არავისთვის მითქვამს.

ქ. ვაგრე. ფიქრი ნუ გაქვს. (გართული) ოფიციალურ  
წრეში ახალი არაფერია?

ვაგრე. არის!..

ქ. ვაგრე. არის და, რაღაც გაჩუმებულხარ?... ჩვენ ხომ  
არა შეგვეხება-რა?

ვაგრე. არა. ნანტეიილი ბრალმდებლის ამხანაგად და-  
უნიშნავთ.

ქ. ვაგრე. ნანტეიილი?

ვაგრე. დიალ, ნანტეიილი!

ქ. ვაგრე. ეგ კი მეტის-მეტია! შენ რომ ბრალმდებ-  
ლის ამხანაგი იყავ, ის შენი თანაშემწე იყო!..

ვაგრე. რა ვუყოთ? ბიძაშვილი დეპუტატიდ ჰყავს და  
რა საკვირველია?! (სიჩუმე).

ქ. ვაგრე. (ჩამოჯდება და სტირის) ჩვენ კი ვერა გვე-  
შველა-რა და.

ვაგრე. კარგი, ჩემო კარგო... გეყოფა!.. ტირილი რას  
გვიშველის?..

ქ. ვაგრე. (ისევ სტირის) შე საწყალო... კარგად მეს-  
მის, რომ შენი ბრალი არ არის... რაც შე-  
გიძლიან, ცდილობ... შენ შენი გადაჭარბებუ-  
ლი პატიოსნება გვნებს... მაგრამ, არ გაყვედ-  
რი, რა ვუყოთ? მაგრამ რომ ვერც გავჩუმე-  
ბულვარ, ყველა თავზე გადაგვახტა... მაღა-  
შენზე ძველი ბრალმდებელი აღარსად იქნება  
მთელს რესპუბლიკაში...

ვაგრე. ეპ სად არის ჩვენი უურნალი?

ქ. ვაგრე. (ტირიდით) აი, იქ არის... ცოტა კიდევ და-  
ძველის-ძველი შეიქმნები.

ვაგრე. (წიგნს გადისერის) კარგია, გაჩუმდი, თუ ღმერ-  
თი გწამს!.. ლეფევრის ადგილს ხომ დამპირ-  
დნენ!..

ქ. ვაგრე. ვიცი!..

ვაგრე. უფროსი ბრალმდებელი და თავმჯდომარე—  
ორივე დამპირდნენ, ეს ადგილი შენ არ აგუ-  
დებაო.

ქ. ვაგრე. ეგ არაფერია, ღეპუტატი რომ დაგპირებო-  
და, ეს სხვაა... ღლევანდლამდი სულ აღმა-  
ტებას ეჭი... ხომ ხედავ, ლოდინით არა გა-  
მოდის-რა—უნდა ეცადო... თუ ასე მოიქცევი,  
ცალიერზედაც დარჩები... .

ვაგრე. სამაგიეროდ,—მე პატიოსანი კაცი ვარ!..

ქ. ვაგრე. პატიოსანი რომ ხარ, იმიტომ უფრო უნდა  
ეცადო, რო უმაღლესი ადგილი დაიჭირო.. თუ  
პატიოსანს და ლირსეულს მოხელეებს სხვები  
გადაახტებიან თავზე, მაგისტრატუ რა რადლეში  
ჩავარდები!..

ვაგრე. მაგას, მართალს ამპობ!..

ქ. ვაგრე. პატიოსნებას არავინ გართმევს!.. ღეპუტატის  
მხრივ კი რომ შეეცადო საქმეს, ჩვენ ყოფა-  
ცხოვრებას გააუმჯობესებ.. თუ ასე არ მოიქ-  
ცევი, მაშინ შენ იქნები დამნაშავე... სამინი-  
სტროს მხარე, დაუჭირეთ,—ამის მეტს ხომ  
არას თხოულობენ შენგან?..

ვაგრე. სწორეთ რომ ვსთქვა, სამინისტროს წინალ-  
მდევი არა ვარ... .

ქ. ვაგრე. უფრო კარგი!.. სამინისტროს მხარის დაჭე-  
რით, საზოგადოებას დაუჭირ მხარსა!.. ეს მო-  
ვალეობის აღსრულება!..

ვაგრე. დიდების მოყვარე ხარ.

ქ. ვაგრე. არა, ჩემო მეგობარო!.. მაგრამ მომავალზე-  
დაც უნდა იფიქრო... კარგათ იცი რა, გასა-  
ჭირშიცა ვართ... აგრე პერტაც წამოგვეზარდა,  
გასათხოვარი გაგვიხდა... რაც დრო გადის, თან-  
დათან მეტ ხარჯს ითხოვენ... ახლა ისეთი  
აღგილი გიჭირავს, რომ, ძალაუნებურად, მეტი  
ხარჯი მოვდის... რას იზამ, გასვლაა საჭირო,  
გამოსვლა, შესაფერი ჩატარება. აი, უორ-  
უი პოლიტეხნიკურში გვინდა მივაბაროთ?.. —  
ჰენრიხი იურიდიულზე აპირობს შესვლას...

ვაგრე. (სიჩუმის შემდეგ) ჯერ ყველაფერი არ მითქვამს  
შენთვის.

ქ. ვაგრე. რა იყო? არის რამე?

ვაგრე (დარცხევებით) კურტენი სასამართლოს წევრად  
დაუნიშნავთ.

ქ. ვაგრე. (ბრაზმოსული) კურტენი? აი, ის სულელი?..

ვაგრე. დიალ?

ქ. ვაგრე. ეგ კი მეტის-მეტია.

ვაგრე. რას იზამ? იუსტიციის მინისტრი და ის ერთი  
ქვეყნილან არიან.

ქ. ვაგრე. ყოველთვის რამე მიზეზი. გამოტყვრება,  
რა თქმა უნდა?.. კურტენი... წარმოდგენილი  
მაქს, როგორ იპრანქება ახლა იმისი ცოლი.  
ქ. კურტენი; რომელიც ორს სიტყვას ვერ დას-  
წერს ხეირიანად... რა მშვენიერი, იქნება, თავის  
ყვითელ შლიაპაში!.. გახსოვს იმისი ყვითელი  
შლიაპა?..

ვაგრე. არა!

ქ. ვაგრე. იმ ფერი უნდა ჩაეცვა იმის ქმარსაც!..

ვაგრე. როზა, მკაცრი ხარ, მკაცრი!

ქ. ვაგრე. (აღელვებული) უგრძნომ... მაგრამ ამით ვი-  
ოხებ ნალველის,..

### გამოსვლა შესახვა.

იგინივე და კატიალენა.

კატიალენა. (ბოჭხით სეჭუში) დღეს რომ ბოლჩა გამო-  
მალებინეთ, სად წავილო?

ქ. ვაგრე. რა ბოლჩა?

კატიალენა. განა დაგავიწყდა? აი, ტანთსაცმელის ოთა-  
ხიდან რომ გამომატანინეთ.

ქ. ვაგრე. (აჩქარებით) ჰო... ჰო... ჩემ თახახში შეიტა-  
ნეთ... ან არა და, აქ დამიტოვეთ, მე თითონ  
გავიტან...

კატიალენა. ბატიანი ბრძანდებით. (დასდებს ბოლჩას და  
გავა).

ქ. ვაგრე. (უსუნებს ბოლჩას და თავისთვის) კიდე კარ-  
გი, რომ ნაფტალინი დავაყარე, თორემ ერთხე-  
ლაც ვერ ჩაიცვამდი, ისე შესჭამდა ჩრჩილი.

ვაგრე. რა არის?

ქ. ვაგრე. (გახსნის ბოლჩას) უყურე!

ვაგრე. ომ, ჩემი წითელი მანტია, ორის წლის წინად  
რომ მიყიდე.

ქ. ვაგრე. დიალ. მაშინ შენ აღვილას გომარი დანიშ-  
ნეს.

ვაგრე. რას იზამ? გომარი ერთი დეპუტატის სიძე იყო!

ქ. ვაგრე. რა ვიცი, მე რაღა ლმერთი გამიწყრა,—დე-  
პუტატებში ერთი ნათესავი არ გამაჩნია.

ვაგრე. წაიღე... გული მწყდება, რომ ვუყურებ. (გაუწოდებს წამოსასხამს, რომელიც თითონევე გასხნა) ახლა აღარც კი დაშვენდება და...

ქ. ვაგრე. ეს ტანისამოსი ყველას დაშვენდება!

ვაგრე. აბა, ვნახოთ. (ფრაგს გაიხდის).

ქ. ვაგრე. გარდა ამისა რომ ლამაზია, წელიწადში ორმოცი თლმანიც მოაქვს...

ვაგრე. ჯერ პეტი არ დაჰკარგვია! (შემოდის ბერტა. ვაგრე აჩქარებით მალავს წამოსასხამს). რა იყო?

### გამოსვლა მეოთხე

ვაგრე, ქ. ვაგრე და ბერტა.

ბერტა. მე ვარ, მამა!

ვაგრე. როგორ შემაშინე!

ბერტა. (წამოსასხამს შენიშნავს) აღმატება მოგცეს, მამა?.. ჰა?..

ვაგრე. დამანებე თავი. კარები ჩაკეტე.

ბერტა. (დედას) დედა, აღმატება მისცეს?

ქ. ვაგრე. რასაც გიბრძანებენ, ის გააკეთე... არა, არა მიუკიათ-რა. (ბერტა კარებს ჩაკეტავს).

ვაგრე. სულ ახალს არა ჰვავს? (წამოისხამს).

ქ. ვაგრე. რატომ არ უნდა ჰვავდეს? საუკეთესო ამოვარჩიე.

ვაგრე. ეჭ, ეს უნდა მოვისხა მხრებზე, რომ ირისარის მკვლელი სიკვდილით დავასაჯვინო!.. ამის გამომგონი ჭკვიანი კაცი ყოფილა, მე და ჩემმა ღმერთმა!.. ნაფიც მსაჯულებს შიშა და პატივისცემას აგრძნობინებს... თურთ ბრალმდებ-

ლებსაც კი!.. ერთი ბრალმდებელი მახსოვს—  
მთელი სხდომის განმავლობაში თვალი არ მო-  
უშორებია ბრალმდებლის მანტიისათვის... ამას  
რომ მოიგდებ, თითქო ძალაც გემატება; მიხვრა-  
მოხვრაც დიდებული გაქვს... ¶ ბ. მსაჯულნო  
და ნაფიცნო მოსამართლენო“.... რა შთაბეჭ-  
დილებას მოაწდენდა ჩემი სიტყვა?! ბ. მსა-  
ჯულნო და ნაფიცნო მოსამართლენო, მე შუ-  
რისძიების ხმა ვარ. უკვდავი პრინციპები და  
ჩემი მოვალეობა მაიძულებს (ლაშაზად ხელს  
გაიქვევს) ვითხოვო ამ პარამზადის სიკვდილით  
დასჯა...

ქ. ვაგრე. რა საუცხოვდ ლაპარაკობ!.. (ვაგრე შერებს  
აიწევს, ამთითხებს, დინჯად მთისხნის მან-  
ტიას და ცოდს გადაწყდებს).

ვაგრე. წაიღე, შეინახე...

ქ. ვაგრე. მგონი, ზარი ჩამოჰკრეს?

ბერტა. ჰო, ზარის ხმა იყო. (მიირბენს ქარებთან და  
კარებს გაადებს).

ქ. ვაგრე. (მანტიას ბერტას აძლევს) წაიღე საღმე...

ბერტა. ახლავე, დედავ! (ბოლგჩაში გამოჰქრავს და წას-  
ვლას დაპირებს.

ქ. ვაგრე. ბერტა!

ბერტა. რა იყო?

ქ. ვაგრე. (ცრემლ-მორეული) ცოტა ნაფტალინი კი-  
დევ წააყარე (ბერტა გავა).

818082808 808080.

გაგრე, ქ. გაგრე და კატიალენა.

კატიალენა. (გაზეთს მიაწოდებს) ეს-ეს არის მოიტანეს და მიბრძანეს, თქვენთვის გადმომეცა (მიდის).

ვაგრე. რა არის? ბასკების გაზეთი „Eskual Herria“. რაღაც წერილი ლურჯად არის შემოხაზული. კითხულობს Eskual herri guzia, hamaharz egun huntan... ამ მხეცების ენაზედ ვერას გაიგებს ადამიანი.

ქ. ვაგრე. (რომელიც ქმრის ზურგს უკანიდან იუკრებოდა და ქმართან ერთად ისიც კითხულობდა აქ შენზედაც სწერია!..

ვაგრე. ჩემზე კი არა!

ქ. ვაგრე. როგორ არა? აი, ნახე! (კითხულობს). Vagret psocuradoreak galdegin (იტყვის) დამაცა პატარა. (კარებს გამოადებს და იძახის) კატიალენა, კატიალენა!..

ვაგრე. რა გინდა?

ქ. ვაგრე. გადაგითარგმნის. (შემოდის კატიალენა) კატიალენა, წაგვიკითხეთ ერთი აქ რა სწერია?

კატიალენა. (კითხულობს) Eta gaitzegilea orda oraino dakopian Jrissarryko.

ვაგრე. რაო, რა არისო? (შემოდის ბერტა).

კატიალენა. ირისარიბის მკვლელი ჯერ ვერ უპოვნიათო.

ვაგრე. ეგ ჩვენც კარგად ვიცით. მერე?

კატიალენა. (კითხულობს) „Baginakien yadanik doma Mauleano tribunala yuye bourrn arin edo

tzarrenda ko beréchiazel... მოლეონში  
სხვაგან დაწუნებული და გამოძევებული მსა-  
ჯულები არიან, და არაფრის უნარი არა  
აქვთო... ცარიელი გოგრები...

ვაგრე. კარგი. კარგი..

ქ. ვაგრე. არა, კატიალენა, განაგრძეთ!

კატიალენა. (კონტაქტს) Jann hougn Biribi.

ქ. ვაგრე. ბირიბიო?

კატიალენა. დიალ, ქალბატონო.

ქ. ვაგრე. რას ნიშნავს თქვენებურად ბირიბი?

კატიალენა. არ ვიცი, ქალბატონო...

ქ. ვაგრე. როგორ არ იცით?.. თქვენ თქმა არ გინდათ?..  
გინება არის?..

კატიალენა. გინება რომ იყოს, გავიგებდი, ქალბატონო...

ქ. ვაგრე. ბი—რი—ბი...

ბერტა. იქნება, მეტი სახელი იყოს?..

ქ. ვაგრე. შესაძლებელია!.. (ცოტა ხნის ჩიჩუმის შემ-  
ღებ) არა, განაგრძეთ, კატიალენა!

კატიალენა. ჩვენ ბატონზე სწერენ.

ქ. ვაგრე. (ქმარს) აკი გითხარი... (კატიალენას) რას ამ-  
ბობენ? ილანძლებიან?

ვაგრე. გელბნებით—კმარა-მეთქი! (გამოჭირდიჯაჭვს კატია-  
ლენას გაზეთსა და ჭიბეში იდებს) წალით თქვენ  
ადგილის! ჩქარა!

კატიალენა. ალარას ვიტყვი, ბატონო, რაცა სწერია...

ვაგრე. არც საჭიროა, წალით.

კატიალენა. მაშინვე ვიცოდი, რომ გეწყინებოდათ...  
(წასვლას აპირობას).

ქ. ვაგრე. კატიალენა!

კატიალენა. რას მიბრძანებთ, ბატონო?

ქ. ვაგრე. მართლა არ იცით „ბირჩი“ რასა ნიშნავს?

კატიალენა. არ ვიცი, ღმერთმანი.

ქ. ვაგრე. კარგი, მაშ წადით! (კატიალენა გადის).

### გამოსვლა შევვასე.

ვაგრე, ქ. ვარგე, ბერტა და შემდეგ ფრანსუა.

ქ. ვაგრე. ხვალვე დავითხოვ.

ვაგრე. მე მაინც...

ქ. ვაგრე. სუ!.. აგერ სტუმრებიც მოდიან!. ბერტა, ხელ-  
საქმე აიღე, ჩქარა... ჩემი უურნალი სად არის?..  
(წიგნს აიღებს და დედა-შვილი დასხდებიან, დედა  
კითხულობს და ბერტა საჭმობს. სიჩუმე).

ბერტა. რაღას უცდიან, ნეტა!

ქ. ვაგრე. ეგ — ქ. ძიუნერა.

ფრანსუა. (გამოაცხადებს) ბ. თავმჯდომარე მეუღლით.

ქ. ვაგრე. (მიეგებება) გამარჯობით, ჩემო ძვირფასო.  
(ხელს ჩამოართმევენ)

ფრანსუა. (განაგრძობს) მსაჯული ბ. ლაბუზიული! გა-  
მომძიებელი ძ. მუზონი!... (მისალმება, გავფ-  
გამოიყლიან).

### გამოსვლა შევიდე.

ვაგრე, ქ. ვაგრე, ბერტა, ბიუნერა, ქ. ბიუნერა, ლაბუზიული  
და მუზონი.

ქ. ვაგრე. (ქ. ბიუნერას) ერთი სესიაც ხომ გათავდა.

ქ. ბიუნერა. ღიაღ, მაღლობა ღმერთსა!

ქ. ვაგრე. ოქვენი პატივცემული მეუღლე, რა ოქმა უნ-  
და, კმაყოფილი იქნება?

ქ. ბიუნერა. მგონია, რომ არც თქვენი ქმარი დარჩებო-  
და უკმაყოფილო...

ქ. ვაგრე. პალატის თავმჯდომარე?

ბიუნერა. ცოტა ხნის შემდეგ გიახლებათ... ხვალ გათე-  
ნებისას აპირობს წასვლას და იმდენი ხელ-მო-  
საწერი ქალალდები მოუგროვდა, რომ ვერ  
მოიცალა: წარმოიდგინეთ, სსღომის გათავებამ-  
დის ძლიერ მოვითმინეთ... როცა შევამჩნიეთ,  
რომ საქმე გაჭიანურდებოდა, ფრაკებისთვის  
გავგზავნეთ სახლში... მსაჯულნი სათათბიროდ  
რომ შევიდნენ, ჩვენ ფრაკები ჩავიცვით, ზეი-  
დან მანტია წყმოვისხით და განაჩენი ისე გა-  
მოვაცხადეთ...

ქ. ვაგრე. მერე, როგორი განჩინება დაადგინეთ?..

ბიუნერა. გავამართლეთ. გამართლებისა!..

ქ. ვაგრე. კიდევ, გამართლება?.. ნაფიცი მსაჯულნი  
მთლიად რეგვენები ყორფილან!

ვაგრე. მეგობარო, ძალიან თავისუფლად ლაპარაკობ!..

ქ. ბიუნერა. კარგი, ჩემო ძვირფასო... გული ნუ გაგი-  
ტყუჩებათ (იქით განუვანს).

ბიუნერა. (გაგრეს) დიალ, ჩემო ძვირფასო ბრალმდებე-  
ლო... ამ სესიაში, ეს მესამეა მაგისთანა განა-  
ჩენი...

მუზონი. (ორმოცი წლისა. ძალაან კარგად აცვია, მი-  
მისერა-მოხვერა ლამაზი, მშვენიერი ბაკენბარდები)  
სამი გავანთავისუფლეთ, რაღიან გამამტყუნებე-  
ლი საბუთი არა იყო-რა!

ბიუნერა. ვექილები შავს მანტიაში დიდად გაიხარებ-  
დნენ.

**ლაბუზიული.** (სამოცდა-ათი წლისა) თქვენ კი გნებავთ,  
რომ წითელმა ფერმა გაიმარჯოს, ჰა!.. სისხლი  
გყვარებიათ!

**ბიუნერა.** ლაბუზიულ, თქვენ ცინიკი ბრძანდებით! არ  
მესმის, როგორა კაღრულობთ მაგისთანა ხუმ-  
რობას.

**ლაბუზიული.** ბრალდებული რომ გაგემტყუნებინათ, მა-  
შინ ვეღარ ვიხუმრებდი.

**ვაგრე.** საქმე ბრალდებულებს კი არა, პირადათ ჩვენ  
შეგვეხება. თუ იმედი გაქვთ, რომ სამინისტრო-  
ში ამისთვის მაღლობას გადაგვიხდიან, დიდად  
სცდებით!

**ბიუნერა.** მაგას რა ენაღვლება, თუ მილეონის სასამარ-  
თლოს პარიზში სახელი გაუტყდება?!

**ლაბუზიული.** მართალსა ბრძანებთ, ბიუნერა... მართა-  
ლია, მე რა მენაღვლება... იმედი აღარაფრისა-  
მაქვს. აგრე, ერთი კვირის შემდეგ, სამოც და-  
ათი წლისა შევიქნები და, საცაა, დამითხოვენ  
კიდეც სამსახურიდან. ამისათვის შემიძლიან  
თავისუფლად სინიდისიერად გავარჩიო ხოლმე  
საქმეები.... ნუ გამიწყრებით, ბატონებო...  
მეტს აღარას მოგახსენებთ... აგრე, უურნალსა-  
ვხედავ, წავალ ისევ და თავისუფალ ადგილებს  
მოგიძებნით ცველას (მარცხნივ დაჯდება).

**ბიუნერა.** აგრე სჯობიან. (ფაგრეს) პალატის თავმჯდო-  
მარე საშინლად სჯავრობს.

**მუზონი.** რასაკვირველია, სასიხარულო ან იმას რა აქვს! -  
ვაგრე. ჩემი ამხანაგი?

**ბიუნერა.** ის ხომ ლაპარაკის ღირსიც არ არის!

მუზონი. სულ იმისჩ ბრალიღ!.. ბრალდებულის შებრა-  
ლება ითხოვა!..

ბიუნერა. საიდან გამოვერია ეგ სულელი?

ვაგრე. გარწმუნებთ, ჩემი ამხანაგი სრულიადაც არ არის  
სულელი.. პარისში კონფერენციის მდივნად  
იყო. უმაღლესი ხარისხით აქვს სწავლა დამ-  
თვრებული. დიდი ნიჭის პატრონიც არის.

ბიუნერა. ნიჭის პატრონი!

ვაგრე. გიმეორებთ, ჩემი ამხანაგი დიდი ნიჭის პატრონია  
და შეერმეტყველიც.

ბიუნერა. დღეს დაგვიმტკიცა.

ვაგრე. მეტად პატიოსანი ყმაწვილია.

ბიუნერა. (გაჯვრებული) მაგ ნიჭის პატრონი ვექილად  
უნდა წავიდეს და არა მსაჯულად.

ქ. ვაგრე. (თაბუზიულს, რომელიც იმათ მოუახდოვდა)  
მართლა სულ ბრალმდებლის ამხანაგის ბრა-  
ლია?

ქ. ბიუნერა. გვიამბეთ დაწვრილებით.

ლაბუზიულ. დიდის სიამოვნებით... (უაშთბს იმათ. ვა-  
გრეც მიუახდოვდება).

ტუჩონი. (ბიუნერას) ეხლა უფრო გაუძნელდა საცოდავ  
ვაგრეს წარმატების მიღება.

ბიუნერა. (ღიმილით) ბედი არა სწყალობს საბრალოს...

მუზონი. ნუ თუ მართლა უპირებდნენ დაწინაურებას,  
როდესაც მიღეონის სასამართლოში უფრო  
ღირსეული სხვა არის?.

ბიუნერა. (თავდაჭერით) მაგისთანას ვერავის ვხედავ...  
ვიზედა ბრძანებთ?

**მუზონი.** რასაკვირველია, თქვენზე, ბ. თავმჯდომარევ.

**ბიუნერა.** მართალია, სამინისტროში იყო ლაპარაკი ჩემზე, მაგრამ...

**მუზონი.** თქვენის თავმჯდომარეობით ასე კი არ ჩაივლიდა დღევანდელი სხდომა.

**ბიუნერა.** რადა გგონიათ, ძვირფასო, მუზონ?

**მუზონი.** ერთხელ გნახეთ თავმჯდომარედ (იცინის).

**ბიუნერა.** რალა გაცინებთ?

**მუზონი.** ერთი თქვენი სიტყვა მომაგონდა.

**ბიუნერა.** ჩემი სიტყვა?.. რომელი?..

**მუზონი.** იმ დღეს ძალიან ჟარგ გუნებაზე იყავით... - სეტყვასავით აყრიდით შახვილ სიტყვებს..., როგორ იღრიჯებოდა ბრალდებული.... გახსოვთ, აის... დაგლეჯილი-დაფლეთილი რომ იყო... სახელად უკ-მაგონი.

**ბიუნერა.** ჰომ!.. მე რომ ვუთხარი, აბა, გაგებით ახსენით თქვენი საგანი...

**მუზონი.** (ხარხარებს) დიალ, დიალ!.. ის სულელი ბრალდებულის მოწმე... ყოველ სიტყვაზე რომ იჭერდით, ვერც კი დაათავა ჩვენება, რადგან საშინელი ხარხარი ატყდა, თქვენ რომ უთხართა: „თუ თქვენა გნებავთ თავმჯდომარეობა, მიბრძანეთ, დიუის სიამოვნებით დაგითმობთ ადგილსაო“...

**ბიუნერა.** მართლა! ქალბატონო, ჩვენშა ძვირფასშა მუზონმა ერთი სასაცილო ამბავი მომაგონა, ამას წინად ერთ სხდომაზე..

### გამოსვლა მერვე

იგინივე, ფრანცეულა და არდეკილი.

**ფრანსუა.** (გამოცხადებს) ბ. არდეილი, ბრალმდებლის  
ამხანაგი.

**არდეილი.** (ქ. ვაგრეს) მაპატიეთ, ბატონო, რომ ასე  
დავიგვიანე; მოცლა არა მქონდა.

**ქ. ვაგრე.** მით უმეტეს გაპატიებთ, რომ დღეს ისე გა-  
გიმარჯვიათ, რომ მთელი ოლქის ვექილები  
შურით დაიხოცებიან თურმე...

**ლაბუზიული.** (არდეილს მხარზე ხელს დაადებს) თუ  
შეიძლება, ერთი წუთით ჩემ გვერდით დაბრ-  
ძანდით... (მოშორებით დასხდებიან) იცია რას  
გეტყვით? დღევანდელისთანა სხდომა რომ სამ-  
ჯერ-ოთხჯერ გამეორდეს, მერწმუნეთ, ადგილს  
დაპკარგავთ.

**არდეილი.** ადგილს დავკარგავ?.. რადა?

**ლაბუზიული** იმიტომ რომ ამხანაგებში მეტად ერჩევით.

**არდეილი.** ვერჩევი?.. მერე თქვენ... მიუხედავად იმისა,  
რომ მსაჯულთა ბჭობა ხალხის დაუსწრებლად  
ხდება, მაინც კარგად ვიცი, რომ გულკეთილი  
და დამოუკიდებელიცა ბრძანდებით.

**ლაბუზიული.** ეგ მართალია. ამ ბოლო დროს მეც მივ-  
დევ მაგ ფარფაშს.

**არდეილი.** ბოლო დროს?..

**ლაბუზიული.** დიალ, ჩემო მეგობარო. ბოლო დროს,  
რაღვან დიდი ხანი არ არის, რაც იმ სენისგან  
განვინკურნე, რომელიც პატიოსან ხალხს  
ცუდ მსაჯულებად გადააცევს ხოლმე. ეს სე-  
ნი—ალმატების სურვილია (უვეჯაზე უჩვენებს)

აბა, ამათ შეხედეთ. ესენიც, იმ სენია რომ არ იყვნენ ავალმყოფნი სამართლიანები იქნებოდნენ. ეხლა კი ყველა მათგანი მლიქვნელია, მსაჯულობაში კი სასტიკი...

**არდეილი.** თქვენ აჭარბებთ, ბატონო!.. საფრანგეთის მაგისტრატურა..

**ლაბუზიული.** მოუსყიდველია,— სრული ჰეშმარიტებაა: ოთხი ათას მსაჯულში ყოვლად დამცირებულთა და ღარიბთა შორისაც კი, გესმით, დამცირებულთა და ღარიბთა შორისაც კი ერთსაც ვერ იპოვნით იმისთანას, რომლის მოსყიდვა ფულით შესაძლებელი იყოს. ამას ყველა იტყვის. მაგრამ, იმავე დროს, მსაჯულთა უმეტესი ნაწილი მზად არის რომელისამე დიდი პირის სასიამოვნოდ, დეპუტატის ან თვით მინისტრის გულის მოსაგებად, თავისი აზრი შესცვალოს. და, რა ვეღრებაც გინდათ, შეგისმინოთ. ხმის უმეტესობითი არჩევანები ღმერთიცაა მსაჯულებისთვის, მტარვალიც. მართალია, თქვენ არა სცლებით, მაგრამ, ღვთის წინაშე, არც მე ვსტყუი.

**არდეილი.** დამოუკიდებლობას ვერავინ წაგვართმევს.

**ლაბუზიული.** სრულ ჰეშმარიტებას ბრძანებთ, მაგრამ, ტრკვილისა არ იყოს: „ჩვენ თითონ ვსწირავთ დამოუკიდებლობას მსხვერპლად“...

**არდეილი.** თქვენ მიზანტროპი ბრძანებულხართ, ბ. ლაბუზიულ. არიან ისეთი მოსამართლენიც, რომლებზედაც ვერავითარი დაპირება...

**ლაბუზიული.** დიალ, დიალ არიან... მაგრამ მაგისთახები

მხოლოდ ისინი არიან, ვისაც არც უჭირს და  
არც აღმატების სურვილი ასულდგმულებს...  
დაალ, არიან ყოვლად უცნობი და შეუმჩნევე-  
ლი მსაჯულნი, რომელთაც მსხვერპლად მო-  
უქვეთ თავიანთი თავი და არც არას ეპოტინე-  
ბიან, მაგრამ, მერწმუნეთ, მილეონის სასამარ-  
თლოს კი, საშუალო ადგილი უჭირავს..., აჭარ-  
ბებთო, მეუბნებით. კარგი! ვსთქვათ, მილეო-  
ნისთანა სასამართლო სატრანგეთში, სულ ორ-  
მოც და ათი მოიძებნება—ვსთქვათ ოცზე მეტიც  
არ არის... მაგრამ ერთიც რომ ყოფილიყო  
მაგისთანა, ისიც ბევრი იქნებოდა. ეჭ, ჩემო მე-  
გობარო!.. აბა, თქვენი აზრიც მითხარით ჩვენ  
სასამათლოზე.

**არდეიოლი.** ჩვენი სასამართლო საგონებელში მაგდებს...

**ლაბუზიული.** არა ხუმრობთ?

**არდეიოლი.** სრულიადაც არა.

**ლაბუზიული.** გინდათ გამოცდილი კაცის დარიგება?  
იმისთანა კაცისა, რომელსაც მთელი ორმოცი  
წელიწადი მესამე ხარისხოვან სასამართლოში  
უმსახურნია?..

**არდეიოლი.** დიდის სიამოვნებით.

**ლაბუზიული.** დაანებეთ სამსახურს თავი. თქვენ შეცდო-  
მა მოვსვლიათ, რომ ჩვენი მანტია წამოგისხავთ.  
იმ აზრების განხორციელება, რომლებიც დღეს  
წარმოსთქვით, მხოლოდ სასულიერო პირებს  
შეუძლიანთ და, მაშასადამე, თქვენც იმათი მან-  
ტია უფრო შეგტერით.

**არდეიოლი.** (თითქმ თავისთვის) მართალია... მაგრამ მაგ

შემთხვევაში მდაბიური გული და სარწმუნეო-  
ბაა საჭირო.

**ბიუნერა** (ყველას) ჩვენი ოლქის დეპუტატი ერთი კვი-  
რით მაინც რომ იყოს მინისტრად, მარტო ერ-  
თის კვირით...

**ლაბუზიული.** (არღეილს) აი, რა უნდა გენატრებოდეთ,  
ჩემო შეგობარო.

### გამოსვლა მიცხელე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა ფ რ ა ნ ს უ ა .

**ფრანსუა** (ქ. ვაგრეს წერილს მიაწოდებს) პალატის თავ-  
მჯდომარისაგან გახლავთ (მიდის).

ვაგრე, არ მოვა?

**ქ. ვაგრე.** (წერილს რომ წაიკითხავს) დიალ, არ მოვა.

**ბიუნერა.** წინდაწინვე ვიცოდი.

**ქ. ვაგრე.** თავის ტკივილს ჩივის. ექვს საათზედა და ორ-  
მოცდა შვიდ წუთზე წასულა.

**მუზონი.** ეს სახუმარო საქმე არ არის!..

**ქ. ბიუნერა.** ამაზე აშკარად თავის უკმაყოფილებას ვეღარ  
გამოხატავს

**ბიუნერა.** რასაკვირველია!.. სამი კაცი გავამართლეთ,  
სამი!..

**ქ. ბიუნერა:** ვინმე გამოჩენილი ვექილი რომ დაგვსწრე-  
ბოდა, კიდევ ჰო, მაგრამ ადგილობრივ ვექი-  
ლებთან გვქონდა საქმე?

**ქ. ვაგრე.** (პერტას) ახლა, რა მოხსენებას წარადგენს,  
ჩემო შვილო?!

**ბერტა.** პის მოხსენება?

**ქ. ვაგრე.** არ იცი, რომ ყოველ სესიის გათავებისას

თავმჯდომარე მოხსენებას წარუდგენს ხოლმე  
მინისტრსა? (ქ. ბიუნერა მიჭხედავს) ეჭ, ვაი ჩვე-  
ნი ბრალიცა!.. (ქალები ცოტა მოშორებით ში-  
სხდებიან).

**მუზონი.** ბატონი, სამი ბრალდებულის გამართლება!..  
ირისარის მკვლელობა!.. რა გვიშავს, კაი მდგო-  
მარეობაში ვართ!

**ბიუნერა.** იცით რა გითხრათ, ძვირფასო ვაგრე, მე პირ-  
დაპირი კაცი ვარ და მიკიბ-მოკიბვა არ მი-  
ყვარს... გულახდილად გეუბნებით; მე, ხომ  
იცით, გლეხის შვილი ვარ,— ამას მე არაოდეს  
არა ვმალავ... ჰო და... მე მგონია, რომ ოქვე-  
ნი სასამართლო... რასაკვირველია, ყოვლად  
პატიოსნად მიგყავთ საქმე... მაგრამ... მე მგო-  
ნია... როგორა ვსთქვა? მე მგონია, ოქვენი სა-  
სამართლო ცოტა მოლბა, მოსუსტდა. ბ. მუ-  
ზონ, გახსოვთ, სტატისტიკურ ცნობებს რომ  
ვათვალიერებდით, მაშინაცა ვსთქვით მე და  
თქვენ ესა?

**მუზონი.** წლევანდელი წელიწადი ხომ სულ ცუდი იქ-  
ნება ჩვენთვის.

**ბიუნერა.** ისიც გეცოდინებათ, რომ სამინისტროში ჩვენს  
სასამართლოს უმაღლეს ხარისხში უპირობინენ  
ჩარიცხვას, მაგრამ, ამის შემდეგაც თუ ასე წა-  
ვა საქმე, მაშინ კი, მე მგონი, ისევ მესამე ხა-  
რისხოვანად დაგვტოვებენ.

**მუზონი.** როგორმე ისეთი ჩვენება უნდა წარვალგინოთ,  
ვითომც ძალიან ბევრი საქმე გვაქვს.

**ბიუნერა.** მერე რაღას უყურებთ?... სამაგისო მასალა ცოტა არა გაქვთ!..

**მუზონი.** წარმოიდგინეთ, შარშანდელთან შედარებით, ას თვრამეტით ნაკლები დავატუსალეთ...

**ბიუნერა.** სასამართლოს არავითარი ბრალი არ მიუძღვის მაგაში. ჩვენ ყოველ ღონესა ვხმარობთ, რომ საზოგადოება საკებით და კარგად დავიცათ ბოროტ-მოქმედებისაგან.

**მუზონი.** თქვენ ბრალდებულნი უნდა მოგვცეთ, რომ შეგვეძლოს იმათი დასჯა.

**ვაგრე.** ამას წინად კონტრაბანდის შესახებ მეტად სასტიკი ბრძანება გამოვეცი. ეს ბოროტ-მოქმედება ხომ მეტად გახშირებულია ჩვენ მხარეს.

**ბიუნერა.** მაღლობა ღმერთსა!... თქვენ კარგად გესმით, როგორც ვუყურებთ ჩვენ საქმეს... საზოგადოების უზრუნველყოფა გვაფიქრებს, მეტი ხომ არაფერი!

**მუზონი.** მესამე ხარისხოვნ სასამართლოებს ყველას ჩამოვრჩით. აი, ამას წინად ჩვენ გამოვიანგარიშეთ... (ჭორტოველიდან ქადალდს ამოიდებს და უცაბედათ სხვა ქადალდებს აპნევს. დაბუზიული იდებს). შეხედეთ.

**ლაბუზიულა.** ქალალდები გაგეფანტათ, ბ. მუზონ... ეს კონვერტი თქვენია? (კითხულობს) „გემის აფიცერს ბ. ბენუას. სადგურის სასტუმრო, ბორილი“. რა კარგი სუნი უდის...

**მუზონი.** (შერკვეული და წერილი ხელიდან გამოჰვეჯს) ეგ წერილი. ჩემი მეგობრისაა.

**ლաბუზიული.** (მეორე ქადაღდსა სინჯავს) ეს-?.. მკვლელობა ირისარიში...

**მუზონი.** ჰო... ე მაგას ემ საათში აგისხნით... ირისარიში მომხდარ მკვლელობის შესახებ „Esknal Hurria-მ ერთი წერილი დასტამბა და ეგ იმის თარგმანია. ბ. ბიუნერამ მომცა... ძალიან საწყენი წერილია... მანდ ამტკიცებენ, მაგონის სასამართლო ძალიან თავაგდებული და უხერროა...

**ვაგრე.** რა ვქნა, მე თითონ ხომ კერ შევთხუზავ მოხუცის მკვლელსა და! დელორმმა ყველა სასამართლოებში გაგზავნა მკვლელის ნიშნები, მაგრამ საქმეს მით არა ეშველა-რა.

**მუზონი.** დელორმმა?! გინდათ მე ჩემ აზრს გეტყვით?... ჩემის აზრით, დელორმი ძალიან შემცირარია, როცა ამტკიცებს, მკვლელი უსათუოდ მაწან-წალა უნდა იყოსო.

**ვაგრე.** როგორა სცდება, როცა მოწმე ჰყავს...

**მუზონი.** ის მოწმე ან სცრულბს ან სცდება, ორში ერთია.

**ბიუნერა.** იმ მოწმეს თავის თვალით უნახავს, რომ მოკლულის სახლიდან გათენებისას თურმე ბოშები გამოვიდნენ.

**მუზონი.** გიმეორებთ — ეგ მოწმე ან სცდება, ან სცრულბს.

**ვაგრე.** როგორ?

**მუზონი.** ამაში მე დარწმუნებული ვარ.

**ბიუნერა.** მერე რამ დაგარწმუნათ?

**მუზონი.** იმან, რომ მკვლელი ციგანი არ არის.

**ვაგრე.** არა, ბ. ბრალმდებელო, მე ჩინებულად ვიცნობ  
ბ. დელორმს და ამიტომ გთხოვთ, ეგრე დამ-  
ტკიცებით ნუ იმეორებთ თქვენს აზრსა...

**მუზონი.** მე მეტად ფრთხილად შევნიშნე კოლლეგა დე-  
ლორმს, რომ ის ცრუ გზას დასდგომია. იმან  
არც კი მომისმინა ხეირიანად და ჯიუტად  
მაინც ვიღაც მაწანწალას დაეძებს... რა ვქნა,  
ეძებოს! საფრანგეთში ორმოცდაათი ათასი მა-  
წანწალაა. მერე ისიც შეიძლება რომ, მე ვსცდე-  
ბოდე. მაგრამ ძალიან კი გამიკვირდებოდა, ჩე-  
მი აზრი მართლა შემცდარი გამომდგარიყო.  
დიდ ქალაქებში, სადაც ცოტა ხანი არ ვიყავ  
მოსამართლედ, ამგვარ გასაჭირ მდგომარეო-  
ბაში თითქმის ყოველ დღე ვიყავი ხოლმე და  
სისხლის სამართლის საქმეებში მეტად გამო-  
ვიცადე.

**ვაგრე.** მართალია, დელორმს პირველად შეხვდა ეგრეთი  
ძნელი და თავის სახეთქი საქმე.

**მუზონი.** ბორდოში, ტულუზელ, საკვირველ სილამა-  
ზის პატრონი ქალის მკვლელობაში მე გამოვ-  
ტეხე მკვლელი და ამ გამოტეხამ ხომ გილიორ  
ტინაზე მიიყვანა ბრალდებული.

**ბიუნერა.** (სიამოვნებით) მართლა?!

**ვაგრე.** ძვირფასო ბ. მუზონ, მე არ გეხუმრებით და  
გთხოვთ ჩვენც გვაუწყოთ თქვენი მსჯელობა  
ამ საგნის შესახებ. თუ ასე დაბეჯითებითა  
გთხოვთ ამას, მერწმუნეთ, ამის მიზეზიცა მაქს.

**მუზონი.** მე თითონ არ მინდა ჩემი აზრის საიდუმლოდ  
შენახვა და ამიტომ დიდის სიამოვნებით გე-  
მორჩილებით.

ბიუნერა. ჩვენ ყურს გიგდებთ.

მუზონი. აბა, მოვიგონოთ ყველაფერი დაწვრილებით. განმარტოებულ სახლში, გათენებისას ოთხმოცი წლის მოხუცს თავის ლოგინში მკვდარსა პოულობენ. მეზობელ სახლში მუშებს ეძინათ, მაგრამ იმათ არა გაუგონიათ რა... ძალლებს არ უყეფნიათ,.. ამასთან ავე, მართალია, ქურდობასაც ჰქონდა აქ ადგილი; მაგრამ ფულებთან ერთად საგვარეულო ქაღალდებიც მოუპარავთ. ეს კარგად დაიხსომეთ. ეხლა სხვა მხარეს მივაჭცევ თქვენ ყურადღებას: წინადღეს წვიმდა. ბალში კაცის კვალს პოულობენ; ამ კვალს მკვლელს აწერენ, რომელსაც ისეთი ძველი ფეხსაცმელი სცმია, რომ მარჯვენა ფეხის ცერი სულ კარში თურმე ჰქონია. ბ. დელორმი სწორედ ამ კვალს მისდევს; იმას ამის გარდა მოწმეცა ჰყავს და გადაჭრით ამტკიცებს: მოხუცის მკვლელი მაწანწალააო... მე ვამბობ, ეს მართალი არ არის-მეთქი! მკვლელი მაწანწალაარ არის!.. მართლაცა და, ის სახლი, რომელშიც მკვლელობა მოხდა განმარტოებითა სდგას. დამტკიცებულია, რომ სამი თუ ოთხი ვერსის მანძილზე წინადღეს არსად არ უნახავთ მათხოვარა. მაშასადამე, მკვლელი თუ მაწანწალა იქნებოდა, იმას იქვე, მკვლელობის აღვილზედვე უნდა ეჭამა რამე, ან მკვლელობის წინ ან მერე. ამის ნიშანი ვერაფერი ვერ უპოვნიათ... ეს საკვირველია! მოდის დაღალულ დაქანცული აღამიანი და მოწყალებას

ითხოვს, მაგრამ გამჟითხი არა ჰყავს. ამის შემდეგ იმალება და ღამით კაცია ჰკულავს... სახლში პურიცა და ღვინოც უხვად მოიპოვება, მაგრამ მკვლელი იმათ არ ეკარება. ეს განადასაჯერებელია?! სრულიადაც არა! ტყუილად ნურავინ ნუ მეტყვის — ხელი შეუშალეს და მკვლელმა ვეზარ მოასწრო, რომ დანაყრებულიყოვო! აგრძ მოწმე ამბობს, დილითა ვნახე, რომ სახლიდან გამოდიოდათ. მკვლელობა კი ღამით მოხდა. ბ. დელორმს სხვა ღირსებებთან ერთად ამგვარ საქმეებში გამოცდილებაც რომ ჰქონიდა, იმას მშვენავრად ეცოდინებოდა, რომ ცარიელი ბოთლები, ჭიქები და დარჩომილისაჭმელი ის ბარათია, რომელსაც მაწანწალები ყოველთვისა სტოვებენ ხოლმე მკვლელობის შემდეგ. ბიუნერა. ეგ მართალია. მეც ვიცი ეგ წვრილმანი მხარე ამგვარ მკვლელობისა.

**აბუზიული.** (არდეკილს) ის მზად არის კაცი გაამტკუნოს, ოღონდ დაამტკიცოს კი, რომ რამე ესმის.

**ვაგრე.** განაგრძეთ, განაგრძეთ!

**მუზონი.** ბ. დელორმს უნდა სცოდნოდა, რომ მაწანწალა ხალხს ორი რამე უჭირს ცხოვრებაში — ერთი კუჭის გამოძლომა უა მეორე ფეხსაცმელის შოვნა. ეს უკანასკნელი იმოდენად საჭიროა იმისთვის რომ ბევრნი ტყუილად იბრალებენ ხოლმე ბოროტმოქმედებას, რადგან იციან, რომ აღმინისტრაცია ვალდებულია ტუსაღებს ფეხი. შეუმოსოს და სასამართლოს ისე წარუდგინოს. სატუსაღოში ყოფნის დროს ფეხთსაცმელს ვერ გასცვითავენ და, როცა გაანთვისუფლებენ, ფე-

ხები კაი ხანი აქვთ ხოლმე კიდევ შემოსილი. იმ მაწანწალას რომელსაც მოხუცის. მოკვლა ბრალდება, ფეხები თითქმის იმოდენა ჰქონია, რამოდენაც მოკლულსა ჰქონდა. მკვლელს და-გლეჯილი ფეხთსაცმელი ეცვაო, ამას ხომ თქვენ თითონ ამბობთ. მერე რას ვხედავთ? ამ მაწანწალას, რომელსაც ფეხის ცერები გამო-ყოფილი ჰქონია, მოხუცის მშვენიერი ფეხთ-საცმელისთვის ხელიც არ უხლია. აქ ერთ სი-ტყვას კიდევ დავუმატებ. თუ მართლა ბოროტ-მოქმედება მათხოვარის ჩადენილია, ვინ მიპა-სუხებს, ამ საკვირველ მკვლელს რად მოუნდა მოხუცის საწლისკენ გავლა? რად წავიდა იმ-გზით, საცა ერთი სახლი მეორესაგან რამდე-ნიმე კილომეტრით არის დაშორებული და სა-ლაც მათხოვარა ძნელად თუ რამეს იშოვნის, როდესაც იქვე მახლობლად მეორე გზა მიღის მჭიდროდ დასახლებულ ფერმებისაკენ ზა სა-ლაც დღევანდლამდინ ჩვეულებად არის დარ-ჩომილი ამგვარი მათხოვარების გაკითხვა?.. კიდევ ერთი სიტყვა! რად მოუნდა ამ მაწან-წალას საგვარეულო ქალალდები, როდესაც სწორედ ეს ქალალდები გასცემენ მკვლელსა?.. არა, ბატონებო, დამნაშავე აქ მაწანწალა არ არის. თუ მკვლელის პოვნა გინდათ, მაწანწა-ლებს შორის კი არა, მოკლულის მახლობელ პირებში ეძებეთ: მკვლელი ან ნათესავია მო-კლულისა, ან მეგობარი და ან მოვალე.

ვაგრე. ეგ ჰეუასთან ახლოა!

ბიუნერა. ლოლიკური და ცხადი დასკვნა.

მუზონი. დამიჯერეთ! ეს სულ უბრალო საქმეა. ამ მკვლელობის გამოძიება ჩემთვის რომ ჩაეტარებინათ, მერწმუნეთ, ბოროტმომქმედს სამ დღეში საპატიმროში ამოვაყოფინებდი თავსა.

ვაგრე. ძვირფასო მეგობარო, ერთ ახალ ამბავს გაუწყებთ: დელორმი ძალიან ავალ არის და ეგ საქმე დღეს დამიბრუნა. დღეიდან ამ საქმის გამოძიება თქვენ მოვაწყობათ.

მუზონი. მე არ გეუბნებით, თანახმა ვარ-მეთქი, რადგან ჩემი მოვალეობაა დაგემორჩილოთ. მაგრამ მე მაინც უარს არ ვამბობ ჩემ სიტყვებზე და მკვლელს სამ დღეში დავატუსალებ!

ბიუნერა. ვაშა, მუზონ.

ვაგრე. მაგ დაპირებისთვის ყველას მაგიერ გიხდით მადლობას. გიმეორებთ ბევრ ვარმისაგან. დაგვისხნით ჩვენ... (ცოლს) ბ. მუზონი კისრულობს იცისარში მომხდარ მკვლელობის გამოძიებას და გვპირდება, სამი დღის განმავლობაში მკვლელს დავატუსალებო.

ქ. ვაგრე და ქ. ბიუნერა. დიდად გმადლობლ, ბ. მუზონ.

ვაგრე. ბერტას უბრძანე, სადილი მოგვართვან და ჩვენი ძველი ლვინოც ამოატანინე ბარემ! (მუზონს) თქვენი გამარჯვებისა უნდა დავლიო, ჩემო მეგობარო.

ფრანსუა. (შემოვა) სუფრა მზად გახლავთ!.. (ვაჭები ხელს მისთავაზებენ ქილებსა და უკელანი სასადილოსკენ გასწივენ).

## მოქმედება მეორე

(გამომძიებლის კაბინეტი. ორი კარები. მარცხნივ ორი საწერი მა-  
გიდა, სავარძლები, სკამები და პაპკებში საქმეები.

### გამოსვლა პირველი.

ბენუა და მთსამსახურე, შემდეგ შუზონი.

(ფარდის აწევის დროს ბენუა მუზონის სავარძელში ზის და ყავასა  
სვამს. შემოდის მოსამსახურე)

ბენუა. აბა, ახალი რა იცი?

მოსამსახ. თქვენი უფროსი ჩამოვიდა.

ბენუა. როგორ! ასე მალე?

მოსამსახ. გუშინ საღამოს დაბრუნდა. ისეთი მოქანცუ-  
ლი იყო, რომ ფეხზე ძლივს-ლა იდგა.

ბენუა. (მედიდურად) მილეონის მსაჯული ბორდოდან ყო-  
ველთვის დაქანცული ბრუნდება ხოლმე.

მოსამსახ. რადა მერე?

ბენუა. (ცოტა სიჩემის შემდეგ) რა ვიცი!

მოსამსახ. ასე აღრე ალბად, ირისარის მკვლელობის გა-  
მო თუ მობრუნდა.

ბენუა. შესაძლებელია. (ამ დაჭარაკის დროს ერთ ქადაღ-  
დზე ალაგების ჭიქას, ლამბაქს, ყაფადანს, საშაქ-  
რეს და სხვ. მერე მეორე მაგიდას მიუახლოვდება  
და თავის ადგილზე დაჯდება. მთსამსახურე კარე-  
ბისკუნ გასწევს, კარებში მუზონს გზას დაუთმობს  
და მერე გავა. ბენუა ფეხზე წამოდგება). მსა-  
ჯულს ვახლავარ!

მუზონი. გაგიმარჯოთ! ირისარში მომხდარ მკვლელობის საქმეში ჩარცელი პირნი ხომ ყველანი დაიბარეთ?

ბენუა. უანდარმერიის აფიცერი, ბრალმდებელი და იმისი ცოლი...

მუზონი. საშინლად დავილალე... და თავიცა მტკივა... დეპეშა ხომ არ მოსულა ჩემ სახელობაზე?

ბენუა. არაფერი!

მუზონი. ბრალმდებელმა არ მიკითხა?

ბენუა. არა... თქვენთვის რალაცა მაქვს, ბატონი, შენახული (წერილის კონვერტს მიაწოდებს).

მუზონი. (კონვერტს გახსნის) მარკები კოლექციისთვის! ჰო, გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო ბენუა...აბა, დავათვალიეროთ... (ჭიბიდან გასაღებს ამოიღებს, სეწერ მაგიდის უეთს გააღებს და მარკების ალბომს ამოიღებს). ურაგვაისა... მეცა მქონია ამისთანა... არა უშავს-რა, სხვა მარკაში გამიცვლიან... ესეც... ოჟო, ბენუა!.. გეორგილბერტი, — პირველი გამოცემა!.. სად იშვიანეთ ასეთი იშვიათი მარკა?

ბენუა. ერთი ჩემი მეგობარი შემთხვევით წასწყდომოდა ქალალდების შინჯვაში.

მუზონი. ჩინებული რამ არის!... ეს ახლავე უნდა ჩავკრა... ააა, წებო მომაწოდეთ. (ფრთხილად გვერდებს შეაჭერავს მაკატელით და ალბომში ჩავკრავს) ეს იშვიათი მარკა და ძვირიც არის... (ალბომს გადაჭვურცლავს) ხედავ!!.. საცაა გაივსება! იკით, ბენუა, ამ დღეებში შესაძლოა გაიტის მარკა ვიშვენო! (გახარებუ-

ლი) უყურეთ, უყურეთ! ეს გვერდი სულ სავ-  
სეა იშვიათი მარკებით. (მოჰემცავს ალბომს და  
ამოთხევრით) ეჭ; ღმერთო ჩემო!

ბენუა. უქეიფოდ ხომ არა ბრძანდებით?

მუზონი. არა. ბორტოში კოტა უსიამოვნება მომიხდა.

ბენუა. მარკების გამო?

მუზონი. არა. (ამოთხერებს თავისთვის) წყეული ქალე-  
ბი!.. დასწყევლოს ღმერთმა, რაღა ისე მოხდა!  
(ალბომს აიღებს) აბა, ვნახოთ, ახალი ხომ არა  
არის-რა?.. (აიღებს ქრთ წერილს) ოპო, ეჩე-  
პარისა და იმის კოლის შესახებ ცნობები მო-  
სულია პარიზიდან. (მოსამსახურე შემოდის და  
სადარბაზთ ბარათი შემოაქვს). ვინ არის, რომ  
ჩემი შეწუხება მოუსურვებია? (ფურცელს დაჭ-  
ხედავს) აა!.. (ბენუას) კოტა ხნით მარტონი  
დაგვტოვეთ.

ბენუა. ამ საათში! (მიდის).

მუზონი. (მოსამსახურეს) სთხოვე! (მოსამსახურე გადის.  
შეზონი ალბომს ეუთში ჩასდებს, ერთ „საქმეს“  
აიღებს და თათქმა ქალიან გართულია საქმითაო,  
ჩაცეკირდება).

### გამოსვლა მეორე.

შეზონი და მონტუბელო.

მონტუბელო. აქეთ, ახლო საქმე მქონდა და ვიფიქრე: მო-  
დი შევალ და ძვირფასს მუზონს ვნახავ-მეთქი...  
ხომ არ გიშლით?

მუზონი. (დიმილით „საქმეს“ მოჰემცავს) გამომძიებელი,

როგორც მოგეხსენებათ, უსაქმოდ არაოდეს  
არ არის... მაგრამ, დროს გამოშვებით, სა-  
სიამოვნო დარბაზობა იგივ დასვენებაა. . და-  
ბრძანდით!..

**მონტუბელო.** ერთი წუთით შემოვიარე...

**მუზონი.** მაგითა კი მაწყენინებთ.

**მონტუბელო.** ირისარის საქმეზე ახალს ხომ არაფერს  
მეტყვით?

**მუზონი.** ვერაფერს. დამნაშავეს ჩვენება ჩამოვართვი კი-  
დეც... ვერ არის კარგი კაცი და ვერც კარ-  
გად იცავს თავსა, ყველაფერზე უარს ამბობს  
და საშინლად ცხარობს. ვერაფერში ვერ გა-  
მოვტეხე და იძულებული ვიყავ, ისევ სატუსა-  
ლოში დამებრუნებინა. აგერ კვირა სრულდე-  
ბა, რაც ცალკე თხახში მყავს დამწყვდეული.

**მონტუბელო.** დარწმუნებული კი ხართ, რომ ნამდვილი  
დამნაშავე გიჭირავთ ხელში?

**მუზონი.** გადაწყვეტით ვერაფერს გეტყვით! თუმცა ძა-  
ლიან კი გამიკვირდეოდა, რომ შემცდარი  
ვიყო.

**მონტუბელო.** გუშინ ბ. დელორმი ვნახე; ახლა უკედ  
ჭრის.

**მუზონი.** ვიცი. იმის აზრით, მკვლელი მაწანწალაა. მე  
ყველა გამომძიებლების ნაკლს დაგისახელებთ;  
ბ. დეპუტატო: თუ ერთი ავიხირეთ რამე, მე-  
რე თვით ეშმაკიც კი ვერ გამოგვაცვლევინებს  
აზრსა. კერძოდ მე ყოველ ღონესა ვხმარობ,  
რომ ეს ნაკლი როგორმე თავიდან ავიცდინო:  
ერთხელ კიდევ ჩამოვართმევ ეჩეპარს ჩვენებას,

უანდარმების გამოძიებასაც. მოვუცდი და, თუ  
მაინც არა გამოვიდა-რა, ეჩებარს გავანთავი-  
სუფლებ და დამნაშავეს სხვაგან დავუწყებ  
ძებნას. მაგრამ გიმეორებთ: მე დარწმუნებუ-  
ლი ვარ, რომ ხელში ნამოვილი მკვლელი მი-  
ჭირავს.

**მონტუბელო.** დელორმი ძველი, გამოცდილი გამომძიე-  
ბელია და არ დაგიმალავთ, რომ იმისი საბუ-  
თები...

**მუზონი.** მე ვიცი, რომ ჩემი ამხანაგი ჰქვიანი კაცია...  
გიმეორებთ, არ ვამბობთ, დელორმი სცდება  
მეთქი... მაგრამ ამას ჩეენ თვითონ ვნახავთ!..  
ჩემ აზრს ჯერ-ჯერობით საფუძველი არა აქვს,  
რადგან ბრალდებულის წარსული, არ ვიცი.  
თქვენ მოსელის წინ მიღებულ ქალალდების  
გადასინჯვას ვაპირობდი. აგერ ჭ. პოს სასამარ-  
თლოდან გამოგზავნილი პაკეტი; ესეც ბრალ-  
დებულის შესახები ცნობები იქმნება. (აიღებს  
დანას და კონვერტის გაჭრას აშირობს).

**მონტუბელო.** ოა საუცხოვო დანაა!

**მუზონი.** ამ დანით ბორცოში ერთი საუცხოვო, ლამა-  
ზი ქალია მოკლული.... მე ქალალდის საჭრელ  
დანად გადავაკეთებინე... მაგრამ, თუ გაჭირდა,  
იარაღადაც გამოუგება, არა? (გახსნის. კონ-  
ვერტს) აგერ! აკი გითხარით!.. ეჩებარი ოთხ-  
ჯერ ყოფილი ჩხუბისა და კაცის დაჭრისთვის  
გასამართლებული... ხედავთ?...

**მონტუბელო.** ოთხჯერ გასამართლებული?

**მუზონი.** მხედველობაში უნდა მივიღოთ... მაგრამ არც

სხვა რამ გამომეპარება, — მაგალითად, გავიგე,  
რომ იმისი ცოლი, იანეტა ეჩეპარი...

**მონტუბელო.** ახალგაზდა ქალი, რომელიც თქვენ დერე-  
ფანში ვნახე ამ საათში?

**მუზონი.** ღიაღ, მოწმად დავიბარე და ჩვენებას ახლავთ  
ჩამოვართმევ.

**მონტუბელო.** მეტად პატიოსან ქალს კი გავს.

**მუზონი.** ყოვლად შესაძლებელია!. მაგრამ შევიტყე, რომ  
ეგ პატიოსანი ქალი უწინ პარიზში სცხოვ-  
რობდა თურმე და, როგორც აქ, ამ ქაღალ-  
დიდან სჩანს, ერთი თვე საპატიმროში მჯდარა-  
ნაქურდალის დაფარვისთვის. ჩვენ ამ საათში  
მოვისმენთ უანდარმთა აფიცერის ჩვენებს, რო-  
მელსაც ცოტა რამ გამოძიება ჰქონდა მინდო-  
ბილი..

**მონტუბელო.** მითომ იმედი გაქვთ, რომ იხალს გაიგებთ  
რასმე?.

**მუზონი.** გაინტერესებთ?.. მაშ თქვენთან გამოვკითხავ.  
(მივა კარებთან, რადასაც ანიშნებს და ისევ თავის  
ადგილზე დაბრუნდება) არ დაგავიწყდეთ, რომ  
მე არაფერს არ ვამტკიცებ. ყოვლად შესაძლე-  
ბელია, რომ კოლლეგა დელორმი უფრო მარ-  
თალი იყოს ამ საქმეში.

### გამოსვლა ესამე

იგინივე და ჟანდარმის აფიცერი.

**აფიცერი.** გამარჯობათ, ბ. მუზონ!

**მუზონი.** გაგიმარჯოთ, ბ. ლეიტენანტო! ბ. დეპუტატ-  
თან თავისუფლად შეგიძლიათ ლაპარაკი.

**აფიცერი.** (მონტუბელთს თავს დაუკრავს).

**მუზონი.** თქვენი აზრი?

**აფიცერი.** იგივე, რაც წინად—ეჭვიც კი აღარა მაქვს.

**მუზონი.** (მონტუბელთს გადაჭიდავს) მოითმინეთ, ნუ ავჩ-  
ქარდებით... რა საბუთებზე ამყარებთ თქვენ  
აზრსა?

**აფიცერი.** რა საბუთებზე? ჯერ ერთი, ოთხჯერ ყოფი-  
ლა გასამართლებული:

**მუზონი.** ვიცი.

**აფიცერი.** ამ ხუთმეტი წლის წინად ცხონებულ გაუეჩი-  
საგან ვენახი უყიდნია თურმე იმ პირობით,  
რომ, სანამ გაუეჩი ცოცხალი იქნებოდა, მო-  
სავლის ერთი ნაწილი იმისთვის უნდა ეძლია.

**მუზონი.** მერე?

**აფიცერი.** მერე, ეს საქმე სახეიროდ ვეღარ დაინახა  
თურმე და გაუეჩი ქურდიც. კი უწოდა.

**მუზონი.** ჩინებულია, მერე?

**აფიცერი.** ხუთი წლის წინად ეს ვენახი ეჩეპარს გაუ-  
ყიდნია.

**მუზონი.** მაშასადამე, ხუთი წლის განმავლობაში ფულს  
მაინც იხდიდა, თუმცა ვენახი იმას აღარ ეკუთ-  
ვნოდა, არა?

**აფიცერი.** ჰეშმარიტებას ბრძანება!

**მუზონი.** განაგრძეთ!

**აფიცერი.** ეჩეპარის დატუსალების შემდეგ უველას ენა  
ამოედგა.. მეზობლები ათას რამეს ამბობდნენ.

**მუზონი.** ეგ ყოველთვის აგრე მოხდება ხოლმე.

**აფიცერი.** ერთი ქალი, სახელად მანდიონი, ამბობს—  
ეჩეპარმა მითხრა: „რა სისულელეა, მთელი

შენი დღენი ამ ბებერ ძალლს ფულები აძლიოვო“.

**მუზონი.** მოითმინეთ. მანდიონმა სთქვა ესა?

**აფიცერი.** ღიალ, ბატონი.

**მუზონი.** (სწერს) მანდიონმა აჩვენა: „რა სისულელეა, მთელი შენი დღენი ამ ბებერ ძალლს აძლიო ფულიო“. კარგით!.. მერე?

**აფიცერი.** ერთი სხვა მოწამეცა მყავს, — პიარემ არგოლა.

**მუზონი.** (სწერს) პიარემ არგოლა.

**აფიცერი.** ეჩეპარს, ამ ორი თვის წინად, არგოლასთვის უთქვამთ: „ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლე შეუძლებელია, ღმერთს დაავიწყდა; თუ როგორ არის იმის საქმეო?“.

**მუზონი.** (ჩასწერს) „ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლე შეუძლებელია, ალბად ღმერთმა თუ დაივიწყაო“... კიდევ იცი რამე?

**აფიცერი.** ღიალ, ბატონი.

**მუზონი.** ეჩეპარს როდის უნდა მიეცა გაუეჩისთვის. ფული?

**აფიცერი.** ამაღლების მეორე კვირაში.

**მუზონი.** ე. ი. ამაღლებას გაუეჩი. რომ არ მოეკლათ, ერთი კვირის შემდეგ ეჩეპარს ვალი უნდა გადაეხადა, ჰო?

**აფიცერი.** ჭეშმარიტად, ბ. მსაჯულო.

**მუზონი.** (მონტუბელის) საკვირველი გარემოებაა! (აფიცერს) ეჩეპარი შეძლებული კაცია?

**აფიცერი.** პირიქით, მეტად ხელმოკლე ცხოვრება ჰქონდა. სამი თვის წინად ერთ ვაჭარისაგან რვაარ სი ფრანკი ესესხნა.

მუზონი. მეზობლები რაღას ამბობდნენ?..

აფიცერი. მეზობლები ძუნწია და გულჩათხრობილ კა-  
ცად იცნობდნენ. მისი ბოროტ-მოქმედება სრუ-  
ლიადად არ გაუკვირდათ. ეჩეპარის ცოლზე  
ყველანი კარგის აზრისანი არიან: სამაგალითო  
დიასახლისიაო.

მუზონი. რამდენი შვილი ჰყოლია ეჩეპარს?

აფიცერი. ორი. ერთი უორუი, მეორეც... მეორეს სა-  
ხელი დამავიწყდა.

მუზონი. ქალის ყოფა-ქცევის შესახებ ხომ არა გავი-  
გიათ-რა.

აფიცერი. უძრახველი ყოფა-ქცევისა გახლავთ.

მუზონი. კეთილი!

აფიცერი. მართლა, დამავიწყდა... ეჩეპარის დასატუსა-  
ლებლად რომ მისულან, ეჩეპარს უთქვამს თა-  
ვის ცოლისთვის: „ახლა კი გავებიო“.

მუზონი. „ახლა კი გავებიო“... ეს ძალიან ღირსშესა-  
ნიშნავი სიტყვაა!

აფიცერი. მერე ცოლისთვის ჩურჩულით უთქვამს: „ღმერ-  
თი არ გავიწყრეს და არ წამოგცდეს, რომ  
იმ ღამეს სახლში არ ვიყავიო“.

მუზონი. ეგ სიტყვები უანდარმდს თანადასწრებით უთ-  
ქვამს?

აფიცერი. არა, ბატონო მსაჯულო! უანდარმი ღრა ფან-  
ჯარასთან მიგარა, ეზოში, და ეჩეპარს ეს არა  
სცოდნია.

მუზონი. დამიძახეთ იშ უანდარმს.

აფიცერი. ამ საათში, ბ. მსაჯულო.... ერთი მოწმე კი-

დევ გახლავთ, ოომელსაც ბოროტ-მომქმედის  
მხარე უჭირავს, ვიღაც ბრიდეა...

**მუზონი.** ბრიდეს ჩვენება წავიკითხე... იმას არავითარი  
მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ, თუ აქ არის,  
იქნება იმასაც ჩამოვართვა ჩვენება. გმადლობთ,  
ბ. ლეიტენანტო. მაშ აგრე, მოამზადეთ დაწ-  
ვრილებითი მოხსენება და მოწმებიც დაიბა-  
რეთ.

**აფიცერი.** მშვიდობით, ბ. მუზონ. (მიდის).

### გამოსვლა გთხოთხ

მუზონ და მონტუბელი.

**მონტუბელი.** ბატონი დელორმი მტკნარი სულელი ყო-  
ფილა.

**მუზონი.** (სიცილით) მე ხომ არ მითქვამს ეგა, ბ. დე-  
პუტატო.

**მონტუბელი.** საკვირველია! გულთამხილავი ყოფილხართ  
სწორედ...

**მუზონი.** საკვირველი არაა?.. გარშმუნებთ, ბ. დეპუტა-  
ტო, რომ...

**მონტუბელი.** როგორ მოხდა, რომ ეჭვი სწორედ ეჩე-  
პარზე მიიტანეთ?

**მუზონი.** თქვენ, ბ. დეპუტატო, რასაკვირველია, მო-  
გეხსენებათ, რომ ზოგს ერთი ნიჭი აქვს, ზოგს  
მეორე. ბოროტმოქმედის პოვნაც თავისებური  
ხელოვნებაა და ნიჭი. მე იმის თქმა მინდა,  
რომ კარგი გამომძიებელი ზეშთაგონებით უნდა  
მოქმედებდეს.

**მონტუბელო.** საკვირველია სწორედ, საკვირველი! მერე  
ის მოწმე, ბოროტ-მომქმედის მხარე რომ უჭი-  
რავს?

**მუზონი.** ის უსათუოდ ცრუ მოწმე იქნება.

**მონტუბელო.** რათა გგონიათ?

**მუზონი.** იმიტომ, რომ ის მოწმე მაწანწალა ყარაჩებს  
აბრალებს... გარდა ამისა, ბრიდეს ეჩეპართან რა-  
ღაც საქმეებიცა ჰქონია. ბასკები, როგორც  
მოგეხსენებათ, ჯერ ისევ მტრულად გვიცე-  
რიან ჩვენა... როგორც გამარჯვებულებს. ჩვენ  
წინააღმდეგ ცრუმოწმობა ცოდვად როდი მია-  
ჩნიათ.

**მონტუბელო.** მაშასადამე, თქვენ არაგზით არ ეთანხმე-  
ბით ბ. დელორმსა?

**მუზონი.** მაწანწალები... მე ვიცი, ბ. დეპუტატო, თქვე-  
ნი სიყვარული მათდამი და ჩემ ეჭვს მე არა-  
დეს არ გავაჩერებ ხოლმე მარტო იმათზე.

**მონტუბელო.** ვაშა, ვაშა! მე ბეღნიერი ვარ, რომ თქვენ-  
ში მაჯვე მსაჯულის გარდა ჩემი მიმართულე-  
ბის კაცსაცა ვხედავ.

**მუზონი.** მე თვითონ გახლავართ მოხარული...

**მონტუბელო.** იმედი მაქვს, დღეიდან ბასკების გაზეთა  
მილეონის მსაჯულებს მოგასვენებთ.

**მუზონი.** მე ეგრე არა მგონია, ბ. დეპუტატო.

**მონტუბელო.** რათაო, ვითომ?

**მუზონი.** ეს ადვილი გამოსაცნობია! ბასკების გაზეთი  
თქვენა გმტრობთ და, რაკი მე თქვენ მომხრე-  
ობას არა ვფარავ, ცხადია, რომ მოქალაქის  
აზრებისთვის მსაჯული უსათუოდ დაისჯება.

**მონტუბელო.** მე მრცხვენიან, ღმერთმანი... გულითა  
გმადლობთ, ძვირფასო მეგობარო... განაგრძეთ,  
მაგრამ... ფრთხილად კი იყავით. იუსტიციის  
მინისტრმა ამ სამი დღის წინად მითხრა: „მე  
გარწმუნებული ვარ, რომ შენ ოლქში არაფე-  
რი შეფერხდება... და არავითარი აყალ-მაყა-  
ლი არ ასტყდებაო“... უნდა მოგახსენოთ, რომ  
ამ ბოლოს დროს საცოდავ ემილს არ ასვე-  
ნებენ.

**მუზონი.** განა ეგრე დაახლოვებული ბრძანდებით იუს-  
ტიციის მინისტრთან?

**მონტუბელო:** (უმნიშვნელოდ) უმაღლესი სასწავლებელი  
ერთად გავათავეთ მე და მინისტრმა.

**მუზონი.** მესმის.

**მონტუბელო.** ართი მიბრძანეთ, თუ ღმერთი გწამთ, თქვე-  
ნი ბრალმდებელი რა კაცია?

**მუზონი.** ბ. ვაგრე?

**მონტუბელო.** დიალ.

**მუზონი.** რა მოგახსენოთ? ვაგრე ძალიან მუყაითი და  
მშრომელი კაცია.

**მონტუბელო.** არა, მიმართულების მხრივ როგორია-მეთ-  
ქი, გეკითხებით?

**მუზონი.** აქამ და თქვენი მიმართულებისა არ არისო,  
ამისთვის ხომ არ უმტრობდით და! ის მაინც  
ნუ დაგავიწყდებათ, რომ ვაგრე ცუდი კაცი  
არ არის.

**მონტუბელო.** ბ. ვაგრე მეტად ვიწრო შეხედულობისაა  
საგნებზე... (საწერ მაგიდას დააცქერდება), თქვენ  
მაგიდაზე ლაბასტიდის საქმესა ვხედავ... ეგ

ფუჭი და უმნიშვნელო საქმეა, რომელსაც ყურადღება არც კი უნდა მიაქციოს კაცმა. მე ჩინებულად ვიცნობ ლაბასტილს: ეს ერთი ჩემი ამომრჩეველთაგანია და, გარწმუნებთ, რასაც აბრალებენ, იმის ჩადენა ლაბასტილს არ შეუძლიან. მე ვაგრესაც ვუთხარი ესა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ვაგრეს ჩემი სიტყვები არ შეუწყნარებია და მაინც გადუწყვეტია მისი დევნა.

**მუზონი.** სიტყვას გაძლევთ, რომ ამ საქმეს დიდის გულის ყურით გამოვიკლევ.

**მონტუბელო.** იმედი მაქვს... ეხლა კი დროს აღარ წაგართმევთ... გისურვებთ გამარჯვებას!

**მუზონი.** მშვიდობით! (მანტუბელო მიდის) ეხლა კი იმედი მაქვს, ჩვენი დეპუტატი ცუდი აზთისა აღარ იქნება ჩემზე. (გაიღიმებს) ეჩეპარზე რომ შევიტანე ეჭვი, ეს კი მართლა გამიგო გულმა. ეხლა როგორმე რომ გამოვტეხო—მაშინ ჩემ ბედს ძალლი აღარ დაჰყეფს.

**მოსამსახურე.** (შემთდის დეპუშით ხელში) დეპუშა გახლავთ ოქვენთანა.

**მუზონი.** მაჩვენეთ. (მოსამსახურე მიაწოდებს და გაფა).

**მუზონი.** (გახსნის და კითხულობს) „დიანა დაატუსალეს. გუშინდელი დღის ოქმი უფროს ბრალმდებელს გაეგზავნა, ლაუსენი“. ეხლა კი დავიღუპე! (გაიღდის) ო, ეს წყეული ქალები! (სიჩუმე) საქმეს კი მაინც უნდა მოვკიდო ხელი (კარგის მიუხდოვდება და უძახის). ბენუა!

### გამოსვლა შეხუთე

მუზონი, ბენუა, შემდეგ ბრიდე.

**მუზონი.** (დაჯდება და ბენუას ქადაღდებს გადაწყვდებს) ლაბასტილის განთავისუფლებისა და საქმის მოსპობის შესახებ ქაღალდი მოამზადეთ... მე რომ გამოძიებას შევუდგები, თქვენ ეგ საქმე შეგიძლიანთ დააბოლოვოთ. აბა, საქმეს შევუდგეთ. აგერ არი საათი სრულდება და ჩვენ კი ჯერ არა გაგვიკეთებია-რა... ცოტა აჩქარდით!.. აქ რაღას უცდით?.. მოწმების სია მაჩვენეთ! მოწმების სია-მეთქი... რავქნა, დაყრუვდით?... რა გემართებათ დღესა? (ბენუა ქადაღდეს მიაწყდებს) კარგი... აბა, იმ ცოტ მოწმეს დამიძახეთ ეხლა; მალე მოვიშორებთ, ნუ გეშინიანთ... ეჩეპარი აქ არის?

ბენუა. აქ გახლავთ, ბ. მსაჯულო!

**მუზონი.** იმისი ცოლი?

ბენუა. ისიც აქ გახლავთ.

**მუზონი.** კარგი... რა იყო, რას მიყურებთ?.. დამიძახეთ მეთქი!

ბენუა. ეჩეპარს?

**მუზონი.** არა! ბრალდებულის მოწმეს დამიძახეთ. ბრალდე-ბუ-ლის მო-წა-მე.. გაიგეთ?

ბენუა. (გააღებს ქარებს და გაჭავრებული) ბრიდე! ბრიდე!!! დაყრუვდით?.. მოდით აქა. (შევასეთ) აჩქარდით პატარა, ფეხები ნათხოვარი ხომ არა გაქვთ?

**ბრიდე.** (შემოვა) ბ. მსაჯულო, მე უნდა მოგახსენოთ, რომ...

**მუზონი.** გაჩუმდით! როცა დაგეკითხებიან, მაშინ ილა-  
პარაკეთ... თქვენი სახელა, გვარი, ხანი, ხე-  
ლობა და მუდმივი საცხოვრებელი აღგილი.

**ბრიდე.** უონ პიერ ბრიდე, ოცდა თვრამეტი წლისა, თო-  
კებს ვაკეთებ ბაიგორში.

**მუზონი.** (შეუჩერებლივ) დაიფიცეთ, რომ მხოლოდ სი-  
მართლეს ილაპარაკებთ. აბა სთქვით: „ვფიცავ“...  
რამე ნათესაური დამოკიდებულება ხომ არა  
გაქვთ ეჩეპართან? ან ხომ არა მსახურებთ იმას-  
თან, ან ის თქვენთან? (მიუბრუნდება ბენუას)  
სთქვა, ვფიცავო?

**ბენუა.** სთქვა, ბ. მსაჯულო.

**მუზონი.** (ბრიდეს) მითხარით... (სიჩემე) მითხარით მეთქი,  
არ გესმით?

**ბრიდე.** მე კითხვებს ვუცდი, ბატონო...

**მუზონი.** ამ ერთი წუთის წინად ძლივს გაგაჩუმეთ; ეხ-  
ლა ლაპარაკს გიბრძანებთ და თქვენ კი დამუნჯ-  
დით. მითხარით, რა გაიძულებთ, რომ ეჩეპა-  
რის სასარგებლოდ მოწმობთ?

**ბრიდე.** რა მაიძულებს?

**მუზონი.** სწორედ... განა არ გესმით, რას გეუბნებით?

**ბრიდე.** არ მესმის... მე არაფერიც არ მაიძულებს...

**მუზონი.** არაფერი?.. ვითომ? გულით და სულით მინდა,  
რომ ეგრე იყოს, მაგრამ... (სისტიკად) წინდა-  
წინვე გაფრთხილებთ, რომ სისხლის სამართ-  
ლის წესდების 361 მუხლი ტყუილი ჩვენების-  
თვის სატუსაღოში დაპატიმრებით სჯის მოქა-  
ლაქებს. ეხლა კი ყურს გიგდებთ.

**ბრიდე.** (შემკრთალი) მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ მოხუცი გაუეჩი მაწანწალა ბოშებმა მოკლეს და მერე მთაში მიიმაღნენ-მეთქი.

**მუზონი.** თქვენ დარწმუნებული ხართ მაგაში?

**ბრიდე.** მე ეგრე მგონია..

**მუზონი.** თქვენ იმიტომ კი არ მოგიწვიეს; რომ თქვენი აზრები და შეხედულება გამიზიაროთ, თქვენ მხოლოდ ის უნდა სთქვათ, რაც გინახავთ, ან რაც გაგიგონიათ. მეტი არაფერი.

**ბრიდე.** ბოშები ყოველ ნაბიჯზე დაძრწიან... აი, ამ რამდენიმე დღის წინათ ერთი დუქანიც გაძარცვეს... სამნი იყვნენ... ორნი შიგ შევიღნენ. უნდა მოგახსენოთ, რომ დღისითვე თურმე და-ათვალიერეს დუქანი.

**მუზონი.** თქვენ ეს ჭითხარით—სასამართლოს მასხარად ასაგდებად ხომ არ მოსულხართ, არა?

**ბრიდე.** მე?.. თუ მომისმენთ...

**მუზონი.** გიმეორებთ, სასამართლოს მასხარათ იგდებთ, თუ როგორ არის თქვენი საქმე-მეთქი?

**ბრიდე.** სრულიადაც არა, ბ. მსაჯულო!

**მუზონი.** მე მგონია, თორემ მუქთათ არ გაგიტარებდით მაგნაირ საქციელს. გესმით-მეთქი, გეკითხებით?

**ბრიდე.** მესმის, ბ. მსაჯულო.

**მუზონი.** მეტი არა გაქვთ რა საფქმელი?

**ბრიდე.** როგორ არა, ბატონო...;

**მუზონი.** სთქვით, მაშ რაღას მიედ-მოედებით, დაგწყვე-ლოთ ღმერთმა! იქნება თქვენა გგონიათ, რომ თქვენსავით მოცლილი ვიყო და თქვენი ჭო-

რიკანაობა ძალიან მესიაშოვნებოდეს?.. აბა,  
სთქვით, რა გინდათ?

**ბრიდე.** ამაღლების მეორე დღეს... ე. ი. ორშაბათს...  
უკაცრავათ, პარასკევს...

**მუზონი.** როდის, როდის? პარასკევს თუ ორშაბათს?  
კაცი ვერაფერს გაიგებს.

**ბრიდე.** პარასკევს... ორშაბათი იმიტომ მეგონა, რომ  
უქმის მეორე დღე იყო, ერთი სიტყვით გაუე-  
ჩის მოკვლის დღეს იმის სახლიდან რამდენიმე  
მაწანწალა გამოვიდა.

**მუზონი.** გაუეჩის სახლთან იყავით?..

**ბრიდე** არა, ბატონი... შარა გზით მივდიოდი.

**მუზონი.** როცა გამოვიდნენ, კარები უამოიკეტეს, თუ  
არა?

**ბრიდე.** ეგ კი არ ვიცი, ბ. მსაჯულო.

**მუზონი.** მაშ, როგორ ამბობთ, სახლიდან გამოდიოდ-  
ნენო?

**ბრიდე.** სახლის წინ დავინახე.

**მუზონი.** მერე?

**ბრიდე.** მერე არაფერი.

**მუზონი.** (სეამის ზურგს მიეურდნობა) მერე, მაგისთვის შე-  
მაწუხეთ?.. მე თქვენ გეკითხებით, მაგისთვის  
შემაწუხეთ-მეთქი?

**ბრიდე.** ბოდიშს ვიხდი, ბ. მსაჯულო... მე მეგონა...

**მუზონი.** მოითმინეთ! რამდენი იყვნენ?.. აბა, დაფიქრ-  
დით კარგად... მოიგონეთ!

**ბრიდე.** ხუთნი.

**მუზონი.** ნამდველად გახსოვთ?

**ბრიდე.** დიალ, ბატონი!

მუზონი. არა სცდებით?.. უანდარმებს უთხარით ხუთო  
თუ ექვსიო!.. და ეხლა კი, ერთი თვის შემდეგ,  
უფრო კარგად გახსოვთ, ვიდრე პირველად?..  
ის კი არ დაგვიწყებიათ — ორშაბათს იყო ეს  
ამბავი თუ პარასკევს... სახლიდან გამოვიდნენ  
ბოშები, თუ სახლის წინ გაიარეს?.. (სასტი-  
კად) მითხარით, ბრალდებულს იცნობთ, თუ  
არა?

ბრიდე ვიცნობ, ბ. მსაჯულო.

მუზონი. იმასთან საერთო საქმეები გქონიათ, თუ არა?  
ეჩეპარი, მგონი, თქვენი მუშტარი ყოფილა,  
ცხვრებს ჰყიდულობდა თურმე თქვენგან.

ბრიდე, დიალ, ბატონო.

მუზონი. კმარა!... ახლა შეგიძლიანთ წახვიდეთ.

ბრიდე. მესმის, ბატონო.

მუზონი. წადით და ბედს დაუმადლეთ, რომ მშვიდო-  
ბიანად გადარჩით... სხვა დროს, სანამ ვისიმზ  
სასარგებლოდ მოწმობას გაბედავდეთ, გირ-  
ჩევთ, კარგა დაჭიიქრდეთ ხოლმე.

ბრიდე. ნუ სწუხდებით, ბ. მსაჯულო. აღარ გავბედავ.

მუზონი. თქვენ ჩვენებას ხელი მოაწერეთ. წადით! თქვე-  
ნისთანა ხალხი რომ ნაკლები ყოფილიყო,  
საქმის გაჭიანურებას უფრო ნაკლებს გვიკი-  
უნებდნენ გაზეთები! კარგი, წალით.

ბრიდე. მესმის, ბატონო მსაჯულო (თავს დაუგრავს და  
გავა).

მუზონი. (ბენეას) ეჩეპარს დამიძახეთ! (ბენეა მოვა კარებ-  
თან და შემოსვლას ანიშნებს. შემოდის ეჩეპარი,  
რომელსაც ორი უანდარმი შემოჰევება.)

### გამოცვლა მემკვეთ

მუზონი, ეჩეპარი, ბენუა და ორი უანდარმი.

**ბენუა.** (ეჩეპარს) ახლო მოდით!

**მუზონი.** (ბენუას) დასწერეთ! (აჩქარებით ბუტბუტებს) ათას ცრაას პირველს წელს და სხვა... გამომძიებელ მუზონთან, თანადასწრებით და სხ. უონ-პიერ ეჩეპარი რომლის პირველი ჩვენება ოქტომბერის 1863 წელი... იმის მიხედვით, რომ ბრალდებულის ვექილი მოწვეული იყო დაზღვეულის წერილით, რის დასამტკიცებლად ფრასტის ბარათია საქმეში ჩაკერებული... არ გამოცხადდა და არც აგვიხსნა ამის მიზეზი...

**ეჩეპარი.** განა ჩემი ვექილი აქ არ არის?

**მუზონი.** თქვენი ვექილი დაბარებული იყო, მაგრამ არ გამოცხადდა. უსათუოდ სხვა კლიენტები დაიჭირდნენ.

**ეჩეპარი.** ეგ იმიტომ, რომ მე კარგი ფასის მიცემა არ შემიძლიან.

**მუზონი.** ეგ მე არ შემეხება. თქვენი ვექილი დაბარებული იყო და ამის დასამტკიცებლად, აგრე, ფოს-თის ბარათია წარმოდგენილი. რაკი არ გამოცხადდა, ჩვენ დაუყონებლივ შევუდექით საქმეს... (ეჩეპარს) ბ. ეჩეპარ, პირველ გამოძიების დროს თქვენ არც ერთ კითხვაზე პასუხი არ მოგვიგეთ. იქნება კარგათ. არ მოიქეცით, მაგრამ უფლება კი გქონდათ, რომ აგრე მოქცეულიყვაით, ყოველ ჩემ კითხვაზე მოთმინებიდან გამოდიო-

დით და იძულებული ვიყავ მომეგონებინა,  
რომ სასამართლო მეტი პატივისცემის ღირსია-  
მეთქი. გსურთ თუ არა დღეს პასუხის მოცემა?

**ეჩეპარი.** (შეწუხებული) დიალ, ბ. მსაჯულო.

**მუზონი.** ააა, ძვირფასო, მოუკელით თქვენ ამაყობას!?  
როგორცა სჩანს, მარტობას კარგად გაუჭრია.

**ეჩეპარი.** დიალ, ეხლა გონს მოველ. მე მინდა, რაც შეი-  
ძლება, მალე გავიდე აქედან.

**მუზონი.** მეცა მსურს, რომ დროზე გაგანთავისუფლოთ.  
ამჯამად ორთავეს ერთნაირი სურვილი გვაქვს.  
იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალშიც ესე იქნე-  
ბა. დაბრძანდით! უპირველესად ყოვლისა გირ-  
ჩევთ, პირველ ხერხს თავი დაანებოთ, ყველა  
ფერი ბოშებს აღარ დააბრალოთ. ვიღაც ბრი-  
დე, რომელსაც თქვენთან რაღაც საქმეები ჰქო-  
ნია, ალბად თქვენი ჩაგონებით, ეცადა მაგას,  
მაგრამ, წინდაწინვე გატყობინებთ, რომ ვერა-  
ფერს გახდა.

**ეჩეპარი.** მე არ ვიცი, ბრიდეს რის თქმა შეეძლო.

**მუზონი.** ოპო, მაშ უარს ამბობთ ბრიდეზე? კარგია...  
იმედი არა მქონდა, თუ ეგრე ჭკვიანი გამო-  
დებოდით... თქვენ მოპკალით მოხუცი გაუ-  
ეჩი?

**ეჩეპარი.** არა, ბატონო.

**მუზონი.** გქონდათ ისეთი რამე მიზეზი, რომელიც გაი-  
ძულებდათ, რომ გესურვათ მაინც იმისი სიკვ-  
დილი?

**ეჩეპარი.** არავითარი!

**მუზონი.** მართლა? მე კი მეგონა, რომ თქვენ ვალდე-

ბული იყავით ყოველ წელიწადს ხარჯი გეძლიათ მოხუცისთვის.

**ეჩეპარი.** (უფასანის შემდეგ) ეგ მართალია.

**მუზონი.** ისეთი მიზეზი მცირედ მაინც გქონიათ, რომ გესურვათ მოხუცის სიკვდილი?.. (სიჩუმე) პასუხს. არ იძლევით? აბა, განვაგრძოთ. უთხარით თუ არა ერთ ახალგაზღდა ქალს... (ეძებს ქალაზღებში) გრაციელა მინდონს: „რა სისულელეა, მთელი შენი სიცოცხლე ამ ბებერ ძალს ფული ვაძლიოთ?“

**ეჩეპარი.** ეგ სიცრუეა.

**მუზონი.** სიცრუეა?... მაშ მოწმეს უმტყუნია?

**ეჩეპარი.** რა ვიცი?!

**მუზონი.** არ იცით?.. (სიჩუმე) ფიქრად ხომ არ მოგვალიათ, რომ მოხული მეტად ბევრსა. სცოცლობსო?

**ეჩეპარი.** არაოდეს, ბ, მსაჯულო!

**მუზონი.** არაოდეს? მაშ, რად უთხარით პიარემ არგოლას: „ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლე შეუძლებელია. დაივიწყა ღმერთმა, თუ როგორ არის იმის საქმეო?“

**ეჩეპარი.** ეგ არ მითქვამს.

**მუზონი.** არ გითქვამთ? მაშ, ეს მოწმეც ცრუობს?.. მიპასუხეთ, სცრუობს?.. (სიჩუმე) პასუხს. არ მაძლევია?.. კარგი... გამიგონეთ. ბ. ეჩეპარ, რადა ჯიუტობთ ეგრე ძრიელ?.. განა ყველაფერი ცხადი არ არის? თქვენ ხომ ძუნწი, შურიანი და ფულის მოყვარე ხართ.

**ეჩეპარი.** ეხლა ისე გაჭირდა ცხოვრება, რომ..,

**მუზონი.** ფიცხიცა ხართ... დრო გამოშვებით ლოთობთ კიდევ და მაშინ ხომ ყველასთვის საშიში ხართ... ჩხუბებისა და იარაღის ხმარებისთვის ოთხჯერ ყოფილხართ სამართალში მიცემული... კაცის დაჭრა არაფერია თქვენთვის. განა, ცხადი არ არის?.. მოგწყინდათ. ტყუილ-უბრალოთ ფულის ძლევა... გაზახდის ვადა მოდიოდა... ხელმოკლედ იყავით!.. ამასთან, იმასაც ფიქრობდით, რომ გაუეჩი დიდხანსა სცოცხლობს და... მოჰკალით. ეს ისე ცხადია, რომ ბევრი ლაპარაკიც არ არის საჭირო... არა?.. მართალს არ ვამბობ?..

**ეჩეპარი.** (თავს იკავებს) არა, ყველაფერი სიცრუეა — მე არ მომიკლავს გაუეჩი.

**მუზონი.** სიტყვების უბრალოდ ხარჯვა რა. საჭიროა?.. თუ თქვენი ხელით არა, სხვა მოისყიდეთ, არა?

**ეჩეპარი.** მე სრულიად უდანაშაულო ვარ მაგ საქმეში... თქვენ თითონ ამბობთ, გაჭირებულ მდგომარეობაში იყავითო, და მოსყიდვაზე კი ლაპარაკობთ. რითი უნდა მომესყიდა მკვლელები?

**მუზონი.** მაშ, თქვენ თითონ მოჰკალით?..

**ეჩეპარი.** არა, არ მომიკლავს.

**მუზონი.** გამიგონეთ, ბ. ეჩეპარ... ჯიუტობა რა საჭიროა, ერთხელაც იქნება გამოტყდებით. აგერ ეხლავე უწინდელზე უფრო სუსტად იცავთ თავსა.

**ეჩეპარი.** მაშ რა ვქნა? ყვირილი მოვრთო, იტყვით, — ყვირილით უნდა ფონს გავიდესო.

**მუზონი.** გიმეორებთ, ერთხელაც იქნება, გამოტყდებით  
მეთქი. აგერ ეხლავე ზოგიერთ ისეთ რამეში  
გამოტყდით, რომ ძნელიღაა თავის გამართლება.

**ეჩეპარი.** ეგ იმიტომ, რომ სიმართლეს ვლაპარაკობ...  
პასუხს გიგებთ, მაგრამ ნათქვამის შედეგზე არა  
ვფიქრობ.

**მუზონი.** ტყუილად სჩადით ასე... მაგნაირ ლაპარაკს  
თქვენთვის, შეიძლება, ცუდი შედეგი მოჰყვეს.

**ეჩეპარი.** მე სიკვდილისა არ მეშინიან.

**მუზონი.** სხვის სიკვდილისა?

**ეჩეპარი.** არა, ჩემი სიკვდილისა არ მეშინიან.

**მუზონი.** ეგ უკეთესი... მაგრამ თქვენ ხომ ბასკი ხართ  
და ფრანგი... მოიგონეთ სიკვდილის შემდეგ  
ჯოჯოხეთში ტანჯვა...

**ეჩეპარი.** მე ჯოჯოხეთისა არ მეშინიან... რაღან ცუდი  
არა ჩამიდენია-რა.

**მუზონი.** ის სირცხვილი, რომელიც თქვენ შვილებს სა-  
მუდამოდ ჩირქს წასცხებს?.. შვილები ხომ გი-  
ყვართ? საცოდავები სულ თქვენს ხსენებაში  
არიან და ძალიან უყვარხართ... რაღან ჯერ  
არა იციან-რა...

**ეჩეპარი.** (ქვითინი წასკდება) შვილები, ჩემი საბრალო შვი-  
ლები.

**მუზონი.** ოპო, კეთილმა გრძნობებმა გაიღვიძეს თქვენს  
გულში? დამიჯერეთ, ნაფიცი მსაჯულნი სა-  
სჯელს შეგიმცირებენ, თუ გულახდილად აღია-  
რებთ თქვენ შეცოდებას... თქვენ ჯერ ისევ  
ყმაწვილი ხართ... და კიდევ ბევრი ხანი გაქვთ,  
რომ შეისყიდოთ დანაშაული... შეიძლება გა-

პატიონ კიდეც და კვლავ ინახულოთ თქვენი  
შეილები... დამიჯერეთ!.. გამოტყდით... ეს  
თქვენთვისვე იქნება კარგი. (ამ დაპარაკის დროს  
შეზონი მიუახლოდება ეჩერას, მხარზე ხელს  
დაადებს და ალექსიანად ეუბნება) მართალია?.. თუ  
თქმა არ შეგიძლიანთ, მანიშნეთ მაინც... ხომ  
მართალია, რასაც გეუბნებოდით? მე დარწმუ-  
ნებული ვარ, რომ არა ვცდები... რაო?.. არ  
მესმის რას მეუბნებით... თქვენ მოჰკალით?..  
ჰა?.. თქვენა, განა?..

**ეჩეპარი.** (ცრემლ მორეული) არა, ბ. მსაჯულო, გარწმუ-  
ნებთ, მე არ მომიკლავს... გეფიცებით პატი-  
ოსნებას... .

**მუზონი.** (თავის ადგილზე დაბრუნდება, ნაწერი) ფიცი რა  
საჭიროა? თქვენ მართალი უნდა მითხრათ მხო-  
ლოდ!..

**ეჩეპარი.** მე სიმართლეს გეუბნებით... ყველაფერი გით-  
ხარით. ტყუილად ბრალს ხომ ვერ დავიდებ  
თავსა და რა ვქნა?

**მუზონი.** როგორცა სჩანს, დღეს ველარაფერს გავარი-  
გებთ. (ჟანდარმებს) წაიყვანეთ და ცალკე ჩა-  
აგდეთ საკანში... მოითმინეთ, ბ. ეჩეპარ... რა-  
ხან ჯიუტად ამტკიცებთ, რომ ეს მკვლელო-  
ბა მე არ ჩამიდენიაო, თქვენ ერთი სალსარი  
გაქვთ თავის გასამართლებლად. დაამტკიცეთ  
როგორმე, რომ მკვლელობის ღამეს ირისარში  
არ იყავით, და იმ წუთსვე განთავისუფლდე-  
ბით... სად იყავით იმ ღამეს?

**ეჩეპარი.** სად ვაყავი?

**მუზონი.** დიალ, ამაღლების წინა ლამეს სად იყავით?...  
სახლში იყავით?

**ეჩეპარი.** დიალ, სახლში ვიყავ.

**მუზონი.** მართალს ამბობთ?

**ეჩეპარი.** მართალს მოგახსენებთ.

**მუზონი.** (წამოდგება და თქატრალურად ეჩეპარზე მიუთითებს)  
აი, რა გამტყუნებთ ყველაზე ძლიერ. მე ნამ-  
დვილად ვიცი, რომ იმ ლამეს თქვენ შინ არ  
იყავით. უანდარმები თქვენ დასატუსალებლად  
რომ მოვიდნენ, თქვენ თქვენ ცოლს. მიუბ-  
რუნდით და უთხარით: „ლმერთი არ გაგიშურეს  
და არ გამოტყდე, რომ იმ ლამეს შინ არ ვი-  
ყავიო“... ვატყობ, ყველაფერი რომ გითხრათ,  
უკეთესი იქნება. იმ ლამეს ერთ ახალგაზღა-  
ქალს უნახავხართ კარში. ამ ქალს უთქვამს  
უანდარმებისთვის, რომ ლამის ათ საათზე,  
იგოლდელ ყმაშვილს რომ გამოვეთხოვე და შინ  
მივდიოდი, ეჩეპარი ქუჩაში ვნახეო.

**ეჩეპარი.** ეგ მართალია... იმ ლამეს გამოველი კარში...

**მუზონი.** (გახარებული) ეჰ, ჩემო ძვირუასო, ძნელია. თქვე-  
ნი გამოტეხა, მაგრამ სახეზედ კი გეტყობათ,  
როცა სტყუით... ამას ყველა შეგატყობთ...  
თქვენ სახეზე ისე ცხადათ ვკითხულობ ყველა-  
ფერს, თითქო, აი, ამნაირი ასოებით გეწეროთ  
სახეზე სიმართლე... ამის დასამტკიცებლად გა-  
მოგიცხადებთ, რომ არც ვინმე გოგოს უნა-  
ხავხართ კარში და არც არავის უთქვამს  
ეს უანდარმებისთვის, მაგრამ მე კი ისე ვიყავ  
ამაში დარწმუნებული, რომ თავს მოვიჭრიდი,

თუ გავმტყუნდებოდი... მაღლობა ღმერთსა! ჩემი ეშმაკობის წყალობით, მე და თქვენ მაინც ერთი ნაბიჯი წავდგით წინ... (ბენჯას) ჩასწერეთ ეჩეპარის პირველი ჩვენება?.. (ეჩეპარს) აბა, მოიკრიბეთ გონება, კიდევ განვაგრძოთ ლაპარაკი (ხელებს იფშვნეტავს, ბუხარს მიუახლოვდება, ფუნჯს დაისხამს და დაღევს. კმაყოფილებით ამრიცხუებს და თავის ადგილს დაუმარუნდება).

**პირველი უანდარმი.** (იქით) რა გაიძვერა რამ ყოფილა ჩვენი გამომძიებელი.

**მეორე.** უკეთესი საჭირო აღარ არის!

**მუზონი.** აბა, განვაგრძოთ... რახან ერთი დაიწყეთ ბარემ ყველაფერში გამოტყდით... საცოდავი უანდარმები, ლამის შიმშილით დაიხოცნენ. (იცინის; ბენჯა და უარდარმებიც იცინჩან) გამოტყდებით?.. არა?.. მაშ ამიხსენით, რა მიზეზით ამტკიცებდით, რომ იმ ღამეს სახლიდან არ გამოვსულვარო?

**ეჩეპარი.** პარველად უანდარმებს ეგრე ვუთხარი და შემდეგშიაც არ მინდოდა ჩვენების გამოცვლა.

**მუზონი.** კარგი, მერე უანდარმებს რაღად უთხარით ეგრე?

**ეჩეპარი.** მე მეგონა კონტრაბანდისთვის მატუსალებენ-მეთქი.

**მუზონი.** კარგი!.. მაშასაღამე, იმ ღამეს ირისარში არა ყოფილხართ?

**ეჩეპარი.** არა ვყოფილვარ.

**მუზონი.** მაშ სად იყავი?

**ეჩეპარი.** მთაში. წინა ლამეს ისპანიიდან გაღმორეკილ ჯოგიდან ერთი ცხენი დაგვეკარგა და იმის საძებნელად დავდიოდი..

**მუზონი.** კარგი, კარგი... ეგ კარგად მოიგონეთ... მაგითი კი იქნება გაიმართლოთ თავი... კონტრაბანდად გაღმორეკილ ჯოგიდან ერთი ცხენი დაგვეკარგათ და იმის საძებნელად წახვედით... კარგი და მშვენიერი... თუ მართალს ამბობთ სხვა ალარა დამჩენია-რა, რომ გაგანთავისუფლოთ... თქვენ მხოლოდ ის პირი და მისახელეთ, ვისაც მიჰყიდეთ ცხენი და, თუ ისიც გაიმეორებს თქვენ სიტყვებს, მაშინ უსათუოდ გაგანთავისუფლებთ! ვის მიჰყიდეთ?

**ეჩეპარი.** არავისთვის არ მიმიყიდნია!

**მუზონი.** მაშ აჩუქეთ ვისმე? იქნება, გასცვალეთ?

**ეჩეპარი.** არა. არც მიჩუქებია და არც გამიცვლია, რადგან ცხენი ვერ ვიპოვნე.

**მუზონი.** პო?.. ვერ იპოვნეთ, მაშ, ჰა?.. აფერუმ, აფერუმ!.. კარგი... მაშ სხვა მხრიდან მოვუაროთ საქმეს... რასაკვირველია, თქვენ მარტოკა არ წახვიდოდით ცხენის საძებნელად?

**ეჩეპარი.** მარტოდ-მარტო ვიყავ.

**მუზონი.** ეგ ხომ თავის გაუფრთხილებლობაა! მე გირჩევთ კვლავ უამხანაგოდ ნულარ წახვალთ მაგისთანა ადგილებში. მერე, დიდი ხანი იარეთ მთაში?

**ეჩეპარი.** მთელი ლამე. შინ დილის ხუთ საათზე დავბრუნდი.

**მუზონი.** ბევრი გიხეტიალნიათ!

**ეჩეპარი.** რა ვქნათ, ჩვენ ლარიბი ხალხი ვართ და ცხენი კი რამეთა ლირს.

**მუზონი.** კარგი, მთელ ლამეში უსათუოდ ვისმე შეხვდებოდით, ან მეხრეებს, ან დამოუნის კაცებს?

**ეჩეპარი.** არავის შეხვედრივარ, რადგან მთელი ლამე კოკისპირული წვიმა მოდიოდა.

**მუზონი.** მაშ არავის შეხვედრიხართ?

**ეჩეპარი.** არავის.

**მუზონი.** მეც ეგრე მგონია. (ნიშნის მოგებით და თითქმ შებრალებით) ერთი მითხარით, ბ. ეჩეპარ, ნუ თუ ნაფიცი მსაჯულნი სულ მთლად სულელები გვინიათ?... (სიჩუშე) მაგის მეტი ვერა მოიგონეთ-რა თავის გასამართლებლად?.. წელან გითხარით, ჭკვიანი აღამიანი ხართ-მეთქი... უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები. რა სისულელეს მეუბნებით? რვა წლის ბიჭი უფრო კარგ ამბავს შეთხხბვდა თავის გასამართლებლად. სასაკილოა, თქვენი ლაპარაკი, გარწმუნებთ სასაკილოა! მსაჯულნი, თქვენ ზღაპარს რომ გაიგონებენ, გულით გადიხარხარებენ... მთელი ლამე ნიაღვარში ეძებო ცხენი და მერმე მაინც ვერ იპოვნო... და არც არავის შეხვდეა ამ ძებნის დროსა, — არც მენახირეებს, არც დამოუნის კაცებს... დილის ხუთ საათზე შინ დაბრუნდე... როცა სულ გათენებულია ხალ-მე ამ თვეში და მაინც არავინ ნახო და არც არავინ შენა გნახოს... რა ამბავია?.. იქნება, ყველა დაბრმავდა იმ ლამეს? რაღაც საკვირველ-მოქმედება მომხდარა მაშა, ჰა? არა? იქნება

ესეცა სთქვად? მითომ რატომ? დანარჩენი ნალაპარაკევიც ისევე შეუძლებელია... ერთ მშვენიერ ღამეს ყველა ერთად დაბრმავდა, ჰა? (ბენუსა და ჟანდარმებს სიცილი წასკდებათ) ხედავთ, რა ცუდად იცავთ თავსა? აგერ ყველანი დაგცინიან. თანახმა ხართ თუ არა, რომ თქვენი ახალი ხერხი გროშაზაც არა ღირს? ეჩეპარი. (განცვიფრებულ-შემჯრთალი. ნახევარის ხმით) არ ვიცი... მე...

მუზონი. თუ თქვენ არ იცით, სამაგიეროდ ჩვენ ვიცით. მაგრამ მე რად გაძლევთ რჩევას!.. გაიმეორეთ თქვენი ჩვენება მსაჯულებთან და თქვენ თითონ დაინახვთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენთ. რატომ არ გინდათ გატყდეთ, აბა, რატომ? მე არ მესმის, ღმერთმანი, თქვენი ჯიუტობა!..

ეჩეპარი. თუ მე არ ჩამიდენია, ტყუილად ხომ ვერ დავიბრალებ?

მუზონი. მაშასაზამე, იმ, რაღაც საარაკო ცხენის ამბავს გაიმეორებთ კიდევ, ჰა? გაიმეორებთ?

ეჩეპარი. მე რა ვიცი!.. მე განა ვიცი, როგორ უნდა ლაპარაკი?.. სულაც რომ არ ამომელო ხმა, ის მერჩინა... რასაც ვიტყვი; ყველაფერი ისევ მე მიფუჭებს საქმესა.

მუზონი. ეგ იმიტომ ხდება, რომ უსაბუთო და დაუჯერებელ ამბებს გვეუბნებით... იმიტომ რომ მე რაღაც სულელი გვინიუროთ, რომელსაც შეუძლიან ყველა სიტყვა დაიჯეროს. მე თქვენი პირველი ხერხი უფრო მომწონდა; იქ ორი მოწმე მაინც იყო თქვენ მხარეს. მართალია,

არც ერთ მოწმეს მნიშვნელობა არა ჰქონდა,  
მაგრამ მაინც; რაც უნდა იყოს, ორი კაცი  
იყო თქვენ მხარეს. ახლა თქვენი პირველი ჩვე-  
ნება შესცვალეთ; რა ვქნა, ეგ თქვენი საჭმეა!..  
მე უფლება არა მაქვს აგიკრძალოთ!.. აბა  
ისევ დაკარგულ ცხენს გავყვეთ... მერე?

**ეჩეპარი.** მერე რა?.. (ხანგრძლივი სიჩუმე).

**მუზონი.** ილაპარაკეთ, მე გიცდით!

**ეჩეპარი.** (ყოფილი, თან ბენუას უცქერის თვალებში, თით-  
ქო ამის თვალებში უნდა ამოიკითხოს— ასე უნდა  
დაბარავი თუ აჯათ) თქვენ მართალი ხართ... მე  
ყველაფერს გეტყვით... ტყუილი გითხარით,  
მთაში ვიყავი-მეთქი... თუ სიმართლის ცოდნა  
გინდათ, ისევ პირველ ჩვენებას დაუჯერეთ...  
მე არსად გავსულვარ... სულ გადავირიე...  
მთელი კვირა ეშმაკსავით მარტოდ-მარტო ვი-  
ყავ გამოწყვდეული... პირველად ყველაფერს  
უარვყოფდი, სიმართლესაც-კი... ისე მეში-  
ნოდა თქვენი... მერე კი, როცა შითხარით...  
არც-კი მახსოვს, რა მითხარით... სულ გადამე-  
რია თავი... ყველაფერი დამავიწყდა და არც  
არა მესმის-რა... ვიცი მხოლოდ ისა, რომ მე  
უდანაშაულო ვარ... აი, ახლა ამ წუთში მზად  
ვიყავ ჩემ თავზე ამეღო ბრალი, ოღონდ თავი  
კი დაგენებებინათ ჩემთვის! რასა ვლაპარაკობ-  
დი ახლა, არც კი ვიცი... ჰო, მართლა თქვენ  
რომ მომაგონეთ, რაც დამავიწყდა, მე გავიფიქ-  
რე—მოდი ვიტყვი შინ არ ვიყავი-მეთქი...)

(წრთელად) გეფიცებით, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მე ბრალი არა მაქვს?..

**მუზონი.** გიმეორებთ, მე გულითა მსურს, რომ დაგიჯეროთ... მაშ ახლა კი მართალს ამბობთ, პა? მაშ სულ სახლში იყვით იმ ღამეს?

**ეჩეპარი.** დიალ, არსად გავსულვარ.

**მუზონი.** ახლა თქვენ ცოტასა გკითხავთ... მოწმე ხოშ არავინა გყავთ, რომ ისინიც დავიბაროთ?

**ეჩეპარი.** არა, ბ. მსაჯულო.

**მუზონი.** კარგი. (ჟანდარმებს) წაიყვანეთ ბრალდებული და აქვე დერეფანში დამიცადეთ... იქნება პირში წაყენება დაგვჭირდეს. (ჟანდარმებს გაჭერა ეჩეპარი).

### გამოსვლა მეშვიდე.

მ უ ზ თ ნ ი დ ა ბ ე ნ უ ს.

**მუზონი.** (ბენუას) ხედავ, რა ეშმაკია! ზედ მკვლელობა-ზედაც რომ მოესწროთ, მაშინაც კი არ გა-მოტყდებოდა... მაგრამ კარგა კი იცავს თავსა.

**ბენუა.** ერთი წუთი იყო ისეთი, როცა ასე მეგონა, აი, ამ საათში გამოტყდება-მეთქი...

**მუზონი.** შვილები რომ მოვაგონე მაშინ?

**ბენუა.** დიალ. თქვენ რომ ლაპარაკობდით, თვალები ცრემ-ლებით მევსებოდა... მზად ვიყავ მე ამედო. ჩემ თავზე ბრალი.

**მუზონი.** არა? ეჭ, შაკიკი რომ არა მიშლიდეს!... (სიჩუმე) ამ ბოლოს დროს კი სისულელე ჩავიდინე.

**ბენუა.** რასა ბრძანებთ, ბ. მსაჯულო!...

**მუზონი.** დიდი, დიდი სისულელე ჩავიღინე. მე როდი უნდა დამეწუნებინა იმის უკანასკნელი ხერხი... მთელი ეს ზღაპარი ისეთი დაუჯერებელი და სულელური იყო, რომ უეჭველად დაპლუპავდა პრალდებულს. ახლა კი თუ . გაჯიუტდა სახლიდან არ გამოვსულვარო, მოსამსახურემაც თუ ეგ გაიმეორა და ცოლმაც ეგ განაცხადა, ცოტა არ იყოს, ნაფიც მსაჯულებს ეჭვში შეიყვანს... მალე მიხვდა ამას გაიძვერა!.. მალე იგრძნო, რომ პირველი ხერხი სჯობდა თვის გასამართლებლად.. დიდი, დიდი შეცდომა მომივიდა, ძვირფასო ბენუა!.. (თავისთვის) შეცდომა უნდა გავასწორო... ვიფიქროთ პატარა... ბოროტ-მოქმედება ეჩეპარის ჩადენილია, ეჭვი არავის უნდა ჰქონდეს. ისე დარწმუნებული ვარ ამაში, თითქო ჩემის თვალით მენახოს... ეჩეპარი იმ ღამეს შინ არ უნდა ყოფილიყოს და ცოლმა, რასაკვირველია, ეს ამბავი უნდა იცოდეს. ახლა თუ როგორმე გამოვტეხე იმისი ცოლი და ვათქმევინე, რომ იმ ღამეს ჩემი ქმარი შინ არ იყოო, იმ დაუჯერებელ ზღაპარს დაუბრუნდებით,— მაშინ ოჯელ დავიჭრ სიცრუეში და გავაბამ კიდეც... ახლა ის-ლა დამრჩენია, ცოლი გავტეხო და სიმართლე ვათქმევინო... (ბენუა) რა იქნა ეჩეპარის ცოლის შესახებ ცნობები, პარიზიდან რომ მომივიდა?

**ბენუა.** საქმეში ჩაწყეთ, ბ. მსაჯულო.

**მუზონი.** ჰო, ჰო... აგრე აქ არის. № მეორე. ერთის თვით დაპატიმრება ნაქურდალის დაფარვისა-

თვის... ჩინებულია!.. დამიძახეთ ეჩეპარის  
ცოლსა!

**ბენუა.** (მიუახლოვდება კაცებსა და უძახის) იანეტტა ეჩეპარ!

### გამოსვლა მისამართზე

იგინივე და იანეტტა.

**მუზონი.** ახლო მოდით!.. არ დაგაფიცებთ; რაღან ბრალ-  
დებულის ცოლი ხართ. მაგრამ წინდაწინვე  
გატყობინებთ, სრული სიმართლე უნდა ილა-  
პარაკოთ. გახსოვდეთ, რომ ერთიბეჭო თქვე-  
ნი სიცრუე მაიძულებს ბოროტ-მოქმედის მო-  
ზიარედ ჩაგთვალოთ და თქვენც დაგატუსალოთ.

**იანეტტა.** მე არ მეშინიან. ჩემ ქმარს ბოროტება არ ჩა-  
უდენია და, საშასაფარებელი ვერც მე გავიზიარებ-  
ლი მას.

**მუზონი.** მე კი სულ სხვა აზრისა ვარ... და დავუმატებ—  
მე დარწმუნებულიც-კი ვარ, რომ თქვენ ბევ-  
რით იმაზე მეტი იცით, რასაც სამსჯავროს  
უამბობთ.

**იანეტტა.** მე? ეგ უსინიღისობაა!

**მუზონი.** ჩუმად, ჩუმად! ცოტა ხმას დაუკელით!.. იმას  
კი არ ვამბობ, მკვლელობაში მიგილიათ მო-  
ნაწილეობა-მეთქი. მე ვამბობ: იქნება იცო-  
დით, რომ ეს ბოროტ-მოქმედება უნდა მომხ-  
დარიყო, იქნება აჩევაცა გქონდათ ქმართან  
და შეიძლება ისარგებლეთ კიდეც ბოროტ-  
მოქმედების ნაყოფით. ეს სრულიად საკმარი-  
სია, რომ თქვენც თქვენ ქმართან ერთად  
ბრალდებულის სკამზე დაგსვათ. ახლა თქვენ

გულწრფელობაზეა დამოკიდებული ჩემი აზრი  
და, იმისდა მიხედვით, წრფელი იქნებით თუ  
იცრუებთ, ან დაგატუსალებთ, ან გაგამარ-  
თლებთ. ახლა ხომ ვეღარ დამემდურებით, წინ-  
დაწინვე არ შემატყობინა, რაც მომელოდაო.  
ახლა მიპასუხეთ — იმეორებთ თქვენს პირველ  
ჩვენებას, რომ თქვენი ქმარი ამაღლების წინა  
ლამეს შინ იყოო?

**იანეტტა.** ვიმეორებ!

**მუზონი.** აი, სიცრუით იწყებთ ჩვენებას.

**იანეტტა.** (აღელვებული) გაუეჩის მოკვლის ლამეს ჩემი  
ქმარი კარში არ გასულა.

**მუზონი.** მე კი ვამბობ, რომ ეგ სიცრუეა!

**იანეტტა.** (ისევ ისე) გაუეჩის მოკვლის ლამეს ჩემი ქმარი  
კარში არ გასულა.

**მუზონი.** თქვენ ჯიუტი ხართ და მაგის მეტს არას  
იტყვით!

**იანეტტა.** ღიალ, მე ყოველთვის ამას ვიტყვი.

**მუზონი.** აი, ამ საათში გავიგებთ, მართალს ლაპარაკობთ  
თუ ცრუობთ. გათხოვების პირველი დღიდან-  
ვე ჩინებულად იქცეოდით. თქვენ ხელმოჭე-  
რილი, ერთგული, მუშაკი და პატიოსანი ქა-  
ლი ხართ...

**იანეტტა.** მერე რაო?

**მუზონი.** მომითმინეთ! ორი შვილი გყავთ, რომლებსაც  
აღმერთებთ; თქვენ საქები და საღიდებელი  
დედა ხართ... შვილების გულისთვის თავიც  
თურმე არ დაგიზოგნიათ... უფროსი შვილის  
გვადმყოფობის დროს — უორუისა, მგონი?

**იანეტტა.** დიალ, უორჯი მყავდა აკად, მაგრამ ჩემი ქმრის  
საქმესთან რა დამოკიდებულება აქვს უორჯის  
აკადმყოფობას, ან ჩემ თავგანწირულებას?

**მუზონი.** მოითმინეთ პატარა, ახლავე გაიგებთ.

**იანეტტა.** ვნახოთ!

**მუზონი.** თქვენ მით უფრო მეტი პატივის ღირსი ხართ,  
რომ თქვენი ქმარი კეთილი კაცის მაგალითს  
ვერ იძლევა: ხანდახან ლოთობს თურმე.

**იანეტტა.** ეგ სიცრუეა!

**მუზონი.** როგორ თუ სიცრუეა? ეს ყველამ იცის...  
ამასთან სასტიკი და ბრაზიჭნი ხასიათიცა აქვა.

**იანეტტა.** ჩემი ქმარი სასტიკა ხასიათისა არაოდეს არა  
ყოფილა.

**მუზონი.** ჩხერიმისა და იარაღის ხშარებისათვის ოთხჯერ  
დასჯილიც იყო.

**იანეტტა.** შესაძლებელია: უქმე დღებში, საღამოობით  
დალევდა ხოლმე... მაგრამ ეგ უწინ იყო და  
ახლა, ზას შემდეგ, იმდენი ხანი გავიდა, რომ  
დაავიწყდა კიუჟც... ახლა მე ყოვლად ბეღნიე-  
რი ცოლი ვარ?

**მუზონი.** მიკეირს.

**იანეტტა.** ეგრეც რომ იყოს, ეგ მაინც არ ამტკიცებს,  
რომ გაუეჩი იმან მოჰკლა.

**მუზონი.** თქვენი ქმარი ძუნწია.

**იანეტტა.** ღარიბი ხალხი ნება-უნებურად ძუნწობს. თუ  
ასე არ მოიქცევიან, შეიძლება შიმშილითაც  
დაიხოცნენ.

**მუზონი.** კარგად ესარჩელებით ქმარსა.

იანეტტა. თქვენ კი გეგონათ, რომ ქმარს გავამტყუნებდი?

მუზონი. თქვენ კი არა ყოფილხართ როდისმე სასამართლოს ხელში?

იანეტტა. (შემკრთალი) მე?

მუზონი. ღიაღ, თქვენა.

იანეტტა. (სუსტად) არა; მე სამართალთან არაოდეს არა მქონია საქმე.

მუზონი. ერთ ქალზე გავიგონე, ნაქურდალის დაფარვისათვის ერთი თვით იყო დატუსალებული პარიზშით და, საკირველია, რამ იმ ქალსაც თქვენი სახელი ჰქვიან.

იანეტტა. (სუსტად) ნაქურდალის დაფარვისათვის?

მუზონი. თითქო გამბედაობა მოგაკლდათ... შეკრთით კიდეც...

იანეტტა. (ისევ ისე) არა... არ შევკრთომილვარ...

მუზონი. გაფიტრდით?.. ცახცახებთ?.. ცუდად ხომ არა ხართ? ბენუა, სკამი მოაწოდეთ! (ბენუა ან რუსებს) გონს მოდით, რა დაგემართათ?

იანეტტა. ღმერთო ჩემო! ეგ ამბავი მცირ თქვენა?

მუზონი. აი, რასა მწერავენ პარიზიდან: აგასათხოვარი ქალი, იანეტტა, ესა და ესა...მ—სოჯახმა თექვსმეტის წლისა ჩამოიყვანა პარიზში და სენ-უან ლიუს ქუჩაზე მოახლედ სცხოვრობდა.

იანეტტა. მართალია.

მუზონი. მე განვაგრძობ... (კითხულობს) იანეტტასა და მ—ის ოცდა სამი წლის ვაჟს მალე შეუყვარდათ ერთმანეთი... არი წლის შემდეგ, ახალგაზლა მ—მა მამას რვა ათასი ფრანკი მოპარა და, ია—

ნეტტასთან ერთად, საღლაც გაიქცა. მამამ  
სასამართლოს მიწმართა და იანეტტა ერთი  
თვით დაპატიმრებულ იქნია ნაკურდალის და-  
ფარვისთვის. სატუსალოდან გამოსვლის შემ-  
დეგ იანეტტა საღლაც მიიმალა; ყველას ეგონა,  
სამშობლოში წავიდაო“... თქვენზეა ლაპა-  
რაკი, არა?

**იანეტტა.** დიალ...ჩემზე... ლმერთო ჩემო, ლმერთო ჩე-  
მო!.. ამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ და მე-  
გონა დავიწყებული იქნება კიდეცა-მეთქი!..  
დიალ, ბ. მსაჯულო, ეგ ყველაფერი მართა-  
ლია; მაგრამ, აგერ ათი წელიწადია, მთელ ჩემ  
სიცოცხლეს წარსულის გამოსყიდვას ვწირავ...  
ახლა, ამ საათში, ისე უზრდელად გელაპარაკე-  
ბოდით!.. მაპატიეთ, ბ. მსაჯულო!.. ახლა  
თქვენ ხელთ არის ჩემი სიცოცხლე, ჩვენი—  
ჩემი ქმრისა და შვილების პატიოსნება და სა-  
ხელიც!

**მუზონი.** მგონია, თქვენმა ქმარმა არ იცის ეს ამბავი?..

**იანეტტა.** არაფერი... ნუ, ნუ ეტყვით... აი, მუხლ-მო-  
დრეკილი გევედრეპით... შემიბრალეთ... მარ-  
თალია, ბოროტმოქმედება იყო ეგა, მაგრამ...  
მომისმინეთ... სამშობლოში რომ დავბრუნდი,  
გარეულ მხეცივით ვიმალებოდი და ყველას ვა-  
რიდებდი თავსა... სიკვდილი მერჩივნა სიცო-  
ცხლეს. თქვენ გესმით, რასაკვირველია, რა-  
ტომ არ მინდოდა პარიზში ყოფნა. მალე დე-  
დაც მომიკვდა... ეჩეპარს გაგიჟებით ვუყვარდი  
და მევედრებოდა, რომ მივსთხოვებოდი. მეც

მიყვარდა, მაგრამ უარი ვუთხარი... სამი წე-  
ლიწადი უარს ვეუბნებოდი, წარმოიდგინეთ,  
სამი წელიწადი!.. მაგრამ მარტო-მარტო  
ეყიდვ, უბედურად ვგჩქნობდი თავსა და ბო-  
ლოს ლავსთანხმდი. საცა სამართალი იყო, უნ-  
და გაძლიერებოდი ვაპირობდი კიდეც, მაგრამ  
ვერ შევძელ! ეს ამბავი რომ იცოდეს, ჯავრიჯ  
სული ამოხუება... ისეთი კეთილი რამ არის,  
ისეთი, ბ. მსაჯულო, რომ ვერ აგიწერთ...  
(მუზონი მოუსევნრად შეინიჭება) დიალ, დიალ...  
ხანდახან, როცა დაღევს, შფოთი იცის... არა-  
ფერს დაგიმალავთ... მაგრამ ამ ბოლოს დროს  
გატყდა და ქერთს უკლო... (ცრუშიაშორეული)  
ოო, ოლონდ იმას ნუ გაიგებს... თუ გაიგო,  
იმ საათში თავს დამანე ებს და შვილებსაც წა-  
მართმევს!.. (ტირილით) წამართმევს, ვიცი წა-  
მართმევს! არ ვიცი, როგორ გევედროთ, რო-  
გორ გეხვეშოთ, რომ არ უთხრათ... იცით რო-  
გორ გაგვაუბედურებს ეს ამბავი?.. მართალია,  
მე ყველაფერში დამნაშავე ვარ... მაგრამ მეს-  
მოდა განა, რას ვჩადიოდი?... განა ვიცოდი?..  
ჯერ ჩვილმეტი წლისაც არ ვიყავ, პარისში რომ  
ჩამომიყვანეს... ჩემ ბატონებს ვაუ ჰყავდათ...  
თითქმის ძალით მიშვნა... ამასთან მიყვარდა  
კიდეც... მერე ჩემი წაყვანა გადასწყვიტა, რად-  
გან მშობლები საღლაც შორს უპირობინენ გა-  
გზავნას... მე რა ვიცოდი, თუ ფული მოიპა-  
რა?.. გეფიცებით, არა ვიცოდი-რა...  
— 153 —

**მუზონი.** დამშვიდდით, დამშვიდდით! დავანებოთ მაგას-  
თავი და ისევ თქვენს ქმარს მივუბრუნდეთ...  
(მეტის-მეტად წრფელად) მოიკრიბეთ ღონე...  
თქვენი ქმარი დამნაშავეა.

**იანეტტა.** ეგ ყოვლად შეუძლებელია, ყოვლად შეუძ-  
ლებელია!

**მუზონი.** (ისევ ისე) მართალია, ჯერ არ გამოტეხილა,  
მაგრამ ცოტა-და უკლია გამოტეხას. მე ნამდვი-  
ლად ვიცი; რომ იმ ლამეს თქვენი ქმარი შინ  
არ იყო... მოწმები მყავს ამისი.

**იანეტტა.** ღმერთო ჩემო! მოწმები? ვინ არიან? ეგ სი-  
ცრუეა!

**მუზონი.** მე გირჩევთ, ჯიუტობას თავი დაანებოთ, ეს  
თქვენთვისვე იქნება საზარალო... იცით, ჯიუ-  
ტობა სანამდის მიგიყვანთ? მთლიად დაპლუპავთ.  
თქვენ ქმარსა. თუ გაიმეორებთ კიდევ, რომ  
ჩემი ქმარი იმ ლამეს კარში არ გასულაო, გი-  
მეორებთ, თქვენისავე ხელით გამოსჭრით ეჩეპარს  
ყელსა. პირიქით, თუ უზანაშაულია, ყველაფერს  
გულახდილად გვეტყვის: — სად იყო, ვინა ჰყავ-  
დს ამხანაგები და როგორ გაატარა ლამე...

**იანეტტა.** ამხანაგები არა ჰყოლია.

**მუზონი.** მაშ მარტოკა წავიდა?

**იანეტტა.** ღიალ.

**მუზონი.** ათ საათზე?

**იანეტტა.** ათზე.

**მუზონი.** და დილის ხუთ საათზე ისევ მარტოკა დაბ-  
რუნდა შინა, ჰა?

**იანეტტა.** ღიალ, მარტოკა დაბრუნდა.

**მუზონი.** იქნება გეშლებათ და ეგ ამბავი სხვა ღამეს  
მოხდა? რომ იძახით, მარტოკა გავიდა სახლი-  
დანაო, ამალლების წინა ღამეს იყო ეს ამბავი?

**იანეტტა.** ღიალ.

**მუზონი.** ბენუა, ჩასწერეთ ყველაფერი?

**ბენუა** ღიალ, ბ. მსაჯულო.

**მუზონი.** ვიცი, მესმის თქვენი წუხილი და მდგომარეო-  
ბა, მაგრამ მომისმინეთ ყურადღებით... თქვენ  
ქმარს იმ ხანებში ფული უჭირდა, არა?

**იანეტტა.** სრულიადაც არა.

**მუზონი.** მე ნამდვილად ვიცი, რომ უჭირდა.

**იანეტტა.** გეუბნებით, არა-მეთქი.

**მუზონი.** აი, დამამტკიცებელი საბუთი: სამი თვის წინათ  
ერთ ვაჭრისაგან რვაასი ფრანკი უსესხნია  
თქვენ ქმარსა.

**იანეტტა.** ეგ ამბავი არაოდეს არ უთქვამს ჩემ ქმარს.

**მუზონი.** გარდა ამისა, მოხუცი გაუეჩისაც კაი ძალი  
ფული ემართა.

**იანეტტა.** მე არა გამიგონია-რა მაგ ვალის შესახებ.

**მუზონი.** აი, თქვენი ქმრის ხელმოწერილი ბარათი...  
იმის ხელი არ არის?

**იანეტტა.** ღიალ, იმის ხელია... მაგრამ მე კი არა ვიცო-  
დი-რა.

**მუზონი.** არ იცოდით, რომ გაუეჩის ფული ემართა?...  
ეგეც ამტკიცებს იმას, რაც მე კაი ხანია ვიცი...  
თქვენი ქმარი ირისარიში იყო?

**იანეტტა.** არა, ბ. მსაჯულო.

**მუზონი.** თქვენ გითხრათ, მთაში მიგდივარო, და თითონ  
კი ირისარიში წავიდა.

**იანეტტა.** ჩემი ქმარი არაუერს მიმალავს ხოლმე.

**მუზონი.** თქვენ თითონ ჰქედავთ, რომ გიმალავდათ... აგერ, ამ ვალის შესახებაც არა გცოდნიათ-რა... ეჩეპარი ირისარიში იყო!.. არა გჯერათ ჩემი სიტყვა?

**იანეტტა.** მჯერა, მაგრამ ფულის გულისთვის ჩემი ქმარი კაცს ვერ მოჰკლავდა, ვერა... ეგ სიცრუეა, სიცრუე!..

**მუზონი.** სიცრუეა? აბა, როგორ დაგიჯეროთ? თქვენმა ქმარმა ჯერ ყველაფერზე უარი განაცხადა და მერე კი სხვა ხერხი იხმარა თავის გასამართლებლად. ეხლა თქვენც სიცრუით დაიწყეთ... გიმეორებთ, სწორედ ეგ სიცრუე დაპლუბავს თქვენ ქმარსა.

**იანეტტა.** მე არა ვიცი რა... მაგრამ მუდამ ვიტყვი — ჩემი ქმარი ფულის გულისთვის კაცს არ მოჰკლავდა.

**მუზონი.** მაშ როგორ წარმოვიდგინოთ?.. იქნება, ისე არ მოხდა საქმე, როგორც მე მგონია? შესაძლებელია შეზარხოშებული ეჩეპარი გაუეჩონ წავიდა და ვალის დაცდასა სთხოვდა. შელაპარაკდნენ... მოხუცი ჯერ კიდევ ჯანად იყო და, შეიძლება, თითონ დაუწყო ჩეუბი. ამ შემთხვევაში თქვენი ქმრის მდგომარეობა სულ მთლად იცვლება. გაშინ წინად განძრახვას აქ ადგილი აღარ ექნება და სასამართლოს განაჩენიც, რასაკვირველია, სასტიკი არ იქნება. ხედავთ, რამდენად სასარგებლო იქნება, რომ როგორმე გამოსტეხოთ ეჩეპარი და ათქმევინოთ,

თუ როგორ იყო საქმე. თუ უწინდელსავთი გაჯიუტდა, მეშინიან, ვაი თუ სასტიკად დასაჯონ. — მოხუკი გაუეჩი რომ თქვენი ქმრის მოკლულია, ეჭვი აღარა მაქვს. საქმე იმაშია მხოლოდ — რა პირობებში მოხდა ეს?.. ჯიუტობით იქნება უფრო გაიფუჭოს საქმე და ისეთი სასჯელი მიიღოს, რომელიც დამსახურებული არ იქნება გესმით, რას გეუბნებით?

**იანეტტა.** მესმის, მესმის, ბ. მსაჯულო.

**მუზონი.** თუ გინდათ, მოველაპარაკეთ. იქნება როგორმე დააჯეროთ... გინდათ დავაძახებინებ?

**იანეტტა.** დაუძახეთ, მოველაპარაკები.

**მუზონი.** (ბენუას) შემოიყვანეთ დამნაშავე და ჟანდარმებს უთხარით, კარში მოიცავონ (ბენუა მიუხლოვდება კარებს და ბრძანებას აძლევს).

### გამოსმლა შეცხრე

იგინიგე და ქნებარი.

**იანეტტა.** პიერ? როგორა გხებავ, ქურდსავით დატუსაღებულს?.. შე საბრალოვ, შენა!.. დაუმტკიცე, რომ უდანაშაულო ხარ... უთხარი ბ. მსაჯულს სიმართლე, ნურაფერს დაუმალავ .. ეგრე ეჯობინება... გევედრები, ნურას დაჭმალავ...

**ეჩეპარი.** ახლა ყველაფერი ტყეუილი იქნება! ვგძნობ, რომ ვიღუპები და ვეღარა მიშველის-რა. რაც უნდა ვსთქვა და რაც უნდა ჩავიღინო, თავისუფლებას მაინც ვერ დავიბრუნებ..; ყოველი ჩემი სიტყვა მევე მღუპავს... მსაჯულსა სურს, რომ მე დამნაშავე ვიყო... ეგ საჭიროა მაგის-

თვის და ჩვენ რაღას გავაწყობთ? მაგასთან  
ბრძოლა აღარ შემიძლიან. რაც უნდათ, ისა  
ჰქნან, მე ხმასაც აღარ ამოვილებ.

**იანეტტა.** ნუ, ნუ, ჩემო პიერ!.. უნდა ელაპარაკო, თავი  
დაიცვა... გევედრები, ეცადე, რომ გაიმარლო  
თავი.

**ეჩეპარი.** რა საჭიროა?

**იანეტტა.** შენ შვილებს გაფიცებ... საწყლებმა ჯერ არა  
იკიან-რა, მაგრამ ჩემ ცრემლებს რომ ჰქედა-  
ვენ, ისინიც სტირიან. რაც უნდა ვეცადო და  
დავფარო ჩემი ნალველი, მხიარულად ხომ მაინც  
ვერ ვაჩვენებ თავსა?.. ჰქედავენ ამას... მეკი-  
თხებიან... ოჯ, რომ იცრდე, როგორ უყვარ-  
ხართ, პიერ!.. დღეს დილითაც მეკითხებოდა  
ანდრე: „სად არის მამა? მოიყვან თანა?“ მე  
ვუთხარი, ჰო-მეთქი, და გიუსავით გამოვვარდი  
კარში... ჰქედავ, უნდა დაიცვა თავი, რამ  
მალე დაუბრუნდე ოჯახს, შვილებდ ნახო... თუ  
რამე გაქვს დაფარული, ნუ დაუმალავ... უთხა-  
რი ყველაფერი... რა ვიცი... ხანდახან ჭირ-  
ვეულობა იცი... თუ იყავი ირისარიში, უთხა-  
რი... იქნება წაეჩეუბე და... მე კი არა მჯერა,  
ისე გეუბნები... ბ. მსაჯული დამპირდა, მაგ  
შემთხვევაში არ დასჯიანო... ან და სასტიკად  
არ დასჯიანო... ღმერთო ჩემო, —რაღა უნდა  
გითხრა? რა ვქნა?

**ეჩეპარი.** მაშ როგორცა სჩანს, შენ უდამნაშავედა მთვლი?..  
შენ ცა? მითხარია: შენ ცა მთვლი დამნაშავედ?

**იანეტტა.** მე არა ვიცი-რა, არა!

**ეჩეპარი.** (მუზონს) აგერ თურმე საიდან მომიარეთ, ბ. მსაჯულო. ცოლის პირითაც გინდათ მაწამოთ. დაარიგეთ, რომ მე უღირსი და უპატიოსნო კაცი ვარ; იცოდით, რომ გაგიუებით მიყვარს შვილები და გეგონათ, იმათი სახელით ჩემი ცოლი სახრჩობელაზე გამგზავნიდა... თქვენ არა სცდებით! არა მგონია, მოიძებნებოდეს სხვა მამა, რომელსაც შეეძლოს ჩემსავით უყვარდეს თავისი შვილები. (აანეტტას) შენ ხომ იცი, იანეტტა, როგორც მიყვარს შვილები? ხომ იცი? ისიც კარგად იცი, რომ მე გულწრფელი ქრისტიანი ვარ და მწამს ყოვლად შემძლებელი ღმერთი. მაშ ყური მიგდე!.. თუ, მე მიმიძლვოდეს მაგ საქმეში დანაშაული, შვილები გამიწყვიტოს ღმერთმა!

**იანეტტა.** (მეტად აღეჭვებული) უდანაშაულოა, გეუბნებით უდანაშაულოა-მეთქი... (სიჩუმე) ახლა, რამდენიც გინდათ, მითხარით, რომ ჩემი თვალითა ვნახე, რომ ეგა ჰკლავდა გაუეჩა-თქო, მაინც არ დავიჯერებ და პირში გეტყვით, სცრულობთ-მეთქი?... თითონვე რომ აიღოს თავის თავზე ბრალი, მაშინაც კი ვიტყვი—არა და არა, ეგ დამნაშავე არ არის-მეთქი... ამას თქვენც კარგად უნდა გრძნობდეთ, ბ. მსაჯულო... უგულო ხომ არა ხართ, უნდა იცოდეთ, რა ძლიერია შვილების სიყვარული!.. თუ ეგრეა, ახლა თქვენც უნდა იყოთ დარწმუნებული, რომ ჩემი ქმარი უდანაშაულოა... ახლა

კი დამიბრუნებთ ქმარსა, არა?.. ახლა კი მე-  
შველა!..

**მუზონი.** თუ უდანაშაულოა, მაშ რაღათა სცრუობდა?

**ეჩეპარი.** თქვენა სცრუობდით და არა მე... დიალ, თქვენ, თქვენა სცრუობდით! თქვენ ამბობდით — მოწ-  
მები მყავს, რომელთაც კარში უნახავხართ იმ  
ლამესაო, და არაფერი მოწმე კი არა გყო-  
ლიათ.

**მუზონი.** თუ მაშინ არა მყავდა, ახლა ხომ მყავს... დი  
აღ, მყავს მე ისეთი მოწმე, რომელიც ამბობს, —  
რომ იმ ლამეს ეჩეპარი სახლში არ იყოო... და  
ეს მოწმე, აგერ, თქვენ წინა სდეგას, თქვენი  
ცოლი.

**ეჩეპარი.** (იანეტტას) შენა?!..

**მუზონი.** (ბერუას) მაჩევნეთ ამათი ჩვენება (სანამ მუზონი  
ქადალდებს სიჩჯავს, იანეტტა კა სანი უუურებს  
ჟერ ეჩეპარს და მერე მუზონს. ერთი ხელობა  
დროსად ჩაჭირდება და მერე თითქმ რაღასაც  
გადასწუვიტავს) აგერ, თქვენი ცოლი აცხადებს,  
ჩემი ქმარი საღამოს ათ საათზე გავიდა კარში  
და დილის ხუთ საათზე დაბრუნდაო.

**იანეტტა.** (მჯაფიდდ) ეგ სიცრუეა! მაგისთანა მე არა მი-  
თქვამს-რა!

**მუზონი.** თქვენ ისიც დაუმატეთ, რომ დილის ხუთ სა-  
ათზე მარტოკა დაბუშნდა შინაო.

**იანეტტა.** სიცრუეა, მე ეგ არ მითქვამს.

**მუზონი.** აი, თქვენ ჩვენებას წაგიკითხავთ. (კითხუ-  
ლობს) კითხვა — სახლიდან მარტოკა წავიდა?  
პასუხი — დიალ. კითხვა, — ათ საათზე? პასუხი,  
ათ საათზე.

იანეტტა. მე ეგ არ მითქვამს.

მუზონი. მე გკითხეთ კიდეც, იქნება გეშლებათ, ნამ-  
დვილად გახსოვთ, რომ ამაღლების წინალამეს  
გავიდა თქვენი ქმარი კარში-მეთქი? თქვენ  
მომიგეთ, —დიალ, იმ ღამეს გავიდაო.

იანეტტა. სიცრუეა!

მუზონი. მაშ რაღ არის ჩაწერილი?

იანეტტა. თქვენ, რაც გინდათ, იმას დასწერთ.

მუზონი. მაშ მე ვსტყუი?... საქმის მწარმოებელიც  
სტყუის?

იანეტტა. გაუეჩის მოკვლის ღამეს ჩემი ქმარი შინ იყო  
და კარში არ გასულა.

მუზონი. თქვენ ამ საათში უნდა მომიწეროთ ამ ქალალ-  
დზე ხელი, ეს თქვენი ჩვენებაა.

იანეტტა. რაც აქ სწერია, თავიდამ ბოლომდე, მტკნარი  
სიცრუეა! მე გეუბნებით სიცრუეა-მეთქი! (ამა-  
ჭლებულის ხმათ) გაუეჩის მოკვლის ღამეს ჩემი  
ქმარი შინ იყო და კარში არ გასულა!..

მუზონი. (სიძრაზისაგან გადაფითრებული) არ შეგარჩენთ  
მაგას!.. (ბენეას) მოამზადეთ ამ საათში ამის  
დასატუსალებელი ქალალდი და უანდარმებს  
დამიძახეთ (ბენეა გარებს მიუახლოვდება და შე-  
მოსვლას ანიშნებს) იანეტა ეჩეპარ! მე ბოროტ-  
მოქმედებაში მონაწილების ბრალსა გდებთ და  
კანონის ძალით გატუსალებთ (ჟანდარმები შე-  
მოვლენ). წაიყვანეთ დამნაშავე და ამ ქალის  
წასაყვანადაც შემობრუნდით (ჟანდარმებს ეჩე-  
პარ შიჭევათ).

გამოსვლა შეათხ

მუზონი, იანეტტა და ბენუა, შემდეგ თრა ქანდარში.

**იანეტტა.** რა იყო, განრისხდით, რომ თქვენ მიზანს ვერ  
მიაღწიეთ!.. ყველაფერი ჩაიღინეთ... ყველა-  
ფერი, რომ ნელ ცეცხლზე შეგეწვით... ჯერ  
თავი მოიკატუნეთ .. ალერსიანად ლაპარა-  
კობდით... გინდოდა, რომ მე თვითონ გამეგ-  
ზავნა ჩემი ქმარი სახრჩობელაზე... (მუზონი  
ქადალდს აიღებს და ისე აჩვენებს თავსა, თათქმ  
გულგრაფად ათავალიერებს ქადაიღებს) სახრჩობე-  
ლაზე გაგზავნა თქვენი ხელობაა!.. თქვენთვის  
საჭიროა დამნაშავე და უნდა გამოსხებნოთ  
საღმე!.. თქვენს ხელში ჩაგარუნილი კაცი და-  
ღუპულია!.. აქ უბრალონი შემოდიან და ბრა-  
ლიანები გადიან! . ეს ხელობაა თქვენი და  
თავიც კი მოგაქვთ ამით! კაცი ტუსაღად რომ  
გადააჭიოთ თქვენი სახელია და დიდება...  
ისეთ კითხვებს იძლევით, რომელნიც პირველ  
შეხვედვით უმნიშვნელონი არიან, მაგრამ კაცს  
კი წუთისოფელს ასალებენ... და თუ უბე-  
დურს ათქმევინეთ რამე, ველურ კაცსავით გი-  
ხარიანთ და ბეღნიერი ხართ...

**მუზონი.** (შემოსულ ქანდარშებს). წაიყვანეთ, ჩქარა!

**იანეტტა.** ველურ კაცსავით, დიალ!.. მერე მაგას ჰქვიან  
მართლმსაჯულობა!.. (ქანდარშებს), რომელუბიც  
მაუახლოვდნენ და მეღავში სელის მოვიდებას უპი-  
რობენ) ეგრე ადვილად ვერ წამიყვანო! (მარდას  
მუზოდაუჭიბა) თქვენ ჯალჭარი ხართ, როგორც

უწინდელ დროს, ჩოცა მართლ-მსაჯულობის  
წარმომადგენელნი ძვლებს ამტვრევდნენ კა-  
ცქებს, ასახიჩრებდნენ და აწამებდნენ, ოღონდ  
ეთქმევინებინათ რამე!.. (ჟანდარმები მაგიდას  
მოაშორებენ, მაგრამ იანეტტა იატაკზე დაეცემა  
და, სანამ ჟანდარმები მიათარევენ, ჰუგირის) დიალ,  
ულმერთო და მძაფრი ხართ, მაგრამ ამას თქვენ  
თითონ. ვერ ამჩნევთ თქვენ თავსა, პატიოსან  
კაცადა სთვლით თქვენ თავსა და ნამდვილად  
კი ჯალათი ხართ, დიალ, ჯალათი!..

ვ ა რ დ ა

## მესამე მოქმედება,

(ბრალმდებლის კაბინეტი. ღერეფანში გასავალი კარი მარჯვნივ არის და მოჩანს წარწერა. „რესპუბლიკის ბრალმდებელის კაბინეტი“. პირდაპირ განიერ კარება და რამდენიმე კიბეს დარბაზში. მიჰყავთ. საწერი. მაგიდა, სავარძლები, სკამება, ქალალდები და „საქმეები“)

### გამოსვლა პირველი.

ბენუა და ლაბუზიული.

(ფარდის აწევის დროს ბენუა ქალალდებს აგროვებს და პაპკაში აწყობს. შემოდის ლაბუზიული).

**ლაბუზიული.** გამარჯობათ, ბ ბენუა!

**ბენუა.** (ხელის ჩამორთმევას ვარა ჭიდავს) ბ. მსაჯულო, ეგ მეტის-მეტია..

**ლაბუზ.** რას ლაპარაკობთ, ბენუა!.. ჩამომართვით ხელი. დღეის იქით მე მსაჯული აღარა ვარ; ჩემი იანამდებობა აღარა თხოულობს, რომ ჩემ ხელ-ქვეითებს უკმეხად ვექცეოდე... თქვენ ის შითხარით—ეჩეპარის საქმე როგორ არის?

**ბენუა.** დღევანდელი სხდომა ბრალმდებელისა და ვექილის სიტყვას მოაწეოდეს. ეჩეპარს გამოჩენილი პარიზელი ვექილი დიუბლა იცავს.

**ლაბუზ.** გათავებენ კი დღესა?

**ბენუა.** უსათუოდ ბ. ვაგრემ რომ უპასუხოს. კიდეც

დიუბუას, დღეს მაინც უნდა გათავდეს სხდო-  
მა, რადგან ბ. თავმჯდომარე წვალ სანაღიროდ  
ბიბრძანდება.

**ლაბუზ.** როგორა გვთნიათ; გაამართლებენ ეჩეპარსა?

**ბენუა.** დარწმუნებული ვარ... (წასედას აპირობს).

**ლაბუზ.** ის ბებერი დედაკაცი ვინ არის, დერეფანში  
რომ იცდის?

**ბენუა.** ეჩეპარის დედა გახლავი, ბ. მსაჯულო!

**ლაბუზ.** საკოდავი დედაკაცი, რა შიშში იქნება ახლა!

**ბენუა.** სრულიადაც არა. ის დარწმუნებულია, რომ მსა-  
ჯულნი იმის შვილს გადართლებენ; ეჭვიც. კი  
არა აქვს ამისი. გუშინ მთელი დღე დერეფან-  
ში დააღამა. და დღესაც დამშვიდებული მო-  
ვიდა. მხოლოდ ეს იყო, დღეს ბრალმდებლის  
ან იმის ამხანაგის. ნახვას სცდილობდა... მაგ-  
რამ ბ. არდეიოლი მიღებანში არ არის და ბ.  
ვაგრე...

**ლაბუზ.** სტრომაზეა?

**ბენუა.** ძალიან ეწყინა საკოდავს, რომ ვერავინა ნახა.

**ლაბუზ.** აბა, დამიძახეთ აქ, იქნება, რამე რჩევა მივცე.

ბ. დიუბუა ხომ ჯერ არ გაათავებს თავის.  
სიტყვას?

**ბენუა.** არა მგონია.

**ლაბუზ.** მაშ უთხარით, მოვიდეს და მე მომელაპარაკოს.  
ეს არავის ეწყინება. და საბრალო დედასაც. კი  
უამშვიდებს.

**ბენუა.** ამ საათში, ბ. მსაჯულო. (მიუჟალუვდება მარჯვე-  
ნა ჭარებს და ანიშნებს, აქ მოდით, და თითონ მეო-  
რე ჭარებში. გადის).

**ლաბუზ.** (შარტოკა). საკვირველია, დილიდანვე კარგ  
გუნებაზედა ვარ და ყველას მინდა ვასიამოვ-  
ნო. (შემოდის ეჩებარის დედა. ბასების ბებერი  
დედაკაცების ტანთსაცმელში.)

### გამოსვლა მეორე.

ლაბუზიული და ეჩებარის დედა.

**ლაბუზ.** გავიგე, რომ ჩვენი ნახვა გდომებიათ.

დედა. დიალ, ბატონო.

**ლაბუზ.** გარჩევას გინდა დაესწროთ.

დედა. არა, ბატონო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემ  
შვილს გამართლებენ, და ამიტომ სრულია-  
დაც არ მეკითხება, იქ რას ილაპარაკებენ...  
იმიტომ გეახელით, რომ სახლიდან გამოგვაგ-  
დეს.

**ლაბუზ.** გამოგაგდეს?

დედა. დიალ. მოვიდა სასამართლოს ბოქაული და...

**ლაბუზ.** როგორ, თქვენ შვილს განა ვალები ჰქონდა?

დედა. დაატუსალეს თუ არა, ყველა მუშამ თავი დაგვა-  
ნება. ამის გამო ვეღარც მოსავალს მოვუარეთ  
და ვეღარც მოვალეები გავისტუმრეთ. მაგრამ  
ვიცი, შვილს რომ გამიმართლებენ, ყველას ამი-  
ნაზღაურებენ.

**ლაბუზ.** (იქით) საცოდავი დედაკაცი!

დედა. ძალიან მოხარული ვარ, რომ, საცაა, გათავდება  
ჩვენი ტანჯვა. შვილი დამიბრუნდება, თავის  
სახლ-კარს მიჰედავს, ოჯახსაც უპატრონებს  
და საქონელსაც დაიბრუნებს... აი, სწორედ  
ამიტომ მინდოდა თქვენი ნახვა.

ლაბუზ. ამიხსენით, რა გინდათ, არ მესმის.

დედა. ჩემი შვილის ორი კვირის დატუსაღების შემდეგ,

ბ. კლოდემ თავის ქარხნიდან ჩვენ რუში წყალი ჩამოუშვა და წყალი მოგვიწამლა... ჩვენი საქონელი ამ რუში სვამდა ხოლმე წყალსა... ახლა ეჩეპარმა რომ ნახოს, ვინ იცის, რას იზამს. მართლმსაჯულება უნდა დაგვეხმაროს...

ლაბუზ. მართლმსაჯულება?.. რა კარგი იქნებოდა, რომ როგორმე მართლმსაჯულებისთვის არ მიგემართ.

დედა. რადა? მართლმსაჯულება განა ერთი არ არის ყველასთვის?

ლაბუზ. რასაკვირველია!

დედა. განა ბ. კლოდეს უფლება აქვს ასე მოგვექცეს?..

ლაბუზ. მაგის უფლება რად ექმნება.

დედა. მეც იმიტომ მოვედი, რომ ჭააშლევინოთ ბ. კლოდეს ეს ბოროტება.

ლაბუზ. ეგ ისე აღვილი არ არის, როგორც თქვენა გვიათ, და სასამართლოს ბოქაულს უნდა მიჰმართოთ.

დედა. მერე?

ლაბუზ. იმან მოწმობა უნდა მოგცეს, რომ წყალი მართლა მოწამლულიაო.

დედა. ამისთვის რაღა ბოქაულის შეწუხებაა. საჭირო; ხომ ბავშვიც იტყვის.

ლაბუზ. კანონი ეგრეთია.

დედა. კარგი. მერე?

ლაბუზ. მერე ვეჭილს უნდა მიჰმართოთ და საქმე დაიწყოთ.

**დედა.** რა ჰუყო! თუ კი სხვანაირად არა გარიგდება-რა...

**ლაბუზ.** ეგ კიდევ არაფერი. თუ ბ. კლოდე წინააღმდევ გობას გაგიწევთ, ბ. თავმჯდომარე მოწმებს დანიშნავს და წყალს შეამოწმებინებს. თქვენ კი თავმჯდომარეს თხოვნა უნდა მიართვათ, რომ თქვენი საქმე, რაც შეიძლება, მალე გაარჩიოს. მართლაც, ზაფხულის შემდეგ თქვენ საქმეს პირველად გაარჩევენ...

**დედა.** ზაფხულის შემდეგ?

**ლაბუზ.** ეგ კიდევ არაფერი. კლოდეს ვექილი, შეიძლება, პირველ გარჩევაზე არ გამოცხადდეს და საქმე გადაიდება. ბოლოს, ბოლოს ბ. კლოდეს შეუძლიან წყლის შემოწმებაზე ეჭვი შეიტანოს და ახალი შემოწმება მოითხოვოს, ახალი მოწმები შეუძლიან დაასახელოს და ბოლოს უმაღლეს სასამართლოში შეუძლიან საქმე გადიტანოს. ყველა ეს იაფად არ ღაგიჯდებათ.

**დედა.** მერე ვინ უნდა გადიხადოს ეგ ხარჯი?

**ლაბუზ.** რასაკვირველია, თქვენა და ბ. კლოდემ.

**დედა.** იმას კი არ გაუჭირდება... მდიდარია. მაგრამ ჩვენა? — ჩვენ ალარა გვაძალია-რა.

**ლაბუზ.** მაგ შემთხვევაში დახმარება უნდა სოხოვთ სასამართლოს.

**დედა.** მაგასაც დიდი ხანი უნდა?

**ლაბუზ.** დიდი, ჩემო კარგო, დიდი.

**დედა.** მეუბნებოდნენ, საფრანგეთში სამართალი უსას ყიდლოაო.

**ლაბუზ.** სამართალი კი უსასყიდლოა, მაგრამ სამართლამდის მიღწევა კი იაფი არა ჯდება.

**დედა.** მაინც, რამდენი ხანი გაგრძელდება საქმე?

**ლაბუზ.** კლოდემ თუ უმაღლეს სასამართლოში გადიტანა საქმე, გათავებამდი ორი წელიწადი მაინც გავა, თუ მეტი არა.

**დედა.** ეგ შეუძლებელია!... განა სიმართლე ჩემ მხარეს არ არის?

**ლაბუზ.** ეგ საკმარისი არ არის, ჩემი კარგო, თქვენ მხარეს კანონის რომელიმე მუხლი უნდა იყოს.

**დედა.** მესმის: მართლმსაჯულებას ჩვენ, ლარიბნი, მაშინ გავიგებთ ხოლმე, როცა მეხსავით დაგვატყდება თავზე და რამე უბედურებას მოგვივლენს... რა ვუყოთ... წავალთ სადმე... სულ ერთია, საითაც გადაგვრტყოცნის ბედი... მე სრულიადაც არ დამნანდება ის ქვეყანა, საცა ყოველ ნაბიჯზე შეურაცხებას გვაყენებენ და სიმართლისთვის კი ვერ მიგვიგნია... ეჩეპარი მაგას როგორ აიტანს...

**ლაბუზ.** მაგ შემთხვევაში კანონი თქვენ მხარეს არის. თხოვნა შემოიტანეთ და სასამართლო თქვენ შეურაცყოფელს დასჯის.

**დედა.** აღარა მჯერა. ერთხელ შემოვიტანე თხოვნა, მაგრამ სასამართლომ ჩვენ შემაწუხებელს არაფერიც არ უყო... ისიც უფრო თავს გავიდა....

**ლაბუზ.** ეგ, თქვენი სოფლელია?

**დედა.** ღიალ დეპუტატ მონტუბელოს მეზობელი და ამხანაგი ლაბისტიდი გახლავთ.

**ლաბუზ.** კარგი. სიტყვას გაძლევთ, რომ დახმარებას გა-  
გიშევთ.

**დედა.** დიღათა გმაღლობთ, ბატონი. (ცოტა სიჩუმის  
შემდეგ) მაშ წაველ და შვილის განთავისუფ-  
ლებას მოვუცდი.

**ლაბუზ.** დიალ, წალით, წარით! (დედა დინჯის ნაბაჯით  
გადის).

გამოსვლა შესახე.

ლაბუზიული და ბენუა.

**ბენუა.** გამოდის სცენის სიღრმიდან) სხდომა შესწყვიტეს  
ცოტახნით.

**ლაბუზ.** ღიუბუამ გაათავა თავისი სიტყვა?

**ბენუა.** გაათავა, მაგრამ რა ტაშის კვრით დააჯილდოვეს!  
მე თითონ დავინახე, რომ ორი მსაჯული  
ცრემლებს იწმენდდა. ეხლა-კი უსათუოდ გა-  
ამართლებენ ეჩეპარსა, ამის ეჭვი არავისა აქვს.

**ლაბუზ.** მით უკეთესი.

**ბენუა.** გაიგეთ ახალი ამბავი, ბ. მსაჯულო?

**ლაბუზ.** არა, რა ამბავია?

**ბენუა.** უფროსი ბრალმდებელი ჩამოვიდა.

**ლაბუზ.** მართლა?

**ბენუა.** ეს არის ეხლა ჩამოვიდა. ამბობენ, ვიღასაც პა-  
ლატის წევრადა ნიშნავსო...

**ლაბუზ.** პოო? როგორა გვონიათ, ვინ იქნება ეგ ბე-  
დნიერი? ბ. ვაგრე?..

**ბენუა.** მეც ეგრე მეგონა, დიღი ხანი ვიყავ ეჭვში, ხან  
ბრალმდებელი, ხან თავმჯდომარე მეგონა ახალ  
ადგილზე დანიშნული... მაგრამ, მგონი, შე-  
ვცდი.

**ლაბუზ.** მაშ როგორ? ბიუნერა დანიშნეს?

**ბენუა.** არა, ბ. მსაჯულო... მგონი, რომ ჩემი უფროსთ  
იქნება დანიშნული.

**ლაბუზ.** ბ. მუზონი?

**ბენუა.** ღიაღ, ბ. მსაჯულო.

**ლაბუზ.** რათა გვინიათ მერე აგრე?

**ბენუა.** უმფროსმა ბრალმდებელმა მითხრა, სხდომის გა-  
თავებამდე მუზონი მინდა ვნახო აქაო.

**ლაბუზ.** მაშ მოგილოცავთ, ბენუა!

### გამოსვლა მეოთხე.

იგინივე და ქ. ბიუნერა, მერე ქ. ვაგრე, ბიუნერა, პალატის-  
თავმჯდომარე, მუზონი და ბოლოს უფროსი ბრალმდებელი -

**ქ. ბიუნერა.** (შემოდის თვალ-ცრემლიანთ) ძეირფასო ლა-  
ბუზიულ!

**ლაბუზ.** რა იყო, რა დაგემართათ?

**ქ. ბიუნერა.** ის ვექილი... ღმერთო, რანიჭის პატრონი  
ყოფილა!.. რა გული ჰქონია!.. ღმერთო, რა-  
ნიჭით!.. გონება დავკარგე ღელვისაგან.

**ლაბუზ.** გაამართლეს?

**ქ. ბიუნერა.** ყველას ეგრე ჰეგონია.

**ქ. ვაგრე.** (შემოდის) მოისმინეთ თქვენი ნაქები ვექილი...  
რა გრეხია რამა ყოფილა!

**ლაბუზ.** ამბობენ, მსაჯულებზე ღიღი, შთაბეჭდილება  
მოახდინა, ეჩეპარს უსათუოდ გაამართლებენ.

**ქ. ვაგრე.** მეც მეშინიან მაგისი.

**ბიუნერა.** (შემოდის, შავი წამოსასხამი აცვია). გაიგეთ ახალი  
ამბავი? უფროსი ბრალმდებელი ჩამოსულა.

**ქ. ბიუნერა.** მართლა?

ქ. ვაგრე. თქვენ თითონ ნახეთ?

ლაბუზ. არა, მაგრამ ეს ამბავი ნამდვილია, მუზონი პა-  
ლატის წევრად დაუნიშნავთ.

ბიუნერა. მუზონი?

ქ. ვაგრე და ქ. ბიუნერა. მერე ჩემი ქმარი?.. აკი და-  
პირებულები იყვნენ?!...

პალატის თავმჯდომარე. (ჭერდის წითელი წამოსასხმი  
ასხია). სალამი, ბატონებო!.. უფროსი ბრალ-  
მდებელი ჯერ არავის გინახავთ?

ლაბუზ. არა, ბ. თავმჯდომარევ, მაგრამ, თუ ინებებთ და  
მოუცდით...

თავმჯდომარე. არა, ერთი მითხარით, ბ. ლაბუზიულ,—  
თქვენ გამოცდილი იურისტი ხართ, სხდომას  
ხომ დაესწარით?

ლაბუზ. ნაფიც მსაჯულთა ამორჩევილან მოყოლებული  
ვექილის სიტყვამდე.

თავმჯდომარე. არ შეამჩინეთ, ხომ არა დამავიწყდა-რა  
და საკასსაციო ხომ არ გახდება საქმე?

ლაბუზ. არა, არაფერი შემიმჩნევია.

თავმჯდომარე. საშინლად მეშინიან ყოველთვის. საქმის  
გარჩევის დროს. სულ ამაზედ ვფიქრობ. თუმცა  
მუდამ მაგიდაზე მსხვილი ასოებით დაბეჭდი-  
ლი თავმჯდომარის სახელმძღვანელო მიღევს  
ხოლმე წინა, მაინც მეშინიან, ხომ არა დამა-  
ვიწყდა-რა-მეთქი. რა ამბავი იქნებოდა სამი-  
ნისტროში? მე მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები  
ხოლმე, როცა ყველა ვადა გავა და საქმე აღარ  
განახლდება (სიჩუმე). მითხეს ტულუზიდან და  
ბორდოდან ჩამოსული უფრნალისტები იყვნენ  
სხდომაზეოდ.

**ლաბუზ.** ერთი პარიზიდანაც იყო ჩამოსული.

**თავმჯდომარე.** პარიზიდან? თქვენ ნამდვილად იცით,  
რომ პარიზიდანაც იყო ვინმე ჩამოსული?

**ლაბუზ.** ბრალდებულის სკამთან იდგა, როგორ არ ვიცი?

**თავმჯდომარე.** იდგა?! პარიზელი უურნალისტი და ფეხზე  
იდგა?... (ბენუას დაინახავს) თქვენ იცოდით ეს  
ამბავი და წინდაწინვე არ შემატყობინეთ?.. აი,  
თურმე, როგორ ასრულებთ თქვენს თანამდე-  
ბობას!.. ამ წუთას აღით, მოსძებნეთ, საცა  
იყვეს, ბოდიში მომთხოვეთ და საუკეთესო აღ-  
გილი აღმოუჩინეთ... გესმით?

**ბენუა.** მესმის, ბ. თავმჯდომარევ! (გასულას აჲირობს).

**თავმჯდომარე.** (გამოუდება) მოითმინეთ! (ჩუმათ) ეცადეთ,  
როგორმე გაიგოთ, უკმაყოფილო ხომ არ არის...

**ბენუა.** მესმის, ბ. თავმჯდომარევ!

**თავმჯდომარე.** მერე კიდე... (კარებში ქ. ბიუნერას დაე-  
ჭახება) მაპატიეთ, ქალბატონო... (წამოსასხამის  
კალთებს შეიკრიბავს და გარბის).

**ლაბუზ.** მონპეელიეში ერთს ტენორს ვიცნობდი, რო-  
მელიც მესამე გამოსვლამდის სწორედ ესე ღე-  
ლავდა ხოლმე, როგორც ჩვენი თავმჯდომარე.  
(შემთდის მუზონი, უველანი მეტად ციგად მიუ-  
სალშებიან).

**ქ. ბიუნერა.** (ცოტასნის სიჩუმის შემდეგ) მართალია, ბ.  
მუზონ...

**ქ. ვაგრე.** რომ უფროსი ბრალმდებელი...

**ბიუნერა.** მილეონში ჩამოვიდაო?

**მუზონი.** (ამპარტაგნულად) სრული. კეშმარიტებაა.

**ბიუნერა.** ამბობენ, ვიღასაც აღმატების ამბავი მოუტანაო... .

მუზონი. დიალ, ამბობენ...

ქ. ბიუნერა. განა თქვენ კი არ იცით?

მუზონი. სრულიად არაფერი.

ბიუნერა. არც მიხვედრილი ხართ?..

მუზონი. არაფერს.

ბენუა. (შემოდის) ბ. უფროსი ბრალმდებელი მობრძანდება!

ქ. ბიუნერა. ღმერთო ჩემო! (თმებს ისწორებს. შემოდის უფროსი ბრალმდებელი — ამჟარტავნული და სასტიკი გამოშეტყველება. უველანი უმდაბლეს სალამს აძლევენ და რაღასაც ბუტბუტებენ).

უფრ. ბრალმდებელი. შეგიძლიანთ საქმე განაგრძოთ. შემთხვევით შემოვიარე მიღეონში, მაგრამ მალე კიდევ ჩამოვალ და მაშინ ყველას მიგიღებთ... (უველანი თავს უგრავენ და გასასვლელად გაემართებიან) ბ. მუზონ, თქვენ კი აქ დარჩით... (მუზონი თავს უგრავს).

ქ. ვაგრე. (მოდის) მაქვს პატივი...

უფრ. ბრალმდ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ... მშვიდობით... (უველანი გადიან).

მუზონი. (მიმავალ ბენუას) ეხლა კი დავრწმუნდი, რომ მევარ დანიშნული.

ბენუა, მეტად მოხარული ვარ!.. მუზონ (გადის).

### გამოსვლა მეცნიერება.

მუზონ. და უფროსი ბრალმდებელი.

(მუზონი გახარებული ხელებს იფშნეტავს).

უფრ. ბრალმდებ. დაჯექით! (მუზონი დაჯდება) ბორდო-დან თქვენი შესახები საქმე მივიღე ამ წინაზე,

ბ. გამომძიებელო. (პორტფელში ეძებს) აგერ.  
(კითხულობს) „მუზონისა და გასათხოვარ ქალის  
პეტეს საქმე“... ხომ გაგონდებათ ეს საქმე?

მუზონი. (მითომ მნიშვნელობას არ აძლევს და სცდილობს  
გაიღიმოს. ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ). დიან,  
ბ. ბრალმდებელო.

უფრ. ბრალმდ. მე პასუხს ვეღი.

მუზონი. (ისევ ისე) თქვენც ბრძანებულხართ ერთ დროს  
ყმაწვილი, ბ. ბრალმდებელო...

უფრ. ბრალმდ. შეიძლება, მაგრამ მაგდენად ყმაწვილი  
კი არაოდეს...

მუზონი. მე უარს არ ვამბობ, ცოტათი გადავცდი სა-  
ზღვარს, მაგრამ...

უფრ. ბრალმდ. (კითხულობს) „მუზონი, ახალგაზდა ქალი-  
პეტე და ორი ცუდი ქცევის ქალი მეტად  
მოვრალები იყვნენ და უწესოებას ახდენდნენ.  
როდესაც პოლიცია ჩაერია საქმეში, მუზონმა  
პოლიციელს შეურაცყოფა მიაყენა და სამსახუ-  
რიდან გაგდებას დაემუქრა“... (აშშობს) ამაზე,  
აშბობთ—ცოტათი გაჯავცდი საზღვარსაო?

მუზონი. სიტყვით, რასაკვირველია...

უფრ. ბრალმდ. ცუდი ქცევის ქალებთან ერთად მსაჯუ-  
ლის სახელიც მოახსენებინეთ?! (კითხულობს)  
„მეორე დღეს ჩვენ, კამისრმა, მუზონს, რო-  
გორც საზღვაო აფიცერს, ისე ჩამოვართვით  
ჩვენება, რაკი ჭინადღეს საზღვაო აფიცერი  
უწოდა თავის თავსა“... (მუზონს შეხედავს—  
სიჩუმე).

**მუზონი.** (უწინდებულად ღიმილით) ეგ სულ ჩემი წვერე-  
ბის ბრალია.. .

**უფრ.** ბრალმდ. მართლა?

**მუზონი.** საზოგადოდ, როცა ბორბოში მივდივარ, ყო-  
ველთვის აფიცერის სახელს ვირქმევ ხოლმე,  
რომ მსაჯულის ღირსება დავიფარო.

**უფრ.** ბრალმდ. დაგვიანებული ზომაა!

**მუზონი.** არ ზაგავიწყდეთ; რომ მაგ ხერხს მე, დიდი ხა-  
ნია; მივმართე—დავაპირე თუ არა ჩვენი ოლ-  
ქიდან წასვლა.. .

**უფრ.** ბრალმდ. მე განვაგრძობ (კითხულობს) „მაგრამ მა-  
შინ კი გამოტყდა და გვაუწყა, რომ მიღეონის  
სასამართლოს გამომძიებელი ვარო. თან შე-  
გვეხვეწა, რომ ეს საქმე ჩაგვეფარცხა როგორმე...“

**მუზონი.** რეგვენი! ესეც კი ჩაუწერია ოქმში... ეგ კი  
მეტის-მეტი უზრდელობაა იმის მხრივ... საქმე  
იმაშია, რომ მე, ალიაქოთის ატეხა არ მინ-  
დოდა... ჩემ მდგომარეობაში სხვაც ეგრე მო-  
იქცეოდა. მე მგონი ..

**უფრ.** ბრალმდ. მაგის მეტს ვერაფერს იტყვით თვის  
გასამართლებლად?

**მუზონი.** თავის გასამართლებლად... რასაკვირველია, თუ  
ჩვენში უფროსისა და ხელქვეითის განწყობი-  
ლება დარჩება, სხვას ველარაფერს გეტყვით. მა-  
გრამ, თუ ნებას მომცემთ, რომ ერთი წუთით  
დავივიწყო თქვენი დიდი თანამდებობა, და თუ  
ინებებთ, მე; როგორც თანასწორს, ისე მელაპა-  
რაკოთ, მაშინ მოგახსენებთ, რომ უველა ეგ  
სიყმაწვილის ბრალია და; თუ შეცდომაა, ისიც

ყმაშვილობის ბრალია... შეცდომა, რომელიც, რაღა თქმა უნდა, კარგი არ არის, მაგრამ რომელიც ადვილად აიხსნება მილეონის ერთფერი და მოსაწყენი ცხოვრებით... ამასთან იმდღეს კარგათ ვისადილე... ბევრი პატიოსანი კაცია ხოლმე ყოველ დღე იმნაირ გუნებაზე... ეს ცოდო, ჩემის აზრით, სრულიაზაც არა სცებს პატიოსანი კაცის სახელს ჩირქსა.

**უფრ.** ბრალმდ. ვინც მსაჯულობა იკისრა და სხვის უპატიოსნობას და უკანონობას სჯის და ასამართლებს, იმან ყველა უპატიოსნო საქმეს თითონ უნდა აარიდოს თავი. რაც სხვებს ეპატიებათ ის მსაჯულს არაოდეს არ ეპატიება. ეს თქვენც კარგათ უნდა იცოდეთ.

**მუზონი.** თუ, ბ. ბრალმდებელო, მაინცამაინც. არ დაიშლით — ოფიციალურად განაგრძობთ ლაპარაკს, — მე სხვა ალარა დამრჩენია-რა, რომ გავჩუმდე და თქვენს გადაწყვეტილებას მოვუცადო.

**უფრ.** ბრალმდ. რაღა ლოდინი გინდათ? განა თქვენ თითონ ვერ მიხვდებით, რა გადაწყვეტილება მექნება თქვენ შესახებ?

**მუზონი.** მე გამომძიებელი გახლავართ... შეგიძლიანთ უბრალო მსაჯულათ გამხადოთ... ამ ზომით ხუთას ფრანკს დამაკლებთ წელიწადში... მე თანახმა ვარ.

**უფრ.** ბრალმდ. სამწუხაროთ, არ შემიძლიან მაგ პატარა სასჯელს დავკმაყოფილდე: საქმე იმაშია, რომ გაზეთის გამომცემელმა კუარმა, რომელიც ყოველ შემთხვევაში მსაჯულების შერცვენასა

სცდილობს ხოლმე, გადაჭრით გამომიცხადა, თუ  
მუზონს ერთი თვის განმავლობაში მიღეონი-  
დან არ გააძევებთ, მე იძულებული ვიქნები-  
ეს საქმე სავსებით გამოვამჟღავნოვო... თქვენ  
ადვილად მიხვდებით, რასაკვირველია, რომ მე  
იძულებული ვარ სულ ფაგითხოვოთ სამსახუ-  
რიდან.

მუზონი. მე სამსახურიდან დათხოვნას არ ვითხოვ!

უფრ. ბრალმდ. არ ითხოვთ?

მუზონი. ძალიანა ვწუხვარ, რომ ურჩობას გიბედავთ,  
მაგრამ გადავწყვიტე, სამსახურიდან დათხოვნის-  
ქალალდი არ მოგცეთ.

უფრ. ბრალმდ. მოითმინეთ... განა არ იცით მერე...

მუზონი. მე ყველაფერი ვიცი.

უფრ. ბრალმდ. მაშ, სასამართლოს უნდა გადავცეთ  
საქმე...

მუზონი. გადაეცით (ადგება).

უფრ. ბრალმდ. როგორც სჩანს, არც შერცხვენისა გე-  
შინიათ და არც გასამართლებისა?

მუზონი. გასამართლება ჯერ კიდევ საეჭვოა. მე თითონ  
შევიძლებდი თავის დაცვას, მაგრამ მაინც საუ-  
კეთესო ვექილს მოვიწვევ. რაც კი სირცხვილს  
შეეხება, ეგ მე სრულიადაც არ მაშინებს. მე  
უცოლშვილო კაცი ვარ და მიღეონში თითქმის  
არავის ვიცნობ, ყველა ჩემი ნაცნობები ბორ-  
დოში ცხოვრობენ და თითონვე მხიარულად  
ატარებენ ღროსა და, რაღა თქმა უნდა,  
იმათ თვალში ეს საქციელი მე სრულიადაც არ-  
შემარცხვენს. თუ სამსახურის დაკარგვას ამ-

ბობთ, მე საბედნიეროთ, იმდენი შეძლება მაქვს,  
რომ თქვენ სამ ათას ფრანკის დაკარგვასაც გა-  
ვუძლებ.

უფრ. ბრალმდ. კმარა! მშვიდობით!

მუზონი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბ. ბრალმდებელო  
(მიღის).

მოსამსახურე. (შემოდის და პატარა ჰაუზის შემდეგ) ბ.  
დეპუტატი ბრძანებს, უფროსი ბრალმდებელი  
უნდა მიციდესო...

უფრ. ბრალმდ. ჰო, ჰო! სოხოვე! (მოსამსახურე კარებს  
გაალებს, მონტუბეჭას გაატარებს და გავა. უფრ.  
ბრალმდ. მონტუბეჭას მიეგებება და ხელს ჩამო-  
ართმევს).

### გამოსვლა მეექვსე.

უფრთსი ბრალმდებელი და მონტუბეჭა.

მონტუბელო. გამარჯობათ. ძვირფასო ბრალმდებელო!  
ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენსა გხედავთ.  
ეს არის, ემ საათში ჩამოველი პარიზიდან. გუ-  
შინ ჩემ მეგობართან ვსაუზმობდი, იუსტიციის  
მინისტრთან... მმართველობა ძალიან გაჭირე-  
ბულ მდგომარეობაშია ამ ბოლოს დროს...

უფრ. ბრალმდ. რა მიზეზით?

მონტუბელო. პარლამენტში შეკითხებისა ეშინიანთ...  
გიამბობთ როგორმე. მართლა, ამბობენ ვიღაც  
ბრალმდებლის ამხანაგი ცელქობს. მილეუნშიო.

უფრ. ბრალმდ. ბ. არდეილი?

მონტუბელო. არდეილი... დიალ, დიალ... ეჯენმა ყვე-  
ლაფერი იცის.

უფრ. ბრალმდ. ეჯენმა?

**მონტუბელო.** დიალ... ჩემმა შეგობარმა... იუსტიციის  
მინისტრმა. გუშინაც მეუბნებოდა: „მე დარწ-  
მუნებული ვარ, შენი უფროსი ბრალმდებელი  
თავის მოვალეობას კარგად შეასრულებსო“.

**უფრ.** ბრალმდ. მე მხოლოდ ის მინდა გავიგო, რაში  
მდგომარეობს ჩემი მოვალეობა.

**მონტუბელო.** ეგ არაფერი... მართლა, ჩემო მეგობარო,  
თქვენ თურმე დამალვაცა გცოლნიათ...

**უფრ.** ბრალმდ. მე?

**მონტუბელო.** აქედან გადასვლას თურმე აპირობთ.

**უფრ.** ბრალმდ. მართალია, მაგრამ თქვენ საიდან გაი-  
გეთ, მერე?

**მონტუბელო.** როგორა გვონიათ, ვინ შეტყოდა? იმის  
მეტმა არავინ იცის ეგ ამბავი.

**უფრ.** ბრალმდ. ეუ... (გაისწორებს) ბ. მინისტრმა?

**მონტუბელო.** ორლეანში გინდათ თურმე გადასვლა!

**უფრ.** ბრალმდ. სრული ჭეშმარიტება! მთელი ჩემი ნა-  
თესაობა სულ იქა სცხოვრობს.

**მონტუბელო.** ამ ახლო ცვლილების დროს, თქვენ მხე-  
დველობაში ჰყევხართ.

**უფრ.** ბრალმდ. განა რამე ცვლილებას აპირობენ?

**მონტუბელო.** დიალ, დიალ. არდეიოს კი რაც შეეხება —  
მინისტრმა სთქვა: მე უფროსი ბრალმდებელის  
იძელი მაქვს და დარწმუნებული ვარ, საცა საჭირო იქნე-  
ბა, ხასიათსა და გულმოღვინეობას გამოიჩენსო.

**უფრ.** ბრალმდ. ბ. მინისტრს თავისუფლად შეუძლიან  
მენდოს. მე მივიღე კიდევ სასტიკი ჭომები  
და, გარწმუნებთ, გულმოღვინეობასა და გამ-  
ჭრიახობას არც შემდეგში მოვუკლებ.

**მონტუბელო.** უმთავრესი კი მოხერხებაა იცოდეთ. უნმა-  
ბარემ ათჯერ გამიმეორა: არაფერი აურ-ზაური...  
არაფერი აურ-ზაური. ეს ახლა უფრო საჭიროა,  
უიღრე კვლავ როდისმე... ყოველ მხრიდან თვალ-  
ყურს გვადევნებენ... საჭიროა სრული სიწყნარე".

**უფრ.** ბრალმ. დამშვიდით... საქმე მუზონს შეეხება.

**მონტუბელო.** მუზონსა? ჩვენი ოლქის გამომძიებელს?

**უფრ.** ბრალმდ. დიალ.

**მონტუბელო.** არა ხუმრობთ? მუზონი ჩემი კარგი მე-  
გობარია; პატიოსანი, ნიჭიერი და გამჭრიახი  
მსაჯულია. მე ეუენსაც ვუთხარი გუშინ და  
სასამართლოს წევრის ადგილიცა ვთხოვე იმის-  
თვის.

**უფრ.** ბრალმდ. კაი დროს გითხოვნიათ. (ქაღალდებს გა-  
დაწოდებს) იმის შესახებ ერთ ქაღალდს გაჩვე-  
ნებთ... მაგრამ ესეც რომ არ იყოს მაგ ადგილს.  
ვაგრეს დავპირდით, რა ხანია.

**მონტუბელო.** რა საქმეა?

**უფრ.** ბრალმდ. აი, ნახეთ.

**მონტუბელო.** მე კი თქვენთვისაც მინდონა მეთხოვნა,  
რომ მუზონი წარგედგინათ იმ ადგილზე.

**უფრ.** ბრალმ. მე კი ან უნდა უმაღლეს მთავრობასთან  
დავასმინო, ან სამართალში მივცე.

**მონტუბელო.** განა რა ჩაიდინა ეგრეთი?

**უფრ.** ბრალმ. წაიკითხეთ.

**მონტუბელო.** (გადაათვალიერებს მიწოდებულ ქაღალდს) ცხა-  
დია, მაგრამ რა არის აქ ისეთი... თქვენ რომ  
არა სოჭვათ-რა, ვერც კი გაიგებს ყინმე... ამ  
ბოლოს დროს მაგისტრატურას ისეც ბევრი  
მტერი ჰყავს და ჩვენ. თითონ რად უნდა აღვა-  
დგინოთ იმის წინააღმდეგ ხალხი?

უფრ. ბრალმ. საუბედუროდ, კუარმა იცის. კიდეც ეს  
ამბავი და გვემუქრება, თუ მუზონი მიღეონს  
არ მოაშორეთ, უსათუოთ გამოვაქვეყნებ ამ  
ამბავსო...

მონტუბელო. დასწყევლოს ღმერთმა!.. (უცბად გადიხარ-  
ხარებს).

უფრ. ბრალმ. რას იცინით?

მონტუბელო. ისე... სასაცილო აზრი მომივიდა... (იცი-  
ნის) ერთი მითხარით, თუ ღმერთი გწამთ...  
ნუ კი გაჯავრდებით, არ დაგავიწყდეთ, რომ  
ვხუმბრობ მხოლოდ...

უფრ. ბრალმ. რა ამბავია?

მონტუბელო. ერთი სასაცილო აზრი მომივიდა..., ის,  
წევრის ადგილი რომ მუზონს მისცეთ, ამით  
ხომ ყველას გულს მოიგებდით.

უფრ. ბრალმ. რასა ბრძანებთ, ბატონო...

მონტუბელო. ამას სასაცილოდ გეუბნებით მხოლოდ...  
სასაცილო მხოლოდ ის არის, რომ ამ ნაბი-  
ჯით ყველას ასიამოვნებდით, მეტა, მუზონსაც,  
კუარსაც და ეჟენსაც, რომელსაც ამ საქმის  
გამოქვეყნება მეტად ეწყინებოდა.

უფრ. ბრალმ. ეგ ხომ უფრო სამარცხვინო და საგანგა-  
შო საქმე იქმნებოდა.

მონტუბელო. სისულელეა. პოლიტიკაში სამარცხვინოთ:  
მხოლოდ ისაა, რაც საჯაროდ გამოცხადდება.  
ხოლმე...

უფრ. ბრალმ. რაც უნდა იყვეს, მე მაინც...

მონტუბელო. მე სრული თანახმა ვარ... წინდაწინვე ვი-

ცი, რასაც იტყვიან... გიმეორებთ... მე ვიხუმ-  
რე მხოლოდ... და საკვირველი კი ის არის,  
რომ ესეთი გადაწყვეტილება ჭკუასთან ახ-  
ლოა... მართლაც და... თუ მუზონს აქ დას-  
ტოვებთ, კუარი, რასაკვირველია, არ გაჩუმდე-  
ბა და მთელ ქვეყანას მოსდებს ჩვენს ამბავს.  
თუ სამართალში მისცემთ, გაზეთების ერთ ნა-  
წილს შემთხვევას მისცემთ, რომ მუზონის საქ-  
ციელი მთელ მაგისტრატურას მიაწერონ და  
გარეუნილად მუზონის ნაცვლად მსაჯულთა  
საკრებულო წამოაყენონ...

უფრ. ბრალმ. მე ეჭვი არა მაქვს, რომ ხუმრობთ. მარ-  
თლა ხომ არ მომთხოვთ, რომ...

მონტუბელო. იცით, რა გითხრათ?... წავიდეთ და სენა-  
ტორ როლცესაც მოველაპარაკოთ... ორ ნა-  
ბიჯზე ცხოვრობს....

უფრ. ბრალმ. გარწმუნებთ, ბატონო...

მონტუბელო. წავიდეთ, წავიდეთ!.. ორლეანის შესახე-  
ბაც შეგიძლიათ სიტყვის გადაკვრა... რასა  
ჰყარგავთ?.. მე გეუბნები, იმაზე ჭკვიანურად  
ვერავინ გადასწყვეტავს ამ საქმეს. აბა, თუ  
თითონ არ დამთანხმდეთ ბოლოს. წავიდეთ!  
თუ გაჯიუტდებით, მოგიტაცებთ კიდეც, არ,  
(შედაგში ხელს მოჭედებს).

უფრ. ბრალმდ. როლცეს ნახვა მცც მინდოდა, მაგრამ...  
(შემოდის ბენუა) რა, გათავდა სხდომა?.. განა-  
ჩენი ხომ არ გამოიტანეს?

ბენუა. არა, ბატონო. ბ. ვაგრემ კიდევ იღაპარაკა.

უფრ. ბრალმდ. ნაფიცი მსაჯულნი თავიანთ ოთახში  
არიან?

ბენუა. არა, ბატონო... ბ. ვაგრემ ცოტა შესვენება ით-  
ხოვა და ახლა გამოვიდნენ ყველანი.

მონტუბელო. კარგი, წავიდეთ, წავიდეთ!... აბა, ნახავთ,  
თუ თქვენც არ დამეთანხმებით.

უფრ. ბრალმდ. (სუსტად) არაოდეს, არაოდეს! (ფრთა-  
გენი მიღიან).

### გამოსვლა მეშვიდე.

ბენუა და მოსამსახურე, მერუ ქ. ვაგრე, ჟალატის თავმჯდო-  
მარე, ბიუნერა, ქ. ბიუნერა და ვაგრე.

ბენუა. ღმერთო! რა ჩინებული სიტყვა სთქვა!..

მოსამსახურე. (კარებს ნახევრად შემოადებს) ბ. ბენუა...  
ახალი აშბავი რა არის?

ბენუა. ჩვენმა ბრალმდებელმა გაიმარჯვა... და ეჩეპარი  
ნამდვილი დამნაშავე ყოფილა!.. (შემოდის ქ.  
ვაგრე მეტად აღელვებული, მოსამსახურე გადის).

ქ. ვაგრე. ოჭ, ღმერთო ჩემო!

ბენუა. (მიუახლოვდება) ქ. ვაგრე, მე უბრალო საქმის  
მწარმოებელი გახლავართ, მართალია... მაგრამ  
ნება მომეცით მოგახსენოთ, რომ თქვენი მე-  
ულლე დღეს ჩინებული რამ იყო.

ქ. ვაგრე. ჩინებული იყო, განა?!

ბენუა. გამოჩენილ პარიზელ ვექილს რა მწარე დღე  
დააყენა!

ქ. ვაგრე. მწარე დღე დააყენა, არა?

ბენუა. ეჩეპარის უსათუოდ სიკვდილით დასჯიან.

ქ. ვაგრე. უსათუოდ!

**ბენუა.** ნაფიცი მსაჯულნი ისეთი თვალებით უყურებდნენ ყაჩაღ ეჩეპარს, რომ იმის მაგიერ მე შემეშინდა. ბ. ვაგრე რომ ლაპარაკობდა, მსაჯულნი მზად იყვნენ თავიანთ საკუთარის ხელით დაესაჯათ ბრალდებული.

**ქ. ვაგრე.** ეგ მეც ჟევამჩნიე.

**ბენუა.** მაპატიეთ, ბატონო, ჩემი კადნიერება... ხშირად კაცს ისე გაეხარდება ხოლმე რამე, ნება-უნებურად ავიწყდება, ვრსთან ლაპარაკობს და გაკადნიერდება ხოლმე.

**ქ. ვაგრე.** მართალი ხართ, ძვირფასო ბენუა... (შემთდიან ბალატის თავმჯდომარე და ბიუნერა).

**თავმჯდ.** (ქ. ვაგრეს) მომილოცავს... ძლივს, სიკვდილი გადავუწყვიტეთ!..

**ქ. ვაგრე.** უსათუოდ, არა!

**თავმჯდ.** უსათუოდ, უსათუოდ!.. ჩვენი გმირი სადღა?.. რა მედიდური გამომეტყველება ჰქონდა დღესა; არა, ბ. ბიუნერა?

**ბიუნერა.** დიალ, ბ. თავმჯდომარე!.. თქვენის თავმჯდომარეობით ისე კარგად მოამზადეთ ყველაფერი, რომ...

**თავმჯდ.** არ ვამბობ, მე მნიშვნელობა არა მქონდა-მეტკი, მაგრამ სიმართლე მოითხოვს, არც ბ. ვაგრე დავივიწყოთ. (ქ. ვაგრეს) თქვენ კი, ქალბატონო, მეტად კმაყოფილი და ბეღნიერი უნდა, ბრძანდებოდეთ.

**ქ. ვაგრე.** რასაკვირველია, ბ. თავმჯდომარევ,

**თავმჯდ.** ნეტა, სხდომის შეწყვეტა რაღაც ითხოვა? იქნება, უქეიფოდ გახდა?

ქ. ვაგრე. ლმერთმა ნუ ჰქნას!

თავმჯდ. არა. აგერ თითონაც მოდის! (შემოდის ფაგრე დაღვრემული).

ქ. ვაგრე. ჩემო ძვირფასო! (ხელს გამთართმუქს, რაღაცა უნდა უთხრას, მაგრამ სიხარულის ცრემლები აღრჩობენ და ვერას ამბობს).

თავმჯდ. ჩინებული სიტყვა იყო, ჩინებული!

შეუწერა. არ შემიძლიან, მეც არ მოგილოცოთ...

პ. ვაგრე. მრკევენიან, სწორედ მოგახსენოთ... გამარჯვება უფრო თქვენ გეპუთვნით, ბატონი თავ-მჯდომარე.

თავმჯდ. სრულიადაც არა... იცით, რამ აღაფრთოვანა ყველა?.. (შაშიროს შოუკიდებს).

პ. ვაგრე. არა.

თავმჯდ. აი, იმ წუთმა, როცა შესძახეთ: „პ. შეაჯულნო, თქვენცა გაქვა სახლი და ოჯახი, თქვენცა გყავთ ძვირფასი ცოლი და ფაქიზად შენახული ქალები... გაფრთხილდით!“. (ამბობს) ოო, რა სანახავი იყავით ამ დროს!.. (განაგრძობს). „გაფრთხილდით, თუ ამგვარ ბოროტმომქმედებს დაუსჯელს დასტოვებთ! გაფრთხილდით, თუ ვექილის ლამაზმა სიტყვებმა შეცდომაში შეგიყვანათ! თუ ჯეროვანოდ არ შეასრულებთ თქვენ მოვალეობას, გეშინოდეთ, რომ იქ, ზეცაში, თქვენი სუსტი ხელიდან დავარდნილი ხმალი იმან, გულთამხილავმა, არ აიღოს და ის სისხლი, რომელიც თქვენ ვერ აზღვევინეთ ბოროტმომქმედს, თქვენ შვილებსა და ოჯახს არ აზღვევინოს იმან!“..: ოო, ეს

ჩინებული ადგილი იყო!.. შესანიშნავი შთაბეჭ-  
დილება მოახსინეს ამ სიტყვებმა!..

**ბიუნერა.** მაგრამ თქვენ უფრო იმოქმედეთ, ბ. თავმჯდო-  
მარე, როცა გამოაცხადეთ, დამნაშავეს სისხლის  
დანახვა უყვარდათ.

**თავმჯდ.** რასაკვირველია, მაგანაც რქონია გავლენა.

**უველანი.** რა იყო, რა?

**ბიუნერა.** ბ. თავმჯდომარე ეკითხება: ბოროტმოქმედე-  
ბის ჩადენის დღეს ორი ცხვარი ხომ არ დაპ-  
კალით თქვენის ხელითაო?.. — დიალ, — უპასუ-  
ხებს დამნაშავე... ამ სიტყვების შემდეგ ბ.  
თავმჯდომარე შიგ თვალებში ჩააცერდა და...

**თავმჯდ.** მართალია, მე მოულოდნელად დავეკითხე:  
„ვარჯიშობდით განა?“.. მეთქი.. (გაგრეს) თუ  
მეც ვიქონიე რამე გავლენა დღევანდელ სა-  
ქმეზე, მაანც უპირატესობა თქვენ გეკუთვნით,  
ბ. ბრალმდებელო.

**ვაგრე.** მეტის-მეტად მაქებთ, ბ. თავმჯდომარე.

**თავმჯდ.** რადა, მე მართალს ვლაპარაკობ... მერე თქვენი  
დასკვნა!.. (ცნობისმოუფარებით) ძალიან აღელ-  
ვებული იყავით, არა?

**ვაგრე.** (ამაუკათ) რასაკვირველია, ძალიან ვლელავდი.

**თავმჯდ.** მსაჯულებს რომ გადახედეთ, საშინაოთ გა-  
ფითრდით და სუსტის ხმით დაათავეთ: „მე ვი-  
თხოვ ბოროტმომქმედის სიკვდილით დასჯის“.

**ვაგრე.** (გაშტერებული) დიალ.

**თავმჯდ.** ამ სიტყვებზე ვექილს ანიშნეთ რაღაცა..

**ვაგრე.** მე მეგონა, ვექილმა კიდევ რაღაცა უნდა სთქვას-  
მეთქი.

**თავმჯდ.** სხლომის შეწყვეტა რაღათ ითხოვეთ, გამარჯვება ხომ თქვენ მხარეს იყო?

**ვაგრე.** კიდეც ეგ გამარჯვება იყო მიზეზი.

**თავმჯდ.** არ მესმის, რას ამბობთ?

**ვაგრე.** ლაპარაკის დროს ერთი ფაქტი წარმომიდგა თვალწინ და იმან შემაფერხა.

**თავმჯდ.** ფაქტი?

**ბიუნერა.** რა ფაქტი?

**ვაგრე.** ფაქტი კი არა, მაგრამ... როგორს ვსოდება... (ჰა-ჟზა) მაპატიეთ, ცოტა დავიღალე.

**თავმჯდ.** კარგათ მესმის თქვენი მღელვარება, ძვირფასოვაგრე. ეგ ყოველთვის ეგრე მოხდება ხოლმე, როცა სიკვდილით დასჯას პირველად მოითხოვს ხოლმე ბრალმდებელი... მაგრამ ცოტა მოიცავეთ... თქვენ თითონ ნახავთ, როგორ შეეჩვენა ხოლმე მაგასაც ადამიანი. (მიმავალი ბიუნერას) მართლა ძალიან მოქანცულსა ჰგავს.

**ბიუნერა.** ბ. ვაგრე მეტად მერძნობიერია თავის თანამდებობისათვის.

**ვაგრე.** დარბაზიდამ რომ გამოვდიოდი, უფროს ბრალმდებელს შევხვდი და ვთხოვე, ერთი წუთი დარჩენილიყო ჩემთან. მოსალაპარაკებელი მაქვს... თქვენც უნდა მოგელაპარაკოთ; ბ. თავმჯდომარე.

ქ. **ვაგრე.** ვაი თუ უქეიფოთა ხარ... მე იქ ვიქნები და წავლენ თუ არა, დავბრუნდები.

**ვაგრე.** კარგი.

ქ. **ბიუნერა.** (მიღის. ქმარს) რაღაც სისულელის ჩადენას აპირობს მეონი.

**ბიუნერა.** ეგ ჩვენ არ შეგვეხება (მიღის).

### გამოსვლა გერმენი

**ვაგრე.** და თავმჯდომარე, მერე უფრ. ბრალმდებული.

**თავმჯდ.** იქნება რამე შეცდომა მომივიდა მსხდომის ლროვა?

**ვაგრე.** არა... თუ ვასმე შეცდომა მოუვიდა, ისევ მე-თუ. უფრ. ბრალმდ. (შემოდის) რა გაქვთ ისეთი სავალდებულო, რომ მარტო მოინდომეთ ჩემთან ლიაპარაკი.

**ვაგრე.** მეტად შეძრწუნებული ვარ... ჩემთვის აუცილებლად საჭიროა, რომ თქვენ ორთავეს სინიღისმა დამამშვიდოს.

**უფრ.** ბრალმდ. რაშია საქმე? სთქვით.

**ვაგრე.** საერთოდ ყველა ფაქტები... დამნაშავის ქცევამ... და, ბევრმა სხვა გარემოებამ, რომელიც უწინ საქმის შესწავლის დროს გამომეპარა, ეხლა ეჭვი ჩამინერგეს გულში და ქჩეპარი უდანაშაულო მგონია ამ საქმეში.

**უფრ.** ბრალმდ. საქმეში ის ფაქტები და წვრილმანი გარემოება ხომ აღნუსხულია?

**ვაგრე.** რასაკვირველია.

**უფრ.** ბრალმდ. მერე ვექილმა არ შეისწავლა საქმე?

**ვაგრე.** შეისწავლიდა, მა რას იზამდა?

**უფრ.** ბრალმდ. მაშ თქვენ რაღა გაწუხებთ?

**ვაგრე.** ერთიც ვნახოთ, ეჩეპორი უდანაშაულოა?

**უფრ.** ბრალმდ. ნაფიცი მსაჯულნი გადასწყვიტავენ მაგას. ჩვენ მხოლოდ ქედი უნდა მოვიხაროთ იმათ გადაწყვეტილების წინაშე.

ვაგრე. ნება მიბოძეთ აგისხნათ, რამ შეარყია ჩემი რწმენა.  
უფრ. ბრალმდ. რად მინდა მაგის ცოდნა? ეგ თქვენი<sup>და</sup> თქვენი სინიდისის საქმეა. ამასთანავე თქვენ  
ხომ ნება გაქვთ, რომ თქვენი ეჭვები მსაჯუ-  
ლებსაც გაუზიაროთ.

ვაგრე. მე მივიღებ თქვენ რჩევას.

უფრ. ბრალმდ. მე არაფერი რჩევა არ მომიცია.

ვაგრე. ჩემ ეჭვებს მსაჯულებს გავუზიარებ.

უფრ. ბრალმდ. მაშასადამე, ისევ გამართლება?

ვაგრე. მაშ, რა ვქნათ?

უფრ. ბრალმდ. (გაჯავრებული) რაც გინდათ, ის ჩაიღინეთ,  
მხოლოდ ერთს კი გეტყვით, მოწყალეო ხელ-  
მწიფევ: ვინც რაიმე გმირობის, ან არაჩვეუ-  
ლებრივის საქციელის ჩადენას აპირობს, თითონ  
უნდა გაპბედოს ამის გადაწყვეტა და მარტო  
თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისგება. თქვენ  
კი მეტად გონიერი ბრძანებულხართ და კარგა-  
თაც მოახერხეთ პასუხისგების თავიდან აც-  
დენა.

ვაგრე. მეტად გონიერი ვარ? როგორა, მერე?

უფრ. ბრალმდ. კმარა, კმარა! ჩვენ ბავშვები არა ვართ  
და მე კარგადა ვხედავ, რა მახშიც გამაბით...  
ეხლა რალა გიშავთ?.. თუ სამინისტროში გი-  
საყვედურებენ, თავისუფლად შეგიძლიანთ  
სთქვათ,— სანამ მაგ საქციელს ჩავიდენდი, ჩემ  
უფროსსა ვთხოვე რჩევაო, და ბოლოს ჯოხი-  
ჩემზე უნდა გატყდეს. აგერ, ახალი თავსახეთქი  
საქმე გამომიჩნდა სამინისტროში, თქვენ რა  
გენალვლებათ ან ჩემი მდგომარეობა, ან ინტე-

რესები, რომლებიც თქვენთვის უცხონი არიან. რაღაც სულელური აზრი მოგსვლიათ თავში და მე, ჩემდა უნებურად, თქვენი სისულელის თანამოზიარეთა მხდით. გიმეორებთ: ძალიან მოხერხენულად მოიჭეცით! გილოცავთ, მაგრამ მადლიერი კი არა ვარ.

**ვაგრე.** უკაცრავად, მჯონი, ვერ გაიგეთ ჩემი საქციელის აზრი. მე სრულიადაც არ მინდა, რომ პასუხისმგებელი თქვენ გახდეთ. მაგისთანა სისულელეს როგორ ჩავიდენდი, როცა სასამართლოს წევრის ადგილსა ხართ დაპირებული. მე ჩემი ეჭვი გითხარით მხოლოდ და რჩვა გთხოვეთ, მეტი არაფერი.

**თავმჯდომ.** დარწმუნებული კი ხართ...

**ვაგრე.** დარწმუნებული რომ ვიყო, ხომ არც რჩევასა გთხოვდით... (ჰაუზა) ერთი საკასაცაო მიზეზი რამე რომ გვქონდეს მაინც.

**თავმჯდ.** (განრისხებული) რას ამბობთ? საკასაციო მიზეზიო? ერთი სიტყვით, ჩემ შეცდომაზე დამყარებული მიზეზი, არა? ტვუილად კი არ გითხრათ ბრალმდებელმა — გონიერი ყოფილ-ხართო!.. თქვენ რაღაც ეჭვები გებადებათ და სინიდისის დასამშვიდებლად მე მთხოვთ, რომ ბრალი მე ვიკისრო. მაგაზე ადგვილი რა არის, რომ შენი შეცდომა სხვას მოახვიო თავზე.

**უფრ.** ბრალმდ. (ჩუმად) სრული ჭეშმარიტესა!

**თავმჯდომ.** მერე რას იტყვიან ჩემზე სამინისტროში? „ეს რა წევრია სასამართლოსი, რომელსაც მილეონის სასამართლოში თავმჯდომარეობა ვერ.

მოუხერხებია?“ რამდენი შრომა დაგვჭირდა,  
რომ ერთი კაცი მაინც გაგვესამართლებინა...  
და მე კი ვიღაც მაწანწალას გულისტვის ჩემი  
თავი გავიწირო მსხვერპლად?! უკაცრავად!...  
ისევ სხვა რამე ხერხი მოსძებნეთ, მოწყალეო  
ხელმწიფევ, თორემ, სულ ერთია, ეგ არ გა-  
მოგადგებათ.

**ვაგრე.** კარგი, სხვა ხერხს გამოვქებნი და ასე კი არ  
დავტოვებ საქმეს,

**უფრ.** **ბრალმ.** რაც გინდათ, ისა ჰქენით, მხოლოდ გახ-  
სოვდეთ, რომ მე არაფერი რჩევა არ მომიცია.

**ვაგრე.** მეხსომება, ნუ შესწუხდებით.

**თავმჯდ.** სხდომის გახსნა. რომ დააპიროთ, შეგვატყო  
ბინეთ.

**ვაგრე.** ბატონი ბრძანდებით.

**უფრ.** **ბარლმ.** (თავმჯდომარეს) დავტოვოთ მარტო. (ორ-  
თავენი გადიან).

### გამოსვლა მეცხრა

ვაგრე და ქ. ვაგრე, შემდეგ პენჯა.

ქ. ვაგრე. (შემოდის) რა ამბავია, რა მოხდა?

ვაგრე. არაფერი.

ქ. ვაგრე. არაფერი? ამ ათი წუთის წინად ისე გაიმარჯ-  
ვე და ახლა კი აგრე მწარედ დალვრემილხარ?!

ვაგრე. სწორედ ის გამარჯვება მაშინებს.

ქ. ვაგრე. გაშინებს?

ვაგრე. სწორედ. მეშინიან, ვაი თუ შორს შევტოვე-  
მეთქი.

ქ. ვაგრე. შორს შესტოპე? განა კაცის მკვლელი ეჩე-  
პარი სიკვდილის ღირსი არ არის?

ვაგრე. (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) მერე დარწმუნებუ-  
ლი ხარ, რომ იმან მოჰკლა?

ქ. ვაგრე. დარწმუნებული კი არა, მეტიცა ვარ.

ვაგრე. (დაბალის ხმით) მე კი...

ქ. ვაგრე. შენა?

ვაგრე. მე... აń ვიცი...

ქ. ვაგრე. ლმერთო ჩემო!

ვაგრე. დიალ, ლაპარაკის დროს რაღაც საშინელი ცვლი-  
ლება მოხდა ჩემში... იმ დროს, როცა მე,  
როგორც ოფიციალური პირი, ბრალსა ფსდებ-  
დი დამნაშავეს, როგორც ადამიანი, მშვიდათ  
ვმსჯელობდი, სინიდისი კი მაწუხებდა. გულსა  
და სულს მიქენჯნიდა და ეჭვს მინერგავდა  
გულში... ერთხანად ღელვა დავიწყე, გავ-  
ფითრდი და სუსტის ხმით სიკვდილით დასჯა  
მოქითხოვე. უგ იმიტომ, რომ ღონე მეცლებო-  
და და ვგრძნობდი, რომ ბრძოლაში სინიდისი  
იმარჯვებდა. და მეშინოდა, იმას არ ეთქვა  
უკანასკნელი სიტყვა... როცა შევნიშნე, რომ  
ვექილი იმას არ ამბობდა, რის თქმაც მე მინ-  
დოდა, მევე შემეშინდა ჩემი საქციელისა და  
ვსცდობლი როგორმე დრო მომეგო.

ქ. ვაგრე. შენ, ჩემო კარგო, შენი მოვალეობა აღა-  
რულე... მართალია, ვექილმა თავისი ვერ შეას-  
რულა, მაგრამ ეგ ხომ შენ არ შეგეხება...

ვაგრე. მუდამ ერთი და იგივე პასუხი!.. მე რომ პატი-  
ოსანი კაცი ვიყო, გაიხსნება თუ არა სხდომა,

ჩემი ეჭვები მსაჯულებსაც უნდა გავუზიარო, უნდა ავუხსნა, რად დამებაღა ეს ეჭვი, და საქმის იმ მხარისკენ მიყუთითო, რომელსაც ისე ბეჯითად ვმაღავდი, სანამ ვექილის იმედი მქონდა კიდევ.

**ქ. ვაგრე.** კარგათ მესმის შენი ტანჯვა და სინდისის ქენჯნა, მაგრამ კიდევ გაგიმეორებ, შენ ხომ არ უნდა დასაჯო ეჩეპარი; ეგ მსაჯულების საქმეა .. თუ ვისმე აქვს შესაწუხებელი, ისევ დიუბუას და არა შენა... .

**ვაგრე.** მე მართლმსაჯულების წარმომადგენელი ვარ, არ დაგავიწყდეს..

**ქ. ვაგრე.** შენ წინ ნამდვილი ბოროტმომქმედი სდგას, რომელსაც თვით გარემოებანი სდებენ ბრალსა. მერე ვინ იცავს ამ ბოროტმომქმედს? პარიზის პირველი, ნიჭიერი და სბნიდისიერი ვექილი დიუბუა. შენ მხოლოდ ფაქტებზე ამყარებ შენ ბრალდებას და, თუ ნაფიცი მსაჯულნი შენ გეთანხმებიან და არა დიუბუას, არ მესმის, რაღათ უნდა გაწუხებდეს სინიდისი და მართლმსაჯულების წარმომადგენლად რატომ აღარ უნდა გეგულებოდეს თავი?

**ვაგრე.** მე ვიტანჯები როგორც მსაჯული კი არა, როგორც აღამიანი?.. არა, მე უფლება არა მაქვს, რომ გაჩუმებული ვიყო.... არა მაქვს არავითარი უფლება! გეუბნები, ამ საქმეში მრავალი საბუთია, რომელნიც ეჩეპარს ამართლებენ და ყურადღებით კი არავინ. მოგვიდა მათ... .

ქ. ვაგრე. მერე, აქამდის შენც ვერ ამჩნევდი მაგ სა-  
ბუთებს?

ვაგრე. (თავს ჩაჭკინდჲავს) ვერ ვამჩნევდი?... ღმერთო  
ჩემო! გავძელავ კი რომ გამოვტყდე სიმარ-  
თლეში? მე ხომ ბოროტი კაცი არა ვარ, არა?  
არაოდეს არა მდომებია კაცის ტანჯვა. და  
დამცირება... მაგრამ... ოჯ, როგორა მრცხვე-  
ნიან, როგორ მეძნელება იმის თქმა, რაშიაც,  
დიდი ხანია, ჩემს თავს გამოვუტყდი კიდეც...  
გამიგონე!.. თავდაპირველადვე, როცა ეჩეპარის  
საქმეს ვეცნობოდი, თითქმის ძალათი ჩავინერგე  
გულში ეჩეპარის დანაშაულობა და, თუ ათასში  
ერთხელ ეჩეპარის სასარგებლოთ რამე აზრი  
გამივლიდა თავში, მხრებს შევიშმუშნავდი და  
გულგრილად ავირიდებდი თავიდან... მაგრამ  
ამ საბუთებმა, მაინც ჩამინერგეს ეჭვი. პირ-  
ველად ვცდილობდი, დამერწმუნებინა ჩემი  
თავი, რომ ამ ფაქტებს მნიშვნელობა არა აქვს  
და ეჩეპარის სიმართლეს ვერ დაამტკიცებენ-  
მეთქი; მოწმების ჩვენებიდან მხოლოდ იმით  
ვხელმძღვანელობდი, რაც იმ ფაქტებს ძირს  
უთხრიდა და აფოლებდა... მერე, სინიდისის  
ქენჯნისთვის რომ თავი დამეხწია, გულში ვამ-  
ბობდი. „ეგ ვექილის საქმეა და არა შენი“...  
აბა, ნახე, ჩვენი სამსახური რა გულქვასა და  
უსამართლოსა ხდის ადამიანსა... ეს ფაქტები,  
ნახე, თავმჯდომარებაც როგორ ჩრდილში დას-  
ტოვა და ამით მნიშვნელობა დაუკარგა... ოჯ,

რო იცოდე, რა საძაგლები და მასთან რა უძლური არსებანი ვართ მსაჯულნი.

ქ. ვაგრე. იქნება მსაჯულებმა არც კი დასაჯონ, ჯერ რა გაწუხებს?

ვაგრე. უსათუოდ დასჯიან.

ქ. ვაგრე. ან იქნება სასჯელი შეუმცირონ.

ვაგრე. არა! მე წყვევლით დავაფრთხე და ისეთი გავლენა ვიქონიე, რომ უსათუოდ გაასამართლებენ და სასტიკ სასჯელსაც დაუნიშნავენ... განა უსინიღისოთ და სასტიკად არ მოვიქეც?

ქ. ვაგრე. ეგ მართალია... მაგრამ ისე აღტაცებული რაღად არწმუნებდი, რომ ეჩებარია დამნაშავეა?

ვაგრე. რადა, რადა?.. ჯერ საქმის გარჩევამდინვე იყო ყველა დარწმუნებული, რომ ეჩებარი ნამდვილი დამნაშავეა... მერე, განა სულ არ გადამრიეს და გამასულელეს?.. იმათი სიტყვით, მე მართლ-მსაჯულების წარმომადგენელი ვარ და ვალდებულიცა ვარ საზოგადოებაც დავამშვიდო, მყუდროებაც აღვადგინო და კიდევ, ვინ იცის, რა არ უნდა ვქნა. პირველი ჩემი სიტყვა გადაჭარბებული არ იყო. მაგრამ, დავინახე თუ არა, რომ პარიზელმა ვექილმა ნაფიცი მსაჯულნი ააცრემლა, მე ვიგრძენი, რომ ვიღუპებოდი, მე ვგრძნობდი, რომ ფეხ-ქვეშ ნიადაგი მეცლებოდა და ძალა მერთმეოდა. ჩვეულების წინააღმდეგ, მე პასუხის მიერთა გადავწყვიტე. სალაპარაკოდ რომ წამოვდექი, იმ მეღმარს ვგავდი, რომელიც დარწმუნებულია თავის დამარცხებაზე, მაგრამ მაინც.

იბრძვის. ამ წუთის შემდეგ ეჩეპარი ჩემთვის  
აღარ არსებობდა. საზოგადოების დაცვა და  
მყუდროების აღდგენა როდი-ლა მეფიქრებოდა:  
ახლა, მარტო ვექილსა-ლა ვებრძოდი; რათაც  
უნდა დამჯდომოდა ეს გამარჯვება, მაინც მე-  
უნდა გამემარჯვნა; მე უსითუოდ უნდა დამერ-  
წმუნებინა მსაჯულნი, ხელთ ჩამეხდო იმათი  
გონება და სინიდისი და განაჩენის „პო“ ძა-  
ლით უნდა მომეგლიჯა იმათ პირიდან. გიმე-  
ორებთ, საჭმე ეჩეპარს აღარ ეხებოდა, ის ეხე-  
ბოდა ჩემ თავმოყვარეობას, სახელს, პატიოს-  
ნებასა და მომავალს. მრცვენიან, საშინლად  
მრცვენიან, მაგას რომ ვამბობ! მაგრამ, გამო-  
გიტყდები, არ მინდოდა, ეჩეპარი გაემართლე-  
ბინათ, და იქამდის მეშინოდა დამარცხე-  
ბისა, რომ მსაჯულთა დასარწმუნებლად ყო-  
ველგვარ სახსარს მივმართე. წარმოიდგინეთ,  
მათს შეშინებულ და შეძრწუნებულ თვალ წინ  
მათი ცეცხლ-წაკიდებული სახლების და ყელ-  
გამოჭრილ ცოლშვილის სურათიც კი დავ-  
ხატე... შედეგმა ჩემ იმედებსაც კი გადააჭარბა:  
— მსაჯულნი მზად არიან დამემორჩილონ...  
ყველანი გამარჯვებას მიღოცავენ და მეც ლი-  
მილით ხელს ვართმევ და მაღლობას ვუხდი.  
აი, რანი ვართ მსაჯულნი!

**ქ. ვაგრე.** დამშვიდდი, ჩემო კარგო, იქმნება მთელ საფ-  
რანგეთში ათი კაციც ვერ ნახოთ ისეთი, რომ  
ამისთანა შემთხვევაში სხვანაირად იქცეოდეს.

ვაგრე. მართალი ხარ... მაგრამ... რომ დაპფიქრდების...

რა საზარელია და სამარცხვინო ეს მოვლენა!

ბენუა. (შემოდის) ბ. ბრალმდებელო, თავმჯდომარე კი-  
თხულობს, როდის შეიძლება სხდომა გავ-  
სხნათო...

ვაგრე. ამ საათში... აი, ამ წუთას გასხნას.

ქ. ვაგრე. რა გინდა ჰქნა?

ვაგრე. ის, რასაც მიბრძანებს პატიოსნება და სინიდისი!  
(მიდის).

ო ა რ დ ა.

## მოქმედება მეოთხე

(მეორე მოქმედების დეკორაცია)

გამოსვლა პირველი.

ბიუნერა და ბალატის თავმჯდომარე, მერე გაგრე.

**ბიუნერა.** აგერ, ეს სესიაც გაათავა.

**თავმჯდ.** (წითელი წამოსასხამით) საშინლად მეშინოდა, იმ მხეცების გულისთვის სადგურზე არ დამი- გვიანდეს-მეტქი... საქმე იმაშია, რომ ხვალ კამ- ბოს ჭალებში სანაღიროდ უნდა ვიყო და მა- ტარებელზე დამიგვიანდებოდა. (საათს დაჭიდავს) ოპო, საათნახევარი კიდევა მაქვს.

**ბიუნერა.** თქვენ რას იტყვით, თავმჯდომარევ?

**თავმჯდ.** რაზე?.. გამართლებაზე?.. რა ჩემი საქმეა?! პირიქით, მე მომწონს კიდეც ასეთი დაბოლოე- ვება. ახლა დარწმუნებული მაინცა ვარ, რომ ვექილი არაფერ ხრის ალარ მიგდებს და სა- ქმის ახლად გარჩევას არ ითხოვს... რა ვქნა, რა იქნა ჩემი ქუდის კოლოფი? (სკამზე შედ- გომას დააპირებს, რომ შეაფიდან კოლოფი ჩამო- იღოს).

**ბიუნერა.** (დაასწრებს) ნუ შესწუხდებით! (შედგება სკამ- ზე) იმედი მაქვს მომავალ სესიაზე კიდევ ბედ- ნიერად გიხილავთ. (ამოითხრებს და კოლოფი მიაწოდებს).

**თავმჯდ.** თქვენი შეხვედრა მეც მასიამოვნებს, ძვირფასთ  
მეგობარო!..

**ბიუნერა.** (ამოიღებს კოლოფიდას შლიაპას). ჩოთქი ხომ  
არა გნებავთ? აგერ მუზონის ჩოთქი... (ამოი-  
თხრებს) ლმერთო, როდის მოვშორდები. ამ  
ოხერ მილეონს?.. რა სიამოვნებით გადავსახლ-  
დები პოში.

**თავმჯდ.** კარგია, თუ ლმერთი გწამთ! მაგ ქალაქს მე-  
ტად აქებენ, მაგლენი კი არაფერი ჰყრია!..

**ბიუნერა.** მაშ სასამართლოს წევრობას ვერც იხლა მი-  
ვიღებ, ჰა?

**თავმჯდ.** გული ნუ გაგიტყდებათ... მართალია, ზამთარ-  
ში კარგია იქ ცხოვრება; მაგრამ ზაფხულში-  
კი... ლმერთმა დაგიფაროთ...

**ბიუნერა.** მაშასადამე, დანიშნული მე არა ვყრფილვარ,

**თავმჯდ.** ოჭო, თქვენ შეიტყეთ კიდეცა?

**ბიუნერა.** დიალ, შევიტყე, მაგრამ, არ მეგონა, თუ ოფი-  
ციალურად გამართლდებოდა ეს ხმები.

**თავმჯდ.** (შლიაპას სწორდავს და შეამჩინევს, რომ გაფუჭე-  
ბულა) გაფუჭებულა კიდეცა... ახლა განა შე-  
იძლება კაცი ვისმე ენდოს? ფულს კი კარგს  
გამოგართმევენ, მაგრამ ისეთ დამპალ საქო-  
ნელს მოგყიდიან, რომ ორ-სამ დღეში გადა-  
საგდები გაგიხდება.

**ბიუნერა.** მართალია... არ ვიცოდი, თუ ოფიციალუ-  
რად იყო გადაწყვეტილი. ბედნიერია მუზონი!  
(შემოდის შტატსკურად ჩაცმული ფაგრე).

**თავმჯდ.** აი! აგერ, ჩვენი ძვირფასი ვაგრეც მოვიდა...  
გამოგიცვლიათ კიდეცა ტანისამოსი? რა გიშავთ,

თქვენ მუდამ შინა ხართ და მე კი უნდა ჩავია-  
ლაგო ჩემი ბარგი-ბარხანა და გზას გავუდევ...  
დასწყევლოს ღმერთმა, ახლა წამოსასხამის კო-  
ლოფი დამეკარგა; (ბიუნერა ერთ ნაბიჯს გადას-  
დგამს, რომ მიაწდოს, მაგრამ უცბად გაჩერდე-  
ბა) სად გადააგდეს?.. იქმნება ამ შკაფშია?..  
ბ. ბიუნერა, თქვენ ხომ არ გინახავთ?

**ბიუნერა.** (ცივად) არა.

**თავმჯდ.** აგერ სადა ყოფილა... უკეტიც იქა ყოფილა...  
(გახსნის კოლოფსა, უკეტს ამჟიღებს და მაგი-  
დის წერზე დასდებს) ეგრე!.. ხომ ელირსეთ  
დამნაშავის გამართლებას? კმაყოფილი უნდა-  
იყოთ?

**ვაგრე.** კმაყოფილი კი არა, ბედნიერი ვარ, სწორედ, ბე-  
დნიერი!

**თავმჯდ.** მერე, მალთლა მკვლელი რომ იყვეს?

**ვაგრე.** მაგ შემთხვევაში ბერჩიეს. სიტყვები მანუგეშე-  
ბენ: „ისა სჯობიან, ათი ნამდვილო დამნაშავე  
გაამართლო, ვიდრე ერთი მართალი კაცი გა-  
ასამართლოო“.

**თავმჯდ.** ძალიან მგრძნობიერი ხასიათისა ყოფილხართ.

**ვაგრე.** განა მსაჯულს უსათუოდ ქვის გული უნდა ჰქონ-  
დეს?

**თავმჯდ.** (ბარს გადაუჭერს იმ კოლოფს, რომელშიაც  
ფორმის ქუდი ჩასდო) მსაჯული ადამიანთა წვრი-  
მალ ანგარიშებზე მაღლა უნდა იღვეს.

**ვაგრე.** სხვების ნაკლულევანებაზედაც?

**თავმჯდ.** რასაკვირველია.

**ვაგრე.** მაგას ხომ ეგოიზმი ჰქვიან, ბ. თავმჯდოშარევ-

**თავმჯდ.** რა, ჩემზე ამბობთ?

**ვაგრე.** ჩვენ სამთავეზე.

**ბიუნერა.** მშვიდობით, მშვიდობით, ბატონებო! მე მეჩ-  
ქარება... (ხელს ჩამოართმევს და მიდის).

გამოსვლა მეორე.

გაგრე და თავმჯდომარე.

**თავმჯდ.** (წამოსასხამს მთისნის) ძვირფასო ბრალმდებე-  
ლო, მე გთხოვთ ცოტა თავდაჭერილათ ილა-  
პარაკოთ.

**ვაგრე.** გარწმუნებთ, ისედაც თავდაჭვრილი გახლავართ.  
მე რომ ჩემი გულისთვის და ენისთვის ნება  
მიმეცა, ბევრ უსიამოენო რამეს გაიგონებ-  
დით აქა.

**თავმჯდ.** (შარტო ჟილეტკით) თქვენ მგონი დაგავიწყდათ,  
ვისთანაც ლაპარაკობთ?! მე სასამართლოს წევრი  
გახლავართ, ბ. ბრალმდებელო.

**ვაგრე.** გიმეორებთ, მარტო თქვენზე არა ვლაპარაკობ-  
მეთქი. ის უსიამოენო საგნები, რომლებსაც  
მე ჩემ ლაპარაკში შევეხებოდი, თქვენთან ერთად  
მეც გამამტყუნებდნენ. მე იმ საწყლებზე ვფი-  
ქრობ...

**თავმჯდ.** (წამოსასხამს სწმენდავს ჩოთქით) ვინ საწყლები?  
დამნაშავენი? მერე აკი გაამართლეს... მეტი  
რალა გინდათ? სამუდამო ჯამაგირის დანიშვნას  
ხომ არ უპირებთ?

**ვაგრე.** გაამართლეს, ეგ მართალია. მაგრამ იმავე დროს  
დასაჯეს კიდეც...

**თავმჯდ.** რას ამბობთ, არ მესმის?

**ვაგრე.** დიალ. დასჯილნი არიან სამუდამოთ და ისაც  
თქვენის წყალობით, ბ.. თავმჯდომარევ.

**თავმჯდ.** (წამთხსასხამს ჰქეცავდა და უცემ გაჩერდება) ჩემის  
წყალობით?

**ვაგრე.** სამწუხაროდ... და მნიშვნელოვანი ის არის, რომ  
თქვენ თითონ არა ჰქედავთ მაგას და ვერც კი  
ამჩნევთ, რა სიბოროტე ჩაიდინეთ.

**თავმჯდ.** სიბოროტე?.. მე ჩავიდინე სიბოროტე?

**ვაგრე.** დიალ. თქვენ გააგებინეთ ეჩეპარსა, რომ იმისთ  
უოლი ნაქურდალის დაფარვისათვის ერთი  
თვით იყო დაპატიმრებული. თქვენ გააგებინეთ,  
რომ გათხოვებამდის სხვასთან თურმე ცხოვ-  
რობდა. ჩემის აზრით, ძალიან ცუდათ მოიქე-  
ცით, რომ ამ საკითხს შეეხეთ.

**თავმჯდ.** ღონ-კიხოტი ყოფილხართ, ჩემო კარგო, და  
მე-კი არ ვიცოდი... ნუ თუ დარწმუნებული  
ხართ, რომ ეჩეპარმა ეგ ამბავი არ იცოდა?

**ვაგრე.** რომ დაგენახათ, რა დღეში იყო საცოდავი ეჩე-  
პარი, როცა თქვენ კითხვაზე—უარს ხომ არა  
ჰყოფთ ამ ფაქტებსაო? — იმისმა ცოლმა „არაო“,  
მოგიგოთ. გიმეორებთ, თქვენც რომ გენახათ  
ეჩეპარის ღელვა, მერწმუნეთ, თქვენც ჩემი აზ-  
რისა იქნებოდით.

**თავმჯდ.** (წამთხსასხამს კოდოფში ჩადებს) მერე, რა არის,  
ეგრეც რომ იყოს? ტყუილათ ჰპოულობთ მაგ  
ხალხში თავმოყვარეობას.

**ვაგრე.** მაგ ხალხსაც ჩვენისთანა გული აქვს, ბ. თავ-  
მჯდომარე.

**თავმჯდ.** ვსთქვათ, ეგრეა... მაგრამ ჩემი მოვალეობა ავა-

სრულე, რის ეჭვი, მგონი, არც თქვენ უნდა  
გქონდეთ. თქვენ კი ვერ ასრულებთ თქვენს  
მოვალეობას, რომ ამ კანონის წინააღმდეგ ამ-  
ხედრებულხართ. მე დიდის ამაყობით ვემორ-  
ჩილები ყველაფერში ჩვენს კანონებს (ჟაჟუტი  
ოცვაში).

**ვაგრე.** საამაყოს ვერაფერს ვხედავ ჩვენს კანონში.

**თავმჯდ.** მოწყალეო ხელმწიფევ!?

**ვაგრე.** გიმეორებთ, ათი წლის წინად ჩადენილი, საქცი-  
ელი, რომელიც შესყიდულია კიდეც ჯერო-  
ვანის სასჯელით, დასავიწყიდა და არა ხელმეორედ  
აღსაბეჭდი და, ვინც ამ უკანასკნელს სჩადის,  
საზიზლრათ და სამარცხყინოთ იქცევა. დიალ,  
მოწყალეო ხელმწიფევ, ის კანონიც, რომელიც  
დასჯის შემდეგაც, არ ივიწყებს ჩადენილ სა-  
ქციელს, ისიც საზიზლარია და სამარცხვინო.

**თავმჯდ.** (შლიაპას ისურავს) თუ არ მოგწონთ ჩვენი კა-  
ნონი, შეეცადეთ იმის შეცვლას. რაღას უყუ-  
რებთ, დაასახელეთ თქვენი თავი დეპუტატათ.  
მერმის...

**ვაგრე.** მე რომ დეპუტატი ვყოფილიყავ, უსათუოთ. შეც  
სხვებსავით მოვიქცეოდი და იმის მაგიერ, რომ  
მაგგვარი კითხვები აღმერა, სამინისტროს ხან-  
გრძლივობაზე ვითიქრებდი. და ვიოცნებებდი.

**თავმჯდ.** (კოლოფით იღლიას ქვეშ) მაგ შემთხვევაში... რა  
იქნა მოსამსახურე?

**ვაგრე.** (ზარს დააწეარუნებს) ემ საათში მოვა... მაშ ეგრე  
ჩემ ადგილზე მუზონია დანიშნული, ჰა?

**თავმჯდ.** დიალ, მუზონი.

**ვაგრე.** იმიტომ რომ დეპუტატ მონტუბლოს ფეხ ქვეშ  
ეგება და ეფერება?

**თავმჯდ.** ნებას ვერ მოგცემთ, რომ ბ. მონტუბელოს  
აგრე იხსენიებდეთ ჩემთან.

**ვაგრე.** რადა, ალბად იმედი გაქვთ, რომ ბ. დეპუტატი  
თქვენც გამოგადგებათ, არა?

**თავმჯდ.** სწორედ! (შემოდის მოსამსახურე) ამ კოლოფს  
სასტუმრომდინ ხომ ვერ მიიტანთ, აი, იქვე  
საღვურის გვერდზე, რომ არის. (მისცემს ორ  
კოლოფს) მშვიდობით, ძვირფასო ბ. ვაგრე...  
დავივიწყოთ წარსული! (მიდის, თან მოსამსახურე  
მისდევს, ვაგრეც შლიახას დაიხურავს და წასვლას  
აზირობს)

### გამოსვლა მესამე

ვაგრე და ბენუა, შემდეგ ეჩებათ.

**ბენუა.** (შემოდის) მიბრძანდებით, ბ. ბრალმდებელო?

**ვაგრე.** ჰო, რა იყო?

**ბენუა.** ნებას მომცემთ ეჩეპარი აქ შემოვუშვა, სანამ სულ  
გაანთავისუფლებენ? საკოდავი სჩივის—დერე-  
ფანში დიდი და პატარა მე მიყურებსო, თი-  
თქო, ადამიანი კი არა, მხეცი ვიყოთ.

**ვაგრე.** რასაკვირველია.

**ბენუა.** მაშ ეჩეპარის ცოლსაც აქ შემოვიყვან, გამოვა-  
თუ არა კანცულარიიდან.

**ვაგრე.** ძალიან კარგს იზამთ!

**ბენუა.** მაშ წავალ და ვეტყვი... მაგრამ ეჩეპარის ცოლს  
ემ საათში ვერ გაანთავისუფლებენ.

**ვაგრე.** რადა?

ბენუა. ახლა სხვა საქმისთვის იქნება დაპატიმრებული:  
მსაჯულის შეურაცყოფა ბრალდება.

ვაგრე. მუზონისა?

ბენუა. ღიალ, ბ. ბრალმდებელო.

ვაგრე. ვეცდები, როგორმე ჩავშალო ეგ საქმე (წისგდას  
აჰირთბეს).

ბენუა. მშვიდობით, ბ. ბრალმდებელო.

ვაგრე. მშვიდობით! (მიდის).

ბენუა. ბ. ეჩეპარ, აქ გირჩევნიათ მოცდა სანამ სრული-  
ად გაგანთავისუფლებენ. თუმცა დიდი ხანი კი  
აღარ მოგინდებათ ლოდინი.

ეჩეპარი. (შემოდის) გმაღლობთ, ბატონო.

### გამოსვლა მეოთხე

ბენუა და ეჩეპარი.

ბენუა. აგერ გაგამართლეს და საქმეც გათავდა.

ეჩეპარი. გათავდა, მაგრამ ჩემთვის კი ახლა იწყება. გა-  
მამართლეს; მაგრამ სამუდამოთ კი გამაუბედუ-  
რეს.

ბენუა. განა არ იცოდით, რომ...

ეჩეპარი. მე არა ვიცოდი-რა...

ბენუა. ისეთი დიდი ხნის ამბავია, რომ თავისუფლად შე-  
გიძლიანთ აპატიოთ...

ეჩეპარი. შაგისთანა საქციელს ბასკი ვერაოდეს. ვერ  
აპატიებს თავის ცოლს... მესსავით დამეცა.  
თავზე... ის არის, ის ჩვენი უბედურების მი-  
ზეზი... ლმერთმა დაგვსაჯა... ახლა კი ყველა-  
ფერი დაკარგულია!...

**ბენუა.** (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) მეტის-მეტად მებრა-  
ლებით...

**ეჩეპარი.** გმადლობთ, ბატონო... (ზაუზა) თუ აგრე კე-  
თილი ბრძანდებით, იქნება დედახემს ნება მი-  
სცეთ, რომ აქ მოვიდეს. საცოდავი დერეფან-  
ში მიცდის.

**ბენუა.** ამ სათში დავუძახებ. (მიდის).

**ეჩეპარი.** (მასუთლებს) გმადლობთ, გმადლობთ, ბატონო.

### გამოსვლა მეზოთ

ეჩეპარი და მისი დედა.

**ეჩეპარი.** (დედას მიეგებება და გულში ჩაიკრაჭს) საცოდავო,  
როგორ-გამოუცვლიხართ დარღსა და ნაღველს.  
ამ სამი თვის განმავლობაში.

**დედა.** მოგიკვდეს, შვილო, დედა, ვინ იცის—როგორ  
იტანჯებოდი სატუსალოში.

**ეჩეპარი.** ის ვერაგო...

**დედა.** მითხრეს, მითხრეს...

**ეჩეპარი.** ათი წელიწადი ქურდ და როსკიპ ქალთან თურ-  
მე ვცხოვრობდი... საზიზლარი როგორ ქვეშე-  
ძრომლობდა და თურმე როგორ გვატყუილებ-  
და... მსაჯულმა რომ უთხრა: „თქვენა და-  
თქვენ საყვარელს ქურდობა თურმე გბრალდე-  
ბოდათ და ამის გამო ერთი თვე საპყრობილე-  
ში მჯდარხართო“, — და ისიც მთელი ხალხის.  
თვალ-წინ რომ გამოტყდა, დედავ, გეფიცები  
ასე მეგონა ზეცა დამენგრა თავზე-მეთქი... მე-  
რე იმაშიც რომ გამოტყდა, რომ მართლა ვიყავ  
იმის საყვარელიო... არ ვიცი, რა დამემართა...

არ ვიცოდი ვინ მომეკლა და ვიზე აშომეყარა  
ჯავრი—მსაჯული, რომელიც ასე გულგრილად  
ლაპარაკობდა ამ საგანზე, თუ ცოლი, რომელსაც  
ზურგი შემოებრუნებინა ჩემთვის და მსაჯულს:  
ეთანხმებოდა. იმ წუთს მზათ ვიყავ უბრალოსა  
და უდანაშაულოს ჩემ თავზე ამელო ბრალი,  
ოღონც ის დედაკაცი აღარ მენახა და იმის ხმა  
აღარ გამეგონა... მაგრამ თქვენ და შვილები  
მომაგონდით... (ხანგრძლივი სიჩუმე) მართლა,  
უნდა გადავწყვიტოსა, რამე... ბავშვები შინ  
დასტოვეთ?

**დედა.** არა, ბიძაშვილთან გავისტუმრე ბოიონში... სახლი  
აღარა გვაქვს, შვილო, აღირაფერი გვაბატია...  
სულ გაგვაოხრეს... ესეც რომ არ იყვეს, ჭი-  
რივით შემძაგდა ეს მხარე... დედაკაცები პირს  
მარიდებენ... ეკკლესიაში არავინ მეკარება...  
ბოლოს... იძულებული ვიყავ ბავშვებიც გა-  
მომეყვანა სკოლიდან...

**ეჩეპარი.** ღმერთო ჩემო!

**დედა.** არავინ თურმე ხმას აღარა სცემდა... ერთხელ  
უორუს ვილაც ბავშვთან ჩეუბი მოსვლოდა და,  
რაკი უორუი უფრო ღონიერი გამომდგარიყო,  
იმის ჯავრის ამოსაყრელად—წალი, მკვლელის  
შვილოო! — დაუძახა.

**ეჩეპარი.** მერე უორუმა...

**დედა.** უორუი ტირილით დაბრუნდა შინა და ვეღარა-  
ფრით ვეღარ გავიყვანე კარში. სწორედ მაშინ  
გავისტუმრე ბავშვები ბოიონში.

**ეჩეპარი.** აი, რა უნდა ვქნათ..., თქვენ ბავშვებთან წალით

და მე კი ხვალ ან, შეიძლება, დღესაც ჩამოვიდე  
ბოიონში. იქ ამერიკაში გადამსახლებელთა სა-  
ზოგადოება არსებობს და ბავშვების სიბრა-  
ლულით ოთხივეს გადაგვიყვანენ ამერიკაში.

**დედა.** დედა რომ იკითხონ?

**ეჩეპარი** (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) მოკდა-თქო, უთ-  
ხარით.

**იანეტტა.** (შემოდის და კარებისებენ მიბრუნებული ვიდაცას  
ეუბნება) კარგი, ბატონი (კარი მიიხურება).

**დედა.** (იანეტტას არ უუწებს) მაშ ეგრე, წაველ...

**ეჩეპარი.** (დედას) ჰო, ჰო, მეც მალე გნახავთ, თუ  
დღეს აქ ვერ მოვახერხე, ხვალ იქა გნახავთ.

**დედა.** კარგი.

**ეჩეპარი.** მიხვიდეთ თუ არა, იმ საათში გაიგეთ დღე და  
საათი.

**დედა.** ხვალამდის. (მიდის და იანეტტას არ უუწებს).

### გამოსვლა მემკვე

იანეტტა და ეჩეპარი, შემდეგ ბენჯა.

**იანეტტა.** (რამდენსამე ნაბიჭვს გადასდგამს ქმრისებენ, დაი-  
ჩიქებს და ხელებს გულზე დაწურობს. ნელის  
სმით) შაშატი!

**ეჩეპარი.** არაოდეს!

**იანეტტა.** ნუ, ნუ ამბობ „არაოდესო“!

**ეჩეპარი.** განა, მსაჯული სტყუოდა?

**იანეტტა.** არა... არა სტყუოდა.

**ეჩეპარი** საზიზლარო!

**იანეტტა.** მართალია, საზიზლარი ვარ, მაგრამ მაპატიე!

**ეჩეპარი.** გაპატიო კი არა, სიამოენებით მოგყლოვდი.

**იანეტტა.** მომკალ... მაგრამ მაპატიე-კი.

**ეჩეპარი.** გომბიო... პარიზის უნამუსო და უსინიღისო გომბიო.

**იანეტტა.** ჰო, ჰო. მაგინე, მლანძლე... მომკალ...

**ეჩეპარი.** ათი წელიწადი თურმე მიმალავდი...

**იანეტტა.** რამდენჯერ, რამდენჯერ შინდოდა მეთქვა. რამდენჯერ დავიწყე კიდევ, მაგრამ ძალა არ მომდევდა, პიერ... შენი განრისხებისა და წყუჭ ნისა მეშინოდა... ისე ბედნიერად მეგულებოდი.

**ეჩეპარი.** სატუსალოდან და გარყვნილობიდან გამოთრეულმა მე, როგორც სულელი და უჭიკუო ადა-მიანი, ამომირჩიე... .

**იანეტტა.** ღმერთო ჩემო! ამასაც ესე ჰეონია!

**ეჩეპარი.** მოხველი და ნაქურდალი მომიტანე!... ქურ-დის ნარჩენები!.. შენ გესმის, რომ პატიოსანი ქალის ადგილი მოიპარე ჩემო თჯახში?.. შენმა სიცრუემ და უზნეობამ მომიტანა ყველა უბე-დურება... ეს ყველაფერი. სულ შენი ბრალია. შენ ის დაწყევლილი და ჭირიანი ადამიანი ხარ, რომელსაც ყველა უნდა ერიდებოდეს. ნულა-რაფერს მეტყვი! მე გეუბნები, ნულარაფერს. მეტყვი-მეთქი?

**იანეტტა.** ნუთუ შებრალება არა გაქვს, პიერ?.. შენა გგონია, მე კი არ ვიტანჯები?

**ეჩეპარი.** თუ იტანჯები, დამსახურებულიცა გაქვს. ეგ კიდევ ცოტაა შენთვის... მე კრ... მე რა დაგი-შავე, რომ შენ მსხვერპლათ მე ამომირჩიე? მე რად უნდა ვითმინო და, რად უნდა ვიტანჯო.

ასე? შენი უპატიოსნებით მეც გამაუპატიურე, დამამტირე და კაცობა შემიბლალე... გულიდან უნდა ამომეგლიჯა შენი ხსოვნა მაგრამ... ჯერ კიდევ ვიტანჯები შენი სიყვარულით! შენი სიყვარულით!.. ათი წლის განმავლობაში ჩემთვის ყველაფერი შენ იყავ... დღეს კი. . ერთად-ერთი ნატვრა-ლა დამრჩენია... როგორმე დაგი-ვიწყო.

**იანეტტა.** მაპატიე!

**ეჩეპარი.** არაოდეს, არაოდეს!

**იანეტტა.** ნუ ამბობ მაგ სიტყვას, ნუ!.. შარტო ლმერთსა აქვს უფლება, რომ „არაოდესო“ სთქვას... მოვალ შენთან... მოსამსახურეთ დაგიდგები, ოლონდ შენთან მამყოფე... მამყოფე შენ სახლში, და შენ კერას მხოლოდ მაშინ მიუჟახლოდები ხოლმე, როცა შენ მიბრძანებ.

**ეჩეპარი.** ჩვენ აღარც სახლი გვაქვს და აღარც კერთ... აღარაფერი გვაბადია... და გიმეორებ, ეს ყველაფერი შენის წყალობით დავკარგე... შენის წყალობით, რადგან შენ—მრუშმა და ფიცის გამტეხმა, დედიჩემის ადგილი დაიჭირე... ჩემს ოჯახში და უძლურებაც თან მოიტანე.

**იანეტტა.** გეფრიცები, ყველაფერს დაგავიწყებ. ვეცდები ჩემის ერთგულებით, მორჩილებით და სინანულით ისევ მოვიგო შენი გული... საცა უნდა წახვიდე, თან გამოგუვები... პიერ, ის მაინც გაიხსენე, რომ შენი შვილები ჯერ კიდევ ჩემ სიახლოეს საჭიროებენ,

**ეჩეპარი.** ჩემი შვილები? მე არ მინდა, რომ შენ კიდევ

ნახო ჩემი შვილები, ელაპარაკო, ჰქოცნო და  
ან შეეხო იმათ. გესმის? არ. მინდა და ვერც  
ელირსები მაგას.

**თანეტფა.** (ხმას გამოიცვლის) ჰოო? ეგრე?.. უკაცრავათ?..

შენ შეგიძლიან ათასნაირი სასჯელი მომაყე-  
ნო, მაგლახაო და ყოველ წუთს მაგრძნობინო  
ხოლმე ჩემი სირცხვილი,—მე ყაბულსა ვარ?..  
შეგიძლიან არა მნახო და მარტო მლანძლო,  
მაგინო... მაგრამ შვილები კი! ჩემი შვილები  
ჩემები არიან! ისინი მე მიშობნია და დღევან-  
დლიამდინ ჩემი სხეულის ნაწილს შეაღგენენ...  
და მუდამაც ჩემი სხეულის და სისხლის ნაწი-  
ლად დარჩებიან... შეგიძლიან ხელი მომკვეთო,  
მაშინ ჩემი ხელი ჩემი აღარ იქნება, როგორც  
უსულო საგანი... მაგრამ იმას კი, რომ ჩემი  
შვილები ჩემები აღარ იყვნენ, ამას ვერ იზამ  
ვერაოდეს.

**ეჩეპარი.** შენ ღირსი არა ხარ, რომ იმათ უვლიდე.

**თანეტფა.** ღირსი არა ვარ? უღირსობაზე ლაპარაკიც არ  
შეაძლება... განა ცუდი დედა ვიყავ? მომი-  
გე!.. ხომ არა? თუ არ ვყოფილვარ. ცუდი  
დედა, მაშ იმათზე უფლება არც დამიკარგავს?..  
უღირსი?! ათასჯერაც რომ ამაზე მეტად  
ვყოფილიყავ დამნაშავე... მაინც ვერც შენა,  
ვერც კანონი, ვერც მღვდელი და თვით ღმერ-  
თიც ვერ იტყოდა — უფლება მაქვს. შვილები  
წაგართვაო... მე ვიყავ დამნაშავე, როგორც  
ქალი, ეგ შესაძლებელია; მაგრამ როგორც  
დედა — არაოდეს, ამას ვერავინ იტყვის ჩემზე...

შვილებს ვერავინ წამართმევს. და თუ მოგივიდა მაგნაირი აზრი, უზნეო და უსინიღისო კაცი ყოფილხარ! დიალ! ჯიბრით შვილებს გინდა მომაშორო... გიმეორებ უსინიღისო და უზნეო ყოფილხარ... მამობრივი გრძნობა სრულიად არა გქონია გულში... იმათი ბედი, თურმე, სრულიად არ გაფიქრებს... დიალ, შენ მიჰქარავ, როცა ამბობ, ღირსი არა ხარ, რომ იმათ მოუაროო... ეგ ცარიელი სიტყვაა... კარგათ იცი, რომ მე ჩემის მკერდით მისაზრ-დოვებია, მომივლია, არაფერში ზრუნვა არ-დამიკლია და ლვთის სიყვარული და შიში ჩა-მინერგავს იმათვის გულში... ყველა ამას მე-ეხლაც განვაგრძობდი... შენც კარგათ იცი, რომ ჩემ მაგიერობას ვერც ერთი ქალი ვერ გაუწევს... მაგრამ შენთვის ყველა ეს არაფე-რია... შვილები გავიწყდება და გინდა იმათი წართმევით. დამსაჯო?.. მე სრული უფლება მაქვს გითხრა: ეგ უზნეო და მდაბალი ბორო-ტება და შურისძიებაა!.. შვილები!.. ახლა შვილები!.. არა,— შვილებს ვერ წამართმევ!... პიერ, კარგა მოიფიქრე... შეუძლებელს ამბობ!

**ეჩეპარი.** მართალი სთქვი— მე შურს ვეძიებ. ის, რასაც შეუძლებლად სთვლი, ასრულებულია კიდეც. დედაჩემმა წაიყვანა კიდეც ბავშვები და წა-ვიდა.

**იანეტტა.** გვლის ხვრელს გავივლი და ჩემ შვილებს კი- მაინც ვიპოვნი.

**ეჩეპარი.** ამერიკა ძალიან დიდი ქვეყანაა.

**იანეტტა.** ვიპოვნი.

**ეჩეპარი.** მაშინ იძულებული ვიქნები შვილებსაც ავუხსნა,  
რა მიზეზით დაგაშორეთ ერთმანეთს.

**იანეტტა.** აააჲ!.. არაგზით!!.. არაგზით!.. მზათა ვარ,  
ყველაფერში დაგემორჩილო, ყოველ შენ ნე-  
ბას ავასრულებ, ოლონდ...

**ბენუა.** (შემთდის) ეჩეპარ, თქვენი განთავისუფლების ქა-  
ლალდს ხელი მოაწერეთ.

**იანეტტა.** მოითმინეთ, ბატონო, ერთი წუთი მაღროეთ!  
(ეჩეპარს) მე ყაბულსა ვარ, მოვშორდები შვი-  
ლებს, რახან საჭიროა, გადვიკარგები საღმე...  
არაოდეს არ გაიგონებ ჩემ ამბავს, მაგრამ ამ  
საშინელი მსხვერპლის სანაცვლოდ შემომფი-  
ცე, შემომფიცე, რომ არაფერს ეტყვი იმათ.

**ეჩეპარი.** გეფიცები!

**იანეტტა.** მეფიცები, რომ არაოდეს არ ეტყვი იმათ  
ისეთ რამეს, რაც იმათ ჩემდამი სიყვარულს.  
შეამტკიცებდეს?

**ეჩეპარი.** ვფიცავ!

**იანეტტა.** გევედრები, პიერ, ჩვენი წამებული ბედნიერე-  
ბის და ახლანდელი ტანჯვის სახელით, ნუ  
აღმოფხვრი იმათ გულში ჩემ ხსოვნას... ილო-  
კონ ხოლმე ჩემთვის.

**ეჩეპარი.** მე ვფიცავ გევე აგისრულო!

**იანეტტა.** წადი!... ჩემი სიცოცხლე გათავდა...

**ეჩეპარი.** მშვიდობით (ბენუა და ის მიდიან. კარებში მიმა-  
ვალ მუზიკის შეხვდებიან).

**ბენუა.** (ეჩეპარს) ეგ მიგაცილებს (მუზიკის). ეჩეპარის ცო-  
ლია აქა.

**მუზონი.** პოო, აქ არის? ბ. ვაგრე მეხვეწებოდა შეუ-  
რაცხვოფის საქმე შესწყვიტეო: რა ვუყოთ,  
უკან მიმაქვს ჩემი საჩივარი და მაგის განთა-  
ვისუფლების წინააღმდეგი არაფერი მაქვს. ახლა.  
როცა სასამართლოს წევრად დამნიშნეს, მე არა-  
ვითარი სურვილი არა მაქვს ყოველ კვირა პო-  
დან აქ ვიარო ხოლმე გამოძიებაზე... შეგი-  
ძლიანთ ფორმალური მხარე. შეასრულოთ და  
გაანთავისუფლოთ.

### გამოსვლა მეშვიდე.

მუზონი, იანეტტა და ბენუა.

**მუზონი.** რაკი საქმის გარჩევამდის იჯექით კიდეც სა-  
ტუსალოში, მე მზათა ვარ დროებით გაგან-  
თავისუფლოთ... იქნება, უკანაც წავიღო ჩემი  
საჩივარი, თუ, რასაკვირველია, ბოდიშს მო-  
იხდით, რომ შეურაცხვოფა მომაყენეთ.

**იანეტტა.** (მშვიდად) მე სრულიად არ ვინანიებ ჩემს საქ-  
ციელსა და, მაშასადამე, არც ბოლიშს მოვიხდი.

**მუზონი.** მაში ისევ სატუსალოში გინდათ დაბრუნდეთ?

**იანეტტა.** ოჟ, რომ იცოდეთ, რა ცოტა მნიშვნელობა  
აქვს ახლა ჩემთვის სატუსალოსაცა და თავი-  
სუფლებასაც...

**მუზონი.** რადა?

**იანეტტა.** იმიტომ რომ მე აღარა მაქვს-რა: არც სახ-  
ლი, არც კერა, არც ქმარი და არც შვილე-  
ბი... (დაცჭერდება) და, მე მგონია, რომ...

**მუზონი.** რა გგონია?

**იანეტტა.** მეონია, რომ თქვენა ხართ ყველა ამ უბედულობის მიზეზი.

**მუზონი.** ხომ ორთავენი გაგამართლეს? მეტი რალა გინდათ?

**იანეტტა.** მართალია, მაგრამ... ქმრისთვის, შვილებისთვის და მთლად ქვეყნისთვისაც პატიოსანი ქალი აღარა ვარ.

**მუზონი.** თუ ვინმე გიკიუინებთ უწინდელ სასჯელს და საქმის გარჩევამდის სატუსალოში ჯდომას მოგაგონებთ, თქვენ შეგიძლიანთ სამართალში მისცეთ ის კაცი. კანონი დასჯის იმათ, ნუ გეშინიანთ.

**იანეტტა.** აი, სწორედ იმიტომ, რომ ერთმა ვინმემ მიკიუინა კიდეც ჩემი წარსული, ქმარმა შვილები წამართვა და ოჯახს მომაშორა. ეს ვიღაც მსაჯული გახლავთ. განა შემიძლიან იმისი დასჯა მოვითხოვო?

**მუზონი.** არა, იმის დასჯას ვერ მოითხოვთ.

**იანეტტა.** რადა? იმიტომ რომ ის მსაჯულია?

**მუზონი.** სრულიადაც არა; იმიტომ რომ კანონი ეგრეთია.

**იანეტტა.** (მძლავრად) ეგრეთი კანონია!?

**მუზონი.** თუ ღმერთი გწამთ, ნუ ყვირით, თორემ... (ბენუას) გაათავეთ? წადით და საქმის შესაწყვეტი ქალალდი მომიმზადეთ, (ბენუა მიდის).

**იანეტტა.** მე უსწავლელი ვარ და თქვენსავით წიგნებით არ მისწავლია კანონები. იქნება, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ მე თქვენზე უკედ ვიცი, რა არის სიმართლე და რა არის უსამარ-

თლობა... მე გეკითხებით, შეუძლიან კანონს  
ჩემი შვილები დამიბრუნოს და ის სიბოროტე,  
რომელიც იმის წყალობით მეწვია, მომა-  
შოროს?

**მუზონი.** კანონი მაგის მოვალე არ არის.

**იანეტტა.** მოვალე არ არის?.. მაგ შემთხვევაში თქვენ,  
მსაჯული, როგორ-ლა მოიქცევით?

**მუზონი.** არც მსაჯულია პასუხის-მგებელი.

**იანეტტა.** პასუხის-მგებელი არ არის?... ჭეშმარიტების, პა-  
ტიოსანი ხალხის თვალ-წინ და ღვთის სამსჯავ-  
როს წინ გეფიცებით,—ვალდებული ხართ,  
რომ პასუხი აგოთ... და მეც ამიტომა გთხოვთ  
პასუხს (მუზონი ამ დროს ზურგ-შემოქცეული  
სდგას. იანეტტა მაგიდაზე საჭრელ დანას შენიშ-  
ნავს, დასტაცებს ხელსა და ისევ უკან დასდებს).

**მუზონი.** მე გიბრძანებთ, რომ ამ საათში გახვიდეთ აქე-  
ლან.

**იანეტტა.** გამიგონეთ... უკანასკნელად გეკითხებით, რა-  
ლონე შეგიძლიანთ იღონოთ, რომ ჩემი დანა-  
კარგი დამიბრუნოთ?.. შეგიძლიანთ ნაღველი  
შემიმციროთ და შვილები დამიბრუნოთ?

**მუზონი.** მე არაფრის მოვალე არა ვარ და არც არას  
გეტუვით.

**იანეტტა.** მაშ, არა ხართ?.. მოვალე ხართ ჩემი სიცო-  
ცხლე, ჩემი ნუგეში—შვილები დამიბრუნოთ!  
შვილები, შვილები! ვერაოდეს ველარ ვნახავ  
იმათ. თქვენ წამართვით ჩემი ერთად-ერთ  
სიხარული და ნუგეში! თქვენ წამართვით იმა-  
თი ალერსის და კოცნის უფლება! წამართვით

ბეღნიერება და სამუდამოთ დამირლვიეთ მყუდ-  
როება!.. არაოდეს აღარ გავიგონებ „დედას“  
ძახილს, ვეღარ ვნახავ იმათ სანეტარო სახეს...  
თქვენ დახოცეთ ისინი, ოქვენის ხელით გა-  
მოღადრეთ ყელი?.. (დანას დასტაცებს - ხელსა)  
აი, თქვენი ნამუშევარი, ფლიდო მსაჯულო!  
მართალი კაცი კინაღაშ კაცის მკვლელად გა-  
მოიყვანეთ და პატიოსან დედას კაცის მკვლელ-  
სა ჰედით! (დარტუამს დანას, მუზონი დაეცემა).

### ფ ა რ დ ა

ი. პოლუმორდვინვი.

# კონტიკა და ბიბლიოგრაფია

ბ-ნ კორხანიდის რუსულის ენის სახელმძღვანელო  
„Живое Слово“ (მესამე გამოცემა. 1903 წ.)

დღევანდელს გარემოებაში რუსული ენის შესწავლა ქართველთათვის რომ აუცილებლად საჭიროა, ეს, ვეონებ, საანბანთ ჭეშმარიტება. მაშასადამე, უნდა გამოუარჯიოთ ის საკითხიც, თუ რომელი მეთოდი უფრო ხელსაყრელია ქართველი ბავშვისთვის რუსული ენის შესწავლად, ე. ი. რომელი მეთოდის საშუალებით უფრო შეგნებით შეისწავლის ქართველი ბავშვი მისთვის არა მშობლიურს, უცხო, რუსულ ენას, რომ ამით არა დაუშავდნ-რა, არა ევნოს-რა სხვა საგნების შესწავლის საქმეს, ბავშვის სულის ძალთა და ნიჭთა ნორმალურს, ჯეროვანს განვითარებას და მის გაქართველადამიანებას. რუსულის ენის შესასწავლად არა-რუსთა სკოლებისათვის არსებობს სამი მეთოდი: ა) თარგმნა გრამატიკული, ბ) ნატურალური, ბუნებრივი, საქართველოში წოდებული მუნჯურ მეთოდად, და გ) შერეული, საშუალო, ანუ თვალ-საჩინოება-თარგმნითი, საფუძვლიანად შემუშავებული და გამორკვეული ქართველ პედაგოგის ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის-მიერ.

პირველი მეთოდი თხოულობს უცხო ენის შესასწავლად, ამ ენის გრამატიკულ კანონების თანდათანობით შეთვისებასთან ერთად, ახალ-ახალ სიტყვების შესწავლას და თარგმნის საშუალებით. ამ ენის ცოდნის შეძენას.

შესწავლილს სიტყვებს ურთიერთ შორის არავითარი არ-  
სებითი კავშირი არა აქვს. ეს სიტყვები არ ეკუთვნის  
ერთგვარის საგნების გროვას და ამის გამო აუცილებე-  
ლი ხდება მათი მექანიკური შესწავლა, — მათი გაზეპირე-  
ბა, რაც დიდს ჯაფას აყენებს ბავშვის მეხსიერებას. ბავ-  
შვი სწავლობს უცხო ენას და რამდენისამე წლის შემ-  
დეგ ამ ენაზე, ასე თუ ისე, ლაპარაკობს, მაგრამ ხშირად  
მოხდება, რომ, თუ ცოცხალი სიტყვის საშუალებით ამ  
ენაზე ლაპარაკის პრაქტიკა არ აქვს, ვერც კი ახერხებს  
ლაპარაკს, — თუმც წაკითხულებაგონილი უცხო ენაზე  
კარგად ესმის. ამ მეთოდით შედგენილია მარგოს ცნო-  
ბილი სახელმძღვანელო ფრანგულ ენის შესასწავლიად;  
ამავე მეთოდით შედგენილი იყო 1870—1880 წლებში  
ხმარებული სახელმძღვანელო რუსულის ენის შესასწავ-  
ლიად ბ-ნ კალანდარაშვილისა. თვალ-საჩინოებას და ცოცხა-  
ლის ენით ზეპირ საუბარს ეს მეთოდი მნიშვნელობას არ  
აძლევს. მარტოოდენ თარგმნის საშუალებით უცხო  
ენის შესწავლა მოსახურებელი და, მაინც კა-  
დამაინც, არც დიდი ნაყოფის მომცემის.

შეთრე შეთოდი — ნატურალულ-ბუნებრივი, მუნჯური-  
უარპყოფდა უკანასკნელ დრომდის მშობლიურ ენის და-  
ხმარებას უცხო ენის შესასწავლიად. ამ მეთოდის აზრით,  
ბავშვი, მაგალითად, რუსული ენის შესწავლის დროს  
უნდა შეეჩიოს რესულად აზროვნობას, რესულს ფიქრს  
თარგმნა მშობლიურს ენაზე და მშობლიურიდან რუსულ-  
ზე ხელს უშლის რუსულად ფიქრსა. ამისათვის მასწავ-  
ლებელმა უნდა უარ-ჭერს მშობლიური ენის დახმარება რუ-  
სული ენის სწავლების დროს და ისე უნდა ასწავლიდეს  
ამ ენას არა-რუსს, როგორც ნამდვილს რუსსა, რუსული-

შავე ენის საშუალებით. შვიდო-რვა წლის ბავშვს ცოტა  
ცნება და სიტყვა აქვს გონების სალაროში და, რაც  
აქვს, ისიც გაურკვეველ-განუსაზღვრელია. ბავშვს კარ-  
გად ვერა აქვს წარმოდგენილი კავშირი, ცნებასა და  
სიტყვას შორის. ამის გამო, მუნჯურ მეთოდის მოტრფი-  
ალეთა აზრით, ბავშვის ჭყუა —, რომელიც ახალ-ახალ  
შთაბეჭდილებათა მიმდევარია და რომელიც ძლიერს გა-  
რეშე გავლენასაც აღვილად ემორჩილება, მალე განაგდებს  
მშობლიურს და შეითვისებს უცხო სიტყვას. ეს განგდება  
მშობლიურის ენისა ბავშვის ჭყუიდამ უფრო აღვილად  
შესაძლებელია მაშინ, როდესაც უფრო ენის სწავლების  
დროს მასწავლებელი ბავშვის მშობლების ენას არ ხმა-  
რობს. ამის გამო, ბუნებრივ მეთოდს აქვს ორი დებუ-  
ლება: ა) რუსულის (ანუ ყოველივე უცხო) ენის შეს-  
წავლა უდედაენოდ რუსულისავე ენის საშუალებით და  
ბ) ურუები და ურუებისავე ენის შესწავლის დროს \*).

მუნჯური მეთოდი დიდი წინააღმდეგია რუსულს სახელ-  
მძღვანელოში არა-რუსთა მშობლიურ ტექსტის და ლე-  
ქსიკონის შეტანისა. ამ მეთოდის მოტრფიალეთა აზრი  
ცხადია. მათის მეთოდის მხხედვით, არა-რუსთა სკოლებ-  
ში შეიძლება მასწავლებლად იყოს ტომით რუსი, არ-  
მცირდნე ბავშვთა მშობლიურის ენისა. ამ მეთოდით ნე-  
მეცური ენის სწავლება გახადეს სავალდებულო გერმა-  
ნიაში მცხოვრებ ზემო-სილეზიის პოლონურს სკოლებ-  
ში, პოლონელ ახალთაობის გასაგერმანებლად.

\* ) Методъ. руков. для первоначальн. обуч. рус. яз.  
въ иностр. школахъ по натуральному методу. К. Э. Шель-  
целя. Ч. I. Одесса, 1902 г., стр. II და 14—15.

ეს მეთოდი სავსებით პედაგოგიური მეთოდი არაა, —  
ის დამყარებულია ვიწრო პოლიტიკანობაზე და მას საერ-  
თო არა აქვს-რა საღს პედაგოგიურს ჭეშმარიტებასთან.  
ამ მეთოდის მხოლოდ ორი ჩამაა ხელ-ჩასაჭიდი: თვალ-  
საჩინოება და ცოცხალი უნით საუბარი უცხო ენის შესწავ-  
ლის დროს. სხვა მხრივ-კი მას აქვს მრავალური,  
ჯაფათური ხასიათი. და ცხადზე-უცხადესია, რომ უცხო  
ენის შეგნებით შესწავლა მშობლიურის ენის დაუხმარე-  
ბლად და ამავე დროს ბავშვის სულის ძალთა და ნიჭთა  
ნორმალური განვითარება შეუძლებელი საქმეა. განკუ-  
ნებითს ცნობებს ბავშვი რუსულად, ვერ შეითვისებს სამ-  
შობლო ენის დაუხმარებლად (სათნოება, სიყვარული,  
სიძულვილი, ოლტაცება, ოლტრთოვანება, სულგრძელება  
და სხვა...), ვერ შეითვისებს უამენოდ ვითარებათა სახელს,  
სიტყვების მნიშვნელობის სხვადასხვა კილოს, ზმნების  
ფორმათა მნიშვნელობას. „მუნჯური მეთოდი“, პედაგო-  
გის ბაზროვნიკოვის აზრით, ხელს უშლის გარკვეულ და-  
ცხად წარმოდგენათა შემუშავებას. არა-რუსებს, რომელნიც  
რუსულად თავისუფლად ლაპარაკობენ, ზოგიერთი რუ-  
სული სიტყვები გარკვეულად არ ესმით და, თუ ადამიანს  
აქვს განუსაზღვრელი და ბინდ-ბუნდი ცნებები, მისი აზ-  
რი წესიერად ვერ იმუშავებს \*). ალბად შეიგნეს ეს ჭეშმა-  
რიტება მუნჯურ მეთოდის მოტრთიალეთა და, ნებით თუ  
უნებლივედ, მშობლიურ ენას მოწყვალება უბოძეს. შელ-  
ცელი, ზემოდ დასახელებულ წიგნის ავტორი, ნებას  
აძლევს მასწავლებლებს რუსული ენის სწავლების დროს

\*) იხ. იმისი წიგნი Что такое хороший урокъ. изд. 2-е.  
Казань, 1902 г. გვ. 117.

არა-რუსთა სკოლებში მშობლიურს ენას მიმართონ გა-  
მთხავდის სახით (თბ თებზ ისკლიუჩენია), პირველად, მა-  
შინ, როდესაც სკოლაში თვალსაჩინო საგნები ან მათი  
სურათები, ესოდენ საჭირონი მუნჯურის მეთოდით რუ-  
სულის ენის შესწავლის დროს, არ მოიპოება; მეორედ,  
მაშინ, როდესაც ზოფიერთ განყენებითს ცნებებს გამო-  
უცდელი მასწავლებელი რიგიანად ვერ გააცნობს მოწა-  
ფეებს და, რომ დრო არ დაიკარგოს, მისთვის საჭირო  
იქნება ბავშვთა სამშობლო ენის დახმარება; მესამედ,  
მაშინ, როდესაც მასწავლებელს სხვა საშუალება არ ექ-  
ნება დარწმუნდეს, რომ მის-მიერ გადაცემული ცოდნა  
მოწაფეებმა შეიგნეს \*). ბალტიის მხრის პედაგოგი დაჭინი-  
თავის მეთოდიურს სახელმძღვანელოში ბუნებრივს მე-  
თოდს უწოდებს ისეთს მეთოდს, რომელიც სამშობლო  
ენის დახმარებას არ უარ-ჟყოფს რუსული ენის შესწავ-  
ლის დროს. ამის მიუხედავად, მუნჯურ მეთოდის  
მოტრფიალეთაგან უარ-ყოფილია მშობლიური ტექსტის  
და ლექსიკონის რუსულს სახელმძღვანელოში შეტანა.  
როგორც პირველს, თარგმნითს, — ისე მეორეს, ბუნებრივ  
მუნჯურს მეთოდს თვისი ლირსებანი და ნაკლულევანე-  
ბანი აქვს. თუ შევაერთებთ ორსავე მეთოდის ლირსე-  
ბათა (სამშობლო ენის დახმარება, თვალ-საჩინოება, ცო-  
ცხალი საუბარი) მივიღებთ მესამე მეთოდს თვალ-საჩინოება-  
თარგმნითს მეთოდს, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუ-  
წოდოთ გოგებაშვილის მეთოდი. მესამე მეთოდს აქვს აღე-  
ბული — თარგმნითი და სამშობლო ენის დახმარება უცხო-  
ენის შესწავლის დროს და ფანდათანობითი შეთანხმება.

\*) შენიშვნა... გვ. 23. შენიშვნა.

უცხო ენის გრამატიკული ფორმებისა სამშობლო ენის ფორმებთან, მუნჯურ მეთოდიდამ — ოვალ-საჩინოება, რომელსაც დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს სწავლების ღროს საზოგადოდ, — და ის ჭეშმარიტება, რომ უცხო ენის შესასწავლად, თარგმნის გარეშე, ფრიად საჭიროა ვარჯიშობა, ცოცხალი, ზეპირი საუბარი იმ ენაზე, რომელსაც ასწავლი. მაშასადამე, მესამე მეთოდი ქართველ ბავშვთათვის თხოულობს რუსული ენის სწავლების ღროს შემდეგს: ა) რუსული ენა ქართველს ბავშვს უნდა შეასწავლო პირველად იმ მხრით, რომლითაც ის ქართულ ენას წააგავს, და შემდეგ კი იმ მხრით, რომლითაც ის ქართულიდან განსხვავდება. ამით განვახორციელებთ დიდაქტიკის საზოგადო დებულებას: „სწავლების დროს უნდა გადადიოდე ადგილიდან ძნელზე“. მით უმეტეს საჭიროა ამ დებულების შესრულება, რომ ნორჩი ბავშვის (7—8 წლის) ტვინი ძნელს ჯაფას ვერ აიტანს და აღვილად დაჩლუნგდება. ყოველივე ძალადობა და მტარვალობა მავშვის ბუნებაზე უშედეგოდ არ ჩაივლის და მის სულის ძალებს შემოქმედობითს ნიჭი მოაკლებს, დააჩივებს და სწავლაზე უდროვოდ ხელს ააღებინებს. ძნელია, როდესაც ბავშვის ტვინში რუსულის ენის ცოდნას სტენავენ ძალდატანებით, უწეს-რიგოდ და ათასგვარ ჯალათობით. ამ შემთხვევაში მასწავლებელი სამარეს უთხრის ბავშვის მღმღვალს და მარხავს მისს ადამიანობას. სხვაა, როდესაც რუსული ენის ცოდნა ორგანიულად, თანდათანობით იზრდება ბავშვის ჭკუაში, რომელიც ცოდნის ასეთი შეფეისებით არ იღლება; ბ) ზორეული წეარ რუსული ენის შესასწავლად თვალ-საჩინოებაა: გასინჯვა სხვადასხვა საგნებისა, მათის მოქმედებისა და მდგომა-

რეობისა, ანუ მათის სურათებისა და ნიმუშებისა, ისე კი, რომ ამასთანავე მასწავლებელი ცოცხალი სიტყვით ზეპირად ესაუბრებოდეს მოწაფეებს რუსულს ენაზე; გ) სამშობლო ენის ვრცელი დახმარება რუსული ენის შეგნებით შესასწავლად. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში არა თუ მარტო რუსულის კერძო სიტყვებისა და წინაღადებათა თარგმნას სამშობლო ენაზე, არამედ მთელი ამბების და მოთხრობების თარგმნას რუსულიდან ქართულზე და ქართულიდან რუსულზე, და დ) რუსული ენა მტკიცედ შეუკავშირდება ქართულს სკოლას, როდესაც ეს ენა შეუკავშირდება ქართველ ერის ანბანსა, ენასა, ყოფა-ცხოვრებასა და შეხედულებას. აი, მესამე მეთოდის დებულებანი, რომელნიც, შეძლების გვარად, განახორციელა ბ-ნ ი. გოგებაშვილმა თავის Русское Слово-ში.

მაგრამ, სანამ მის მეთოდიურს შეხედულებათ შევეხებოდეთ, მოულსმინოთ ყაზანის საოსტატო სემინარიის, დირექტორს ცნობილს პედაგოგს ბ-ნ ბობროვნიკოვს: მისი აზრით, არა-რუსთათვის რუსული ენის სწავლების დროს საჭიროა გრამატიკული თანდათანობა. მასწავლებელმა რუსულის ენის სწავლების დროს უნდა იხელდება ნელოს, ერთის მხრივ, რუსული გრამატიკით და, მეორე მხრივ, არა-რუსის ბაზეის გრამატიკით. ბეჭითი მასწავლებელი, რომელმაც არა-რუსის მშობლიური ენა საფუძვლიანად იცის, მთასერხებს გამონახოს გრამატიკული თემები საკმარ თანდათანობით \*) ბ-ნ ბობროვნიკოვისავე აზრით, გამოცდილს მასწავლებლებს არ ეშინიანთ მშობლიური ენის დახმარებისა არა-რუსთათვის, რუსული ენის სწავლების უამს, ახალ ცნებათა გადაცემისათვის; არ. სჯერდებიან რუსულ სი-

\*) იხ. იმისი ზემოდ დასახელებული წიგნი, გვ. 110.

ტყვებისა და წინაღადებათა მხოლოდ თვალ-საჩინოების  
საშუალებით ახსნას — არამედ სთარგმნიან და განუმარტე-  
ბენ მათ სამშობლო ენაზე და ამ სამშობლო ენას ხმარ-  
ბენ ბავშვების განსავითარებლად; მაგრამ, მეორე მხრივ,  
საღაც ეს არა-რუსთა ბავშვების წესიერ განვითარების სა-  
ქმეს არ აზიანებს, მარტო რუსულის ენის საშუალები-  
თაც ასწავლიან \*). ბ-ნ ი. გოგებაშვილი ვრცლად გან-  
მარტებს თავისს მეთოდს მის-მიერ შედგენილს «სახელ-  
მძღვანელო წიგნში», რომლიდანაც მოკლედ ამოვსწერთ  
საყურადღებო აღგილებს. მისი აზრით, თარგმნას დიდი  
მნიშვნელობა აქვს, როგორც პირველ რუსული ენის გაკვე-  
თილების დროს, ისე შემდეგშიაც, განსაკუთრებით მაშინ,  
როდესაც ბავშვები განყენებითს ცნობებს ითვისებენ. \*\*)  
«ქნელია რუსული ლექსიკონის შეთვისება კი არა, არა-  
მედ გრამატიკული ფორმებისა. ამისთვის მასწავლებელმა  
სასტიკი ყურადღება უნდა მიაქციოს რუსული გრამატი-  
კული ფორმების თანდათანობით შესწავლას, — პირველად  
უნდა შეასწავლოს ადვილი, მშობლიურ ენის გრამატი-  
კულ ფორმების მსგავსი რუსული გრამატიკული ფორმე-  
ბი და შემდეგ კი ძნელი ფორმები. \*\*\*). რუსულ ანბანის  
შესწავლის დროს ბ-ნ გოგებაშვილს დაცული აქვს ფონე-  
ტიკური (ხმებრივი) თანდათანობა: ჯერ ასწავლის ქარ-  
თველი ბავშვისთვის ადვილად შესათვისებელს ქართულ  
ხმების მსგავსს რუსულს ხმებს და შემდეგ ძნელებსა. \*\*\*\*)  
საგნების რუსულად აღწერის დროს ის საჭიროდ სცნობს  
ქართული ენის დახმარებას, — აგრეთვე ამ ენის დახმარე-

\*) იქვე... გვ. 120. \*\*) Руководство къ Русскому Слову  
Я. Гогебашвили. Тифлисъ, 1898 г., გვ. 12. \*\*\*) იქვე... გვ.  
14. \*\*\*\*) იქვე... გვ. 16.

ბას სცნობს საჭიროდ სხვადასხვა სურათების აღწერის დროსაც\*). გრამატიკული თანდათანობა დაცულია Руслане Слове-  
სкое Слово-ს როგორც პირველს, ისე მეორე ნაწილში.  
აი, რას ამბობს ბ-ნი გოგებაშვილი „საკითხავ მასალის  
ამორჩევისა და განაწილების დროს: ჩვენ აზრადა გვქონ-  
და უფრო მარტივი შინაარსისა და ფორმის მხრით ნა-  
წარმოებნი წაგვემძლვანებინა უფრო რთულ-აზროვან და  
რთულ-ფორმიან ნაწარმოებთათვის. ამის გიმო მეორე  
საკითხავ წიგნის პირველ ნახევარში არ არის ისეთი ამ-  
ბები, რომელიც სულ რამდენსამე სტრიქონშია მო-  
თავსებული, ისე კი, რომ აზრი გამოხატულია მთა-  
ვარ წინადადებებით; და, თუ ხანდახან დამოკიდებული  
წინადადებანიც არიან შეტანილნი ამ ამბებში,—ისინიც  
მარტივნი არიან. უფრო რთული და ვრცელი მოთხრობები  
და შეერთებული წინადადებებითა და „მზეორიცასტიე“-ბით,  
რომელიც ქართულს ენას არა აქვს, მოთავსებულია ამ  
წიგნის მეორე ნახევარში \*\*) მოთხრობები, ზღაპრები,  
არაკები, ანდაზები და გამოკანანი ყოველგან უნდა შე-  
დარებულ იქმნას ქართულ მოთხრობებსა, ზღაპრებსა,  
არაკებსა, ანდაზებსა და გამოკანებთან, რომელთაც  
რუსული სიტყვების შესწავლის შემდეგ წინდაწინ სთარ-  
გმნიან მოწაფეები ქარულიდან რუსულად. ამის მეორე-  
ბით რუსული ენის შესწავლის საქმეში, მასწავლებელს  
შეაქვს შედარებითი ეფექტი, რასაც სწავლებისა და გან-  
ვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. წიგნის შინა-  
არს შეადგენს უმეტესად მშობლიურ ენაზე შესწავ-  
ლილ. მასალის რუსულად თარგმანი და ამ მასალის

\*) იქვე... გვ. 42 და 44. \*\*) იქვე, გვერდი 46.

შესწავლის დროს ბავშვი მხოლოდ უცნობს რუსულს ფორმებს ითვისებს, რაღაც შინაარსი ამბებისა უკვე მისთვის ნაცნობია და მისგან ეს შესწავლა მაინცადა- მაინც დიდს ჯაფას აღარ თხოულობს \*). ადგიფობრივ, მშობლიური ხასიათის საკითხავ მასალას დიდი აღილი აქვს დათმობილი წიგნში იმ აზრით, რომ ქართველი ბავშვები აღვიღად შეითვისებენ რუსულს ენას მხო- ლოდ მაშინ, როდესაც შეეჩვევიან გარეშემორტყმულ საგნებს და მოწყობილობას, თვის საშინაო ყოფა-ცხოვ- რებას და მასთან თვისი მეცადინეობის, თვისი ფანტა- ზიის, ჭუის, მეხსიერების—ერთის სიტყვით გარეშემორ- ტყმულ სინამდვილის რუსული ენის ფორმებით გამო- თქმას \*\*). ყოველ ახალს მოთხრობას მასწავლებელი გა- დასცემს მოწაფეებს ზეპირად ცოცხალი რუსულის სი- ტყვით და ამ მოთხრობის კითხვის დროს „თითოეულ ფრაზას და მთელს მოთხრობას მოწაფენი ქარ- თულად სთარგმნიან. \*\*\*) მასსავლებელი რუსულს მო- თხრობებს აღარებს ქართულს მოთხრობებსა, აღარებს აგრეთვე რუსულს და ქართულს ანდაზებს და გამო- ცანაებს. \*\*\*\*)

ბ-ნ გოგებაშვილის-მიერ არაა უარყოფილი თვალ- საჩინოება, ცოცხალი საუბრი რუსულს ენაზე და სხვა... თარგმანის წიგნში წმინდა ქართულია. სუ- რათების <sup>9</sup>/<sub>10</sub> ქართულია. წიგნი ზედ-გამოჭრილია.

\* ) იქვე, გვ. 47;

\*\*) იქვე; გვ. 48.

\*\*\*) იქვე. გვ. 52.

\*\*\*\*) იქვე... გვ. 59—60.

ყოველივე ქართული სკოლისათვის,—შეთანხმებულია ქართულს სინამდვილესთან და მტკიცედ შეკავშირებულია იმავე ავტორის ქართულს საუკეთესო სახელმძღვანელოს „დედაქანასთან“. ეს კავშირი მეტად უადვილებს ქართველს ბავშვს რუსული ენის შესწავლას და ცოდნა, ადვილად შეთვისებული, იმიტომაც კარგი და სასარგებლო.—რომ ბავშვის გონიერებას განავითარებს და მის სულიერს ბუნებას გააკეთილშობილებს... ქართველი ბავშვი რუსულს ენას ხალისით სწავლობს..., და ეს ხალისი თვითგანვითარებისათვის მეტად დიდ-მძიშვნელოვანი მოვლენაა. აი, რა დიდს მნიშვნელობას აძლევს მშობლიურ ენის ვრცელ დახმარებას რუსული ენის შესწავლის დროს ზემოთ ხევნებული პედაგოგი ბობროვნიკოვი: „რაც უფრო მექანიკურად სცდილობენ მუნჯურ მეთოდის მოთხოვნილებათა განხორციელებას, მით უფრო სატირალს შედეგებს მიიღებენ. 25 წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ სემინარიაში სწავლობენ უკეთესად ის არა-რუსთა ბავშვები, რომელთ სწავლების დროს მასწავლებელი ხალისით და ხშირად ხმარობდა მათ შემდგრიულს ენას,—და ეს შედეგი შეიძლება სტატისტიკითაც დამტკიცდეს. ყველა არა-რუსთაგან ყაზანის სემინარიაში საუკეთესოდ სწავლობენ თავთრები,—შემდეგ ჩუვაშები, ამათ შემდეგ ჩერემისები, ვოტიაგები და შორდგა, რომელთ სკოლაში, ისიც მცირედ, ნებადართულია მშობლიურ ენის ხმარება. თუ ბავშვების განვითარება ბუნების კანონების თანახმად ხუებოდა პირველ ხანად, უფრო ნაკლებად ზეპირობდნენ ისინი,— მაშასადამე, უფრო ჭიკვიანები გამოვლენ და უფრო კარგად ისწავლიან. სჩანს, რომ ბავშვები მაშინ უფრო საუქმელიანად სწავლობენ რუსულს ენას, როდესაც პირველ.

სწავლების დროს მას დიდს ყურადღებას, მაინც დამაინც, არ აქცევენ. ხშირად ვხვდებით პირველ მოწაფეებს თათართა და ჩუვაშთაგან,—ხოლო ჩერემის—მორდვა—ვოტიაკთაგან კი ნაკლებად. ეს იმის გამო, რომ უკანასკნელთა სკოლებში მასწავლებლები ივიწყებენ ბავშვთა გონიერების ბუნებრივს განვითარებას და ელტვიან რუსულს ენაში მოჩვენებითს წარმატებას \*).

ქართველებს ქართული სკოლისათვის ჰქონდათ ქართველ პედაგოგის-მიერ შეზღენილი რუსულის ენის სახელმძღვანელო,—საუკეთესო მეთოდზე დამყარებული. სიმართლე მოითხოვს,—რომ, თუ ამ სახელმძღვანელოს თან ახლავს ზოგიერთი ნაკლულევანებანი — უნაკლულო ხომ ქვეყნად არა არის-რა,—უმჯობესი სახელმძღვანელო ისევ ქართველისავე პედაგოგს უნდა შეედგინა იმ პრინციპების სრულის განხორციელებით, რომელიც ბ-ნ გოგებაშვილის მეთოდიკას საფუძვლად უძევს.

მაგრამ განდიდების წყურვილით გატაცებულმა ბ-შა კორხანიდიმ, ქართულის არა-მულნემ, შეადგინა ქართველთათვისაც რუსული ენის სახელმძღვანელო, — „Живое Слово“, რომლის შინაარსს ქართულს სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

აი, მოკლე ისტორია ამ სახელმძღვანელოსი. მისმა ავტორმა უპირველეს ყოვლისა თვისი „Живое Слово“-ს ორი გამოცემა ბერძნულის თარგმანით ბერძნულს სკოლებში გაავრცელა... ამასობაში დადგა 1903 წელი, როდესაც დეკანზის ვოსტორგოვის წინადადებით ბ-ნ კორხანიდმა ამიერ-კავკასიის ყველა-არა-რუსთათვის შეად-

\*) იხ. იმისი წიგნი... გვ. 119—120.

გინა რუსული ენის სახელმძღვანელო, — რომელსაც სა-  
ფუძვლად დაუდო თვისი ძველი ქიბიე ციიი ზოგიერ-  
თის ცვლილებით. განზრახული იყო ამ ყველა არა-რუ-  
სთათვის დანიშნულს სახელმძღვანელოში არ ყოფილიყო  
არც ერთი მშობლიური ტექსტი, ხოლო ის სიტყვები,  
რომელთა თარგმნის დაუხმარებლად შესწავლა შეუძლე-  
ბელია, მსხვილი, ადვილად გასარჩევი ასოებით დაბეჭდი-  
ლიყო. ამ სიტყვებს ქართველი მასწავლებელი მოწაფე-  
ებს ქართულად უთარგმნიდა, — ბერძენი — ბერძნულად და  
სხვა... არც ერთის ერის სინამდვილესთან, ენასა და ყო-  
ფა-ცხოვრებასთან ამ წიგნს, რომელიც პლიუშკინის წა-  
ლებს მოგვაგონებს, როგორც სჩანს მის დანიშნულე-  
ბიდამ, არავითარი კავშირი არ ექნებოდა. მასში უნდა  
მოკცეულიყო საერთო — საკაცობრიო შინაარსის მიზან-  
ბები და ამბები დი აგრეთვე ასეთივე სურათები. დეკ-  
ვოსტორგოვმა ქართლ-კახეთის საეპარქიო სასკოლო სა-  
ზოს მრახსენა „შემდეგი: „სახელმძღვანელოს „ქიბიე  
ციიის შემდეგენელმა ბატ. კორხანიდმა წარმოშიდგინს მე  
განსახილველად შემუშავდებული ახალი გამოცემა თავის სა-  
ხელმისავანელოსი, ზომელიც დანიშნულია ამიერ-კავკასიის უგე-  
ლა არა-რუსთათვის. უმდაბლესად ვთხოვ საბჭოს დანიშნოს  
კომისია, როგორც თვით სახელმძღვანელოს, ისე მის გამო-  
ცემის პირდათა განსახილველად. საბჭომ დაადგინა: ბატ-  
კორხანიდის-მიერ წარმოდგენილ სახელმძღვანელოს განსა-  
ხილველად დანიშნულ იქმნას კომისია საოლქო. მეთვალ-  
ყურის დეკ-ვოსტორგოვის თავმჯდომარეობით და ს-  
ბჭოს წევრების ილ. ფერაძისა და იპ. გრეკოვის მონა-  
წილეობით. უკეთუ ეს სახელმძღვანელო მოწოდებულ იქნება,

იმავე კომისიას მიენდოს წარმოუდგინოს საბჭოს სახელმძღვანელოს გამოცემის პირთბანიც \*).

ამ წინგს არ ექმნებოდა მშობლიური ტექსტი; მხოლოდ წინგის ბოლოში მოთავსებული იქმნებოდა, მაგალითად, ქართველ ბავშთათვის რუსულ-ქართული ლექსიკონი, როგორც ჩერნიავკის წიგნს „Русская Речь“-ს აქვს...

მშობლიური ტექსტის გაძევება ქართველ ბავშთათვის აღნიშნულს რუსულს სახელმძღვანელოში არ მოეწონათ ბ-ნ კორხანიდის ამხანაგებს, ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებლებს; რომელთა რჩევით ბ-ნ კორხანიდმა მიუმატა თვის სახელმძღვანელოს: ა) მასწავლებლისთვის სწავლების ენა უნდა იყოს რუსული ენა; ბ) საგნობას და თვალ-საჩინოებას პირველი როლი ეკუთვნის სწავლების დროს. მესამე დებულებაც: რუსული ენის შესწავლა, თვალ-საჩინოების გარდა, უნდა სისტემატიურად ემყარებოდეს ბავშვების მშობლიურს ენაზე... თავის დროზე ბ-ნ კორხანიდის სამისავე: დებულების მთავარს აზრს ვერ მივხვდით; ვერც მე და ვერც სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებლები. ავილოთ პირველი დებულება, რომელიც მასწავლებლისთვის სწავლების ენად მხოლოდ რუსულს ენას სთვლის. რას ნიშნავს ეს?! ცხადია, რომ მასწავლებელს აღურძალული აქვს მშობლიური ენის ხმარება. ის უნდა ესაუბრებოდეს ბავშვებს მხოლოდ რუსულს ენაზე. თვით კორხანიდი თავის წიგნ-

\*) იხ. Журналъ Груз. Епарх. Уч. Совѣта отъ 20 янв. 1903 г. за № 5, ст. 2. Докладъ прот. I. Восторгова за № 145.

“Что въ азбукѣ: „Тѣмъ не менѣе, учитель, если въ отдельныхъ случаяхъ пайдеть возможныи не прибѣгать къ помощи перевода (что, кстати замѣчу, удается не всегда и не всякому), конечно можетъ не переводить отмѣченаго курсивомъ слова.“\*)

аქედან ცხადაც სჩანს, რომ მაშინ, როდესაც ჟენა-  
ძლია და ვინმე ამას მთახერხებს, საჭირო არაა მშობლიურს  
ენაზე სიტუვების თარგმნა. ცხადია, რომ, ამ სიტუვების  
უმთავრესი აზრის მიხედვით; არ შეგვიძლია ბ-ნ კორხა-  
ნიდს არ ვუწოდოთ მუნჯურ მეთოდის მოტრფიალე.  
ავილოთ თუნდ მესამე დებულებაც, რომელიც ბ-ნ კორხა-  
ნიდმა მიუმატა ქართველთა თვალის ასახვევად. ამ დებუ-  
ლების აზრით, რუსული ენის სწავლება სისტემატიურად  
უნდა ემყარებოდეს ბავშვების მშობლიურს. ენაზე. მაგ-  
რამ ვინაიდან წიგნი დანიშნულია ყველა არა-რუსთა-  
თვის, არ შეგვიძლია. სისტემატიურად რუსულის ენის  
სწავლებას მათს მშობლიურს ენაზე ვამყარებდეთ... თი-  
თოეულს ენას აქვს თვისი განმასხვავებელი თვისებანი;  
როგორც ეთიმოლოგია-ფონეტიკის, ისე სინტაქსის აგე-  
ბულობის მხრივ. მაშასადამე, თუ გვინდა ქართველთა-  
თვის შეღგენილი რუსული სახელმძღვანელო ქართულს  
ენაზე იყვეს სისტემატიურად დამყარეაული, მის ავტორს  
სახეში უნდა ჰქონდეს ქართული გრამატიკის ხასიათი,  
მისი ეტიმოლოგიურ-სინტაქსური თვისებანი...ხოლო, თუ  
ეს წიგნი ყველა არა-რუსთათვის არის დანიშნული და  
შეღგენილია. ქართულის არა მცირებესან, მაშინ შესაძ-  
ლო არაა რუსული ენის სწავლება. ქართულს სკოლაში

\*) Живое слово. изд. III 1903 г. გვ. 1.

ქართულს ენაზე სისტემატიურად იყვეს დამყარებული... მაშასადამე, ეს მესამე მისი დებულება ყალბია და ქართულს სკოლაში განუხორციელებელი.

ავტორს ეტყობა მუნჯურ მეთოდისადმი ტრფიალი. ავილოთ მისი ლექსიურის გაკვეთილებიდან თუნდ ერთო მაგალითი. „მასწავლებელი ასწავლის რუსულად: ცხენი დარბის ჩქარა, ვირი კი—ნელა. ამ წინადაღებებში ხაზგას-მულს სიტყვებს მშობლიური ენის საშუალებით ითვისებენ. მაგრამ ბ-ნი კორხანიდი ამას არ სჯერდება. ის ბავ-შვებს ეუბნება რუსულად: აი, მე დავდივარ ჩქარა, და, აი, კიდევ მე დავდივარ ნელა. როდესაც „ჩქარა დავდივარ“—ის მაგალითს თავის თავზე უჩვენებს,—ამით ეუბნება მოწა-ფეებს: ცხენიც ასე ჩქარა დარბისო; ხოლო, როდესაც „ნელა დავდივარ“, ის მაგალითს უჩვენებს და ამით ეუბნე-ბა: ვირიც ასე ნელა დადისო; პირველს შემთხვევაში ის თავის ჩქარი სიარულით ბაძავს ცხენის სიარულის სიჩქა-რეს, მეორე შემთხვევაში—ვირის ნელა სიარულსა-ყბად-აღებული მუნჯური მეთოდი ამის მეტს რაღას გვი-მოძღვრებს?!

ლექსიურს გაკვეთილებს, რომებსაც ბავშვები პირ-ველ სასწავლო წლის პირველს ნახევარში სწავლობენ, არავითარი ქავშირი არ აქვს და არც შეიძლება პქონდეს ქარ-თულს გრამატიკასთან. პირველსავე გაკვეთილის დროს გვხვდება **винительный падежъ женского рода**—читай молитву; აქვე გვხდება რუსული თანდებულები (пред-логи), რომელთ ხმარება პირველხანად ძნელია ქართველ ბავშთათვის: თანდებული „ВЪ“, რომელიც თხოულობს **винительный падежъ-ს**, და იგივე თანდებული, რომე-ლიც ხანდახან მოქმედებითს ბრუნვასაც თხოულობს (ვჲ

школу, въ школъ) \*). амъ таңде бүлгөдөс һигиаңы һема-  
рьба үтәмит һүсебеңең үзгірт дә, һасағынанәрдеңе, өм-  
си Әңсіләүзәңә ғашшынанәрдеңе 7—8 წәнде ғарназәлә. Һаң-  
зәбес, — һоммәлтәңе თаңы. Өзиңе ғидә ғалда үңделә  
дәағұнан, һомм һүсүлә таңде бүлтә һүлә. һемаң-  
да Әңсіләүзәң... ғарназәләд таңде бүлә үңжыл ғәми-  
әнд һөтүзәс წің қи ән үздәвіс, һонғору һүсүл-  
әни, — арумәд үкән, Әңмәдә ғашада. ვің ән იүсіс, һомм  
ғарназәл һаңзәвіс таңы ғендері ғимбіңда ხалықтары һүсү-  
лә һөтүзәдөс Әңтәвіс едә. әсегти һөтүзәдөс Әңидәләдә  
ғарназәлә һаңзәс. һәңәзәнде ғенсаң ғәләс Әңсіләүзә-  
ң-ні үтәнбаңынде қи ғарназәлә һаңзәс әсегти һөтүзәдөс  
Зірзеңеңеңе ғақзе тилендөңдө әңәзәнде: *солнечко, пысен-  
ка, спренекий, болиша—преболиша ласкаво... һаңзәс  
башкараң ғыныс.* Дүенғиңастие-ү, һоммәлдің ғарназәлә  
ғенас әнда әкіс; ғарназәлә һаңзәс Зірзеңеңеңе ғақзе тилендөңдө-  
дә ғыныс „И усыши въ полѣ колокола звоиъ. \*\*)  
імасыңе ғенерлеңе ғақзе тилендөңдө ғыныс һүсүлә ғын-  
рьбидө: *Ивановъ, Пепровъ. \*\*\*)* амаше ғаєртәвіс өс әнға-  
нәлді һөтәндер, һоммәлдің ғаңғонаңағыда ғынағандаңыс һү-  
сүләс ғенаше һәңәзәдә ғенерлеңе ғенерлеңе ғендері ғендері  
ғаңғанаң.

8. үтәнбаңынде һүркес ғарназәләмә һаңзәмә Әңсіләүзәң  
іссәнғынағанда ғенас, һоммәлдөс ғүләндеңеңеңеңе һәң-  
зәләд ғаңғанаңағанда ғендері ғендері ғендері ғендері

\*) Живое Слово... 83, I. № 6—7.

\*\*) өдзә... 83. 26.

\*\*\*) өдзә... 83. 10.

აკეთებს. შემდეგ იმავე ამოცანას მასწავლებელი გადას-  
ცემს რუსულად და ბავშვი რუსულადვე აკეთებს... მას-  
წავლებელი უნდა ეცადოსა ამოცანის განმარტების დროს  
ბავშვი წმინდა რუსულის ენით ლაპარაკობდნენ. \*) ეს  
მაშინ, როდესაც თვით ვოსტორგოვის პროგრამაც კი არ  
ავალებს მასწავლებლებს უსათუოდ თავი გაუხეთქონ ქარ-  
თველ ბავშვებს ანგარიშის რუსულად სწავლებით პირველს  
სასწავლო წლის პირველ ნახევარში (ენკენისთვე-ქრისტე-  
შობისთვე). აი, რა ეწერა ვოსტორგოვის სასწავლო გეგ-  
მაში: „ანგარიშის თანდათანობითი სწავლება რუსულს  
ენაზე ცოტ-ცოტათი იწყება პირველ წლის პირველს ნა-  
ხევარს, მაგრამ სავალდებულო კია მეორე ნახევრიდან,  
უფრო უფრო შემთხვევაში სავალდებულო პირველს წელს მანც  
იცოდნენ ბავშვებმა თვლა ათამდის, შემდეგ ასამდის მხო-  
ლოდ ათეულობით (30, 40, 50...) და რიცხვითი გან-  
ყენებითი მაგალითები ( $3+4=?$ ;  $5-2=?$ ;  $7+2=?$ )  
პროგრამის სამზღვრებს „შორის“ \*\*). ცხადად სჩანს, ხე-  
ნებული პროგრამმა, მაინცდამაინც, სავალდებულოდ არა  
სთვლის მთელს პირველს წელს რუსულს ენაზე ანგარი-  
შის სწავლებას. ბ-ნი კორხანიდი კი ამ მხრით თვით ვოს-  
ტორგოვსაც აჭარბებს...

ბ-ნი ი. გოგებაშვილიც ამბობს რუსულს ენაზე ან-  
გარიშის სწავლების შესახებ, მხოლოდ იმ განსხვავებით,  
რომ ის სთვლის საჭიროდ ასწავლონ რუსულად. ეს სა-  
განი იმ დროდან, რომელსაც სასწავლო გეგმა უჩვენებს,  
ე. ი. პირველ სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან ცოტ-

\*) იქვე გვ. 28. \*\*) იხ. Распределение на 4 года учеб.  
предметовъ въ церк. школахъ... გვ. II;

ცოტათი და მეორე სასწავლო წლიდან — უფრო მეტად. ამას გარდა ბ-ნი გოგებაშვილი სთვლის საჭიროდ, რომ, სანამ ქართველი ბავშვები არ შეითვისებენ რუსულს ენას დაახლოვებით კარგად, მანამდის ანგარიში ძშობლიურს ენაზე უნდა ისწავლებოდეს \*). აქედან ცხადად სჩანს, თუ რომელი პედაგოგი უფრო ზრუნავს ქართველი ერის ბავშვების ჯეროვან განვითარებისათვის: ბ-ნი კორხანიდი თუ ბ-ნი გოგებაშვილი. კორხანიდი მტკიცედ ასრულებს ამ შემთხვევაში თავის პირველს დებულებას იმის შესახებ, რომ არა-რუსთა სკოლებში რუსული ენა უნდა ითვლებოდეს სწავლების ენად არა თუ მარტო თვით ენის, არამედ ანგარიშის შესწავლის დროსაც. ბ-ნ გოგებაშვილის აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ქართული სკოლის საქმე, მრავალს მის წიგნსა და წერილშია გამოთქმული რუსულად და ქართულად. მისი იდეალი — ერთენული სკოლაა... ბ-ნ გოგებაშვილის მიერ 25 წლის წინ აღიარებულმა კეშმარიტებამ ბოლოს დროს გაიმარჯვა, \*\*) ჩვენი ერის ჯეროვანის განვითარების მოტივიალეთა სასიხარულოდ.

გავსინჯოთ სურათები ბ-ნ კორხანიდის წიგნისა. მისი სურათები საერთო საკაცობრითა; მასში ქართულის ხასიათის არა არის-რა. შინაარსის მხრითაც წიგნი ქართულ სინამდვილეს მეტად მოჰკრებულია. წიგნში იხმარება ხშირად რუსული და სომხური სახელები აღამიანებისა, ქალაქებისა, მდინარეებისა: შუშა, შემახა, ლიუბოვი, ლიუდმილა, ერევანი, ხარკოვი, უიტომირი, ხარლამპი, ოდეს-

\*) Русское Слово. изд. 9, 1902 г. გვ. 8.

\*\*) Тифл. Листокъ 1905 г. № 132. Циркуляръ по-печит. Кавказскаго Учебнаго Округа.

на, төгөлдөрсөн, идлээ, юлтийн, иүрэй, залуулж ирж, гомогчлой, зүүшүйн, чижигчийн, бийчүүрүүйн, дөслүүчүүйн, гэршийн, мишийн да сэв... Шинбаарсынч үмэгүйсэлэд ялангуялт таатвийн үзүүлэв, магадлийтад: „Отецъ дѣлаетъ порши. Дѣвушки мелютъ круппу“. арч ზამთარში, арч გაზაფხულში, арч ზაფხულში да арч შემოდგომаში, რомжилтэй албаны წигнүүдийн მოთаვсэбүүлэв, ქარ-түүдэй, მშობლын არ. არис-რა (უფრო да წვრილеёдит იხიлжет Живое Слово-ს გვერდыбі: 57, 60, 62, 67, 91, 99, 101, 103, 105, 108, 129, 141, 164, 184 да сэв...). ასეთ შинбаарсынч да сүрвятаеბიან წигნს აჩ-ჩებენ 7—8 წლის ქарчүүлэв, პარაწინა მოწაფე... ნუ თუ შეუძლыа მის ნомхийн ბүрёбас ასეтийн წигნит რүсү-ლыс ენис შესწავლа?

Мигмарчийн таарчмын, ბ. კორხебаныдмаа ქарчүүлэв ენа ар იცис და ამის გამო იძულებული იყო ქарчүүлэвийн მიემართნა ამ საქმის აღსასრულებლад. მეც მომმართа თხოვნით—მეკისრნა ქарчүүлэв თарчмын, მаграам უარо ვუთხаро. შემდეგ, რомжилч წигნის ბო-лчадаам სჩანს, მიუმართავს ბ. არ. ქუთათეჭაძისათვის, — რомжилсаც უკისრნа ქарчүүлэв თарчмын. მაგраам რა თарчмынна ეს თарчмын?! იმის საშუალებით სწავლობდენ რүсүүлэв ენას სამეგრელოს სკოლებში და უნდა გამო-კტүдэг, რомж ასეთი წигნის სკოლებში მიღებისათვის მацлопда ар ეთქმის იმ მეთვალყურეს (ბ. ნ. თ. ურада-ნис), რомжилмаც ის ხსენებүүлэв სკოლებში გამოაწერин. გავсизжинт თарчмын; ფრհեхийн ჩვენს თарчмын მო-ვათаვсэбт შემცდარ თарчмын მაგніვრад: рукавь— ტокти (სახელო), лиса—мурло—лисица—мурло (ორиვ)

ერთია), мышеловка—тагвзис მახე (სათაგვე), портной—  
მკერავი (თერძი), насткомое—ბუზანკალი (მწერი), эки-  
заменъ—ეგზამენი (გამოცდა), струсиль—დაფრთხა (შე-  
შინდა, შეკრთა), шея (გვ. 74)—ყელი (კისერი), раз-  
нощикъ—ხილის გამყიდველი (წერილების დამტარებელსაც  
რუსულად ამასვე ეძახიან); берутся за дѣла—ეკიდებიან  
საქმეებს (პირდაპირი თარგმანია,— ულაზათო; სჯობია:  
საქმეებს ხელს ჰკიდებენ), не велить—არ უბრძანებია  
(არ გვიბრძანებს) берегу—ვაკაულობ (ვბუჭვ, ვდარა-  
ჯობ); ხშირად ჰქენიან ქანები (შესმენილი უნდა იყოს  
მხოლოდით რიცხვში, როდესაც ქვემდებარე უსულო-  
საგანია პირველის დაბოლოებით — ები, ანუ უნდა  
იყოს — ხშირად ჰქენიან ქანი), перелетныя птицы  
სტუმარი ფრინველები (წამსვლელი ფრინველები); ве-  
ретено—თისტარი (თითისტარი); Лиза рассказала сказ-  
ку—ლიზამ უაშბო ზღაპარი (ლიზამ სთქვა ზღაპარი, ლი-  
ზამ მოგვითხრო ზღაპარი); онъ лѣзеть на столъ—ის მი-  
ტოტყავს მაგიდაზე (ასე არ შეიძლება: სს მიცოცავს)...  
корова ѣсть сѣно—ძროხა სჭამს თივა (სჭამს თივას);  
мнѣ восемь лѣтъ (გვ. 47)—მე მაქვს რვა წელი (მე რვა  
წლისა); букашка—ბუზანკალი (გვ. 120)—насѣкомое—  
—ბუზანკალი (გვ. 54), жукъ-იც ბუზანკალი (გვ. 68).  
რომელია ბუზანკალი—насѣкомое, жукъ თუ букаш-  
ка—უფალმან უწყის. ამის გამო ბავშვმა რომ რუსუ-  
ლიდან ქართულად სთარგმნოს წინადადება: жукъ—на-  
сѣкомое, უნდა სთქვას: „ბუზანკალი—ბუზანკალია; ანუ  
კიდევ: „букашка—насѣкомое, ბუზანკალი ბუზანკა-  
ლია...”; паслись—ბალახობდნენ (სძოვდნენ), качель—  
—ჟორწიანა (საქანელი); червь ползаетъ по землѣ—

(гз. 63) ма́тлю ზიხხავს (მიგლინავს, მიცოცავს); იწე  
возить камни въ тачкѣ (гз. 63)—იმას მიაქვს ქვები  
(ის ზიდავს ქვებს)! лошадь скакеть—ცხენი მიჭენობს  
(მიაჭენებს); перевозить разные товары (гз. 176)—გა-  
დაიტანონ სხვა და სხვა საქონელი (გადაზიდონ სხვა და  
სხვა საქონელი), обрѣзываютъ деревья—(гз. 181)  
სწმენდენ ხეებს (სხვლენ,—სხეპვენ, შემოკვეცენ ხეებს);  
ласточка съ весною летитъ (гз. 182)—მერცხალი გა-  
ზაფხულთან მოფრინავს (გაზაფხულთან ერთად მერცხა-  
ლი მოფრინავს); сиѣжокъ—(гз. 184)—თოვლით გუნ-  
დაობა (უნდა ითქვას играть въ сиѣжки—თოვლით  
გუნდაობა) და სხვა... და სხვა...

7—8 წლის ბავშვებს ხელში აძლევენ სახელმძღვა-  
ნელო წიგნს ასეთის დამახინჯებულის თარგმანით. ჯერ  
ერთი—საბავშვო წიგნში შეცდომა არ უნდა იყოს,  
და, თუ ის შეცდომებით სავსეა, ვნების მეტს ახალთაო-  
ბას არას შოუტანს. როგორ გაბედა კორხანიდიმ, რომ  
თავისი წიგნი ასეთის ცუდის თარგმანით ქართული სკო-  
ლებისთვის დაბეჭდა და მის გავრცელებას ცდილობდა?!  
ეს ქართველის დიდი შეურაცხყოფაა, მისი აბუჩად აგ-  
დებაა, მისი ენის შელახვაა... ასეთს კაცს კიდევ ჩვენ-  
ში გასავალი აქვს. მას საუკეთესო ამხანაგად სთვლიან!!  
ბ-ნ კორხანიდს შეუძლია ეს თვისი ბრალი ბ-ნ ა. ქუთა-  
თელაძეს დასდოს და სთქვას, წიგნის ქართული თარგმა-  
ნი მას ეკუთვნისო და ის, როგორც სათავად-აზნაურო  
გიმნაზიაში ქართულის ენის მასწავლებელი, თვითონაა  
ამის პასუხისმგებელიო. თუ მართლა ეს ცუდი თარგმანი  
ბ-ნ ა. ქუთათელაძეს ეკუთვნის, რაიც ჩვენ არ გვჯერა,  
ის ამისთვის არა თუ საყვედურისა, არამედ გაკიცხვის

ლირსია... მაგრამ ჩვენ არ გვგონია, ეს ასე იყოს... არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ქართულის ენის გამოცდილ-  
მა მასწავლებელმა ეს გასაკიცხი საქმე იკისრია და ისეთის-  
ცუდის თარგმანით წიგნი თავის თანამსახურს, კორხა-  
ნიდს, ქვეყნად დააბეჭდვინა.

როგორც ვიცით, ბ-ნი კორხანიდი არ სთვლის საჭი-  
როდ სამშობლო ენის ვრცელს დახმარებას რუსულის-  
ენის შესწავლის დროს... ამ მხრით ის არაფრით გან-  
სხვავდება შელცელის და ლევიცკიდან; განსხვავება ისაა  
მხოლოდ, რომ მას თავის წიგნში შეტანილი აქვს მშო-  
ბლიური ტექსტი ცალკე სიტყვების თარგმნის სახით.

ცხადია, მისი Живое Слово, თუ საფსებით არა ნახევრად  
მანც მუნჯურ მეთოდზეა დამყარებული... საბჭოს კომისიას,  
რომელშიაც მეც ვიყავი დანიშნული, ეს წიგნი არ განუ-  
ხილავს. დეკ. ვოსტოკოვმა მოიწონა იგი (თარგმანითურთ).  
კერძოდ, დიდის სიჩარით, და იმის დასაბეჭდად მისცა. საბ-  
ჭოს საშვალებით 600 მანათი \*). დაიბეჭდა თუ არა Живое  
Слово-ს მესამე გამოცემა (ის, რომლის შესახებ ვწერთ),  
უსახელო ავტორმა რუსულად იმის შესახებ თვისი აზრი წარ-  
მოსთქვა: იმისი სიტყვით, -- Живое Слово საუკეთესო სახელ-  
მძღვანელოა, -- რომლის ავტორმა სრულიად საფუძვლიანად  
მისცა უბირატესობა ბუნებრივს ანუ მუნჯურს მეთოდსა, — მა-  
გრამ, ამისდამიუხედავად, ის სარგებლობს მშობლიური ენითაც,  
— როგორც ნაუთფიერ თვალ-საჩინოებითს საშვალებით, —  
რაიც არსებითად ბუნებრივს მეთოდს არ ეწინააღმდეგება. \*\*\*)  
არულიად ვეთანხმებით უსახელო ავტორის აზრს ბ-ნ კორ-

\*) იხ. Журналъ Груз. Епарх. учил. Совѣта за 1903.  
г., № 11, ст. 12; \*\*) Газ. Кавказъ 1903 г. № 286.

ხანიდის წიგნის, შესახებ, — ჩვენც ზემოთ ამ აზრის გან-  
მარტებას ვცდილობდით, რამდენადაც შევვეძლო.

ახლა მასალის რაოდენობას შევვეხოთ. გავსინჯოთ,  
შეუძლია თუ არა 7—8—9 წყლის ქართველ ბავშვის  
ტვინს მისი დაძლევა. Живое Слово-ს პირველს ნაწილში  
195 გვერდია. ბ-ნი კორხანიდი აპირობდა წიგნის მეორე  
ნაწილის გამოცემასაც \*). ეს გამოცემაც ამაზე ნაკლები  
არ იქნებოდა. ამ რიგად ორივე წიგნი უდრის 400  
გვერდს. თუ ამას მიუმატეთ კორხანიდის სასწავლო  
ქრისტომატიაც, სასკოლო საბჭოს-მიერ ნებადართული,  
ერთკლასიან სკოლის მესამე და მეოთხე განყოფილებისა-  
თვის, რომელსაც (წიგნს) აქვს 300 გვერდამდის, — მრ-  
ვილებთ 700 გვერდსა... მასალა დიდ-ძალია, აუტანელი  
ქართველი ბავშვისათვის. პირველ-დაწყებითს სახელმძღვა-  
ნელოებში მასალის გამოტოვება მიღებული არაა,. რა-  
საც გამოსტოვებ,— მეორე ადგილს დაგჭირდება, სულ  
ერთია... ამის გამო საცოდავმა ბავშვმა უნდა იტვირთოს  
სიზიფის მუშაობა, — აიკიდოს მჩიმე მასალა, — რომელიც  
მის ჰკუა-გონებას, სასურველ განვითარების ნაცვლად,  
დააჩლოუნგებს. ამ სამი წიგნის გათავება შეიძლება ერთ-  
კლასიანს (ოთხი წლის კურსით) სკოლაში, — უკეთუ კვი-  
რაში რუსულ ენას დათმობილი ექნება 12 გაკვეთილი.  
დეკ. ვოსტოკოვის ნატვრაც სწორედ ეს იყო, მეტი  
არაფერი... \*\*) მიზანი ცხადია.

დღეში რომ ხუთი გაკვეთილი ვიანგარიში, რაიც  
პიგიენურად ნორჩი ბავშვისთვის მავნებელია, \*\*\*) ასე

\*) იხილე პირველი ნაწილის ზოლოში. \*\*) იხ. მისი ანგარი-  
ში 1901—2 წლისა. დასკვნა; \*\*\*) Формаковский. Школьная  
Диететика.

განაწილდება გაკვეთილები საგანთა შორის: საღმრთო  
სჯული—7 გაკვეთილი, ანგარიში—5, რუსული ენა—12,  
გალობა—4, საეკკლესიო-სლავიანური—2, სულ კვი-  
რაში 30 გაკვეთილი, ქართულს ენას რაზა დარჩა?! არა-  
ფურ... ამიტომაც განიზრახეს ქართული ენის სკოლის  
გამგე მღვდლისთვის მიჩეჩება; მშობლიურს ენას საკუ-  
თარი გაკვეთილებიც კი არ დაუნიშნეს და საღმრთო  
სჯულის გაკვეთილთა რიცხვში მოათავსეს. \*) ეს გარე-  
მოება ქართულის ენის სრულს მოსპობას უდრის. მღვდელს  
არც დრო აქვს, არც მოცალეობა და არც ხალისი—უსას-  
ყიდლოდ იმუშაოს სკოლაში... ასე განიზრახეს ქართუ-  
ლის ენის შესახებ და, თუ განზრახვა არ შესრულდა,—  
ჯერ ხანად არც შესრულებულა—ეს სხვა გარემოებათა  
და პირთა ბრალია და არა ვოსტორგოვის და კორხანი-  
დისა.

ყოველ ზემონათქვამის შემდეგ, თვით კეთილ-  
სინდისიერმა მკითხველმა გამოიყვანოს დასკვნა იმის შე-  
სახებ,—რამდენად ღრმად ჩაუკვირდა ბ. კორხანიდის სა-  
ქმის გამო დანიშნული კომისია დაკისრებულს დიდ-მნიუ  
შვნელოვანს საკითხს.

როგორც ვიცით, ამ კომისიამ ეს მუნჯური მეთოდის  
მოტრფიალე პედაგოგი გაამართლა და განასხეტაკა, „ვი-  
თარცა თოვლი“.

ილია ფერაძე.

\*) ქავკაზъ 1905 г. № 34.

o 3838  
1905

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ი ვ ე რ ი პ“.

1905 წ.

გამოდის ყოველ-დღე.

წარმატებაში რედაქცია დაურიკებს ხელის-მომწერლებს

## პრემია 12 ლირების

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხომწერალთა.

გაზეთის ფასი: 1 ივლისიდან წლის დამლევამდის 5 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ლირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: თიფლის, რედაქცია გაზ. „Иверия“.

სტამბა ამხანაგობისა „შრომა“.